V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

“საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში”

კონფერენცია ეძღვნება

საქართველოს ეკონომისტის დღეს

თბილისი Tbilisi

2023

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში 2023 წლის 8 სექტემბერს გამართულ V ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები
Materials of reports read at the 5th National Scientific Conference held at Grigol Robakidze University on September 8, 2023

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: ვლადიმერ პაპავა (მთავარი რედაქტორი) ვახტანგ ჭარაია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რამაზ აბესაძე, გივი ბედიანაშვილი, თამარ გამსახურდია, ბადრი გეჩბაია, თენგიზ თაქთაქიშვილი, მურმან კვარაცხელია, მაია მელაძე (პასუხიმგებელი მდივანი), ავთანდილ სილაგაძე, გიორგი ღაღანიძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, მიხეილ ჯიბუტი
Scientific-editorial Board: Vladimir Papava (chief editor) Vakhtang Charaya (deputy chief editor), Ramaz Abesadze, Givi Bedianashvili, Tamar Gamsakhurdia, Badri Gechbaya, Tengiz Taktakishvili, Murman Kvaratskhelia, Maya Meladze (corresponding secretary), Avtandil Silagadze, Giorgi Gaganidze, Nikoloz Chikhladze. Mikhail Jibuti

რეცენზენტები: პროფ. ბ. გეჩბაია
პროფ. თ. თაქთაქიშვილი

Reviewers: Prof. B. Gechbaia,
Prof. T. Taktakishvili

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
© Grigol Robakidze University

ISBN 978-9941-8-5764-5

V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის ჩატარების დრო და ადგილი:

2023 წლის 8 სექტემბერი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
(ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ)

სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტი

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) - თავმჯდომარე;

პროფესორი ვახტანგ ჭარაია (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით) - თანათავმჯდომარე;

აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) -- თანათავმჯდომარე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

აკადემიკოსი მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია).

რამაზ აბესაძე (თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი);

იური ანანიაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

გივი ბედიანაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი) - პასუხისმგებელი მდივანი;

თეიმურაზ ბერიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

თამარ გამსახურდია (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი);

სიმონ გელაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

რევაზ გველესიანი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

ნუგზარ თოდუა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

მიხეილ თოქმაზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი);

მერაბ კაკულია (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი);

მურმან კვარაცხელია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

პაატა კოღუაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი);

ელგუჯა მექვაბიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

ავთანდილ სულაბერიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი);

მირიან ტუხაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

თეიმურაზ შენგელია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ვლადიმერ ღლონტი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ეთერ ხარაიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).
ნიკოლოზ ჩიხლაძე (ქუთაისის უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ეკონომიკის დოქტორები, პროფესორები:

ბადრი გეჩბაია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
თეა ლაზარაშვილი (პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი);
მანანა ლობჟანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
დავით ნარმანია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
თენგიზ თაქთაქიშვილი (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი);
ლევან საბაური (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
დემურ სიჭინავა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
გიორგი ღაღანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ნინო ფარესაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
მაია მელაძე (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი);
ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი);
თეა ხორგუაშვილი (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ნათელა წიკლაშვილი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
გიორგი ღავთაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ემზარ ჯგერენაია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

საორგანიზაციო ჯგუფი

ლანა ებრალიძე (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი); **უჩა გოგრიჭიანი** (თსუ); **თემურ გოგოხია** (თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი) ეკონომიკის ინსტიტუტი).

სარჩევი

ვლადიმერ პაპავა - ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო! 6
პლენარული სექცია 7
ვლადიმერ პაპავა - საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში 8
Vladimer Papava -THE MAIN CHALLENGES OF THE GEORGIAN ECONOMY UNDER CONFRONTATIONAL GLOBALIZATION 18
მარიამ ლაშხი, დავით სიხარულიძე, ვახტანგ ჭარაია - ჩრდილოვანი საბანკო სექტორი საქართველოში 19
Mariam Lashkhi, Davit Sikharulidze, Vakhtang Charaia - The Shadow Banking in Georgia 35
ეთერ ხარაიშვილი - კონფრონტაციის გავლენა აგროსასურსათო წარმოებაზე: გაურკვევლობა და მოლოდინები 36
Eter Kharaishvili - Impact of Confrontation on Agro-Food Production: Uncertainties and Expectations 55
არჩილ ფრანგიშვილი, თამაზ ობგაძე, გიორგი ღავთაძე, მაია შევარდენიძე - ციკლები და ფრაქტალები საქართველოს მაკრო-ეკონომიკურ სისტემაში 56
Archili Phrangishvili, Tamaz Obgadze, George Gavtadze, Maia Shevdenidze - Cycles and Frantals in the Macro-Economic System of Georgia 67
სექცია I 68
რევაზ ველესიანი, ირინე გოგორიშვილი - მოსალოდნელი გლობალური ცვლილებების ამსახველი გადაწყვეტილებების მიღება ეკონომიკურ პოლიტიკაში 69
Revaz Gvelesiani, Irine Gogorishvili - Making decisions in economic policy reflecting expected global changes 76
შოთა ვეშაპიძე - გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენები: გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის 77
Shota Veshapidze - New developments in the global world: challenges and opportunities for Georgia 87
მურმან კვარაცხელია - გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება 88
Murman Kvaratskhelia - Globalization and economic security 94
ნიკოლოზ ჩიხლაძე, გოჩა უგულავა - საქართველოს ექსპორტის გამოწვევები გლობალური უსაფრთხოების რისკების ზრდის პირობებში 95
Nikoloz Chikhladze, Gocha Ugulava - Georgia's Export Challenges in the Context of Increasing Global Security Risks 112
სლავა ფეტელავა - ანტიმონოპოლიური პოლიტიკა საქართველოში 113
Slava Fetelava - Antimonopoly policy in Georgia 121
ნინო მიქიაშვილი - სიღარიბის პრობლემა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა 122
Nino Mikiashvili - The Problem of Poverty and Inclusive Economic Growth 131
იოსებ არჩვაძე, ლია ქურხული - სოციალური ქსელის შუქ-ჩრდილები: პოლიტ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები 132

Ioseph Archvadze, Lia Kurkhuli - BLACK AND WHITE SHADES OF SOCIAL NETWORK: POLITICAL-ECONOMIC AND PSYCHOLOGICAL ASPECTS 142
გიორგი შიხაშვილი, კახაბერ რუსიძე - მართლმადიდებგლური სწავლება საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის შესახებ 143
Giorgi Shikhashvili, Kakhaber Rusidze - Orthodox Teaching of Self-knowledge and Socio-economic Synergism 151
მედეა ხარაიშვილი - დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში 143
Medea Kharaishvili - Directions for improving the compliance of employment policy and learning outcomes of higher education in Georgia 161
სექცია II 162
მირიან ტუხაშვილი, მზია შელია - დიასპორები საქართველოში: რიცხოვნობა და სტრუქტურა 163
Mirian Tukhashvili, Mzia Shelia - DIASPORAS IN GEORGIA: NUMBER AND STRUCTURE 171
გივი ბედიანაშვილი - კონფრონტაციული გლობალიზაცია და მცირე ქვეყნების გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა 172
Givi Bedianashvili - Confrontational globalization and global sustainable competitiveness of small countries 179
დემურ გიორხელიძე - მაკროეკონომიკური ფაქტები. საქართველო 180
Demur Giorkhelidze - Macroeconomic facts. Georgia 195
მალხაზ ჩიქობავა - CBDC - ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტა: უპირატესობები და ნაკლოვანებები 196
Malkhaz Chikobava - CBDC - Digital Currency of Central Banks: Advantages and Disadvantages 204
ლია თოთლაძე, მამუკა ხუსკივაძე - მდგრადი ურბანიზაცია და ზიფის კანონი საქართველოს ქალაქებისთვის 205
Lia Totladze, Mamuka Khuskivadze - SUSTAINABLE URBANIZATION AND ZIPH'S LAW FOR GEORGIAN CITIES 212
მურმან ცარციძე, შოთა გაბადაძე - გიგ-ეკონომიკა (Gig Economy) და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში 213
Murman Tsartsidze, Shota Gabadadze - Gig economy and its development trends in the conditions of modern globalization in Georgia 224
აკაკი არსენაშვილი - ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანა უწყვეტი შუალედური პირობით ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემებისთვის 225
Akaki Arsenashvili - VARIABLE STRUCTURE OPTIMAL CONTROL PROBLEM FOR THE ECONOMIC-POLITICAL SYSTEMS WITH CONTINUOUS INTERMEDIATE CONDITIONS 234
თეა ლაზარაშვილი - ინოვაციური უსაფრთხოების როლი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში 235
Tea Lazarashvili - THE ROLE OF INNOVATIVE SECURITY IN THE STATE'S NATIONAL SECURITY SYSTEM 241
მარინა ტაბატაძე, ანნა თანდილაშვილი - ბიუჯეტის ადმინისტრირების მექანიზმები გლობალური ეკონომიკის პირობებში 242

Marina Tabatadze, Anna Tandilashvili - Budget administration mechanisms in the context of the global economy 253
სექცია III 254
სიმონ გელაშვილი, მარიამ დანელია - პროფესიული განათლებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური ტენდენციები თანამედროვე საქართველოში 255
Simon Gelashvili, Mariam Danelia - Statistical trends of vocational education and graduate employment in modern Georgia 267
ნუგზარ თოდუა, გიორგი რობაქიძე - პროდუქტის განთავსებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება 268
Nugzar Todua, Giorgi Robakidze - Georgian Consumers' Attitude towards Product Placement 278
ბადრი გეჩბაია, ამირან წილოსანი - საქართველოს საკონტეინერო გადაზიდვების უპირატესობები და კონკურენტული სტრატეგიები კონფრონტაციულ გარემოში 279
Badri Gechbaia, Amiran Tsilosani - Advantages and competitive strategies of Georgian container shipping in a confrontational environment 287
ნინო აბესაძე, თამუნა მაზანიშვილი - გლობალიზაცია და კრიმინოგენური მდგომარეობის თანამედროვე სტატისტიკური ტენდენციები საქართველოში 288
Nino Abesadze, Tamuna Mazanishvili - Globalization and modern statistical trends of the criminogenic situation in Georgia 295
ნაზირა კაკულია - ცირკულარული ეკონომკის მოდელები და მათი გამოყენების აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე 296
Nazira Kakulia - Circular economy models and the need to use them at the modern stage 300

ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო!

2023 წლის 8 სექტემბერს ქართველი ეკონომისტები „საქართველოს ეკონომისტის დღეს“ აღვნიშნავთ. გავიხსენოთ ამ დღის შემოღების მოკლე ისტორია: 1918 წელს, 105 წლის წინ, სექტემბრის მეორე პარასკევს, პირველი ქართული ეკონომიკური ჟურნალი – „საქართველოს ეკონომისტი“ გამოვიდა, ხოლო 1999 წელს მიღებული გადაწყვეტილებით კი, ყოველწლიურად, სექტემბრის მეორე პარასკევს, „საქართველოს ეკონომისტის დღეს“ აღვნიშნავთ.

2018 წლიდან დაწყებული ქართველი ეკონომისტები ეკონომისტის დღეს ერთდღიან ეროვნულ კონფერენციას ვატარებთ, სადაც ერთმანეთს ვუზიარებთ კვლევის შედეგებს და კვლევის უახლოეს ამოცანებს განვიხილავთ.

საქართველოს ეკონომისტთა ეროვნული კონფერენციებს მონაცვლეობთ ვატარებთ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. I ეროვნული კონფერენცია 2018 წელს ჩატარდა თბილისში, ევროპის უნივერსიტეტში, II ეროვნული კონფერენცია – 2019 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, III ეროვნული კონფერენცია – 2020 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, IV ეროვნული კონფერენცია – 2022 წელს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში. COVID-19-ის პანდემიის გამო, სამწუხაროდ, ეროვნული კონფერენციის ჩატარება 2021 წელს ვერ მოხერხდა.

დღეს საქართველოს ეკონომისტთა V ეროვნულ კონფერენციას ვატარებთ თბილისში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. კონფერენციის თემაა „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“. თემის აქტუალურობას განაპირობებს ის სამწუხარო რეალობა, რომელშიც მსოფლიო 2022 წლის 24 თებერვლიდან იმყოფება, როცა რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო, ხოლო ამის საპირწონედ დასავლეთმა რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა.

რუსეთის ომმა უკრაინაში და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა გლობალური ეკონომიკის კონფრონტაციულობა გამოიწვია. ამ ვითარებაში ყველა ქვეყნის წინაშე დგება ამოცანა, განსაზღვროს გლობალურ ეკონომიკაში მისთვის ყველაზე უფრო მისაღები ადგილი.

გლობალური ეკონომიკის კონფრონტაციულობა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს როგორც ეკონომიკურ მეცნიერებას, ისე საქართველოს ეკონომიკური განვითარებას. ამ პრობლემების კვლევა კი ქართველი ეკონომისტებისთვის უშუალო ინტერესების სფეროს განეკუთვნება.

საქართველოს ეკონომისტთა პროფესიულ დღეს ვულოცავ ყველა ჩვენს თანამემამულე ეკონომისტს, მეცნიერს და საჯარო მოხელეს, ეკონომიკური პროფილის სამივე საფეხურის სტუდენტებს და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი თავისი ახალი მეცნიერული შედეგებით ჩვენი სამშობლოს, მისი განვითარების სამსახურში წარმატებით ჩადგებიან!

პატივისცემით,

აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა

8 სექტემბერი, 2023 წელი

პლენარული სექცია

საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში

ვლადიმერ პაპავა
აკადემიკოსი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
vladimer.papava@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-8-18

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია ფსევდოდეგლობალიზაციის პროცესი, რასაც საფუძველი COVID-19-ის პანდემიამ ჩაუყარა. განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ დეგლობალიზაცია პრინციპულადაა შეუძლებელი. ნაჩვენებია, თუ როგორ ჩაანაცვლა COVID-19-ის პანდემიის დროს ჰიპერგლობალიზაცია ტურბულენტურმა გლობალიზაციამ. ეს უკანასკნელი კი კონფრონტაციულ გლობალიზაციაში გადაიზარდა რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომისა და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური სანქციების შედეგად. პანდემიამ და ომმა წინა პლანზე წამოწია ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა, რის საფუძველზეც სტატიაში განვითარებულია მოსაზრება, რომ მომავალში ჩამოყალიბდება გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოების გათვალისწინებით. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები გლობალურ ეკონომიკურ საფრთხეებთან უშუალოდაა დაკავშირებული. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოს ეკონომიკისთვის არის „შუა დერეფნის“ პროექტი, რომელიც იძლევა იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფანი ეკნომიკურ დერეფნად იქნას ტრანსფორმირებული.*

საკვანძო სიტყვები: *ფსევდოდეგლობალიზაცია, ჰიპერგლობალიზაცია, ტურბულენტური გლობალიზაცია, კონფრონტაციული გლობალიზაცია, ეკნომიკური დერეფანი.*

შესავალი

2020 წლიდან დაწყებულმა COVID-19-ის პანდემიამ და მისით გამოწვეულმა (Papava, 2020a) ატიპიურმა ეკონომიკურმა კრიზისმა (Papava, 2020b), განსაკუთრებით, კი 2022 წლის 24 თებრევალს რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა, რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა (Papava, 2022a) ძირეული ცვლილებები გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკაში (Papava, 2022b).

ამ მოვლენებმა ეკონომისტების ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე როგორიცაა დეგლობალიზაცია (მაგალითად, El-Erian, 2020; Spence, 2022; Stiglitz, 2022), და, ზოგადად, გლობალიზაციის, როგორც ასეთის მომავალი (მაგალითად, Rodrik, 2022a) რას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ჯერ COVID-19-ის პანდემიამ, ხოლო შემდეგ რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულმა ომმა განსაკუთრებული სიმწვავით წამოწია გლობალური საფრთხეების ახლებული გააზრების პრობლემა (Roubini, 2022b, 2022d).

როგორც COVID-19-ის პანდემიამ, ისე რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულმა ომმა საქართველო ახალი გამოწვევების და შესაძლებლობების წინაშე დააყენა. მათი გაანალიზება წინამდებარე კვლევის მიზანია.

ფსევდოდეგლობალიზაცია და არა დეგლობალიზაცია

COVID-19-ის პანდემიის გლობალურმა ფენომენმა გლობალიზაციის ახლებური გააზრების აუცილებლობა განსაკუთრებით აქტუალური გახადა (არჩვაძე, 2020; მექვაბიშვილი, 2020; Abesadze, 2020; Bedianashvili, 2021; El-Erian, 2020; Haass, 2020; Rogoff, 2020; Tvalchrelidze, 2022).

COVID-19-ის მოულოდნელმა და სწრაფმა გავრცელებამ სახვადასხვა ქვეყნის ეროვნულმა მთავრობამ გადაწყვეტილება ეკონომიკის ცალკეული დარგის დროებით ჩაკეტვის შესახებ ინდივიდულაურ რეჟიმში მიიღო. ეს კი დეგლობალიზაციის პროცესად იქნა აღქმული. ისიც აუცილებლადაა გასათვალისწინებელი, რომ COVID-19-ის პანდემიამდე დეგლობალიზაციის პროცესის დაწყებად შეფასებულ იქნა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი (Sachs, 2017), რომ არაფერი ვთქვათ ბრექსიტზე, ანუ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლაზე (O'Rourke, 2019).

COVID-19-ის პანდემიის გამო მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევამ დეგლობალიზაციის საფრთხე იზოლაციონიზმშიც კი გადაზარდა (Derviş, Strauss, 2020), რაც, როგორც ცნობილია, არა მარტო ეკონომიკურ ზრდას აფერხებს მნიშვნელოვნად (Rogoff, 2020), არამედ მთელ საზოგადოებაზეც უარყოფითად აისახება (Haass, 2020).

დიდი დასაბუთება არ სჭირდება იმას, რომ რადგანაც პანდემია გლობალური ფენომენია, ამიტომ მისი დაძლევა მხოლოდ გლობალიზაციის გზითაა შესაძლებელი (Stiglitz, 2020a). იმავე ლოგიკით, იზოლაციონიზმის გზით მსოფლიო ეკონომიკის პოსტპანდემიური განვითარება პრინციპულად შეუძლებელი იქნებოდა (Åslund, 2020; Fung, 2020).

აშკარაა, რომ COVID-19-ის პანდემიის პარიოდში ადგილი არა დეგლობალიზაციის, არამედ ფსევდოდეგლობალიზაციის ჰქონდა (Papava, 2021a).

პანდექსიტის, ანუ პანდემიის დასრულებისთვის (Davies, 2021) და, განსაკუთრებით, პოსტპანდემიური ეკონომიკური განვითარებისათვის (Papava, 2021b) გლობალიზაციის ახალი „ტალღის" ფორმირების ხელშეწყობაა აუცილებელი (El-Erian, 2020). თანაც, გასათვალისწინებელია, რომ მოსალოდნელი განახლებული გლობალიზაციის კონტურების ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა ეკონომიკური უსაფრთხოების, კერძოდ, კი სასურსათო (Blair, Kalibata, 2020) და ენერგეტიკული (Tvalchrelidze, Silagadze, 2020) უსაფრთხოების უზრუნველყოფას მიენიჭება.

განახლებული გლობალიზაციისკენ მიმავალი გზის შესახებ

2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომის საპირისპიროდ დასავლეთმა ოკუპანტი ქვეყნის წინააღმდეგ ეკონომიკური საქნციები შემოიღო (BBC, 2022). ამ სანქციების მსოფლიო ეკონომიკაზე ზეგავლენის შესწავლა ეკონომისტთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა (Krugman, 2022).

რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური საქნციების შემოღებამ კიდევ უფრო მეტად გაამწვავა შესაძლო დეგლობალიზაციის საკითხი. თუმცა, აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ დეგლობალიზაცია, როგორც ასეთი პრინციპულადაა შეუძლებელი, რასაც ყველაზე რელიეფურად არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის გლობალური ხასიათი დასტურებს.

მართლაც, ისეთი სახეობის არალეგალური ეკონომიკური საქმიანობა, როგორიცაა, მაგალითად, ნარკობიზნესი ან იარაღის უკანონო ვაჭრობა, რომელთაც ებრძვიან როგორც ეროვნული მთავრობები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებიც (მაგალითად, ინტერპოლი), თუმცა, ამის და მიუხედავად, ეს არალეგალურ საქმიანობათა სახეობები გლობალურად მეტ-ნაკლებ სტაბილურობას მაინც ინარჩუნებენ (Papava, 2023).

COVID-19-ის პანდემიის დაწყებისთანავე აშკარა გახდა, რომ ის გლობალიზაცია, რომელიც ყველასათვის მეტ-ნაკლებად კარგად იყო ცნობილი დასრულდა (Pisani-Ferry, 2021), თუმცა ღიად დარჩა საკითხი იმის შესახებ, თუ ეს „კარგად ცნობილი გლობალიზაცია“ რამ ჩაანაცვლა.

ამ „კარგად ცნობილმა გლობალიზაციამ“ არა მარტო ეკონომიკა, პოლიტიკა და კულტურა, არამედ სოციალური, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური და გეოგრაფიული სფეროებიც მოიცვა, რის გამოც მას *ჰიპერგლობალიზაცია* ეწოდა (Rodrik, 2021).

როგორც ცნობილია, COVID-19-ის პანდემიამ გლობალურ ეკონომიკაში თვალშისაცემი რყევები გამოიწვია, რაც შეიძლება შეფასდეს როგორც ჰიპერგლობალიზაციის *ტურბულენტური გლობალიზაციით* ჩანაცვლება (Papava, 2022d).

რუსეთის ომმა უკრაინაში და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა გლობალერ ეკონომიკაზე უშუალო ზეგავლენა იქონია (Rodrik, 2022b; Roubini, 2022c). პრაქტიკულად მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაციის გზით დაიწყო გლობალური ეკონომიკის არქიტექტურის ტრანსფორმაცია, როცა ცალკ-ცალკე დაჯგუფდდნენ ქვეყნები, რომლებიც შეუერთდნენ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს, ქვეყნები, რომლებიც რუსეთის მოკავშირეები არიან (ეს, უწინარეს ყოვლისა, ბელარუსია), და ქვეყნები, რომლებმაც ამ კონფრონტაციულ სქემაში ნეიტრალიტეტი შეინარჩუნეს (მაგალითად, ისრაელი, თურქეთი, ჩინეთი, ინდოეთი და სხვ.) (Papava, 2022b). მაშასადამე, რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულმა ომმა და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა მსოფლიო ეკონომიკას მკაფიოდ გამოკვეთილი კონფრონტაციული ხასიათი შესძინა.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კონფრონტაციულობა და გლობალიზაცია სულაც არაა ურთიერთ გამომრიცხავი, ისინი საკმაოდ თავსებადნი არიან (Papava, 2022c, 2022d). ეს კი არამარტო იმით აიხსნება, რომ ეს სანქციები აშკარად არასრულყოფილია (Papava, 2023), არამედ იმითაც, რომ მსოფლიოს არაერთი ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს არ შეერთებია და მოსკოვთან ეკონომიკურ (და არა მარტო) თანამშრომლობას ღიად განაგრძობს.

მაშასადამე, სახეზეა გლობალიზაციის მოდიფიცირების კიდევ ერთი ნაირსახეობა, როდესაც ტურბულენტური გლობალიზაცია *კონფრონტაციულმა გლობალიზაციამ* ჩაანაცვლა (Papava, 2022d).

თუ ჰიპერგლობალიზაცია ჯერ ტურბულენტურში, ხოლო შემდეგ კონფრონტაციულ გლობალიზაციაში გადაიზარდა, მაშინ საკითხავია, თუ, ამ უკანასკნელს რა ჩაანაცვლებს. გაჩნდა

მოსაზღება, რომ ეს „უკეთესი გლობალიზაცია“ უნდა იყოს (Rodrik, 2022a), თუმცა აშკარაა, რომ სიტყვა „უკეთესი“ ბუნდოვანი და არაკონსტრუქციულია.

იმის გასააზრებლად თუ რას ნიშნავს ხსენებული „უკეთესი გლობალიზაცია“ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რუსეთ-უკრაინის ომთან ერთად მიმდინარეობს „ცივი ომისთვის“ დამახასიათებელი გლობალური „ნავთობის ომი“ (Bugriy, 2022) და „სასურსათო ომი“ (Frum, 2022). ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ „უკეთესმა გლობალიზაციამ“ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შესაძლო ეკონომიკური საფრთხეებიდან მეტ-ნაკლებად დაცვის შესაზლებლობები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხსენებული „უკეთესი გლობალიზაციის“ მისაღწევად აუცილებელია ცალკეული ქვეყნების, რეგიონებისა და მთელი მსოფლიოს ეკონომიკურ უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მაშასადამე, „უკეთესი გლობალიზაცია“ უნდა იყოს *გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით* (Papava, 2022c).

საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევების შესახებ

კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები გლობალურ ეკონომიკურ საფრთხეებთან უშალოდაა დაკავშირებული.

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ საფრთხეებს შორის განსკუთრებით მაღალი ინფლაციაა გამოსაყოფი (Acemoglu, 2021a; Marin, 2021). ინფლაციის ზრდას კი ჯერ კიდევ COVID-19 პანდემიის პირობებში ჩაეყარა საფუძველი და ის მიწოდების შემცირებამ გამოიწვია. უნდა გვახსოვდეს, რომ მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევით მთელი ტექნოლოგიური ციკლების შემკვრელი ჯაჭვებიც წყდება, რაც წარმოების დონის შემცირებაში გამოიხატება, ანუ ყალიბდება *ნაკლებწარმოების ინფლაცია* (Papava, 2022e), რომელიც თავისი ბუნებით საერთოდ არა არის მაკროეკონომიკურ პრობლემა (Galbraith, 2021).

მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევამ დღის წესრიგში მათი დივერსიფიკაციის აუცილებლობა დააყენა, რაც მიწოდების ჯაჭვის გართულებასთან უშუალოდაა დაკავშირებული; ეს, თავის მხრივ, ეკონომიკური რისკების ზრდაზე აისახება (Acemoglu, 2021b). მისი საბოლოო შედეგი კი, სხვა თანაბარ პირობებში, ფასების დონის ზრდას გამოიწვევს.

იმის მიუხედევად, რომ ხსენებული ნაკლებწარმოების ინფლაცია გლობალური პრობლემაა, იმპორტდამოკიდებული საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

მაღალი ინფლაციის ფონზე იზრდება უმუშევართა რიცხვი, რაც სტაგფლაციური პროცესის დაწყების მომასწავებელია (Roubini, 2022a), რაც, თავის მხრივ, მოსალოდნელ სავალო კრიზისთან იქნება ინტეგრირებული (Roubini, 2022e). ფაქტია, რომ სახელმწიფოთა მიერ აღებული სუვერენული ვალის მნიშვნელოვანი ზრდა ჯერ კიდევ COVID-19 პანდემიის პირობებში იქნა დაწყებული (Papava, Charaia, 2021).

ცალკე საფრთხეს ეკონომიკის ზომბირება წარმოადგენს, რომელიც განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის პირობებში იქნა სტიმულირებული (Papava, Chkuaseli, 2021; Stiglitz, 2020b). ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკისთვისაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა (Papava, 2021c).

რუსეთის ომმა უკრაინაში და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ მიღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა განაპირობა ის, რომ რუსეთზე გამავალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც ევროპას და აზიას აკავშირებდა დაიბლოკა. ამან კი დღის წესრიგში დააყენა ე.წ. „შუა დერეფნის“ პროექტის გააქტიურების აუცილებლობა, რომლის ფარგლებშიც ევროპისა და აზიის დაკავშირება საქართველოსა და აზერბაიჯანზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნით განხორციელდება (Kipiani, 2023).

„შუა დერეფნის“ პროექტის უშუალო შემადგენელი ნაწილია შავი ზღვის ფსკერზე ელექტრო სადენის გატარება, რომელიც საქართველოს რუმინეთთან დააკავშირებს. ამ ორი ქვეყნის გარდა მოცემულ ენერგეტიკულ პროექტში ჩართულია აზერბაიჯანი და უნგრეთი, და ის ევროკავშირის მიერ განხორციელდება (Petkova, 2022; Taktakishvili, 2022). ეს პროექტი კი იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველო ელექტროენერგიის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყენა გახდეს. ამით კი, „შუა დერეფანი“ სატრანსპორტოდან ეკონომიკურ დერეფნად გარდაიქმნება.

დასკვნა

COVID-19-ის პანდემიის მიზეზით ეკონომიკის ცალკეული სექტორის ჩაკეტვამ მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევა გამოიწვია, რაც დეგლობალიზაციად იქნა მიჩნეული. სინამდვილეში კი ადგილი ფსევდოდეგლობალიზაციას ჰქონდა, რადგანაც დეგლობალიზაცია, როგორც ასეთი, პრინციპულადაა შეუძლებელი, რაც სულ ცოტა არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის გლობალური ხასიათით დასტურდება.

COVID-19-ის პანდემიის პირობებში, ამ პანდემიამდე განვითარებული ჰიპერგლობალიზაცია, ტურბულენტურმა გლობალიზაციამ ჩაანაცვლა. შემდგომში კი დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ მიღებული ეკონომიკური სანქციების შედეგად ტურბულენტური გლობალიზაცია კონფრონტაციულ გლობალიზაციაში გადაიზარდა.

მსოფლიოში განვითარებული „ნავთობის ომისა“ და „სასურსათო ომის“ ფონზე ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები სულ უფრო აქტუალური ხდება. სავარაუდოდ, კონფრონტაციულ გლობალიზაციას ჩაანაცვლებს გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით.

საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები უშუალოდ გლობალური ეკონომიკური საფრთხეებიდან გამომდინარეობს. მათგან განსაკუთრებით მაღალი ინფლაცია უნდა გამოიყოს, რაც მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტამ გამოიწვია. აშკარაა, რომ სწორედ ეკონომიკური უსაფრთხოება მოითხოვს მიწოდების გლობალური ჯაჭვების დივერსიფიკაციას.

განსაკუთრებულ გლობალურ ეკონომიკურ გამოწვევას სტაგფლაცია წარმოადგენს. თანაც შესაძლო სტაგფლაციის ფონზე აქტუალურობას სავალო კრიზისის პრობლემაც იძენს. ასევე გასათვალისწინებელია ეკონომიკის ზომბირებაც, რასაც პრაქტიკულად ხელი COVID-19 პანდემიის პირობებში შეეწყო. ყველა ეს პრობლემა მეტ-ნაკლები სიმწვავით საქართველოს ეკონომიკის გამოწვევდაც შეიძლება იქნას განხილული.

რუსეთის ომმა უკრაინაში და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა პრაქტიკულად დაბლოკა რუსეთზე გამავალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც ევროპასა და აზიას აკავშირებს. ამან კი გააქტიურა საქართველოზე გამავალი „შუა დერეფნის“ პროექტი. გაჩნდა რეალური შესაძლებლობა, რომ საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფანი

ეკონომიკურ დერეფნად გარდაიქმნას, რაც საქართველოს ეკონომიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

გამოყენებული ლიტერატურა

არჩვაძე ი., (2020). *კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტ-ეკონომიკური ასპექტები)*. თბილისი: „მწიგნობარი“.

მექვაბიშვილი ე., (2020). „გლობალური კორონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, XII (2): 9–12.

Abesadze R., (2020). “Globalization and the Economic Problems of the Pandemic.” *Ekonomisti* XVI (2): 14–20. (In Russian).

Acemoglu D., (2021a). “The Real Inflation Risk.” *Project Syndicate*, July 6, <https://www.project-syndicate.org/commentary/inflation-does-not-justify-derailing-recovery-for-workers-by-daron-acemoglu-2021-07>.

Acemoglu D., (2021b). “The Supply-Chain Mess.” *Project Syndicate*, December 2, <https://www.project-syndicate.org/commentary/us-supply-chain-mess-incentives-for-offshoring-by-daron-acemoglu-2021-12>.

Åslund A., (2020). “Trump’s Global Recession.” *Project Syndicate*, March 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/donald-trump-covid19-global-recession-by-anders-aslund-2020-03>.

BBC, (2022). “What Sanctions are being Imposed on Russia over Ukraine Invasion?” *BBC*, September 30, <https://www.bbc.com/news/world-europe-60125659>.

Bedianashvili G., (2021). “Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis.” *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 15 (2): 191–197.

Blair T., Kalibata A., (2020). “Building Food Security During the Pandemic.” *Project Syndicate*, May 7, <https://www.project-syndicate.org/commentary/four-ways-to-boost-food-security-during-covid19-pandemic-by-tony-blair-and-agnes-kalibata-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=2ad6876daf-sunday_newsletter_10_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-2ad6876daf-93567601&mc_cid=2ad6876daf&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Bugriy M., (2022). “The Oil War: Facing EU Embargo, Russia Targeted Ukraine’s Supplies.” *Eurasia Review*, May 20, <https://www.eurasiareview.com/20052022-the-oil-war-facing-eu-embargo-russia-targeted-ukraines-supplies-analysis/>.

Davies H., (2021). “The Economic Risks of Pandexit.” *Project Syndicate*, September 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/post-pandemic-economic-recovery-inflation-risk-by-howard-davies-2021-09?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=c72b1f49ee-sunday_newsletter_19_09_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-c72b1f49ee-93567601&mc_cid=c72b1f49ee&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Derviş K., Strauss S., (2020). "What COVID-19 Means for International Cooperation." *Project Syndicate*, March 6, <https://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-kemal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03>.

El-Erian M. A., (2020). "Navigating Deglobalization." *Project Syndicate*, May 11, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-deglobalization-two-priorities-by-mohamed-a-el-erian-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Frum D., (2022). "The Food War." *The Atlantic*, March 8, <https://www.theatlantic.com/ideas/archive/2022/03/rising-food-prices-ukraine-russia-war/626967/>.

Fung V. K., (2020). "The Trade Cure for the Global Economy." *Project Syndicate*, April 22, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-crisis-revive-multilateralism-open-trade-by-victor-k-fung-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=871db40e9f-sunday_newsletter_26_04_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-871db40e9f-93567601&mc_cid=871db40e9f&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Galbraith J. K., (2021). "Whipping Up America's Inflation Bogeyman." *Project Syndicate*, November 19, <https://www.project-syndicate.org/commentary/inflation-not-macroeconomic-problem-for-fed-by-james-k-galbraith-2021-11>.

Haass R., (2020). "Deglobalization and Its Discontents." *Project Syndicate*, May 12, <https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalizaton-discontents-by-richard-n-haass-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Kipiani V., (2023). "Significance of the Middle Corridor: Underestimation Is Unacceptable and Overestimation Is Impossible." *European Journal of Economics and Management*, 9 (1): 5–11. DOI: 10.46340/eujem.2023.9.1.1, <https://eujem.cz/wp-content/uploads/2023/eujem_2023_9_1/03.pdf>.

Krugman P., (2022). "How the Putin Shock Might Affect the World Economy." *The New York Times*, March 8, <https://www.nytimes.com/2022/03/08/opinion/putin-russia-ukraine-economy-sanctions.html>.

Marin D., (2021). "Will Deglobalization Fuel Inflation?" *Project Syndicate*, November 2, <https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-wage-price-spiral-in-advanced-economies-by-dalia-marin-2021-11>.

O'Rourke K., (2019). *A Short History of Brexit*. London: Pelican.

Papava V., (2020a). "Coronomic Crisis: When the Economy Is a Hostage to Medicine." *Eurasia Review. News & Analysis*, March 29, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.

Papava V., (2020b). "On the Atypical Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic." *Economics and Business*, XII (4): 9–16.

Papava V., (2021a). "On Pseudo De-Globalization, Silk Road of Global Value Chains and Role of Georgia." *Eurasia Review*, October 18, <https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/>.

Papava V., (2021b). "On the Correlation Between Pandexit and Crisexit." *Eurasia Review*, October 7, <https://www.eurasiareview.com/07102021-on-the-correlation-between-pandexit-and-crisexit-oped/>.

Papava V., (2021c). *The Threat of the Formation of a Post-pandemic Zombie Economy and the Legal Capacity of Bankruptcy Mechanisms*. GFSIS Expert Opinion No. 170. Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies, <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/170-expert-opinion-eng.pdf>.

Papava V., (2022a). "On Sanctionomics. *Eurasia Review*." March 14, <https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped/>.

Papava V., (2022b). "On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy." *Eurasia Review*, March 31, <https://www.eurasiareview.com/31032022-on-the-main-challenges-of-the-architecture-transformation-of-the-world-economy-oped/>.

Papava V., (2022c). "Moving from Hyper-Globalization." *Eurasia Review*, October 28, <https://www.eurasiareview.com/28102022-moving-from-hyper-globalization-oped/?fbclid=IwAR2pYf4-drq_z0j5oF9mad6BO8SrjxvsRUbd7ebBjdtt6Fp14jYVZiVITq0>.

Papava V., (2022d). "Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." *Eurasia Review*, May 23, <https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/>.

Papava V., (2022e). "The Underproduction Inflation: An Acute Challenge for Post-Pandemic World." *Eurasia Review*, February 7, <https://www.eurasiareview.com/07022022-the-underproduction-inflation-an-acute-challenge-for-post-pandemic-world-oped/?fbclid=IwAR1GA4IrKY8hc3No1DDsrw6fx271vinRPgYSCr4lC3L4MP3hDPaYmVilrqA>.

Papava V., (2023). "Illegal Globalization Is Russia's Main 'Ally' Against The West." *Eurasia Review*, February 9, <https://www.eurasiareview.com/09022023-illegal-globalization-is-russias-main-ally-against-the-west-oped/>.

Papava V., Chkuaseli M., (2021). "Coronomics, Financial Support for the Economy and Its Zombie-Ing (In the Context of the Fifth Factor of Production)." *Finance: Theory and Practice* 25 (5): 6–23, DOI: <https://doi.org/10.26794/2587-5671-2021-25-5-6-23>, <https://financetp.fa.ru/jour/article/view/1319>.

Papava V., Charaia V., (2021). "Public Debt Increase Challenge Under COVID-19 Pandemic Economic Crisis in the Caucasian Countries". *Journal of Contemporary Issues in Business and Government*, 27(3): 18–27, DOI: 10.47750/cibg.2021.27.03.003, <https://www.cibgp.com/pdf_10671_72103217f68c7736aa8ce283a31829fa.html>.

Petkova M., (2022). "Weekly Data: A Submarine Electricity Cable Is Coming Under the Black Sea." *Energy Monitor*, December 27, <https://www.energymonitor.ai/tech/networks-grids/submarine-electricity-cable-under-black-sea/>.

Pisani-Ferry J., (2021). "The End of Globalization as We Know It." *Project Syndicate*, June 28, <https://www.project-syndicate.org/commentary/future-of-globalization-national-priorities-international-threats-by-jean-pisani-ferry-2021-06>.

Rodrik D., (2021). "The G7 Tax Clampdown and the End of Hyper-Globalization." *Project Syndicate*, June 7, <https://www.project-syndicate.org/commentary/g7-corporate-tax-agreement-end-of-hyper-globalization-by-dani-rodrik-2021-06 .

Rodrik D., (2022a). "A Better Globalization Might Rise from Hyper-Globalization's Ashes." *Project Syndicate*, May 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/after-hyperglobalization-national-interests-open-economy-by-dani-rodrik-2022-05?barrier=accesspaylog>.

Rodrik D., (2022b). "Don't Let Geopolitics Kill the World Economy." *Project Syndicate*, November 10, <https://www.project-syndicate.org/commentary/us-china-high-tech-trade-restrictions-by-dani-rodrik-2022-11?utm_source=project-syndicate.org&utm_medium=email&utm_campaign=authnote&barrier=accesspaylog>.

Rogoff K., (2020). "Deglobalization Will Hurt Growth Everywhere." *Project Syndicate*, June 3, <https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-threat-to-world-economy-and-united-states-by-kenneth-rogoff-2020-06?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=56f4462bc8-sunday_newsletter_07_06_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-56f4462bc8-93567601&mc_cid=56f4462bc8&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Roubini N., (2022a). "From Great Moderation to Great Stagflation." *Project Syndicate*, August 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/great-stagflation-has-replaced-great-moderation-by-nouriel-roubini-2022-08>.

Roubini N., (2022b). *Megathreats: Ten Dangerous Trends That Imperil Our Future, And How to Survive Them*. New York: Little, Brown and Company.

Roubini N., (2022c). "Russia's War and the Global Economy." *Project Syndicate*, February 25, <https://www.project-syndicate.org/onpoint/russias-war-and-the-global-economy-by-nouriel-roubini-2022-02>.

Roubini N., (2022d). "The Age of Megathreats." *Project Syndicate*, November 4, <https://www.project-syndicate.org/onpoint/age-of-megathreats-war-climate-debt-inflation-technology-by-nouriel-roubini-2022-11?barrier=accesspaylog>.

Roubini N., (2022e). "The Stagflationary Debt Crisis Is Here." *Project Syndicate*, October 3, <https://www.project-syndicate.org/commentary/stagflationary-debt-crisis-is-here-by-nouriel-roubini-2022-10>.

Sachs J., (2017). "Global Cooperation is the Only Way Forward for the US." *World Economic Forum*, January 6, <https://www.weforum.org/agenda/2017/01/jeffrey-sachs-global-cooperation-is-the-only-way-forward-for-the-us/>.

Spence M., (2022). "Done With Deglobalization?" *Project Syndicate*, November 25, <https://www.project-syndicate.org/commentary/us-china-competition-reversal-of-deglobalization-trend-by-michael-spence-2022-11?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=476b5113e8-sunday_newsletter_11_27_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-476b5113e8-93567601&mc_cid=476b5113e8&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Stiglitz J. E., (2020a). "Plagued by Trumpism." *Project Syndicate*, March 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/trump-coronavirus-failure-of-small-government-by-joseph-e-stiglitz-2020-03?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Stiglitz J. E., (2020b). "Priorities for the COVID-19 Economy." *Project Syndicate*, July 1, 2020. https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=67133fbc7b-covid_newsletter_02_07_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc_cid=67133fbc7b&mc_eid=e9fb6cbcc0.

Stiglitz J. E., (2022). "Getting Deglobalization Right." *Project Syndicate*, May 31, <https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-and-its-discontents-by-joseph-e-stiglitz-2022-05?barrier=accesspaylog>.

Taktakishvili N. (2022). "EU to Invest Eur 2,3 Bln for Black Sea Submarine Electricity Cable – Oliver Varhelyi." *Business Media Georgia*, December 12, <https://bm.ge/en/article/eu-to-invest-eur-23-bln-for-black-sea-submarine-electricity-cable---oliver-varhelyi/122518>.

Tvalchrelidze A. G. (2022). "World Economy After the COVID-19 Pandemic: Opportunities and Challenges." *Nanotechnology Perceptions*, 18(2): 116–137.

Tvalchrelidze A., Silagadze A. (2020). "COVID-19 Coronavirus Pandemic Influence on Crude Oil Prices. A Preliminary Statistical Analysis." *Economics and Business*, XII (2): 82–88.

The Main Challenges of the Georgian Economy Under Confrontational Globalization

Vladimir Papava
Academician
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
vladimer.papava@tsu.ge

Summary

The paper discusses the process of pseudo-deglobalization, the basis of which was laid by the COVID-19 pandemic. The idea is being developed that deglobalization is impossible in principle. The paper shows how hyperglobalization was replaced by rapid globalization during the COVID-19 pandemic. The latter has turned into confrontational globalization as a result of Russia's war in Ukraine and the economic sanctions imposed by the West on Russia. The pandemic and the war brought to the fore the problem of economic security, on the basis of which the paper develops the opinion that globalization in the future will be formed taking into account economic security. The challenges of the Georgian economy are directly related to global economic threats. The most important challenge for the Georgian economy is the "Middle Corridor" project, which provides a real opportunity to turn the transport corridor passing through Georgia into an economic corridor.

Keywords: pseudo-deglobalization, hyperglobalization, turbulent globalization, confrontational globalization, economic corridor.

ჩრდილოვანი საბანკო სექტორი საქართველოში

მარიამ ლაშხი
პროფესორის ასისტენტი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
m.lashkhi@gruni.edu.ge

დავით სიხარულიძე
პროფესორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
d.sikharulidze@eeu.edu.ge

ჭარაია ვახტანგი
პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
v.charaia@gruni.edu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-19-35

ანოტაცია. *ჩრდილოვანი საბანკო სისტემა მრავალი ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ფინანსური სისტემისთვის რისკების გადატანაში მათი როლიდან გამომდინარე, ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ფარგლებში მოქმედი ინსტიტუტები საჭიროებენ გაზრდილ ყურადღებას, როგორც ეს ბოლო გლობალურმა კრიზისმა აჩვენა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ჩრდილოვანი საბანკო სექტორის ზომა და ტენდენცია საქართველოში ფინანსური სტაბილურობის კონტექსტში. ამ მიზნით ჩატარდა საქართველოს ფინანსური სექტორის ანალიზი ჩრდილოვანი ბანკების საქმიანობისა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების შესასწავლად. კვლევა იყენებს FSB-ისა და ESRB-ის მეთოდოლოგიას საქართველოში ჩრდილოვანი ბანკის ზომისა და მასთან დაკავშირებული რისკის შესაფასებლად. ანალიზის შედეგები მიუთითებს, რომ არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, როგორიცაა ლიზინგი და ლომბარდები, ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ნაწილია, რომელიც არ ექვემდებარება საბანკო რეგულაციას. მათი აქციები და საქმიანობა ამ დროისთვის საფრთხეს არ უქმნის ფინანსურ სტაბილურობას.*

საკვანძო სიტყვები: *ჩრდილოვანი ბანკინგი, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი, სხვა ფინანსური ინტუიციები, ფინანსური სტაბილურობა*

შესავალი

ჩრდილოვანი ბანკინგის ზომა გლობალურად მზარდია. მთლიანი გლობალური ფინანსური აქტივები 2021 წელს 7,7%-ით გაიზარდა და 486,6 ტრილიონ დოლარს მიაღწია. არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების (NBFI) აქტივების ზრდამ კი 8.9%-ს მიაღწია და საბანკო სექტორის აქტივების ზრდას გადაუწსრო (FSB, 2022). ეს ზრდა დიდწილად განპირობებული იყო უფრო მაღალი შეფასებებით და შემოდინებით საინვესტიციო ფონდებში, რომლებმაც ისარგებლეს ეკონომიკური აღდგენით. საინვესტიციო ფონდები, განსაკუთრებით სააქციო ფონდები, კვლავაც დარჩნენ NBFI სექტორის ზრდის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად 2021 წელს (იხ. დიაგრამა 1). თუმცა, არსებობს გარკვეული რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ჩრდილოვან საბანკო სისტემასთან, როგორიცაა მისი გაუმჭვირვალობა და ურთიერთდაკავშირება. ამ რისკებმა კი შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფინანსურ სტაბილურობას.

დიაგრამა 1. მთლიანი გლობალური ფინანსური აქტივების დინამიკა ტრილიონ აშშ დოლარში



წყარო: FSB 2022.

კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდით ან ბაზრის ლიკვიდურობის, ვადის ტრანსფორმაციისა და რისკის გაზიარების ხელშეწყობით, ჩრდილოვან ბანკინგს შეუძლია გააძლიეროს ტრადიციული საბანკო საქმიანობა. ჩრდილოვანი ბანკების მაკროპრუდენციული რეგულირების პოტენციური განახლების შესახებ მნიშვნელოვანი დისკუსიის გამართვის მიზნით, აუცილებელია გქონდეთ ძირითადი გაგება, თუ როგორ მოქმედებენ ისინი და შეაფასოთ ამ ფინანსური სისტემის ზომა და სისტემური მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ჩრდილოვანი ბანკინგი, როგორც ფინანსური სისტემის ნაკლებად რეგულირებული სეგმენტი, იზრდება, რასაც მრავალი კვლევა ადასტურებს. ჩრდილოვანი ბანკინგი არის საკრედიტო შუამავლობა, რომელიც მოიცავს სუბიექტებს და საქმიანობას რეგულარული საბანკო სისტემის გარეთ და მოიცავს

პირდაპირი დაკრედიტების სხვა ფორმებს, ვადის და ლიკვიდობის ტრანსფორმაციის გარეშე (FBS, 2012).

ფორმალური საბანკო სისტემის გარეთ ყოფნა ზოგადად ნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ ძლიერი უსაფრთხოების ბალიში, როგორიცაა გარანტირებული დეპოზიტების დაზღვევა ან ცენტრალური ბანკების მხრიდან სესხის გაცემის შესაძლებლობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალური კრიზისების, მაგალითად კოვიდ-19 პანდემიის მსგავსი მოვლენების ფონზე (Papava, Charaia, 2020; Charaia, Papava, 2021; 2022). მარტივად, რომ ვთქვათ ისინი მოქმედებენ სუსტი მარეგულირებელი ზედამხედველობის ქვეშ. ეს მახასიათებლები თავის მხრივ კი ზრდის ფინანსური სტაბილურობის რისკებს (Ghosh et al., 2012). მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოვანი ბანკინგის საქმიანობა ძირითადად მიმდინარეობს რეგულარული საბანკო სისტემის გარეთ, ცალკეული ჩრდილოვანი საბანკო ტრანზაქცია, როგორიცაა სეკურიტიზაცია (განხორციელებული სტრუქტურირებული საინვესტიციო საშუალებებით) დილერ ბანკების გირაოს ოპერაციები, რეპოები და ა.შ., სწორედ ტრადიციული საბანკო არხებით ხორციელდება (Systemic Banks Pozsar, 2011, Ashcraft et al., 2014).

ტერმინი „ჩრდილოვანი ბანკინგი“ პირველად გამოიყენა პოლ მაკკალიმ 2007 წელს მის გამოსვლაში, ყოველწლიურ ფინანსურ სიმპოზიუმზე ჯექსონ ჰოლში. მისი მოხსენება McCulley (2007) ეხებოდა არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტებს (NBFI), რომლებიც ეწევიან ვადიანობის ტრანსფორმაციას, ანუ ქმნიან გრძელვადიან სესხებს უფრო მოკლევადიანი წყაროებიდან, რომელიც არ ექვემდებარება საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ მოქმედ რეგულაციებს (Kodres, 2013).

გაუგებარი და წინააღმდეგობრივია ჩრდილოვანი ბანკინგის როლისა და ფუნქციის განსაზღვრა ფინანსური შუამავლობის სისტემაში. მრავალი ავტორი იძლევა ჩრდილოვანი ბანკინგის სისტემას ზოგადად ხელსაყრელ მიმოხილვას. საზოგადოების ცალკეული ჯგუფისთვის და საშუალო და მცირე ბიზნესისთვის, ჩრდილოვანი ბანკინგის სისტემა ხსნის ახალ გზებს დაკრედიტებისთვის (Charaia et al., 2021; Charaia, Lashkhi, 2021). მაგალითად, რეალური სექტორის საწარმოების გრძელვადიანი დაფინანსების ოპერაციებში განვითარებულ ქვეყნებში საინვესტიციო ფონდები მოქმედებენ როგორც შუამავლები სადაზღვევო კომპანიებისთვის და საპენსიო ფონდებისთვის, ხოლო განვითარებად ქვეყნებში არასაბანკო ინსტიტუტებმა (ფინანსური კომპანიები, მიკროსაფინანსო ინსტიტუტები) გააფართოეს საკრედიტო (Ötker-Robe, 2012; Rateiwa, Aziakpono, 2017).

ჩრდილოვან ბანკს შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური აქტივობა ხარჯების შემცირებით და ფინანსურ სერვისებზე წვდომის გაფართოებით, მაგრამ ეს ხშირად ხდება ფინანსური სტაბილურობის ხარჯზე. გარიგების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჩრდილოვანი ბანკინგის მოქნილობა და ფასების კონკურენტუნარიანობა ხშირად ხდება მარჟებისა და უსაფრთხოების ხარჯზე. მაგალითად, ბანკებმა, როგორც წესი, უნდა შეინარჩუნონ კაპიტალისა და ლიკვიდურობის გაცილებით მაღალი დონე, ვიდრე ჩრდილოვანი ბანკების წარმომადგენლებმა. მათ შეიძლება ასევე შეუძლიათ მოემსახურონ კლიენტებს, რომლებსაც ბანკები ვერ ემსახურებიან, ან არ სურთ მოემსახურონ (Donald, 2015).

ჩრდილოვანი ბანკები, ტრადიციული ბანკებისგან განსხვავებით, ხშირად აძლევენ უფრო სარისკო სესხებს უფრო სარისკო მსესხებლებს და მუშაობენ გაცილებით ნაკლები მარეგულირებელი კონტროლით, რაც გამიზნულია სარისკო ქცევის თავიდან ასაცილებლად. შედეგად, ჩრდილოვანი ბანკის ოპერაციები ნაკლებად დაცულია, ვიდრე ტრადიციული საბანკო ოპერაციები და არ არის დაცული ბოლო ინსტანციის გამსესხებლის ან დეპოზიტის გარანტიებით, რომლებიც იცავს ბანკებს (Noeth, Wolla, 2012).

თუმცა, ევროკომისიის მწვანე დოკუმენტი ჩრდილოვანი ბანკინგის შესახებ (Islam, Osman, 2011) ამტკიცებს, რომ ჩრდილოვანი ბანკინგი არ უნდა განიხილებოდეს როგორც პრობლემა, თუ რისკები სათანადოდ არის შეფასებული და ინვესტიციები განხორციელდება აქტივებში, რომელთა ღირებულება მხარდაჭერილია ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორებით, როგორიცაა ეკონომიკური. ზრდა, ინფლაცია და გაცვლითი კურსი.

კერძოდ, გამოწვევების პარალელურად, არსებობს ჩრდილოვანი ბანკინგის დადებითი მხარეებიც, კერძოდ:

- კრედიტზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა (Gambacorta, Shin, 2012).
- დაფინანსების დაბალი ხარჯები (Pozsar et al., 2010; Lashkhi et al., 2022).
- უფრო დიდი ინოვაცია (Allen, Carlettim 2013).

კვლევის მეთოდოლოგია

FSB-მ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო მეტი სიცხადე შემოეღო ჩრდილოვანი ბანკინგის განმარტებაში, განესაზღვრა მისი როლი, შეემუშავებინა მიდგომები ჩრდილოვანი ბანკინგის სისტემის მონიტორინგისა და სისტემური რისკის გაზომვასთან მიმართებაში. FSB-ის მიერ შემუშავებული მონიტორინგის ჩარჩო ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ანალიზისთვის მოიცავს ორ ეტაპს (იხ. დიაგრამა 2):

დიაგრამა 2. ჩრდილოვანი საბანკო სისტემის გაზომვა



წყარო: FSB 2013

ჩრდილოვანი ბანკინგი რთული და განვითარებადი სისტემაა და მისი თვალყურის დევნება და გაზომვა შეიძლება რთული იყოს. თუმცა, არსებობს მთელი რიგი მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მაკრო დონეზე ჩრდილოვანი საბანკო სისტემის გამოსათვლელად.

ერთ-ერთი მიდგომაა რეგულარული სტატისტიკის გამოყენება, როგორიცაა ეროვნული ანგარიშები და მონეტარული სტატისტიკა. მაგალითად, ფინანსური სტაბილურობის საბჭო (FSB) აკონტროლებს ქვეჯგუფებს კატეგორიაში „სხვა ფინანსური შუამავლები“, რათა გააცნობიეროს ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ზომა და შემადგენლობა.

საბოლოო ნაბიჯი არის იმ არასაბანკო ფინანსური სუბიექტების გამოვლენა, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა შექმნან ფინანსური სტაბილურობის რისკები ჩრდილოვანი საბანკო საქმიანობით. FSB-მ შეიმუშავა ვიწრო მიდგომა "ჩრდილოვანი ბანკინგის" შესაფასებლად, რომელიც ფოკუსირებულია სუბიექტებზე, რომლებიც ჩართულნი არიან დაფარვის ტრანსფორმაციაში, ბერკეტებში და საკრედიტო შუამავლობაში.

ვიწრო შეფასების მიდგომის მიხედვით, ფინანსური სუბიექტები კლასიფიცირდება ხუთი ეკონომიკური ფუნქციის (EFs) მიხედვით, რომელთაგან თითოეული მოიცავს არასაბანკო საკრედიტო შუამავლებს, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან ფინანსურ სტაბილურობას (იხ. ცხრილი 3). ეს ფუნქციებია:

- კოლექტიური საინვესტიციო სქემების მართვა, რომლებიც ექვემდებარება გაშვებას (EF1);
- მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებული დაკრედიტება (EF2);
- საბაზრო შუამავლობა, რომელიც დამოკიდებულია კლიენტის აქტივების მოკლევადიან დაფინანსებაზე ან უზრუნველყოფილ დაფინანსებაზე (EF3);
- კრედიტის შექმნის ხელშეწყობა (EF4);
- ფასიან ქაღალდზე დაფუძნებული საკრედიტო შუამავლობა (EF5).

სისტემური რისკი შეიძლება წარმოიშვას ჩრდილოვანი საბანკო სისტემიდან რამდენიმე გზით. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს უშუალოდ საკრედიტო შუამავლობასთან, ვადის და ლიკვიდურობის ტრანსფორმაციით, ან საკრედიტო რისკის არასრულყოფილ ტრანსფერთან დაკავშირებული საქმიანობით. ის ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ირიბად ჩრდილოვან საბანკო სისტემასა და ტრადიციულ საბანკო სისტემას შორის კავშირებით.

ჩრდილოვანი საბანკო სისტემის მიერ გამოწვეული რისკების შესაფასებლად ევროპის სისტემური რისკის საბჭომ (ESRB) შეიმუშავა ინდიკატორების ნაკრები. ეს ინდიკატორები ნაჩვენებია ცხრილში #1. ინდიკატორები წარმოადგენს ფინანსურ კოეფიციენტთა კრებულს, რომელიც ემსახურება რისკის ინდიკატორებს კომპანიებისთვის და ჩრდილოვანი ბანკინგის საქმიანობასთან.

ცხრილი 1. ფინანსური სტაბილურობის რისკის მეტრიკა

რისკის მეტრიკის მაგალითები
საკრედიტო შუამავლობა (CI)
CI 1 სესხები / მთლიანი აქტივები

CI 2 საკრედიტო აქტივები“ (სესხები და სავალო ფასიანი ქაღალდები) / მთლიანი აქტივები
სიმწიფის ტრანსფორმაცია (MT)
MT1 (გრძელვადიანი აქტივები - (გრძელვადიანი ვალდებულებები + კაპიტალი / მთლიანი ფინანსური აქტივები
MT2 მოკლევადიანი ვალდებულებები / მოკლევადიანი აქტივები
ლიკვიდობის ტრანსფორმაცია (LT)
LT 1 = მთლიანი ფინანსური აქტივები – ლიკვიდური აქტივები + მოკლევადიანი ვალდებულებები / მთლიანი ფინანსური აქტივები
LT 2 = (საერთო ფინანსური აქტივები – ლიკვიდური აქტივები (ფართო) + მოკლევადიანი ვალდებულებები)) / მთლიანი ფინანსური აქტივები
ლიკვიდობის ტრანსფორმაცია (LT)
LT 1 = მთლიანი ფინანსური აქტივები – ლიკვიდური აქტივები + მოკლევადიანი ვალდებულებები / მთლიანი ფინანსური აქტივები
LT 2 = (საერთო ფინანსური აქტივები – ლიკვიდური აქტივები (ფართო) + მოკლევადიანი ვალდებულებები)) / მთლიანი ფინანსური აქტივები
ბერკეტი
L1 = მთლიანი ფინანსური აქტივები / კაპიტალი
L1= (საერთო ფინანსური აქტივები+ ჯამური ბალანსის გარეშე)/ კაპიტალი

წყარო: FSB 2021

ESRB-ის შემოთავაზებულ ინდიკატორებს არ შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ, როდის შეიძლება მოხდეს ჩრდილოვანი საბანკო კრიზისი. თუმცა, ინდიკატორები შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩრდილოვანი საბანკო საქმიანობის იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც პოტენციურად სარისკოა.

ინდიკატორების ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს რთული, რადგან ESRB-ს ჯერ არ აქვს განსაზღვრული რისკის ზომებთან დაკავშირებული ძირითადი მნიშვნელობები. ეს ნიშნავს, რომ გაუგებარია ინდიკატორების რომელი მნიშვნელობები მიუთითებს იმაზე, რომ ჩრდილოვანი საბანკო საქმიანობა ძალიან სარისკოა.

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, ESRB-ის ინდიკატორები სასარგებლო ინსტრუმენტია ჩრდილოვანი საბანკო სისტემის მიერ გამოწვეული რისკების შესაფასებლად. მათ შეუძლიათ დაეხმარონ მარეგულირებლებს, გამოავლინონ ჩრდილოვანი საბანკო აქტივობები, რომლებიც პოტენციურად სარისკოა და მიიღონ ზომები რისკების შესამცირებლად.

არასაბანკო ფინანსური შუამავლების ანალიზი

საქართველოს ფინანსური სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სეგმენტია, თუმცა ძირითადად მხოლოდ საბანკო სექტორის ხარჯზე, რაც სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს. საფინანსო სექტორი ძირითადად შედგება დეპოზიტების მიმღები საბანკო ინსტიტუტებისგან. საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ზედამხედველობის უფლებამოსილება კომერციულ ბანკებზე, საბანკო ჯგუფებზე, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორებზე, საბროკერო კომპანიებზე (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟებზე, ცენტრალურ დეპოზიტარებზე, სპეციალიზებულ დეპოზიტარებზე, აქტივებზე. მენეჯერები კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, ვალუტის გადამცვლელი ოფისების, საინვესტიციო ფონდების, საგადახდო სისტემის ოპერატორების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საკრედიტო ინფორმაციის ბიუროების და სესხის გამცემი პირების საქმიანობაზე.

საქართველოს ფინანსური სექტორი ბანკზეა ორიენტირებული და მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება. 2021 წლის ბოლოსთვის არსებობდა 14 კომერციული ბანკი (მთლიანი აქტივები - 91,69%), 38 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (2,47%), 18 სადაზღვევო კომპანია (1,49%), საპენსიო ფონდი (3,14%) და სხვა არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები. 14 კომერციული ბანკიდან სამი შიდა სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკია (D-SIB), რომელთა წილი მთლიან აქტივებში 80%-ს შეადგენდა. ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო ბანკები. შერწყმისა და კონსოლიდაციის პერიოდის შემდეგ, საბანკო სისტემა ახლა კონცენტრირებულია ორ უმსხვილეს ბანკში, ორივე დალისტულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე და შეადგენს სესხების თითქმის სამ მეოთხედს.

ჩრდილოვანი ბანკინგით გამოწვეული რისკების შესამცირებლად მნიშვნელოვანია ჩრდილოვანი საბანკო სისტემის კარგად გააზრება (დიაგრამა 3). ეს მოიცავს სხვადასხვა ტიპის სუბიექტების გააზრებას, რომლებიც ჩართულნი არიან ჩრდილოვან ბანკში, ისევე როგორც იმ აქტივობებს, რომლებსაც ისინი ეწევიან. ასევე მნიშვნელოვანია ჩრდილოვანი ბანკის სუბიექტების ეფექტური რეგულირება და ზედამხედველობა.

დიაგრამა 3. გლობალური ფინანსური სისტემის შემადგენლობა (29 იურისდიქცია და საქართველო) მთლიანი შიდა ფინანსური აქტივების % 2021 წლისთვის.

	Banks	Central banks	Public financial institutions	Insurance corporations	Pension Funds	Financial auxiliaries	OFIs	NBFI
Georgia	71,29	21,56	0	1,16	2,44	0,32	3,23	7,15
EMEs	56,6	9,6	5,8	5,5	1,5	0,2	20,9	33,8
AEs	32,5	8,1	4,0	9,0	11,3	0,9	34,2	59,3
All	37,4	8,4	4,4	8,3	9,3	0,7	31,5	54,2

წყარო: FSB 2022, NBG 2022.

**29 იურისდიქცია - მთლიანი შიდა ფინანსური აქტივების პროცენტულად; საქართველო – მთლიანი შიდა აქტივების პროცენტულად*

2021 წელს სხვა საფინანსო ინსტიტუტები (OFI), NBFI-ის ყველაზე დიდი ქვესექტორი გახლდათ და NBFI-ის მთლიანი ფინანსური აქტივების 45.19%-ს შეადგენდა. მას მოსდევდა საპენსიო ფონდები 34.16%-ით და სადაზღვევო კორპორაციები 16.22%-ით (იხ. დიაგრამა 4). სხვა ფინანსური შუამავლები მოიცავს მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს, ლომბარდებს, საფინანსო ლიზინგის კომპანიებს და საკრედიტო კავშირებს.

დიაგრამა 4. NBFI-ის მთლიანი აქტივების შემადგენლობა Y-o-Y ვიწრო საზომით (% წილი)



წყარო: NBG 2022.

არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების ზომა ვიწრო მიდგომით

ფართო საზომთან ერთად, ფინანსური სტაბილურობის საბჭომ (FSB) არასაბანკო ფინანსური შუამავლობის ვიწრო საზომიც შეიმუშავა, რომელიც ფოკუსირებულია საკრედიტო შუამავლობის საქმიანობაზე, რამაც შეიძლება შექმნას მოწყვლადობა, რადგან ის გულისხმობს ბერკეტების გამოყენებას ან ლიკვიდურობის ან ვადების ტრანსფორმაციას. FSB-ის NBFI-ის ვიწრო ზომა ემყარება ხუთ ეკონომიკურ ფუნქციას (EF):

- EF1: ფულის ბაზრის სახსრები და სხვა მოკლევადიანი ვალის მიწოდება
- EF2: სხვა ფინანსური შუამავლები
- EF3: სპეციალური დანიშნულების მანქანები
- EF4: დაზღვევასთან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდები და სესხის დაკარგვის ფასიანი ქაღალდების მანქანები
- EF5: აქტივებით მხარდაჭერილი ფასიანი ქაღალდები და სტრუქტურირებული ფინანსები

FSB-ის NBFI-ის ვიწრო საზომი გამოიყენება ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ზომისა და ზრდის შესაფასებლად. ჩრდილოვანი საბანკო სისტემა არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის აღსაწერად, რომლებიც მსგავსია ბანკების საქმიანობის, მაგრამ არ ექვემდებარება იმავე მარეგულირებელ ზედამხედველობას.

საქართველოს ფინანსურ სექტორში, სუბიექტები, რომლებიც კლასიფიცირებულია FSB-ის NBFI-ის ვიწრო ზომით, არის:

- EF2: სხვა ფინანსური შუამავლები, რომლებიც მოიცავს მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს, ფინანსური ლიზინგის კომპანიებს, ლომბარდებს და საკრედიტო კავშირებს.
- EF3: სპეციალური დანიშნულების მანქანები, რომლებიც წარმოადგენენ სუბიექტებს, რომლებიც შექმნილია სახსრების მოსაზიდად და კონკრეტულ აქტივებში ან პროექტებში მათი ინვესტიციისთვის.
- EF4: დაზღვევასთან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდები და სესხების დაკარგვის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების ან სასესხო პორტფელის შესრულებასთან.

საქართველოში სხვა ფინანსური შუამავლების ქვესექტორის არც ერთი სუბიექტი არ არის კლასიფიცირებული მე-5 ეკონომიკურ ფუნქციაში, რომელიც მოიცავს აქტივებით მხარდაჭერილ ფასიან ქაღალდებს და სტრუქტურირებულ ფინანსებს.

FSB-ის NBFI-ის ვიწრო საზომი სასარგებლო ინსტრუმენტია ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ზომისა და ზრდის შესაფასებლად. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვიწრო ზომა არ ითვალისწინებს ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ყველა აქტივობას. მაგალითად, ვიწრო ზომა არ ითვალისწინებს ჰეჯ-ფონდების და სხვა კერძო ინვესტიციების ფონდების საქმიანობას.

არასაბანკო ფინანსური სექტორი საქართველოში მზარდი, მაგრამ შედარებით მცირე სექტორია. იგი შედგება სუბიექტების ორი ძირითადი კატეგორიისგან: კოლექტიური საინვესტიციო საშუალებები (CIV) და საკრედიტო შუამავლები.

CIV არის ფინანსური სუბიექტები, რომლებიც აგროვებენ ფულს ინვესტორებისგან და ინვესტირებენ მას სხვადასხვა აქტივებში. ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 5 CIV, რომელთა საერთო აქტივები დაახლოებით $100 მილიონია. ეს სუბიექტები რეგულირდება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით.

საკრედიტო შუამავალი სუბიექტები აწვდიან ფინანსურ მომსახურებას ფიზიკურ პირებსა და ბიზნესს, როგორიცაა სესხები, იჯარა და დაზღვევა. საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებს 38 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და 183 სესხის გამცემი სუბიექტი. აღნიშნულ სუბიექტებს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

არასაბანკო ფინანსური სექტორი საქართველოში არც ისე კარგად არის მოწესრიგებული, როგორც საბანკო სექტორი. ეს ნიშნავს, რომ არსებობს რისკი იმისა, რომ ეს სუბიექტები ფინანსურ სისტემას სისტემურ რისკს წარმოადგენენ.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არასაბანკო ფინანსური სექტორი წარმოდგენილი იყო 38 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით და 183 სესხის გამცემი სუბიექტით. 2017 წლის 23 დეკემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებები შევიდა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო არასაბანკო ორგანიზაციების საქმიანობის სრული ზედამხედველობის უფლებამოსილება. აღნიშნული ცვლილებების შედეგად გამკაცრდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სარეგისტრაციო მოთხოვნები დასაშვებობის კრიტერიუმებისა და კაპიტალიზაციის კუთხით. კაპიტალზე მოთხოვნა 250 ათასი ლარიდან 1 მილიონ ლარამდე გაიზარდა, ეროვნულმა ბანკმა რეგისტრაციის საფასური დააწესა. აქტიური მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

ვალდებულნი გახდნენ, უზრუნველყონ საჭირო კაპიტალიზაცია ორ ეტაპად: 2018 წლის 1 სექტემბრისთვის მათ უნდა ჰქონდეთ 500 000 ლარზე მეტი/ტოლი, ხოლო 2019 წლის 1 ივლისისთვის 1 მილიონ ლარზე მეტი/ტოლი.

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ მიხედვით დადგინდა ეკონომიკური ნორმები და ლიმიტები, მათ შორის კაპიტალი, ლიკვიდობა, საინვესტიციო და სხვა კოეფიციენტები, ასევე საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა და გაანგარიშების მეთოდი.

აღნიშნული რეგულაციების მიხედვით, მიკროსაფინანსო სუბიექტები საბანკო ჯგუფის შემადგენლობაში არიან და ექვემდებარებიან პრუდენციალურ რეგულირებას, მათ შორის, ვადიანობის/ლიკვიდობის ტრანსფორმაციის, ბერკეტების და არასრულყოფილი საკრედიტო რისკის გადაცემის კუთხით და, შესაბამისად, გამორიცხულნი არიან ვიწრო ღონისძიებიდან.

ფინანსური ლიზინგის კომპანიების წილი ოდნავ იზრდება 2019 წლამდე (დიაგრამა 5). 2019 წლის შემდეგ იგი კლების ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, უნდა ითქვას, რომ კომერციულ ბანკებთან დაკავშირებული მაკროპრუდენციული ზომების მიღების მიუხედავად, დანარჩენი ფინანსური სისტემის აქტივებში, რომლებიც რეგულირების მიღმა დარჩნენ, ცვლილებები არ აისახა. საგრძნობლად გაიზარდა ფინანსური სისტემის სუბიექტების აქტივები (სალიზინგო კომპანიები, ფასიანი ქაღალდების საქმიანობა, ფულის ბაზრის ფონდები, რეპო ბაზარი და ჰეჯ-ფონდები) გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე რეგულაციების მიღმა დარჩენილი აქტივები.

დიაგრამა 5. ერთეულის მთლიანი აქტივების წილი კლასიფიცირებული EF2-ში



წყარო: NBG 2022

EF2 სუბიექტებს შორის, მთლიან აქტივებში ყველაზე დიდი წილი მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს გააჩნიათ (58.31%), თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიკროსაფინანსო ინსტიტუტები ექვემდებარებიან პრუდენციულ რეგულაციას და საბანკო ზედამხედველობას და გამოირიცხებიან

ვიწრო შეფასებებისაგან, ხოლო საკრედიტო კავშირები არ ჩაითვლება. ანგარიში ვიწრო შეფასებების დროს. შესაბამისად, ვიწრო შეფასებით, ეკონომიკური ფუნქციის 2 (EF2) აქტივების მოცულობა შეადგენს 1,015 მლრდ ლარს (იხ. ცხრილი 3).

რაც შეეხება მე-3 ეკონომიკურ ფუნქციას, ეს მოიცავს საბროკერო კომპანიებს. 2021 წლის მონაცემებით, ბაზარზე 9 საბროკერო კომპანიაა, რომელთა საერთო აქტივები 195,2 მლნ. 9 საბროკერო კომპანიიდან საკრედიტო შუამავლობით მხოლოდ ორი საბროკერო კომპანიაა დაკავებული. კერძოდ, Galt & Taggart-ის მიერ გაცემული სესხების მოცულობა 9 მლნ ლარს შეადგენს. Heritage Security-ის მიერ გაცემული სესხების მოცულობა კი 2,9 მილიონი ლარია. თუმცა, ვინაიდან საბროკერო კომპანიები ექვემდებარებიან საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირებას, ამიტომ ისინი გამორიცხულია ვიწრო ღონისძიებიდან.

ვიწრო ზომით ერთეულების ჯამური აქტივები გაიზარდა 2%-ით 2021 წელს და 1,035 მილიარდ ლარს მიაღწია, NBFI სექტორის მთლიანი აქტივების 23%-იან ზრდასთან შედარებით. ამრიგად, შედეგად მიღებული ვიწრო ღონისძიება იყო 1 მილიარდი ლარი 2020 წლის ბოლოს, რაც წარმოადგენს NBFI სექტორის აქტივების 21%-ს და მთლიანი ფინანსური აქტივების 1%-ზე მეტს (იხ. ცხრილი 3).

რისკის მეტრიკა ეკონომიკური ფუნქციის ერთეულებისთვის

რისკის შეფასება განხორციელდა EF2, EF3 და EF4 სუბიექტისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ინსტიტუტები გამოირიცხა ვიწრო საზომისაგან (იხ. ცხრილი). მთლიანობაში, EF2 სუბიექტები ახორციელებენ მნიშვნელოვან საკრედიტო შუამავლობას და აქვთ შეზღუდული ან უარყოფითი ვადიანობის ტრანსფორმაცია და ზომიერი ლიკვიდობის ტრანსფორმაცია. EF2 სუბიექტები გამოიყენებენ ბერკეტის გარკვეულწილად ზომიერ ხარისხს.

ცხრილი 2. რისკ-მეტრიკი

	EF 2			EF 3	EF 4
	MFI	ლომბარდი	სალიზინგო კომპანიები	საბროკერო კომპანიები	სადაზღვევო კომპანიები
საკრედიტო შუამავლობა (CI)					
საკრედიტო შუამავლობა 1 (CI1)	0,89	0,84	0,77	-	0,84
საკრედიტო შუამავლობა 2 (CI2)	0,89	0,80	0,70	0,00	0,02
სიმწიფის ტრანსფორმაცია (MT)					
სიმწიფის ტრანსფორმაცია 1 (MT1)	-0,87	-0,28	-0,20	-0,07	-0,43

სიმწიფის ტრანსფორმაცია 2 (MT2)	0,61	7,38	0,93	0,01	0,70
ლიკვიდობის ტრანსფორმაცია (LT)					
ლიკვიდობის ტრანსფორმაცია 1 (LT1)	1,04	1,09	0,90	-	-
ბერკეტი					
ბერკეტი 1 (L1)	2,72	4,43	5,60	18,36	1,65

წყარო: ავტორთა კალკულაცია

საკრედიტო შუამავლობა: CI1 (საკრედიტო აქტივების თანაფარდობა მთლიან ფინანსურ აქტივებთან) და CI2 (ბალანსის აქტივის მხარეს სესხების თანაფარდობა მთლიან ფინანსურ აქტივებთან) მნიშვნელოვანი იყო და შესაბამისად, 0.89, 0.84 და 0.77 შეადგინა. ვინაიდან ამ კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა არის 1, ეს მიუთითებს იმაზე, რომ საფინანსო კომპანიები მონაწილეობენ მნიშვნელოვან საკრედიტო შუამავლობაში. ეს ალბათ გასაკვირი არ არის, რადგან EF2 სუბიექტები და განსაკუთრებით ფინანსური კომპანიები ჩართულნი არიან დაკრედიტების უფრო ტრადიციულ ფორმებში.

ვადიანობის ტრანსფორმაციის მეტრიკა, MT2 (მოკლევადიანი ვალდებულებების თანაფარდობა მოკლევადიან აქტივებთან) 0.62, 7.38 და 0.93 შეადგინა EF2 ფუნქციის სამივე ერთეულისთვის. მიკროსაფინანსო ინსტიტუტების შემთხვევაში კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.62 მიუთითებს დაფარვის უარყოფით ტრანსფორმაციაზე. ფინანსური ლიზინგის შემთხვევაში 0.93 მიუთითებს, რომ მოკლევადიანი ვალდებულებები სრულად დაფარულია მოკლევადიანი აქტივებით.

უფრო მეტიც, ვინაიდან MT1-ის (მოკლევადიანი ვალდებულებების თანაფარდობა გრძელვადიან აქტივებთან), მისი მაჩვენებელია -0.87, -0.28 და -0.2, რაც აჩვენებს, რომ გრძელვადიანი აქტივების მხოლოდ უმნიშვნელო ან უარყოფითი ნაწილი დაფინანსდა მოკლევადიანი აქტივების მეშვეობით. ვადიანი ვალდებულებები, რაც აჩვენებს, რომ მოკლევადიანი ვალდებულებების აბსოლუტური ოდენობა ძალიან მცირეა გრძელვადიან ვალდებულებებთან შედარებით.

ლიკვიდურობის ტრანსფორმაციის მეტრიკა LT1 (მოკლევადიანი ვალდებულებებით დაფინანსებული ნაკლებად ლიკვიდური აქტივების ოდენობა) ოდნავ აღემატებოდა 1-ს სამი ერთეულისთვის, რომელმაც ეს უზრუნველყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოკლევადიანი ვალდებულებები უხეშად უტოლდება ამ ერთეულების ლიკვიდურ აქტივებს.

L1 ბერკეტის კოეფიციენტი (მთლიანი ფინანსური აქტივების თანაფარდობა კაპიტალთან) კომპანიებისთვის იყო 2.7, 4.43 და 5.6 შესაბამისად, რაც მიუთითებს ზომიერი და დაბალი ბერკეტის ოდენობაზე.

ეკონომიკური ფუნქცია 3 მოიცავს საბროკერო კომპანიებს. ცხრილი 2 აჩვენებს, რომ საბროკერო კომპანიები არ არიან ჩართულნი საკრედიტო შუამავლობაში. სიმწიფის ტრანსფორმაცია 1 არის – 0.07. ეს კოეფიციენტი უახლოვდება 0-ს, რაც მიუთითებს ვადის ტრანსფორმაციის არარსებობაზე. სიმწიფის

ტრანსფორმაციის 2 კოეფიციენტი არის 0.01, რაც მიუთითებს სიმწიფის უარყოფით ტრანსფორმაციაზე. საბროკერო Leverage 1 კოეფიციენტი არის 18.36, რაც საკმაოდ მაღალია. შედარებისთვის, FSB-ის გლობალური მონიტორინგის ანგარიშში მთლიანი ფინანსური აქტივების მედიანური თანაფარდობა სააქციო კაპიტალთან (L1) 2020 წელს დაახლოებით 13,6 შეადგენდა, ხოლო 2021 წელს მისი თანაფარდობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

ეკონომიკური ფუნქციის 4 რისკის მეტრიკა სტაბილურად გამოიყურება. EF4 სუბიექტები (სადაზღვევო კომპანიები) არ არიან აქტიურები საკრედიტო შუამავლობაში. სიმწიფის ტრანსფორმაცია (MT1 არის - 0.43, ხოლო MT2 2 – 0.7), რაც მიუთითებს სიმწიფის უარყოფით ტრანსფორმაციაზე. რისკის მეტრიკა EF4-ისთვის 29 იურისდიქციისთვის არ არის გამოქვეყნებული იურისდიქციების მიერ მოწოდებული რისკის შედარებით მწირი მონაცემების ინტერპრეტაციის სირთულის გამო, EF4 აქტივების მცირე ზომის გამო, როგორც ფინანსური აქტივების პროპორცია საანგარიშო იურისდიქციებში. განსაკუთრებით მწირი (FSB 2022).

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩრდილოვანი საბანკო სისტემა არის რთული და განვითარებადი ფენომენი, რომელიც პოტენციურ რისკს უქმნის ფინანსური სისტემის სტაბილურობას. საქართველოში ჩრდილოვანი საბანკო სისტემა შედარებით მცირეა და ამჟამად არ წარმოადგენს მნიშვნელოვან სისტემურ რისკს. თუმცა, არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რამაც შეიძლება გაზარდოს საქართველოში ჩრდილოვანი საბანკო სისტემის რისკი, მათ შორის:

• არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მაჩვენებლების ზრდა, რომლებიც არ ექვემდებარებიან იმავე დონის რეგულირებას, როგორც საბანკო სექტორი;

• NBFI-ების მზარდი ურთიერთკავშირი საბანკო სისტემასთან;

• რთული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება, რაც ართულებს რისკის შეფასებას.

საქართველოში ჩრდილოვანი საბანკო სისტემის შესახებ ყოვლისმომცველი და მაღალი ხარისხის ინფორმაციის ნაკლებობა რისკების ეფექტური შეფასების მთავარი გამოწვევაა, რადგანაც NBFI-ს არ მოეთხოვება თავისი საქმიანობის შესახებ მოხსენება ხელისუფლებისთვის და ჩრდილოვანი საბანკო სისტემაში გამჭვირვალობის ნაკლებობაა.

ჩრდილოვანი საბანკო სისტემისგან გამოწვეული რისკების შერბილების მიზნით, მნიშვნელოვანია NBFI-ების რეგულირების გაუმჯობესება და ჩრდილოვანი საბანკო სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა. აღნიშნული ინიციატივა საშუალებას მისცემს პოლიტიკის შემქმნელებს უკეთ გააცნობიერონ ჩრდილოვანი საბანკო სისტემის მიერ გამოწვეული რისკები და გადადგან ზომები ამ რისკების შესამცირებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

Adrian, T. (2014). Financial stability policies for shadow banking. *FRB of New York Staff Report*, (664).

Allen, F., & Carletti, E. (2013). Shadow banking: A review of the literature. *European Financial Management,* 19(4), 727-757.

Ashcraft, Adam B., Tobias Adrian, and Nicola Cetorelli, 'Shadow Bank Monitoring', in Allen N. Berger, Philip Molyneux, and John O. S. Wilson (eds), *The Oxford Handbook of Banking*, 2nd edn (2014; online edn, Oxford Academic, 7 Apr. 2015), https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199688500.013.0016

Charaia, V., & Lashkhi, M. (2021). SME Sector Development through Fintech in Georgia. *Globalizafion and Business*, *12*, 179-185.

Charaia, V., & Papava, V. (2021). Public debt increase challenge under COVID-19 pandemic economic crisis in the Caucasian countries. *Journal of Contemporary Issues in Business and Government*, *27*(3).

Charaia, V., & Papava, V. (2022). On the Inflation and its Modifications in the Era of Global Pandemic: The Case of Some ADB Countries. Jou*rnal of Asian Finance, Economics and Business*, 9(8).

Charaia, V., Chochia, A., & Lashkhi, M. (2021). Promoting fintech financing for SME in S. Caucasian and baltic states, during the COVID-19 global pandemic. *Business, Management and Economics Engineering*, *19*(2), 358-372.

European Commission (2012). *Green Paper on Shadow Banking*, Brussels, March.

FSB (2013). *Strengthening Oversight and Regulation of Shadow Banking: Policy Framework for Strengthening Oversight and Regulation of Shadow Banking Entities*, August.

FSB (2018a). *Global Shadow Banking Monitoring Report*, March.

FSB (2018b). *Crypto-asset markets: Potential channels for future financial stability implications*, October.

FSB (2019a). *Decentralized financial technologies: Report on financial stability, regulatory and governance implications*, June.

FSB (2019b). *Vulnerabilities associated with leveraged loans and collateralised loan obligations*, December.

FSB (2020a). *COVID-19 pandemic: Financial stability implications and policy measures taken,* April.

FSB (2020b*). Holistic review of the March market turmoil*, November.

FSB (2020c). *Global Monitoring Report on Non-Bank Financial Intermediation*, December.

FSB (2021). *Global monitoring report on Non-bank financial intermediation*, December

FSB (2021a). *COVID-19 support measures: Extending, amending and ending*, April.

FSB (2021b). *Promoting Global Financial Stability: 2021 FSB Annual Report*, October.

Gambacorta, L., & Shin, H. S. (2012). Shadow banking: Taxing the dark matter. *Economic Policy,* 27(68), 549-595.

Ghosh, S., Gonzalez del Mazo, I., & Ötker-Robe, İ. (2012). Chasing the shadows: How significant is shadow banking in emerging markets? *Economic premise*; no. 88. © World Bank, Washington, DC. http://hdl.handle.net/10986/17088

Gorton, G., & Metrick, A. (2012). Securitized banking and the run on repo. *Journal of Financial Economics*, *104*(3), 425-451.

Gorton, G., & Metrick, A. (2013). Securitization. In *Handbook of the Economics of Finance* (Vol. 2, pp. 1-70). Elsevier.

Grillet-Aubert, L., Haquin, J. B., Jackson, C., Killeen, N., & Weistroffer, C. (2016). Assessing shadow banking–non-bank financial intermediation in Europe. *ESRB: Occasional Paper Series*, (2016/10).

Islam, M. A., & Osman, J. B. (2011). Development impact of non-bank financial intermediaries on economic growth in Malaysia: An empirical investigation. *International Journal of Business and Social Science*, *2*(14).

Jackson, C., & Matilainen, J. (2012, August). Macro-mapping the euro area shadow banking system with financial sector balance sheet statistics. In *IFC Conference on Statistical Issues and Activities in a Changing Environment Basel* (pp. 28-29).

Kvirkvaia, M., Kikutadze, V., Sikharulidze, D., Shaburishvili, S., & Charaia, V. (2018). Study of factors affecting young people. *Globalization & Business*.

Lashkhi, M., Charaia, V., Boyarchuk, A., & Ebralidze, L. (2022). The Impact of Fintech on Financial Institutions: The Case of Georgia. *TalTech Journal of European Studies*, *12*(2), 20-42.

Lashkhi, M., Ogbaidze, S., Lashkhi, M., Charaia V. (2022). Startup Access to Finance in Georgia and International Experience. *The Economist*. Paata Gugushvili Institute of Economics, issue 2, https://ekonomisti.tsu.ge/uploads/images/ek20222.pdf

Liang, H. Y., & Reichert, A. K. (2012). The impact of banks and non-bank financial institutions on economic growth. *The Service Industries Journal*, *32*(5), 699-717.

McCulley, P. (2007). Global central bank focus, Teton reflections. *Pimco. September. Accessed April*, *14*, 2018.

Mehrling, Perry, Zoltan Pozsar, James Sweeney, and Dan Neilson. "Bagehot was a shadow banker." *Institute for New Economic Thinking* (2013).

Noeth, B. J., & Wolla, S. A. (2012). Traditional versus shadow banking Page One Economics *Newsletter: Federal Reserve Bank of St.*

Otker-Robe, I., & Podpiera, A. M. (2013). The social impact of financial crises: evidence from the global financial crisis. *World bank policy research working paper*, (6703).

Papava, V., & Charaia, V. (2020). The coronomic crisis and some challenges for the Georgian economy. *GFSIS, Expert Opinion*, (136).

Pozsar, M. Z., & Singh, M. M. (2011). *The nonbank-bank nexus and the shadow banking system*. International Monetary Fund.

Pozsar, Z., Adrian, T., Ashcraft, A., & Boesky, H. (2010). Shadow banking. *New York*, *458*(458), 3-9.

Pozsar, Z., Rajan, R. G., & Subramanian, A. (2010). *Shadow banking. IMF Staff Discussion Note*, SDN/10/08.

Rateiwa, R., & Aziakpono, M. J. (2017). Non-bank financial institutions and economic growth: Evidence from Africa's three largest economies. *South African Journal of Economic and Management Sciences*, *20*(1), 1-11.

Shin, H. (2010). *Macroprudential policies beyond basel III*. Policy Memo. Princeton University.

Vittas, D., & Mundial, B. (1992). *Policy issues in financial regulation* (No. 910). World Bank.

The Shadow Banking in Georgia

Mariam Lashkhi
Professor's Assistant
Grigol Robakidze University
m.lashkhi@gruni.edu.ge

Davit Sikharulidze
Professor
East European University
d.sikharulidze@eeu.edu.ge

Charaya Vakhtang
Professor
Grigol Robakidze University
v.charaia@gruni.edu.ge

Summary

Shadow banking is an important component of many financial systems. Due to their role in transferring risks to the financial system, institutions operating within the shadow banking system require increased attention, as demonstrated by the recent global crisis. This paper aims to investigate the size and trend of the shadow banking sector in the context of financial stability in Georgia. For this purpose, an analysis of the financial sector of Georgia was conducted to study the activities of shadow banks and the potential risks related to their activities. The study uses FSB and ESRB methodology to estimate the size of shadow banking in Georgia and the associated risk. The results of the analysis indicate that non-bank financial institutions, such as leasing and pawn shops, are part of the shadow banking system, which is not subject to banking regulation. Their actions and activities do not pose a threat to financial stability at the moment. The shadow banking system in Georgia is relatively small and currently does not represent a significant systemic risk. However, there are a number of factors that can increase the risk of the shadow banking system in Georgia, including: Growth in non-banking financial institutions that are not subject to the same level of regulation as the banking sector; Increasing interconnection of NBFIs with the banking system; Use of complex financial instruments, which complicates risk assessment. The lack of comprehensive and high-quality information on the shadow banking system in Georgia is a major challenge for effective risk assessment, as NBFIs are not required to report their activities to the authorities and there is a lack of transparency in the shadow banking system. In order to mitigate the risks posed by the shadow banking system, it is important to improve the regulation of NBFIs and increase the transparency of the shadow banking system. This initiative will allow policymakers to better understand the risks caused by the shadow banking system and take measures to reduce these risks.

Keywords: shadow banking, non-bank financial institution, other financial intuitions, financial stability

კონფრონტაციის გავლენა აგროსასურსათო წარმოებაზე: გაურკვევლობა და მოლოდინები

ეთერ ხარაიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
eter.kharaishvili@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-36-55

ანოტაცია. *ნაშრომში კონფრონტაცია შეფასებულია როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, სასურსათო უსაფრთხოებაზე, პოლიტიკურ საქმიანობებსა და სხვ. კონფრონტაციის ნეგატიური გავლენის შემცირების გზების განსაზღვრა აგროსასურსათო წარმოების მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მიზნების მიღწევის მნიშვნელოვან პირობად არის მიჩნეული. სტატიაში განხილულია კონფრონტაციის სახეობები, გაანალიზებულია მეცნიერთა შეხედულებები, დასაბუთებულია, რომ კონფრონტაციით გამოწვეული შოკები პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს წარმოებაზე. გლობალურ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება შეფასებულია ფაზების (IPC/CH) დონეების მიხედვით, გაანალიზებულია სასურსათო კრიზისში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა კრიზისის გამომწვევი მიზეზების მიხედვით. გამოვლენილია, რომ კონფლიქტით გამოწვეული კრიზისი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მოიცავს. აგროსასურსათო წარმოებაზე რუსეთ-უკრაინას შორის ომის გავლენის შეფასების მიზნით შესწავლილია რუსეთსა და უკრაინაში რამდენიმე ძირითადი სასურსათო პროდუქტის წარმოების მაჩვენებლები და გაკეთებულია დასკვნები კონფლიქტის პერიოდში ფორმირებულ ტენდენციებზე. სტატიაში გაანალიზებულია უკრაინასა და რუსეთში ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები, შეფასებულია მათი წილი გლობალურ სასურსათო წარმოებაში. ასევე, მოცემულია ამ ქვეყნებიდან ექსპორტის მოცულობა ძირითად სასურსათო პროდუქტებზე და განსაზღვრულია მათი წილი გლობალურ სასურსათო ექსპორტის მოცულობაში. ნაშრომში წარმოდგენილია აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან უკრაინასა და რუსეთში, ასევე, შესწავლილია აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი საქართველოში უკრაინიდან და რუსეთიდან. გაკეთებულია დასკვნა, რომ უკრაინასთან შემცირებულია ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები, რუსეთთან კი ეს მაჩვენებლები გაზრდილია. ნაშრომში მოცემულია დასკვნები აგროსასუსათო წარმოებაზე კონფრონტაციის უარყოფითი გავლენის შედეგებზე, შემუშავებულია რეკომენდაციები კონფლიქტებით გამოწვეული გაურკვევლობის დაძლევისა და მოლოდინების განსაზღვრის გზებზე.*

საკვანძო სიტყვები: *კონფრონტაცია, აგროსასურსათო წარმოება, პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა, გაურკვევლობა, მოლოდინი.*

შესავალი

გლობალიზაციამ რთული და ინტეგრირებული აგროსასურსათო სისტემის ფორმირება გამოიწვია. აღნიშნულმა პროცესმა აგროსასურსათო სექტორში წარმოქმნა სინერგია, თუმცა, წარმოება დაუცველი აღმოჩნდა კლიმატური, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური შოკების, პოლიტიკური, ომის და სხვა კონფრონტაციული გავლენის მიმართ.

მიმდინარე ეტაპზე კონფრონტაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა აგროსასურსათო წარმოების მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად. სამწუხაროდ, ბოლო წლებში წარმოშობილი მრავალი სახეობის კონფრონტაციული ქმედება გადაუჭრელია. უფრო მეტიც, ადამიანებზე, ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ საქმიანობებზე, სასურსათო უსაფრთხოებაზე კონფრონტაციული ზემოქმედება როგორც გლობალურ, ისე ქვეყნების დონეზე ზრდადია.

კონფრონტაცია გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე, ეკონომიკურ განვითარებასა და სასურსათო უსაფრთხოებაზე, კერძოდ, ამცირებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებულ ფართობებს, პირუტყვის სულადობას, აგროსასურსათო წარმოებას, ახდენს მიწოდების ჯაჭვების დესტაბილიზაციას, ანადგურებს ბუნებრივ რესურსებს (მიწა, წყალი, ტყე), იწვევს ინფრასტრუქტურის ნგრევას, სოციალური სერვისების მოშლას, ადამიანების სიცოცხლის ხელყოფას, მათ იძულებით გადაადგილებას, პროდუქტზე ფასების ზრდას, ინფლაციას და სხვა ნეგატიურ შედეგებს.

2018 წელს გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭომ ცალსახად აღიარა მჭიდრო კავშირი კონფრონტაციასა და სასურსათო უსაფრთხოებას შორის (UNSC, Resolution 2417, 2018). კონფრონტაციული გარემო კიდევ უფრო დაამძიმა COVID-19 პანდემიის კრიზისმა, რომელმაც უპრეცენდენტო ეკონომიკური და სოციალური გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და გამოიწვია ღრმა გლობალური ეკონომიკური რეცესია, გაიზარდა უკიდურესი სიღარიბე და შეფერხდა ბოლო წლებში მიღწეული პროგრესი (FAO, 2021).

პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვანი შეფერხებები შეიქმნა სურსათის წარმოებისა და მიწოდების სიტემებში. კრიზისმა გლობალური ხასიათი მიიღო და მრავალ ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა საზოგადოების დაუცველი ფენებისთვის, მათთვის სურსათზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

გლობალურ დონეზე პანდემიით გამოწვეული ნეგატიური შედეგები გააღრმავა კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა ზემოქმედებამ, ასევე, შეიარაღებულმა ბრძოლებმა, ტერორისტულმა თავდასხმებმა, ძარცვამ, სამოქალაქო საზოგადოების აგრესიამ და სხვა. ზოგადად, კონფრონტაციული გარემო იწვევს საჯარო და კერძო კაპიტალის განადგურებას, საბაზრო ტრანზაქციების შეზღუდვას, ფირმებისა და შინამეურნეობების მწარმოებლურობის შემცირებას, ტრანზაქციის მაღალი დანახარჯების გამო ფასების ზრდას, შინამეურნეობების შემოსავლებისა და მოხმარების შემცირებას, მომხმარებლის ქცევის ცვლილებას.

მაშასადამე, დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფრონტაციული გავლენის შემცირების სტრატეგიების შემუშავება. სამეცნიერო ნაშრომებში ეკონომიკური კვლევები ძირითადად კონცენტრირებულია პირდაპირი ზემოქმედებით გამოწვეული შედეგების შეფასებაზე, თუმცა, ხშირ შემთხვევაში ასეთი სტრატეგიების იდენტიფიცირება კონფრონტაციულ გარემოსთან დასაპირისპირებლად მოითხოვს არაპირდაპირი გავლენის შედეგების შესწავლასაც.

კონფრონტაციის გავლენის კომპლექსური შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან მოსახლეობა ზოგჯერ პირდაპირ არ განიცდის კონფრონტაციულ შოკებს, მაგრამ დიდი ნაწილი ცვლის ქცევას ძალადობრივი კონტექსტის საპასუხოდ. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებისთვის, სადაც ხანგრძლივად მიმდინარეობს დაბალი ან საშუალო ინტენსივობის კონფრონტაციები.

მიმდინარე ეტაპზე, რუსეთ-უკრაინის ომის გამო, მსოფლიო დადგა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გამწვავების წინაშე. ომმა უკვე გამოიწვია სასურსათო მიწოდების ჯაჭვის დესტაბილიზაცია, ფასების ზრდა საწვავსა და აგროსასურსათო პროდუქტებზე, ასევე, მრავალი სხვა ნეგატიური შედეგი, რომელიც შემდგომ კვლევას საჭიროებს.

აგროსასურსათო სექტორი მსოფლიოში მილიარდზე მეტი ადამიანის შემოსავლის წყაროა. სექტორის როლი მნიშვნელოვანია ეკონომიკურ განვითარებასა და სასურსათო ბაზრების ფორმირებაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. შესაბამისად, აუცილებელია კონფრონტაციული გარემოს გავლენის დადგენა აგროსასურსათო წარმოებაზე, სექტორში ფორმირებული გაურკვევლობის დაძლევის გზების ძიება და მოლოდინის შეფასება.

აგროსასურსათო წარმოებაზე კონფრონტაციის ნეგატიური გავლენის დადგენა საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ძირითადი დილემები და მოლოდინების შეფასებით შევიმუშავოთ აგროსასურსათო წარმოების ზრდის პოლიტიკის ინსტრუმენტები, განვსაზღვროთ მდგრადი მოწოდების ჯაჭვების ფორმირების შესაძლებლობები და სტიმულირების პროგრამები, რაც უზრუნველყოფს სურსათზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და აგროსასურსათო წარმოების მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია აგროსასურსათო წარმოებაზე კონფრონტაციის პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენის შეფასება, გაურკვევლობის დაძლევისა და მოლოდინების განსაზღვრის გზებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩატარებულია ბიბლიოგრაფიული კვლევა, კერძოდ, შეფასებულია აგროსასურსათო წარმოებაზე კონფრონტაციის გავლენის შესახებ სამეცნიერო სტატიები და სხვადასხვა ორგანიზაციის, მათ შორის FAO-ს ანგარიშები, ასევე, გამოყენებულია ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი ვებგვერდები, მონაცემთა ბაზები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარების, ანალიზის, ექსპერტული და სხვა მეთოდები.

ლიტერატურის მიმოხილვა

კონფრონტაცია სასურსათო უსაფრთხოების დარღვევისა და მწვავე შიმშილის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორია. მისი გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე, სასურსათო უსაფრთხოებაზე, მდგრადი განვითარების შესაძლებლობებზე, ინდივიდების ქცევაზე, შინამეურნეობების გადაწყვეტილებებზე და სხვა მომიჯნავე საკითხები სამეცნიერო ნაშრომებში სხვადასხვა თვალთახედვით არის შესწავლილი.

სოფლის მეურნეობის განვითარებაზე კონფლიქტის გავლენის კვლევით დადგენილია, რომ თავდასხმებისა და ამბოხების მაღალი ინტენსივობა იწვევს როგორც პირდაპირ (წარმოების, მწარმოებლურობის, ნამუშევარი საათებისა და შემოსავლების შემცირება, დანახარჯების ზრდა და ა.შ.), ასევე, არაპირდაპირ გავლენას გარემო ფაქტორების დესტაბილიზაციით (Adelaja A., J. George,

2019). ზოგჯერ განსაკუთრებით დიდია კონფრონტაციის არაპირდაპირი ზემოქმედებით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური ზარალი (ადამიანების სიცოცხლის დაკარგვა, სახლებისა და ინფრასტრუქტურის ნგრევა, სოციალური დაცვისა და საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროგრამების შეზღუდვა და სხვ.).

სასურსათო უსაფრთხოება დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოწვევაა (Kharaishvili, Erkomaishvili&Chavleishvili, 2015). კონფრონტაცია, უპირველესად, იწვევს სასურსათო დაუცველობას სურსათის წარმოების შემცირების გამო, თუმცა, ასევე, მცირდება არასასურსათო მოხმარებაც. გამოკვლეულია ისიც, რომ სასურსათო და არასასურსათო მოხმარების შემცირებაზე ქონებრივი დანაშაული მეტ უარყოფით გავლენას ახდენს, ვიდრე ძალადობა. შესაბამისად, კონფრონტაციის სახეობების მიხედვით კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაზარალებულ რეგიონებში უსაფრთხოების ბადეების შესაქმნელად (Kaila&Azad, 2023), მით უმეტეს, რომ მეცნიერები სასურსათო უშიშროებას ეროვნული უშიშროების საფუძვლად განიხილავენ (კოღუაშვილი, არჩვაძე & ჩიხლაძე, 2022).

განვითარებად ქვეყნებში აგროსასურსათო წარმოება მოსახლეობისათვის განუყოფელი საარსებო წყაროა და შეუცვლელ როლს ასრულებს ამ ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოებაში, მაგრამ კონფრონტაცია მათი მთავარი გამოწვევაა. სამეცნიერო ნაშრომებში გაკეთებულია დასკვნები, რომ კონფრონტაცია (ამ შემთხვევაში ტერორიზმი) იწვევს მიწების მიტოვებას და წარმოების არსებით შემცირებას (Fadare, Zanello & Srinivasan, 2022).

კონფრონტაცია ნეგატიურად მოქმედებს აგროსასურსათო პროდუქტების მიწოდების ჯაჭვებზე, ბუნებრივი რესურსების (მიწა, წყალი) გამოყენებაზე, ინფრასტრუქტურაზე, სურსათის წარმოების, შენახვისა და მიწოდების სიტემებზე, მოხმარებაზე. ეს, თავის მხრივ, იწვევს ეკონომიკურ რეცესიას და ინფლაციას, არღვევს სოციალურ ქსელებს და ანადგურებს სოციალურ სერვისებს (FAO, 2019). სამეცნიერო ნაშრომებში ძალადობრივი კონფლიქტის გავლენა სასურსათო უსაფრთხოებაზე დასაბუთებულია ფერმერულ მეურნეობების შემოსავლის წყაროებზე მისი გავლენის კვლევით (Verwimp, 2012).

დასავლეთ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანას (მალი და ნიგერია) აგროსასურსათო წარმოების ზრდის მიზნით გარკვეული რესურსული პოტნციალი აქვს, თუმცა, ბოლო დროს ამ ქვეყნებში შექმნილმა შიდა კონფლიქტებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობის ზრდასა და ინვესტიციების მოცულობაზე (Kergna et al, 2014). კონფლიქტების გამო ხდება პოლიტიკურად არასტაბილური გარემოს ფორმირება, რაც ცხადია, მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის დარგში ინვესტიციების შესანარჩუნებლად.

კვლევებით გააანალიზებულია კონფლიქტის გავლენა ეკონომიკაზე, როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე. მაკრო დონის კვლევები ხაზს უსვამს კონფლიქტების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე (Gyimah-Brempong K., Marva E. Corley, 2005). ამავე კვლევით, ასევე, დასაბუთებულია, რომ სამოქალაქო ომები მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ზრდის ტემპზე.

კონფლიქტის პერიოდში სოფლის მეურნეობის წარმოება ყოველწლიურად საშუალოდ 12,3%-ით მცირდება (Messer, Cohen & D'Costa, 1998). სხვა კვლევებით კი ყურადღება გამახვილებულია კონფლიქტების კონკრეტული კულტურების წარმოების გავლენის შედეგებზე. მაგალითად,

მეცნიერებმა აჩვენეს თუ როგორი უარყოფითი გავლენა მოახდინა არჩევნების შემდგომმა ძალადობამ კენიაში მოჭრილი ყვავილების ინდუსტრიის ექსპორტის მოცულობაზე (Ksoll, Macchiavello & Morjaria, 2010).

ძალადობრივი კონფლიქტი მოკლევადიან პერიოდშივე ახდენს გავლენას სასურსათო უსაფრთხოებაზე, გრძელვადიან პერიოდში კი ნეგატიური გავლენა აისახება ადამიანის განვითარებაზეც (Verwimp, 2012). მეცნიერების მიერ, ასევე, შესწავლილია საპირისპირო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი წარმოების ზრდასა და კონფლიქტს შორის. დასაბუთებულია ჰიპოთეზა, რომ ექსტრემალური კლიმატური მოვლენების არსებითმა ცვლილებამ (მაგალითად, ნალექების და ტემპერატურის ნორმიდან გადახრები) შეიძლება გაზარდოს დაუცველობის რისკი. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ნალექებისა და ტემპერატურის ყოველი სტანდარტული გადახრისას პერსონალური ძალადობის სიხშირე იზრდება 4%-ით, ხოლო ჯგუფთაშორისი კონფლიქტი 14%-ით. კონკრეტულად, სუბ-საჰარის აფრიკაში, წინა წელთან შედარებით ნალექის 5%-ით ცვლილება სამოქალაქო ომის ალბათობას 50%-ით ზრდის Hsiang et al, 2013). თუმცა, მარტო კლიმატური შოკები არ არის კონფლიქტის აუცილებელი ან საკმარისი მიზეზი.

აგროსასურსათო წარმოებაზე განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენს ომები. მეცნიერების, კვლევითი ინსტიტუტების, ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურების, პრეზიდენტების და სხვათა მიერ სხვადასხვა თვალთახედვით არის შეფასებული ეკონომიკაზე ომის გავლენის ნეგატიური შედეგები.

ომი თავისი არსით უარყოფითი მოვლენაა (პაპავა, 2010, გვ.78), თუმცა, საქართველოსთვის რუსეთის მიერ წარმოებულ 2008 წლის ხანმოკლე ომის შედეგად მივიღეთ ე.წ. ,,ომის პარადოქსი", როცა ომი უარყოფით შედეგებს იწვევს, მაგრამ ზოგიერთი დადებითი ეფექტიც ახლავს (პაპავა, 2010, გვ. 45). საქართველოს ეკონომიკისათვის ომმა ახალი, სერიოზული გამოწვევები წარმოქმნა (ხადური, 2009).

სასურსათო სექტორი მგრძნობიარეა არა მარტო კონფრონტაციების, არამედ ბუნებრივი კატაკლიზმების, დაავადებათა და სხვა ფაქტორების მიმართ. მაგალითად, აგროსასურსათო წარმოება დაუცველია კლიმატთან და დაავადებებთან დაკავშირებული გამოწვევებისგან, სასურსათო ბაზრები მყიფეა ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ეკონომიკური ისეთი შოკების მიმართ, როგორიცაა ენერგეტიკული კრიზისები, SARS-ისა და ებოლას ვირუსები, ფრინველის გრიპი, ღორის ჭირი, კორონა ვირუსები და სხვა. მაგალითად, 2019 წლის ბოლოს ჩინეთმა, ღორის ხორცის უდიდესმა მწარმოებელმა (მსოფლიო ბაზრის 1/3) და უმსხვილესმა ექსპორტიორმა დაკარგა ღორის სულადობის 37% (Hamid S. and others, 2021); ებოლამ, კოვიდ პანდემიამ დიდი ზიანი მიაყენა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების, მარკეტინგისა და ვაჭრობის მიმართულებით (Kharaishvili E., Lobzhanidze N., 2022). სექტორმა მნიშვნელოვანი შეფერხება განიცადა პანდემიით გამოწვეული ჩაკეტვის ზომების გამო, თუმცა, უარყოფითი გავლენა არც ისე მასშტაბური იყო. აგროსასურსათო წარმოებაში თავდაპირველად დაფიქსირდა წარმოების შემცირება და კლებადი ზღვრული უკუგება, თუმცა, მოკლე პერიოდში სექტორის შედარებით მდგრადი აღმოჩნდა უარყოფითი გავლენებისგან (ხარაიშვილი, ლობჟანიძე, 2022).

ამასთან, პანდემიის დასაწყისში აქტუალური იყო არა მარტო პანდემიის პირობებში წარმოქმნილი ეკონომიკური სირთულეების შესწავლა, არამედ იმის განჭვრეტა, თუ რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდება მსოფლიო პანდექსიტის შემდეგ (პაპავა, 2022). ამ პრობლემებს დღეს რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული სირთულეები დაემატა.

კონფლიქტით გამოწვეულ სასურსათო დაუცველობისა და შიმშილის საფრთხის შესახებ სურსათის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშითაც მნიშვნელოვანი გამოწვევებია დაფიქსირებული. ანგარიშში კონფლიქტი სასურსათო დაუცველობის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად არის აღიარებული (FAO, 2022).

აგროსასურსათო წარმოებაში არსებითი პრობლემები შეიქმნა რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო. ევრო-კომისიის პრეზიდენტის ურსულა ფონ დერ ლაიენის შეფასებით რუსეთ-უკრაინის ომი საფრთხეს უქ-მნის სასურსათო უსაფრთხოებას მთელ მსოფლიოში (ურსულა ფონ დერ ლაიენი, 2022). საჭირო გახდება შესაბამისი პროგრამების ამოქმედება ევროპაში სურსათის წარმოების გაზრდის მიზნით.

მსოფლიოს წამყვანმა ეკონომისტებმა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ეკონომიკაში გამოკვეთილ პრობლემებს ,,სასურსათო ომი" და ,,ნავთობის ომი" უწოდეს. ორი დიდი ექსპორტიორი ქვეყნის (უკრაინა-რუსეთი) სასოფლო-სამეურნეო აქტივობების შეფერხება მსოფლიოს სურსათით მომარაგებას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. რუსეთს აქვს გარკვეული უპირატესობა მარცვლეულის ექსპორტში . . . მკვიდრდება ტერმინი - ,,სასურსათო ომი“; (პაპავა, 2022). რუსეთის შეჭრამ მოახდინა ,,ქარიშხალი" გლობალურ სოფლის მეურნეობაში (Lu Ch., 2022).

რუსეთ-უკრაინის ომი შეფასდა როგორც დიდი ნეგატიური გავლენის მქონე ფაქტორი გლობალურ სოფლის მეურნეობაში (WHO, 2022). მოსალოდნელია, რომ მარცვლეულისა და ზეთის მიწოდების ჯაჭ-ვში შეფერხებები, რუსეთიდან ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები, მნიშვნელოვნად შეცვლის მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების სურათს (FAO, 2022).

რუსეთ-უკრაინის ომი, სავარაუდოდ, ნეგატიურად აისახება საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელსა და ინფლაციის დონეზე (მოლინეუსი, 2022). ამასთან, მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ეკონომიკაში სტაგფლაციური პროცესები გაგრძელდება, ანუ წარმოების შემცირება და ფასების ზრდა... წინა პლანზე იწევს სასურსათო და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები (პაპავა, 2022). ექსპერტული შეფასებით საქართველოს, როგორც იმპორტდამოკიდებულ ქვეყანას, იმპორტი მნიშვნელოვნად გაუძვირდება, ასევე, რუსეთ-უკრაინის ომი გამოწვევს საწვავზე, მათ შორის სურსათზე ფასების ზრდას (არჩვაძე, 2022). ასევე, თუ გავითვალისწინებთ, რომ მიმდინარე კონ-ფრონტაციის ინტენსიურობა და ხანგრძლივობა უცნობია, ამ ორი დიდი ექსპორტიორი ქვეყნის სასოფ-ლო-სამეურნეო აქტივობები სავარაუდოდ კვლავ შეფერხდება, რაც მსოფლიოს სურსათით მომარაგე-ბას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.

აშკარაა, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა შეზღუდა სურსათზე ხელმისაწვდომობა, დაუთესავი დარჩა მიწების დიდი ნაწილი, გაუარესდა საწარმოო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, შეიზღუდა მუშახელსა და საწვავზე ხელმისაწვდომობა, დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო კულტურები სამხედრო ტექნიკის გამოყენების გამო, მოიშალა სურსათის მიწოდების ჯაჭვები და სხვა (FAO, 2022). ძირითადი საკვები კულტურების მსოფლიო წარმოების რეიტინგის მიხედვით უკრაინას და რუსეთს მნიშვნელოვანი პოზიციები უკავიათ სასურსათო ბაზარზე (EMEDIEGWU L., 2022), ეს ქვეყნები მსოფლიოში მარცვლეული კულტურების და ზეთების უმსხვილესი ექსპორტიორები არიან (Ritchie, 2022), ამიტომ სასურსათო უსაფრთხოებაზე ომის გავლენის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება.

კონფრონტაციის გავლენის ანალიზი

კვლევებით დადასტურებულია აგროსასურსათო წარმოებაზე კონფრონტაციის გავლენის უარყოფითი შედეგები. ინტენსიური კონფლიქტის მქონე რეგიონებში სოფლის მეურნეობის წლიური შემოსავლები ერთ ჰექტარზე, ასევე, ინვესტიციები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე არაკონფლიქტურ რეგიონებში. კონფლიქტები წარმოების დანახარჯების მყისიერ ზრდას იწვევს (Alejandra M. and orhers, 2013). აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერ ქვეყანაში პოსტკონფლიქტური პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს გაურკვევლობის შემცირებას და საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას ადგილობრივი წარმოების გასაუმჯობესებლად.

კონფრონტაციის გავლენის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მისი ნებისმიერი სახეობა ნეგატიურ გავლენას ახდენს წარმოებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. განსაკუთრებით მძიმეა უარყოფითი გავლენის შედეგები სასურსათო უსაფრთხოებაზე.

გლობალურ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება შეფასებულია დონეების მიხედვით (ფაზების კლასიფიკაცია IPC/CH). კონფლიქტით გამოწვეული სასურსათო უსაფრთხოებაში მყოფი ქვეყნების განახლებულ ჩამონათვალს (ავღანეთი, ბურკინა-ფასო, კამერუნი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, დემოკრატიული რესპუბლიკა კონგო, ეთიოპია, ჰაიტი, ერაყი, მალი, მოზამბიკი, მიანმარი, ჩრდილოეთ ნიგერია, ნიგერია, პალესტინა, სომალი, სამხრეთ სუდანი, სუდანი, სირიის არაბთა რესპუბლიკა და იემენი) დაემატა უკრაინის შესახებ ინფორმაციაც.

დიაგრამა 1. მოსახლეობისა და ქვეყნების რაოდენობა სასურსათო უსაფრთხოების ფაზების მიხედვით



კონფლიქტებით გამოწვეული სასურსათო დაუცველობის მხრივ ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზე იმყოფება. არანაკლებ საყურადღებოა IPC/CH მე-4 ფაზაში მყოფი 40 მილიონი ადამიანის ბედი, რომლებიც სასურსათო უსაფრთხოების მხრივ საგანგებო მდგომარეობაში არიან. კონფლიქტებით გამოწვეული სასურსათო უსაფრთხოების ფაზების ანალიზმა აჩვენა, რომ გლობალურად, შიმშილის დონე საგანგაშო ტემპით იზრდება. 2016-2021 წლების პერიოდში სასურსათო კრიზისში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგებულია. თუ 2016 წელს

სასურსათო დაუცველობის მესამე ფაზაში მყოფი მოსახლეობის წილი 11,2% იყო, 2021 წელს ამ მაჩვენებელმა 21,3% შეადგინა. 2021 წლის მონაცემებით დაახლოებით 193 მილიონი ადამიანი, 53 ქვეყანის ტერიტორიაზე, იმყოფებოდა სურსათით მწვავე დაუცველობის ფაზაში (FAO, 2022).

სასურსათო კრიზისში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა კრიზისის გამომწვევი მიზეზების მიხედვით ნათლად აჩვენებს, რომ კონფლიქტით გამოწვეული სასურსათო კრიზისი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მოიცავს (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. სასურსათო კრიზისში მყოფი მოსახლეობისა და ქვეყნების რაოდენობა კრიზისის გამომწვევი მიზეზების მიხედვით[1]

მეცნიერთა მიერ რუსეთ-უკრაინის ომი შეფასდა როგორც წარმოებაზე უარყოფითი გავლენის მქონე კონფრონტაცია. ცხადია, ომი ორივე მხარისთვის იქნება ზარალის მომტანი და იგი გავლენას მოახდენს გლობალურ სასურსათო მდგომარეობაზე (Nasir, Nugroho & Lakner, 2023).

სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მოსახლეობის დაუცველობა განისაზღვრება იმის გათვალისწინებით, რომ მოხმარებული კალორიების 40%-ზე მეტი სამ კულტურაზე მოდის: ხორბალი, სიმინდი და ბრინჯი. ხორბალი, უმეტეს შემთხვევაში, მოხმარებული კალორიების 20%-ს შეადგენს, ხოლო ზოგიერთ ადგილებში (აფრიკის, ამერიკის ქვეყნები) უმეტესი წილი სიმინდის და სოიოს მოხმარებას უჭირავს. აღნიშნული ორი კულტურა, ასევე, ინტენსიურად გამოიყენება მეცხოველეობაში საკვებად (Arias J. and others, 2023). მარცვლეულის მეურნეობის პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ნებისმიერ ქვეყანაშიც (Koguashvili & Chikhladze, 2019).

რუსეთი და უკრაინა არსებით როლს ასრულებდნენ მსოფლიოში ძირითადი კულტურების წარმოებაში (იხ. დიაგრამა 3).

[1] დიაგრამა აგებულია პირველადი აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 3. ხორბლის წარმოება ქვეყნების მიხედვით 2022 წელს (USDA, 2022)



დიაგრამიდან ჩანს, რომ რუსეთი მეოთხე უმსხვილესი ხორბლის მწარმოებელია მსოფლიოში ევროკავშირის, ჩინეთისა და ინდოეთის შემდეგ, ხოლო უკრაინა მეცხრე ადგილზეა შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიისა და პაკისტანის შემდეგ.

დიაგრამა 4. სოიოს წარმოება ქვეყნების მიხედვით 2022 წელს (USDA, 2022)



დიაგრამა 4 გვიჩვენებს, რომ მსოფლიოში სოიოს ძირითად მწარმოებელთა შორისაა რუსეთი და უკრაინა. 2022 წლის მონაცემებით რუსეთი მსოფლიოში მერვე ადგილზე იყო ამ პროდუქტის წარმოების მიხედვით (5,3 მლნ ტონა), ხოლო უკრაინა მე-10 ადგილზე (2,3 მლნ ტონა).

რუსეთი და უკრაინა, ასევე, მსოფლიოში სიმინდის ძირითადი მწარმოებლები არიან. 2022 წლის მონაცემებით ეს ქვეყნები აწარმოებენ შესაბამისად 15,5 მლნ და 19,5 მლნ ტონა სიმინდს (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5. სიმინდის წარმოება ქვეყნების მიხედვით 2022 წელს (USDA, 2022)



რუსეთი და უკრაინა ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების წამყვანი მწარმოებლები და ექსპორტიორებიც არიან მსოფლიოში.

დიაგრამა 6. უკრაინისა და რუსეთის წარმოების წილი სურსათის გლობალურ წარმოებაში 2021 წელს (Ritchie H., 2022)



რუსეთ-უკრაინის ომმა გავლენა მოახდინა ამ ქვეყნებში ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოების დონეზე (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოების ცვლილება უკრაინასა და რუსეთში კონფლიქტის პერიოდში (USDA, 2022)

ქვეყანა		2017-2021 (ათასი ტონა)	2021-2022 (ათასი ტონა)	2022-2023 (ათასი ტონა)	2022-2023 წლის %-ული ცვლილება
რუსეთი	ხორბალი	78,194	75,158	81,500	4
	სოიო	4215	4760	5300	23
	სიმინდი	13,589	15,225	14,500	6
უკრაინა	ხორბალი	27,927	33,007	19,500	-26
	სოიო	4023	3800	2800	-32
	სიმინდი	33,646	42,126	25,000	-21

ცხრილი გვიჩვენებს, რომ კონფლიქტის პერიოდში რუსეთში სოიოს, სიმინდისა და ხორბლის წარმოება გაიზარდა, უკრაინაში პირიქით, ამ კულტურების წარმოება მკვეთრად შემცირდა.

რუსეთსა და უკრაინას მზესუმზირის ზეთის, ხორბლის, ქერისა და სიმინდის წარმოებაში მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უჭირავთ. ორივე ქვეყანა ამ პროდუქტების ექსპორტითაც გამოირჩევა.

დიაგრამა 7. უკრაინისა და რუსეთის ექსპორტის წილი სურსათის გლობალურ ექსპორტში 2020 წელი (Ritchie H., 2022)



დაბალი შემოსავლის ქვეყნები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი უკრაინიდან და რუსეთიდან სურსათის იმპორტზე. მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა გართულდება. კონფრონტაციის გაფართოება, ცხადია, საერთაშორისო ბაზრებზე ამ ორი ქვეყნიდან სავაჭრო ნაკადების მნიშვნელოვან შეფერხებებს და მიწოდების ჯაჭვის შემდგომ რღვევას გამოიწვევს, რაც საბოლოოდ სურსათის ფასებზეც აისახება.

გლობალურ დონეზე სურსათზე ფასების ზრდა 2017-2019 წლებშიც გამოიკვეთა, თუმცა, ამ პერიოდში ფასები შედარებით თანაბარზომიერად და სტაბილურად იზრდებოდა. სურსათზე ფასების შედარებით მკვეთრი ზრდა 2020-2021 წლებში დაფიქსირდა, კერძოდ, ამ ინტერვალში ხორბლისა და სიმინდის ფასები ყოველთვიურად 2.17%-2.59%-ით იზრდებოდა, სოიოზე 1,73%-ით. სასურსათო პროდუქტებს შორის ფასები ყველაზე მეტად ხორბალზე გაიზარდა. ამ პროდუქტზე 2022 წლის მარტის თვეში ფასები 24,53%-ით გაიზარდა, აპრილში 1,85%-ით, მაისში 5,45%-ით. თუ კონფლიქტის პერიოდს სხვა პერიოდთან შევადარებთ, ნათელი გახდება, რომ კონფლიქტის პერიოდში ფასები სურსათზე თითქმის გაორმაგებულია.

დიაგრამა 8. სურსათზე ფასების ცვლილება 2017-2022 წლებში (FAO, 2022)



მონაცემები ადასტურებს, რომ ომმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე, მათ შორის ქართულ ბიზნესზე. საქართველოში კომპანიების 74%-თვის გავლენა უარყოფითია, 12%-თვის ძალიან უარყოფითი, 33%-თვის მდგომარეობა ახლაც არასტაბილურია (BMG, 2022).

ძირითადი პროდუქტების მიხედვით რუსეთსა და უკრაინაზე დამოკიდებულება სურსათზე დეფიციტის მოლოდინს ქმნის. აგროსასურსათო წარმოებაზე კონფრონტაციული გავლენის ნეგატიური პროცესები დღესაც გრძელდება. ასევე, გაჩნდა გარკვეული მოლოდინებიც, თუმცა, ჯერჯერობით უმეტესად პესიმისტური.

დიაგრამა 9. სურსათზე დეფიციტის მოლოდინი (FAO, 2022)



ნეგატიური მოლოდინებისა და გაურკვევლობის შემცირების მიზნით აუცილებელია სექტორთაშორისი სინერგიული ეფექტების გაანალიზება. უპირველესად, კორელაციის განსაზღვრა ენერგეტიკულ და აგროსასურსათო სექტორებს შორის.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა მიერ ჩატარებულია სტოქასტური თეორიული კვლევა სექტორთაშორისი სინერგიის პრობლემაზე, კერძოდ, შესწავლილია ნავთობის ფასებსა და სურსათის ფასების ინდექსებს შორის ურთიერთქმედების შედეგები. მოდელში ნავთობზე ფასი ეგზოგენურ ფაქტორად არის მიჩნეული. ამასთან, მკაცრი აქცენტია გაკეთებული COVID-19-ის ზემოქმედების შედეგებზე. კვლევის შედეგების მიხედვით ნავთობზე ფასის შემცირებასთან ერთად კლების ტენდენცია დაფიქსირდა აგროსასურსათო პროდუქტების ფასებზე, განსაკუთრებით მცენარეულ ზეთზე, ხორცსა და ბიოსაწვავზე (Alghalith, 2010). გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც - ვაჭრობა ეროვნულ ეკონომიკას აკავშირებს გლობალურ ეკონომიკასთან. შედეგად, გლობალურ ეკონომიკაზე ინფლაციის მატება, როგორც წესი, ხშირად იწვევს ქვეყნის შიგნით ფასების ზრდას.

გლობალურ დონეზე ნავთობის ფასებსა და სურსათის ფასების ინდექსის ანალიზისთვის მონაცემები წარმოდგენილია დიაგრამაზე 10.

დიაგრამა 10. სურსათის ფასების ინდექსისა და ნავთობზე ფასის ცვლილების დინამიკა მსოფლიოში (FAO, 2023)



მონაცემების შესწავლამ გვიჩვენა, რომ გლობალურ დონეზე, დინამიკაში სურსათზე ფასების ინდექსის ცვლილება კორელაციაშია ნავთობზე ფასის ცვლილების მიმართ, პოსტპანდემიურ პერიოდში კი გამოკვეთილია ორივე მათგანის შემცირების ტენდენცია.

საქართველოში ურთიერთდაკავშირებულ პროდუქტებზე კორელაციის გამოსავლენად შევისწავლეთ სამომხმარებლო ფასების დეტალური ინდექსი ბენზინზე, პურის ფქვილსა და ხორბლის პურზე (იხ. დიაგრამა 11).

დიაგრამა 11. სამომხმარებლო ფასების დეტალური ინდექსი ბენზინზე, პურის ფქვილსა და ხორბლის პურზე საქართველოში[2]



ბენზინის, ხორბლის პურისა და პურის ფქვილის დეტალური ინდექსების მხრივ საქართველოში ურთიერთდამოკიდებულება შედარებით არათანაბარზომიერია, თუმცა, ძირითადი კორელაცია მაინც იკვეთება. პანდემიის პერიოდში ხორბლის პურზე, პურის ფქვილზე და ბენზინზე ფასების ზრდა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამ პროდუქტებზე ფასების ზრდას. ეს ძირითადად ამ პერიოდში ცხრა ძირითად სასურსათო პროდუქტზე ფასების შენარჩუნებისთვის სუბსიდირების პროგრამის განხორციელებით იყო გამოწვეული (საქართველოს მთავრობის დადგენილება ,,პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2020). პოსტპანდემიურ პერიოდში ბენზინზე ფასების ცვლილების პროცესი გავლენას მოახდენს ურთიერთდაკავშირებული პროდუქტების ფასების კორექტირებაზე.

მოსალოდნელია, რომ სურსათზე ფასები 2022 წელთან შედარებით გაიზრდება 2023 წელსაც, მაგრამ უფრო ნაკლები სიდიდით. 2023 წელს სურსათზე ფასების ზრდას პროგნოზირებენ 7,1%-ით, საშუალოდ 4,2%-დან 10,1%-მდე (USDA,2023). ამასთან, გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: სურსათზე სამომხმარებლო ფასების ინდექსი განსხვავებული აღმოჩნდა იმის მიხედვით, სად შეიძინა მომხმარებელმა სურსათი - სახლიდან გაუსვლელად ან რესტორნებში საკვების მირთმევით, თუ მარკეტებსა და სასურსათო ბაზრებზე გასვლითა და შესყიდვებით.

[2] დიაგრამა აგებულია სამომხმარებლო ფასების დეტალური ინდექსების მონაცემების მიხედვით

მაშასადამე, სურსათზე ფასები ზოგადად ზრდადია. ფასების განსხვავება შეძენის ადგილმდებარეობის მიხედვით ნაწილობრივ განპირობებულია რესტორნებსა და კვების ობიექტებში მომზადებულ და სუპერმარკეტებსა და სასურსათო მაღაზიებში საკვების საცალო ვაჭრობის დანახარჯებს შორის განსხვავებებით.

რუსეთ-უკრაინას შორის ომის გავლენის შეფასების მიზნით, ასევე, ჩატარდა საქართველოსა და რუსეთ-უკრაინას შორის ექსპორტ-იმპორტის ანალიზი. ორივე ქვეყანა საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ექსპორტის მიხედვით რუსეთს მე-4 პოზიცია უჭირავს (12.9%), უკრაინას მე-5 (9.5%). იმპორტში რუსეთი მე-2 პოზიციას იკავებს (11%), უკრაინა მე-7 პოზიციას (4,3%, საქსტატი, 2022).

დიაგრამა 12. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან უკრაინასა და რუსეთში



დიაგრამა 13. აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი საქართვეელოში უკრაინიდან და რუსეთიდან



დიაგრამები აჩვენებს, რომ როგორც ექსპორტში, ასევე, იმპორტში, ომმა გავლენა მოახდინა ამ მაჩვენებლებზე. უკრაინასთან შემცირებულია ექსპრტ-იმპორტის მაჩვენებლები, რუსეთთან კი გაზრდილია.

დასკვნა

კონფრონტაცია პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს აგროსასურსათო წარმოებაზე, განსაკუთრებით ნეგატიურია გავლენა დაბალი შემოსავლის მქონე ან უმუშევარი მომხმარებლის სურსათით უზრუნველყოფაზე. ამასთან, ომით გამოწვეული უარყოფითი გავლენის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები გაცილებით ღრმა და ხანგრძლივია, ვიდრე კონფრონტაციის სხვა სახეობებისა.

დაბალი შემოსავლის ქვეყნები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი უკრაინიდან და რუსეთიდან სურსათის იმპორტზე. ომმა გავლენა მოახდინა საქართველოსთან ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებზეც, უკრაინასთან შემცირებულია ეს მაჩვენებლები, რუსეთთან კი გაზრდილია. კონფრონტაციის გაფართოება საერთაშორისო ბაზრებზე ამ ორი ქვეყნიდან სავაჭრო ნაკადების შეფერხებებს და მიწოდების ჯაჭვის შემდგომ რღვევას გამოიწვევს, შესაბამისად, გართულდება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა. კონფრონტაციის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კვლავ სასურსათო უსაფრთხოება დარჩება. ძირითადი პროდუქტების მიხედვით რუსეთსა და უკრაინაზე დამოკიდებულება სურსათზე დეფიციტისა და ფასების ზრდის მოლოდინს ქმნის. აუცილებელია მოკლევადიან პერიოდშივე სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის გაგრძელება და სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების ამოქმედება. უპირველესად, საჭიროა ხორბლის წარმოების ზრდის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციის გზების განსაზღვრა და სხვ.

აგროსასურსათო წარმოებაზე კონფრონტაციული გავლენის ნეგატიური პროცესები დღესაც გრძელდება. გრძელვადიან პერიოდში სექტორის მდგრადი განვითარებისთვის მიზანშეწონილია აგროსასურსათო წარმოებაში ინვესტიციების გადატანის მექანიზმების შემუშავება, სამთავრობო პოლიტიკის პრიორიტეტების ცვლილება მოსალოდნელი სცენარების მიხედით.

გამოყენებული ლიტერატურა

არჩვაძე ი. (2022). რუსეთ-უკრაინის ომს სამხედრო-პოლიტიკურთან ერთად არანაკლები ეკონომიკური და ფინანსური ასპექტიც გააჩნია. 27 მარტი. 2022. https://www.timer.ge/ruseth-ukrainis-oms-samkhedro-politikurthan-erthad-aranaklebi-ekonomikuri-da-pinansuri-aspeqtic-gaachnia-archvadze/

კოღუაშვილი პ., არჩვაძე ი., ჩიხლაძე ნ., (2022). სასურსათო უშიშროება - ეროვნული უშიშროების საფუძველი. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 109-125. http://economicprofile.org/article/1314

პაპავა ვ. (2010). ნეკროეკონომიკის ზომბირება. https://tsu.ge/data/file_db/library/papava_zombireba.pdf

პაპავა ვ. (2010). ომის შემდგომი საქართველოს ეკონომიკა: ახალი გამოწვევები და ძველი შეცდომები. წიგნში: საქართველო – 2009. ომის შემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები.

პაპავა ვ. (2022). ომი და ეკონომიკა. ,,კვირის პალიტრა“, 03 სექტემბერი. https://kvirispalitra.ge/article/95701-omi-da-ekonomika/

პაპავა ვ. (2022). პანდექსიტის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები. https://gfsis.org.ge/files/library/pdf/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%

E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-
%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%
E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-3191.pdf

პაპავა ვ. (2022). რუსეთი უკრაინაში შეჭრის პარალელურად სასურსათო ომსაც აწარმოებს - რა ემუქრება მსოფლიოს სასურსათო უსაფრთხოებას და როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ? https://www.ambebi.ge/article/274457-ruseti-ukrainashi-shechris-paralelurad-sasursato-omsa/

საქართველოს მთავრობის დადგენილება ,,პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (2020). https://matsne.gov.ge/ka/document/view/4832948?publication=0

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2022), საქართველოს საგარეო ვაჭრობა. https://www.geostat.ge/media/43309/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90---2022-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98.pdf

მოლინეუსი ს. (2022). რამდენად შემცირდება საქართველოს ეკონომიკური ზრდა? https://bm.ge/ka/article/germany-to-fully-cut-russian-hydrocarbon-dependence-by-autumn/105336

ურსულა ფონ დერ ლაიენი (2022). ვლადიმერ პუტინის აგრესიას ევროპის ფარგლებს გარეთაც აქვს შედეგები - კრემლის ომი საფრთხეს უქმნის სასურსათო უსაფრთხოებას მთელ მსოფლიოში. https://www.interpressnews.ge/ka/article/702097-ursula-pon-der-laieni-vladimer-putinis-agresias-evropis-parglebs-garetac-akvs-shedegebi-kremlis-omi-saprtxes-ukmnis-sasursato-usaprtxoebas-mtel-msoplioshi/

ხადური ნ. (2009). „ომის შემდგომი საქართველოს ეკონომიკური საფრთხეები“. ჟურნალი “ეკონომისტი”, #4. 2009. ლინკი: https://documents.pub/document/2-0-0-9-j-aoeekonomistia-4-1-udc33-e-e-49-paata-gugusvilis-ekonomikis-instituti.html?page=16

ხარაიშვილი ე., ლობჟანიძე ნ. (2022), „აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა: გამოწვევები და შესაძლებლობები COVID -19 პანდემიის პირობებში“, უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,COVID 19 პანდემია და ეკონომიკა“, თბილისი. https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20konferencia.pdf

Adelaja A., J. George (2019). '*Effects of conflict on agriculture: Evidence from the Boko Haram insurgency'.* Article retrieved from - https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0305750X19300166

Alghalith M. (2010), 'The interaction between food prices and oil prices'. Energy Economics 32(6):1520-1522. Retrieved from - https://www.researchgate.net/publication/227415061_The_interaction_between_food_prices_and_oil_prices

Alejandra M., Arias A., Ibáñez M., Zambrano A., (2013), 'Agricultural Production amidst Conflict: The Effects of Shocks, Uncertainty and Governance of Non-State Armed Actors'. Retrieved from - https://web.worldbank.org/archive/website01589/WEB/IMAGES/ANDRES-2.PDF

Arias J., Ruiz C., Castellano S., Sáenz D., Salazar E. (2023), 'The Russia-Ukraine conflict and its impact on agrifood systems'. Retrieved from - https://blog.iica.int/en/blog/russia-ukraine-conflict-and-its-impact-agrifood-systems

BMG (2022). რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ეკონომიკაზე (BAG ინდექსი). https://bm.ge/ka/article/bag-indeqsi-ruset-ukrainis-omis-gavlena-gamokitxuli-kompaniebis-74-stvis-uaryofiti-agmochnda/112106

EMEDIEGWU L. (2022). 'How is the war in Ukraine affecting global food security?' Retrieved from - https://www.economicsobservatory.com/how-is-the-war-in-ukraine-affecting-global-food-security

Fadare O., Zanello G., Srinivasan Ch. (2022). 'The joint effects of terrorism and land access on livestock production decisions: Evidence from northern Nigeria' . Article retrieved from - https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2452292922000558

FAO (2019). 'Nutrition, Food Systems & Conflict'. Retrieved from - https://www.fao.org/3/ca5222en/CA5222EN.pdf

FAO (2021). 'Agricultural Trade & Policy Responses During the First Wave of the COVID-19 Pandemic in 2020'. Retrieved from - https://www.fao.org/3/cb4553en/cb4553en.pdf

FAO (2022). 'Monitoring food security in food crisis countries with conflict situations A joint FAO/WFP update for the members of the United Nations Security Council'. Retrieved from - https://www.fao.org/3/cc0338en/cc0338en.pdf

FAO (2022). 'Russia's restrictions on imports of agricultural and food products: An initial assessment'. Retrieved from - https://www.fao.org/fsnforum/resources/reports-and-briefs/russias-restrictions-imports-agricultural-and-food-products-initial FAO (2022), 'UKRAINE: Note on the impact of the war on food security in Ukraine'. Retrieved from - https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/cb9171en.pdf

FAO (2023), 'FAO Food Price Index'. Retrieved from - https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/

Gyimah-Brempong K., Marva E. Corley (2005), 'Civil Wars and Economic Growth in Sub-Saharan Africa. Journal of African Economies', vol. 14, issue 2, 270-311. Article retrieved from - https://econpapers.repec.org/article/oupjafrec/v_3a14_3ay_3a2005_3ai_3a2_3ap_3a270-311.htm

Headey D., Heidkamp R., Osendarp S., Ruel M., Scott N., Black R. (2020). 'Impacts of COVID-19 on childhood malnutrition and nutrition-related mortality', Volume 396, Issue 10250. Retrieved from - https://doi.org/10.1016/S0140-6736(20)31647-0

Hsiang M. et al. (2013), 'Quantifying the Influence of Climate on Human Conflict'. Retrieved from - https://gspp.berkeley.edu/assets/uploads/research/pdf/Hsiang_Burke_Miguel_2013.pdf

Kaila H., Azad A. (2023), 'The effects of crime and violence on food insecurity and consumption in Nigeria'. Article retrieved from - https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0306919223000027

Kergna at al. (2014), 'The Impact of Conflict and Political Instability on Agricultural Investments in Mali and Nigeria'. Retrieved from - HTTPS://WWW.BROOKINGS.EDU/RESEARCH/THE-IMPACT-OF-CONFLICT-AND-POLITICAL-INSTABILITY-ON-AGRICULTURAL-INVESTMENTS-IN-MALI-AND-NIGERIA/

Kharaishvili E., Erkomaishvili G., Chavleishvili M. (2015). 'Problems Faced by the Agricultural Sector and Agribusiness Development Strategy in Georgia'. International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering, N9, 11.

Kharaishvili E., Lobzhanidze N. (2022). 'Preliminary Impacts of the Covid-19 Pandemic on Agri-Food Trade: Challenges and Development Scenarios (Case of Georgia)'. Globalization and Business. 13, 41-50. Retrieved from - https://doi.org/10.35945/gb.2022.13.006

Koguashvili P., Chikhladze N. (2019). *'Cereals as Guarantor of Food Sovereignty'.* Retrieved from - https://www.researchgate.net/profile/Niko-Chikhladze/publication/343821413_CEREALS_AS_GUARANTOR_OF_FOOD_SOVEREIGNTY/links/5f42bcc5299bf13404ebd9f7/CEREALS-AS-GUARANTOR-OF-FOOD-SOVEREIGNTY.pdf

Ksoll Ch., Macchiavello R., Morjaria A. (2010). 'The Effect of Ethnic Violence on an Export-Oriented Industry'. Retrieved from - https://econpapers.repec.org/paper/cprceprdp/8074.htm

Lu Ch. (2022). 'Russia's Invasion Unleashes 'Perfect Storm' in Global Agriculture'. Report retrieved from - https://foreignpolicy.com/2022/03/24/russia-war-ukraine-food-crisis-wheat-fertilizer/

Messer E. Cohen Marc J., D'Costa J. (1998). Food from peace: breaking the links between conflict and hunger'. Retrieved from - https://ideas.repec.org/p/fpr/2020dp/24.html

Nasir, M.A.; Nugroho, A.D & Lakner, Z. (2022). Impact of the Russian–Ukrainian conflict on global food crops. 1(2), 11-29.

Ritchie H. (2022), 'How could the war in Ukraine impact global food supplies?' . Retrieved from - https://ourworldindata.org/ukraine-russia-food

United States Department of Agriculture (2022). USDA Database. Available online: https://www.usda.gov/topics/data

UNSC, Resolution 2417 (2018), Adopted by the Security Council at its 8267th meeting, on 24 May. Retrieved from - https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N18/159/35/PDF/N1815935.pdf?OpenElement

USDA (2023). 'Summary Findings. Food Price Outlook, 2023'. Retrieved from - https://www.ers.usda.gov/data-products/food-price-outlook/summary-findings/

Verwimp P. (2012), '*Food Security, Violent Conflict and Human Development: Causes and Consequences'*. Retrieved from - https://econpapers.repec.org/paper/racwpaper/2012-016.htm

World Health Organization (2022). *Emergency in Ukraine. External Situation Report #4, published 24 March 2022, corrections added 28 March Reporting period: 17–23 March 2022.* Retrieved from - https://www.who.int/publications/i/item/emergency-in-ukraine-external-situation-report-4-published-24-march-2022-reporting-period-17-23-march-2022

Impact of Confrontation on Agro-Food Production: Uncertainties and Expectations

Eter Kharaishvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
eter.kharaishvili@tsu.ge

Summery

The paper assesses confrontation as one of the main challenges of modernity affecting social relations, economic development, food security, political activities and other issues. Determining ways to reduce the negative impact of confrontation is considered an important condition for achieving the goals of sustainable development of agro-food production and food security. The article discusses the types of confrontation, analyzes the opinions of scientists, and substantiates that the shocks caused by the confrontation have a direct and indirect effect on production. Food security at the global level is assessed according to the levels of phases (IPC/CH), the number of people in food crisis is analyzed according to the causes of the crisis. It was revealed that the crisis caused by the conflict affects the majority of the population. In order to evaluate the impact of the war between Russia and Ukraine on agro-food production, the indicators of the production of several basic food products in Russia and Ukraine were studied and conclusions were drawn on the trends formed during the conflict. The article analyzes the indicators of the production of basic food products in Ukraine and Russia, their share in the global food production is estimated. Also, the export volume of basic food products from these countries is given and their share in the global food export volume is determined. The paper presents the export of agro-food products from Georgia to Ukraine and Russia, as well as the import of agro-food products from Ukraine and Russia to Georgia. The conclusion is made that the export-import indicators with Ukraine have decreased, while with Russia the mentioned indicators have increased. The paper provides conclusions on the consequences of the negative impact of the confrontation on agricultural production, recommendations on ways to overcome uncertainty caused by conflicts and define expectations are developed.

Keywords: Confrontation, agro-food production, direct and indirect impact, uncertainty, expectation.

ციკლები და ფრაქტალები საქართველოს მაკრო-ეკონომიკურ სისტემაში

არჩილ ფრანგიშვილი
საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,
პროფესორი, ტ.მ.დ.,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
a_prngi@gtu.ge

თამაზ ობგაძე
ტ.მ.დ.,პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
t.obgadze@gtu.ge

გიორგი ღავთაძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინური
კვლევითი კლასტერის ხელმძღვანელი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
george.gavtadze@atsu.edu.ge

მაია შევარდენიძე
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
m.shevardenidze@gtu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-56-67

ანოტაცია. *ნაშრომში შესწავლილია ეკონომიკური ციკლების არსებული კონცეფციები და ევოლუციის ფაზები. ჩატარებულია არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, რის გაზაზეც შემოთავაზებულია ციკლების შესწავლის ახალი კონცეფცია, რაც დამყარებულია შესაბამისი მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლების დროითი მწკრივების ფრაქტალურ ანალიზთან და ჰერსტის მაჩვენებლების მნიშვნელობის მიხედვით, მათი პერსისტენტულობის დადგენასთან. შედგენილია მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლების დროითი მწკრივების ფრაქტალური ანალიზის ალგორითმი და შესაბამისი პროგრამა, კომპიუტერული პაკეტის Mathcad - ის გაზაზე. შემუშავებული პროგრამის საშუალებით საქართველოს მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის გათვლილია ფრაქტალური სტრუქტურის მაჩვენებლები და ჩატარებულია შესაბამისი ციკლების სტრუქტურული ანალიზი, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დროითი მწკრივები, არის პერსისტენტული, მდგრადი ტრენდით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ არ იქნება სოციალურ-პოლიტიკური რყევები და ვალების გაზრდა, საქართველოს ეკონომიკურ სისტემას აქვს შემდგომი ზრდის პოტენციალი.*

საკვანძო სიტყვები*: ეკონომიკური ციკლი, ფრაქტალური ანალიზი.*

შესავალი

გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკის სფეროში, დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების დინამიკის წარსულის, აწმყოსა და მომავლის სისტემურ კვლევასთან. ასეთი ინფორმაციის მისაღებად, აუცილებელია ყოველმხრივ იქნას შესწავლილი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განმსაზღვრელი დინამიკური მახასიათებლები და მათი ცვლილების ტენდენციები. განვითარებისას, ეკონომიკა გადის აღმავლობის და დაცემის ეტაპებს, რაც განპირობებულია ეკონომიკის განვითარების ზოგადი კანონზომიერებებით. აქედან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარება უნდა განვიხილოთ, როგორც ერთიანი ციკლური პროცესი.

ციკლურმა რხევითმა პროცესებმა უკვე ორი საუკუნეა, რაც მეცნიერ-ეკონომისტთა ყურადღება მიიპყრო.

სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ევოლუციისას, თითქმის პერიოდულად წარმოქმნილმა კრიზისებმა და დეპრესიებმა განაპირობა ციკლების წარმოშობის მიზეზებისა და განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლის აუცილებლობა. ციკლების შესწავლისას მრავალი მიდგომა და მეთოდი იქნა გამოყენებული, თუმცა, ციკლური განვითარების ახალმა ტენდეციებმა და ახალმა მათემატიკურმა მეთოდებმა, დღის წესრიგში დააყენა არსებული მეთოდების და თეორიების შემდგომი გააზრება და ახალი მოდელების შემუშავება.

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკისათვის, ციკლების დინამიკის შესწავლა, სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ამოცანაა. XX საუკუნის ბოლოს, საქართველომ განიცადა სახელმწიფო გადატრიალება, რამაც მთლიანად გაანადგურა ეკონომიკა და მოშალა ქვეყნის განვითარება. გაძარცვულ იქნა წარმოების იარაღები და საშუალებები. მოიშალა სახელმწიფო ინსტიტუტები. XXI საუკუნემ კი მოიტანა ახალ კაპიტალისტურ ცხოვრების წესზე გადასვლა, რისთვისაც ქვეყანა მოუმზადებელი აღმოჩნდა და შესაბამისად, ჩამოყალიბდა კლანური მმართველობის წესი, წარმოებების დიდი ნაწილი ხელში ჩაუვარდათ კრიმინალურ ძალებს, რომელთაც კლანური მართვის უნარები ქონდათ, თუმცა, ბიზნესის წარმოების გამოცდილება - არა. მოგვიანებით, ქვეყანა აღმოჩნდა გლობალური მმართველობის ქვეშ და მიმდინარეობს ქვეყნის ეკონომიკის კოლონიალური მმართველობა.

ქვეყანაში განადგურებულია სოფლის მეურნეობა და განათლების სისტემა. ეკონომიკა დამყარებულია ტურიზმზე და მიგრანტებისგან გადმორიცხულ ფულად რესურსებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან და სხვა ფინანსური ორგანიზაციებისაგან აღებული ვალები მატულობს და ტვირთად აწვება ბიუჯეტს. ქვეყნიდან მასიურად ხდება ახალგაზრდა, შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება. იზრდება მოსახლეობის საშუალო ასაკი, რაც განაპირობებს ბიუჯეტში საპენსიო ხარჯების პროცენტულ ზრდას.

ქვეყნის განვითარებას, ასევე, აფერხებს გლობალიზმის ცენტრებიდან მართული და დაფინანსებული ოპოზიციის ნაწილი. გამომდინარე აქედან, მთავრობა იძულებულია დრო და ენერგია ხარჯოს არა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე, არამედ, გარედან ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობების დაძლევაზე. ამ სიტუაციაში, აუცილებელია: ქვეყნის მტრული ძალებისგან განთავისუფლება, ეკონომიკის მართვის თანამედროვე მეთოდების სრულყოფა და ახალი მიდგომების დანერგვა, რასაც ემსახურება ჩვენი მოკრძალებული მცდელობა.

ეკონომიკური ციკლების პრობლემის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. ციკლური განვითარების თეორიამ მიიპყრო მრავალი მეცნიერის ყურადღება. მოკლევადიან ციკლებზე, განსაკუთრებული ყურადღება იყო დათმობილი ა. ბიორნისის, ჯ. კიტჩინის, უ. მიტჩელის და ე. ჰენსენის (ობგაძე, კიკვაძე, 2023: 18) შრომებში. საშუალო ხანგრძლივობის ციკლებზე შრომებს საფუძვლად დაედო კონცეფციები, რომლებიც შეიმუშავა კ. ჟუტლიარმა და კ. მარქსმა. გრძელი ტალღების კონცეფციის შემუშავებაში დიდი როლი აქვს ნ. კონდრატიევს, რომლის შრომებიც გააგრძელეს ს. კუზნეცმა და ი. შუმპეტერმა. თუმცა, ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურების ახალგაზრდობის გამო, ჩვენ არ გვაქვს მონაცემები ათეული წლების წინანდელი GDP-ს შესახებ, რომ საგნობრივად ვიმსჯელოთ კონდრატიევის გრძელი ტალღების შესახებ.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ეკონომიკური ციკლებისა და კრიზისების შესახებ კვლევების რაოდენობა გაიზარდა. ამ თემატიკას მიუძღვნეს შრომები შემდეგმა ავტორებმა: ა. აფტალონი, ტ. ვებლენი, უ. გერშელი, ჯ. გობსონი, ტ. მალთუსი, გ. მურა, ჩ. ჰარდი, ვ. პარეტო, პ. სამუელსონი, ჯ. ჰიკსი, თ. ობგაძე, ა. ფრანგიშვილი, ნ. თუშიშვილი, ნ. ბიჩენოვი (ობგაძე, კიკვაძე, 2023: 20) და ა.შ. მათ შრომებში განისაზღვრა ეკონომიკური ციკლების მიზეზები და მახასიათებლები. შემოთავაზებული იქნა შესაბამისი მათემატიკური მოდელები.

კვლევის მიზანია, ჩვენი ქვეყნის მაკრო-ეკონომიკური სისტემის თეორიულ-ეკონომიკური მოდელებისა და მონაცემთა ფრაქტალური ანალიზის ბაზაზე, შევისწავლოთ საქართველოს მაკრო-ეკონომიკიური ციკლურობის მახასიათებლების დინამიკა, კრიზისული ეტაპების ვადები და მათი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ამ მიზნების გადასაწყვეტად, უნდა ამოვხსნათ შემდეგი ამოცანები:

- განვსაზღვროთ ეკონომიკური ციკლის წარმოშობის ისტორიულ-ეკონომიკური პირობები. შევისწავლოთ ეკონომიკური ციკლების განვითარების ეტაპები, ამოვხსნათ ციკლის ტიპის და ფაზის იდენტიფიკაციის ამოცანა;
- განვსაზღვროთ მონაცემთა დროითი მწკრივების ფრაქტალური ანალიზის ეტაპები და შევადგინოთ შესაბამისი ალგორითმი;
- ჩავატაროთ საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკის ფრაქტალური ანალიზი. განვსაზღვროთ პერსისტენტულობის ხარისხი. აგებული მოდელი მივუყენოთ საქართველოს მაკროეკონომიკური პარამეტრების დინამიკის ემპირიულ მონაცემებს. ჩამოვაყალიბოთ მაკრო-დინამიკური განვითარების ტრაექტორიის ციკლურობის ეკონომიკური ხასიათის ბუნება;
- დავადგინოთ საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში და შევთავაზოთ მართვის მექანიზმები ციკლური განვითარების იმპერატივის გათვალისწინებით, პოსტკრიზისული ზრდისათვის, თანამედროვე პირობებში;

ციკლები მაკრო-ეკონომიკურ სისტემებში

ეკონომიკური ციკლები საბაზრო ეკონომიკის თანამდევი პროცესია. აქ საქმე გვაქვს საქმიანი აქტივობის ზრდასა და დაცემის მონაცვლეობასთან, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, საბაზრო კონიუნქტურის ექსტენსიურ ზრდასთან, განსაკუთრებით კრიზისის შემდეგ ეკონომიკურ ზრდასთან. ციკლური მოძრაობის ეპიცენტრი ეკონომიკურ კრიზისშია, როდესაც მიღწეულია დაცემის ქვედა დონე

და წარმოიქმნება ეკონომიკური ზრდის იმპულსი. ამგვარად, კრიზისი მიუხედავად გამანადგურებელი შედეგებისა, იძლევა შემდგომი ინტენსიური განვითარების ბიძგს და წარმოადგენს ეკონომიკის თვითრეგულირების მაგალითს.

სოციალურ-ეკონომიკურ ციკლურ პროცესებზე განსაკუთრებული გავლენა აქვს ინვესტიციების დინამიკას. კრიზისი წარმოადგენს მასიური კაპიტალდაბანდებების საწყის ბაზას, რადგან ამ დროს ხდება ძირითადი კაპიტალის გაუფასურება და დღის წესრიგში დგება საწარმოო ტექნიკური ბაზის განახლების აუცილებლობა, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს საწარმოო დანახარჯები და გაიზარდოს მოგება. ამრიგად, კრიზისი აძლევს ბიძგს სისტემას, რათა ის გადავიდეს ახალ, უფრო მაღალ ფაზაში ვიდრე იყო. ასე, რომ კრიზისი უმეტესად, ამთავრებს ინდივიდუალური კაპიტალის ბრუნვას და აძლევს სტარტს, ახალი ბრუნვითი ციკლის დაწყებას. ხდება ძველი ძირითადი კაპიტალის არა მხოლოდ შეცვლა, არამედ განახლებაც. ტექნიკის მორალური ცვეთა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ისეთია, რომ განახლება არაა სინქრონული მთელ ეკონომიკასთან. დამატებით არასინქრონულობას იწვევს კონიუნქტურის ცვლილებაც. აქედან გამომდინარე, რეალური ციკლური პროცესი რთული მოვლენაა, რომელიც განპირობებულია: ძირითადი კაპიტალის ბრუნვით, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით და კონიუნქტურის დინამიკით. შესაბამისად, ციკლის შესასწავლად უნდა გავითვალისწინოთ ყველა ამ ფაქტორის ურთიერთქმედების ხასიათი.

უესლი მიტჩელი წერს, რომ ეკონომიკური ციკლი არის ეკონომიკური მოღვაწეობის პარამეტრების კრებსითი რხევის პროცესი.
ქვეყნის ეკონომიკური მოღვაწეობის კრებსით მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP). ამ მაჩვენებელთან მჭიდროდაა დაკავშირებული დასაქმების მოცულობა. თუ, GDP და დასაქმების მოცულობა ირხევა, მაშინ ჯამური მოთხოვნისა და წარმოების დანახარჯების მაჩვენებლებიც იცვლება. შესაბამისად, იცვლება წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ფასებიც.
ამ პარამეტრების ციკლური ცვლილება ურთიერთგანპირობებულია. ეს განსაკუთრებულად ეხება GDP-ს და დასაქმების მაჩვენებლების დინამიკას. მძიმე დეპრესიიდან გამოსვლისას, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ფასების მცირე ცვლილებისას GDP და დასაქმება დიდი სისწრაფით იცვლება. ეკონომიკის ზრდის ტემპის მაქსიმუმის მიღწევისას კი, ფასები გაიზრდება, ხოლო GDP და დასაქმება მცირედ შეიცვლება. მცირე დროითი პერიოდების განმავლობაში დასაქმება და GDP იცვლება ურთიერთშეთანხმებულად, ხოლო ყოველი ათწლეულის შემდეგ, GDP იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე დასაქმება. ეს გამოწვეულია შრომის ნაყოფიერების ზრდით. პროდუქციის ფასები ნორმალურ პირობებში, ინარჩუნებენ სტაბილურობას, თუმცა, ომისა და პანდემიის პირობებში ფასებიც შესაბამისად იცვლება. ჰანსენს (ობგაძე, კიკვაძე, 2023: 32) მიაჩნია, რომ ამ პროცესს, რომელსაც ციკლებს ვუწოდებთ, უფრო მიზანშეწონილია რომ რხევები ვუწოდოთ, რადგან საქმე გვაქვს არა ზუსტ პერიოდულად განმეორებად პროცესებთან, არამედ, მაკროეკონომიკური განმსაზღვრელი პარამეტრების ტრენდის რხევით დინამიკასთან.

საქმე გვაქვს თითქმის-პერიოდულ რხევებთან, როცა ადგილი აქვს ტრენდების მასტაბილირებელ, ფრაქტალურ რხევას და აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ეკონომიკური ციკლების და ფრაქტალური ანალიზის მეთოდები.

ტინბერგენის აზრით, ეკონომიკური ციკლები შეგვიძლია განვიხილოთ როგორც შემთხვევითი ბიძგებისა და ეკონომიკური სისტემის ურთიერთქმედების მექანიზმი, რომელიც სისტემას აძლევს საშუალებას გადავიდეს სხვა წონასწორულ მდგომარეობაში.

ანალოგიურ აზრს გამოხატავდა რაგნარ ფრიშიც. გარე იმპულსები მოქმედებენ ეკონომიკურ სისტემაზე და იწვევენ ტალღურ ცვლილებებს, იმის მსგავსად, როგორც ქანქარაზე გარე იმპულსის მოქმედებით ქანქარა მოდის რხევით მოძრაობაში (ობგაძე, 2016: 14).

ეკონომიკურ ციკლებს გააჩნიათ მიმდინარეობის სხვადასხვა ფაზა, რამაც დიდი ხანია მეცნიერ-მკვლევარების ყურადღება მიიპყრო.

ჰანსენი ეკონომიკური ციკლის ფაზების შესახებ, განიხილავს ორგვარ მიდგომას: ეს არის ბერნს-მიტჩელის და შუმპეტერის მიდგომა.
ბერნსი და მიტჩელი მიიჩნევენ, რომ ციკლის მაქსიმუმის და მინიმუმის წერტილები წარმოადგენენ ციკლის კრიტიკულ საზღვრებს. ციკლის ყველაზე განგრძობადი ნაწილი შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად:

ა) **ექსტენსიურობის ფაზა** რომელიც გრძელდება მინიმუმიდან მაქსიმუმამდე;

ბ) **შეკუმშვის ფაზა** რომელიც გრძელდება მაქსიმუმიდან შემდეგ მინიმუმამდე.

გარდა ამისა, არსებობს განსაკუთრებული წერტილები - ზედა და ქვედა, რომლებშიც ციკლი მცირე დროის განმავლობაში იმყოფება. ქვედა განსაკუთრებულ წერტილში ხდება სისტემის გააქტიურება და ციკლი მალე გადადის ექსტენსიური ფაზაში. ზედა კრიტიკულ წერტილში სისტემა რეცესიას განიცდის და მალევე გადადის შეკუმშვის ფაზაში.

მაშასადამე, ბერნს-მიტჩელის კონცეფციით ციკლი გადის 4 ძირითად ფაზას: 1. გააქტიურება (revival); 2. ექსპანსია (expansion); 3. რეცესია (recession) და 4. შეკუმშვა (contraction).

შუმპეტერის აზრით, ციკლის საზღვრები უნდა ვეძებოთ არა მაქსიმუმსა და მინიმუმში, არამედ, ციკლის გრაფიკის გადაღუნვის წერტილების მახლობლობაში, მას მიაჩნია რომ ციკლის საზღვრები მდებარეობს წონასწორობის წერტილებთან ახლოს. შუმპეტერის აზრით, ციკლი შედგება ოთხი ფაზისაგან: 1. აყვავების (prosperity); 2. რეცესიის (recession); 3. დეპრესიის (depression) და 4. აღდგენის (recovery).

აყვავების ფაზაში, სანამ სისტემა მიაღწევს მაქსიმუმს, დასაქმება იზრდება, თუმცა ზრდის ტემპი მცირდება. რეცესიის ფაზაში, დასაქმების მოცულობა მცირდება დაჩქარებული ტემპით, სანამ არ მიიღწევა წონასწორობის წერტილი. ამის შემდეგ, სისტემა მიდის დეპრესიისა და აღდგენის ფაზებისაკენ.

როგორც ვხედავთ, ორივე მიდგომა ეკონომიკის თვალსაზრისით ერთნაირი შინაარსისაა და განსხვავდება მხოლოდ „ციკლის ათვლის წერტილით“.

განსაზღვრულ პერიოდში (რამდენიმე წელი ეკონომიკური აქტივობის თანმიმდევრულ აღმავლობას და დაცემას, პერიოდულ რყევებს - ეკონომიკურ ციკლს უწოდებენ. ეკონომიკის ციკლური ხასიათი დამახასიათებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს საბაზრო მენეჯმენტი. ეკონომიკური ციკლები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების გარდაუვალი და აუცილებელი ელემენტია.

ეკონომიკური ზრდა, თავისი ხასიათითა და ფაქტორებით, არაერთგვაროვანი, რთული პროცესია. იგი მერყევია და დაკავშირებულია ეკონომიკის დინამიკის ციკლურობასთან და არაციკლურ

ცვლილებებთან. ეკონომიკური დინამიკა არ არის მხოლოდ აღმავალი პროცესი. მისი ტემპები შეიძლება იყოს ნულოვანიც და უარყოფითიც, ანუ კლებადი. ძირითადი კანონზომიერება არის ზრდის ტენდენცია, რაც ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების ერთ-ერთი პირობა არის.

საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფრაქტალური ანალიზი და ციკლები

განვიხილოთ მოსახლეობის ერთ სულზე გათვლილი GDP - ს შესაბამისი დროითი რიცხვითი $MHPD1$ მწკრივი და ჩავატაროთ მისი ფრაქტალური ანალიზი.
ფრაქტალური ანალიზის ჩასატარებლად გამოვიყენებთ პროგრამულ პაკეტს Mathcad-ს და ჩავატარებთ ფრაქტალურ R/S ანალიზს, რაც საშუალებას მოგვცემს ჰერსტის მაჩვენებელის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები

$$MHPD1 := \begin{pmatrix} 3232.7 \\ 4022.8 \\ 4421.9 \\ 4623.7 \\ 4738.8 \\ 4012.6 \\ 4062.1 \\ 4358.5 \\ 4722.0 \\ 4696.2 \\ 4255.7 \\ 5023.2 \\ 6671.9 \end{pmatrix}$$

$$i := 0..12$$



ნახ.1.მოსახლეობის ერთ სულზე ამერიკულ დოლარებში გაანგარიშებული GDP - ს ციკლური დინამიკა

$$k := 1..12$$

$$MHPD1\%_k := \frac{MHPD1_k - MHPD1_{k-1}}{MHPD1_{k-1}} \cdot 100$$



ნახ. 2. მოსახლეობის ერთ სულზე დაანგარიშებული GDP - ს ზრდის ტემპი, წინა წელთან შედარებით გამოსახული პროცენტებში

როგორც ვხედავთ, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით ეკონომიკის ზრდის ტემპი, ორნიშნა რიცხვით გამოისახა 2021 – 2022 წლებში ცხრილი 1, თუმცა, ეს შედეგია არა მხოლოდ კოვიდისშემდგომი გამოცოცხლების, არამედ, უმუშევარი მოსახლეობის მკვეთრი გადინების ნახ. 3; ნახ. 4.



ნახ. 3. საქართველს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა



ნახ. 4. საქართველოს მოსახლეობის დასაქმების დინამიკის გრაფიკი

ცხრილი 1

MHPD1% =

	0
0	0
1	0
2	24.441
3	9.921
4	4.564
5	2.489
6	-15.325
7	1.234
8	7.297
9	8.34
10	-0.546
11	-9.38
12	18.035
13	32.822

ახლა მივყვეთ ***R/S* ანალიზის ალგორითმს:**

1. გამოვთვალოთ მოსახლეობის სულზე დაანგარიშებული GDP - ს დროითი რიცხვითი მწკრივის საშუალო მნიშვნელობა:

$$MHPD1MAT := \frac{\sum_{i=0}^{12} MHPD1_i}{13} \quad *$$

$$MHPD1MAT = 4526.315$$

2. მწკრივის თითოეული წევრის მნიშვნელობისათვის გამოვთვალოთ საშუალო მნიშვნელობიდან გადახრა:

$$\Delta_i := MHPD1_i - MHPD1MAT$$

$\Delta =$

	0
0	-1293.615
1	-503.515
2	-104.415
3	97.385
4	212.485
5	-513.715
6	-464.215
7	-167.815
8	195.685
9	169.885
10	-270.615
11	496.885
12	2145.585

3. მწკრივის თითოეული წევრის მნიშვნელობისათვის გამოვთვალოთ საშუალო მნიშვნელობიდან Δ_i გადახრის, დაგროვილი $\Delta\Delta_i$გადახრა:

$$\Delta\Delta_0 := \Delta_0 \quad *$$
$$\Delta\Delta_k := \Delta\Delta_{k-1} + \Delta_k$$

$\Delta\Delta =$

	0
0	-1293.615
1	-1797.131
2	-1901.546
3	-1804.162
4	-1591.677
5	-2105.392
6	-2569.608
7	-2737.423
8	-2541.738
9	-2371.854
10	-2642.469
11	-2145.585
12	-0

4. ვიპოვოთ დაგროვილ გადახრებს შორის მაქსიმალური მნიშვნელობა:

$$\max(\Delta\Delta) = -0$$

5. ვიპოვოთ დაგროვილ გადახრებს შორის მინიმალური მნიშვნელობა:

$$\min(\Delta\Delta) = -2737.423$$

6. გამოვითვალოთ დაგროვილ გადახრებს შორის დიაპაზონი ანუ გაქანება:

$$R := \max(\Delta\Delta) - \min(\Delta\Delta) \quad *$$

$$R = 2737.423$$

7. გამოვითვალოთ მოცემული დროითი მწკრივის ელემენტების საშუალო კვადრატული გადახრა:

$$S := \sqrt{\frac{\sum_{i=0}^{12} (\Delta_i)^2}{13}} \quad * \qquad S = 759.093$$

8. ვიპოვოთ ნორმირებული გაქანება R/S ანუ დიაპაზონი:

$$\frac{R}{S} = 3.606$$

9. დროის მოკლე მონაკვეთში მიღებული დროითი მწკრივებისათვის ჰერსტის H კოეფიციენტს ანგარიშობენ შემდეგი ფორმულით:

$$H := \frac{\ln\left(\frac{R}{S}\right)}{\ln\left(\frac{13}{2}\right)} \qquad H = 0.685$$

მოცემული დროითი მწკრივის ფრაქტალური განზომილება იქნება:

$$\boldsymbol{D = 2 - H = 2 - 0.685 = 1.315}.$$

ჩვენი დროითი მწკრივი არის პერსისტენტული, მდგრადი ტრენდით, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არ იქნება სოციალურ-პოლიტიკური რყევები და არ გაიზრდება ვალები, საქართველოს ეკონომიკურ სისტემას აქვს შემდგომი ზრდის პოტენციალი.

საქართველოს ეკონომიკას ახასიათებს ციკლურ-ტალღური ხასიათი, დაბალი ხანგრძლივობის ტალღები, რომლებიც განპირობებულია სხვადასხვა დარგების ურთიერთქმედებით, რაც იწვევს ეკონომიკის ციკლურ განვითარებას. საშუალო სიგრძის ციკლები ვერ ფიქსირდება, რადგან ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა არ ხდება სათანადო ტემპით, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს პოლიტიკური არასტაბილურობა.

დასკვნა

1. საქართველოს ეკონომიკას ახასიათებს **ციკლურ-ტალღური ხასიათი, დაბალი ხანგრძლივობის ტალღები**, რომლებიც განპირობებულია სხვადასხვა დარგების ურთიერთქმედებით, რაც იწვევს ეკონომიკის ციკლურ განვითარებას. საშუალო სიგრძის ციკლები ვერ ფიქსირდება, რადგან ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა არ ხდება სათანადო ტემპით, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს პოლიტიკური არასტაბილურობა;
2. აგებულია GDP-ს, მოსახლეობის რაოდენობის და დასაქმების დონის დროითი მწკრივების, **ფრაქტალური ანალიზის ალგორითმის შესაბამისი პროგრამა Mathcad პროგრამული პაკეტის ენაზე** და ჩატარებულია დროითი მწკრივებისათვის **R/S ანალიზი;**
3. შემუშავებული პროგრამის ბაზაზე ჩატარებულია საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფრაქტალური ანალიზი, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დროითი მწკრივები, არის პერსისტენტული, მდგრადი ტრენდით,** რაც იმას ნიშნავს, რომ **თუ არ იქნება სოციალურ-პოლიტიკური რყევები და ვალების გაზრდა, საქართველოს ეკონომიკურ სისტემას აქვს შემდგომი ზრდის პოტენციალი**.

გამოყენებული ლიტერატურა

ობგაძე თ., კიკვაძე ტ. (2023), შევარდენიძე მ. ციკლები და ფრაქტალები სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში, მონოგრაფია, სტუ, თბ., 128გვ.

ობგაძე თ. (2016), მათემატიკური მოდელირება, მონოგრაფია, სტუ, თბ., 839გვ.

პაპავა ვლ. (2022), პანდექსიტის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები, საქართველოს სტრატეგიისდა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბ., 2022;

Grafton Christopher (2011), Mastering Hurst Cycle Analysis, A modern treatment of Hurst's original system of financial market analysis, Monograph, Harriman House LTD, 364 p., available at: https://www.google.ge/books/edition/Mastering_Hurst_Cycle_Analysis/NQFaK9ODmwEC?hl=en&gbpv=1&dq=Hurst+indicators&pg=PR19&printsec=frontcover

Cycles and Fractals in The Macro-Eco Nomic System of Georgia

Archil Phrangishvili
Academician of the National Academy of Georgia, Doctor of Technical Sciences, professor
Georgian Technical University
a_prngi@gtu.ge

Tamaz Obradze
Doctor of Technical Sciences, Professor of
National University of Georgia SEU,
t.obgadze@gtu.ge

George Gavtadze
Doctor of Economics, Professor
Akaki Tsereteli State University,
Head of Interdisciplinary Research Cluster of Doctoral and Master Students
egeorge.gavtadze@atsu.edu.ge

Maia Shevardenidze
PhD student
Technical University of Georgia,
m.shevardenidze@gtu.ge

Summary

The present concepts of economic cycles and phases of evolution are studied in the work. A critical analysis of the existing literature is carried out, on the basis of which a new concept of the study of cycles is proposed, which is based on the fractal analysis of the time series of the relevant macro-economic indicators and the determination of their persistence according to the value of the Hurst indicators. An algorithm for fractal analysis of time series of macro-economic indicators and a corresponding program have been compiled, based on the computer package Mathcad. Through the developed program, indicators of the fractal structure were calculated for the macro-economic indicators of Georgia, and the structural analysis of the corresponding cycles was carried out, on the basis of which we can conclude that the time series of the macro-economic indicators of Georgia are persistent, with a sustainable trend. This means that if there are no socio-political fluctuations and debt increases, the economic system of Georgia has the potential for further growth.

Keywords: economic cycle, fractal analysis.

სექცია I

მოსალოდნელი გლობალური ცვლილებების ამსახველი გადაწყვეტილებების მიღება ეკონომიკურ პოლიტიკაში

რევაზ გველესიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
revaz.gvelesiani@tsu.ge

ირინე გოგორიშვილი
ეკონომიკის დოკტორი, ასოცირებული პრფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
irine.gogorishvili@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-69-76

ანოტაცია. *ეკონომიკურ პოლიტიკაში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მომზადება დამოკიდებულია იმაზე თუ:*

- *რამდენად კარგად არის ემპირიულად უზრუნველყოფილი მოქმედების შესაძლებლობები და მისი შედეგები, ე.ი. რამდენად რაციონალურია მართვის შესახებ არსებული და მისაღები ცოდნა;*
- *რამდენად ექვემდებარება ანალიტიკურ ახსნას გადაწყვეტილების მიღების პრობლემა (გადაწყვეტილების ლოგიკიდან გამომდინარე).*

მართვის პრაქტიკული ცოდნა, როგორც წესი, მით უფრო შეზღუდულია, რაც უფრო ნაკლებად ითვალისწინებს რეკომენდირებული მოქმედებები ადრინდელ მოღვაწეობას ან მისგან თავის შეკავებას (ე.ი. რაც უფრო დაშორებულია ისინი თეორიულ-ეკონომიკურ გამოცდილებას). გადაწყვეტილების პრობლემის ანალიტიკური წვდომა გაძნელებულია კარგად გააზრებული მოქმედებების კომპლექსურობით. ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების პრობლემის სტატუსისა და დიაპაზონის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის გაცნობიერებული ნაგულისხმევი მოქმედებები, საზოგადოებრივი მდგომარეობის მიზნად დასახული ცვლილებები და განვითარება.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური წესრიგი, ძირითადი ღირებულებები, კრიტიკული და კონსტრუქციული რაციონალიზმი, საზოგადოების და ეკონომიკის გლობალური ცვლილება, შეფასების პრობლემა, გადაწყვეტილების მიღება.*

შესავალი

შეზღუდული თუ ფართომასშტაბიანი ცვლილებების ინდივიდუალური შეფასების კრიტერიუმზე თანხმობა შეიძლება მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევაში გვქონდეს. ამავე დროს კარგად უნდა გვახსოვდეს: ასეთი ვითარება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით მოსულმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ვოლუნტარისტულად მიიღოს. კარგად გააზრებული ცვლილებების ანალიტიკური და ემპირიული ახსნის მახასიათებელს კონტინუუმის

(მთლიანობის) წესი წარმოადგენს. ხშირად შესაძლებლობათა სფეროს ერთ მხარეზეა ცვლილებები, რომელთა შესახებ:

- შეფასებები არ გაგვაჩნია;
- მათ შორის არსებულ ურთიერთკავშირზე თეორიული ცოდნა არ გვაქვს;
- ემპირიულ ინფორმაციასაც მოკლებული ვართ.

შესაძლებლობათა სფეროს მეორე მხარეს კი აუცილებლად გვაქვს არგუმენტირებადი და შეფასებას დაქვემდებარებული ცვლილებები, რომლებიც გადაწყვეტილების მომზადების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ცოდნასთან დაკავშირებით აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტილების თეორიის საზღვრებშია, იმ პრობლემებისგან, რომლებიც ამ საზღვრებში არ შედის. პრობლემების პირველი კატეგორია დომინირებს რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური პოლიტიკის ყოველდღიურ ,,რუტინაში". ამასთან, ცოდნის დონე ერთგვაროვანი არ არის. ისიც შესაძლებელია, რომ გაცნობიერებული ცვლილებები შეფასებებში დაშვებული ცდომილებების შედეგებად მივიღოთ. რაც შეეხება გლობალური მასშტაბის ცვლილებებს, ისინი შედარებით იშვიათია. ამგვარი ცვლილებების მაგალითია საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის შეცვლა. ზოგადად, განსხვავებულად ფასდება, როგორც ასეთი ცვლილებები, ისე ის როლი, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკა რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში თამაშობს. იგულისხმება, რომ ეკონომიკა, როგორც სოციალური ქვესისტემა შესაძლებლობათა ერთობლიობაა, რომელიც საზოგადოების განვითარების მიზნებზეა ორიენტირებული.

ეკონომიკური წესრიგის შეცვლის შემთხვევაში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ:

- ევოლუციური სისტემების ფორმირების მიზანზე ორიენტირებულ შესაძლებლობათა სკეპტიკური შეფასება, რომელიც გულისხმობს საზოგადოებას კრიტიკული რაციონალიზმის ინდივიდუალური პერსპექტივის თვალსაზრისით, და
- ასეთ შესაძლებლობათა ფორმირების ოპტიმისტური შეფასება, კონსტრუქციული რაციონალიზმის პოზიციიდან, როცა იგი საზოგადოების შესახებ კოლექტიურ შეხედულებას უკავშირდება.

გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პრობლემა

ლოკალური პრობლემების გადაჭრა ძირითადად ორიენტირებულია საზოგადოებრივ სისტემათა ფუნქციონირების წინანდელ გამოცდილებაზე. იგი გულისხმობს ექსპერიმენტულ თუ თანმიმდევრულ ცვლილებებს. ამის გათვალისწინებით უმჯობესია ის პრობლემები განვიხილოთ, რომლებიც ანალიტიკურად და ემპირიულად გადაწყვეტილების რაოდენობრივი მოდელის გამოყენების საშუალებას გვაძლევს. ამასთან სასარგებლოა შემოწმდეს რა შედეგებსა და სანდოობის რა დონეს უნდა ველოდოთ გადაწყვეტილების მოდელების საფუძველზე მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიზნით განხორციელებული მოქმედებებიდან.

გადაწყვეტილების ველის შესახებ ცოდნას საფუძვლად ისეთი ემპირიულ-მეცნიერული მოდელი უდევს, რომელიც სტაბილიზაციის კვანტიფიცირებად გამოცდილებას ეფუძნება. ამ მოდელის საფუძველზე პროგნოზები მოქმედების შესაძლო შედეგებზე უკვე არსებული გამოცდილებიდან გამომდინარეობს. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ ცვლადების ამგვარი ვარიაციები შეზღუდულია, ვინაიდან ისინი წარსულში განხორციელებულ დაკვირვებებზეა ორიენტირებული. შეფასებებიც (მხარდაჭერის არეალი) ასეთ დაკვირვებებს ემყარება. გასააზრებელი ცვლილებების მასშტაბი ნათელი

გახდება თუ მულტიპლიკატორებში იმ პარამეტრებს შევიტანთ, რომლებიც გამარტივებულ მოდელში გვაქვს. საქმე ეხება ძირითადი ცვლადების ცვალებადობის ზღვრულ მულტიპლიკატორულ ეფექტს, რომელიც უკეთეს შემთხვევაში ცდაზე დამყარებული ალბათობით გამოიხატება. სხვა მხრივ, საუბარია მხოლოდ პირველი პერიოდის ეფექტზე. თუმცა მოდელის საფუძველზე შესაძლებელია გრძელვადიანი შედეგების (ე.წ. დინამიკური მულტიპლიკატორები) გამოყვანაც. მოქმედების შედეგთა ფორმულირების თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ დროთა განმავლობაში ახალი გამოცდილება გროვდება. რაციონალური პროცედურა მოითხოვს, რომ მოდელის სტრუქტურის შემოწმებისას ახალი შეფასებებიც გამოვიყენოთ. ამ დროს შესამჩნევი ხდება თუ რაოდენ ძნელია ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიების ანალიტიკური შეფასება და მათი ფორმულირება. საქმეს ისიც ართულებს, რომ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობის პროცესში შესაძლებელია შეიცვალოს, როგორც ქცევის წესები (მაგ., შეზღუდული რაციონალური მოლოდინის შემთხვევაში), ისე მისი შეფასებები.

როგორ უნდა შეფასდეს პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა? ხელსაყრელ შემთხვევაში იგი მხოლოდ უმნიშვნელო ცვალებადობის შეფასების საშუალებას გვაძლევს. შესაძლოა აგრეთვე, რომ იგი უამრავი ერთდროული მოქმედებისაგან(ინსტრუმენტთა ცვალებადობა) შედგებოდეს. მოქმედების შესაძლებლობათა რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არის გაანალიზებული გადაწყვეტილების ველი და თანმხლები პირობების გათვალისწინებით შეფასებული გადაწყვეტილების მიღების წესი.

ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ არის კვანტიფიცირებადი, საეჭვოა, რომ მისი გადაჭრის მცდელობა რაციონალურობის კრიტერიუმს ანგარიშს უწევდეს (რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების მიღების პრობლემა მაქსიმალურად დასაბუთებული ანალიზის საგნად უნდა იქცეს). გარდა ამისა, მოდელი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკის წარსულში ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირების შესახებ. გამოცდილების საზღვრები ცვლილებას განიცდის ისეთი ინოვაციების შედეგად, როგორიცაა მაგ., ინსტრუმენტარიუმის რაოდენობრივი ზრდა ანდა კომპეტენციების ცვლილება. აუცილებელია მათი შეფასებაც. ამგვარი შესაძლებლობის უარყოფა კონსერვატული მიდგომაა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის მხოლოდ ადრინდელ პრაქტიკას მიესადაგება. ასეთი მოდელის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ზედაპირული იქნება. ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობათა არარაციონალურ შეფასებასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა უგულებელყოფილია გადაწყვეტილების მიღების საზღვრები. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრობლემის გადაწყვეტისას არსებული ცოდნა უნდა გამოვიყენოთ, რომელიც ასეთი ცოდნის საზღვრების ცოდნასაც გულისხმობს (Popper, 1957a/99, გვ. 64).

შემეცნებითი ინფორმაციის (ცოდნის) საზღვრების შესახებ ცოდნა შემდეგი მოთხოვნის წინაშე გვაყენებს:

- საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესებიდან გამომდინარე ნებისმიერი ლოკალური ცვლილება მაქსიმალურად სისტემურად უნდა გავიაზროთ და
- როგორც გადაწყვეტილების მომზადების პროცესის ორგანიზება, ისე მასზე ორიენტირებული მთელი ძალისხმევა, ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზსა და მის შესახებ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობებს უნდა დაემყაროს (გველესიანი, გოგორიშვილი, 2018, გვ. 200).

ამ მოთხოვნის პირველ ნაწილში ნაგულისხმევი პროცედურა ყველაზე დამაჯერებლად (თანმიმდევრული რეფორმების სოციალური ტექნიკის ფორმულირებით) პოპერმა(1945/95, 1957, გვ.64) ჩამოაყალიბა. მეორე ნაწილი ზემოაღნიშნული სოციალური ტექნიკის პრაქტიკულ გამოყენებას ეხება.

იგივე მცდელობად უნდა მივიჩნიოთ ლინდბლომის(1958; Braybrooke, Lindblom, 1963) მიერ შემოთავაზებული მეთოდი. რომელიც ერთმანეთისაგან იზოლირებულ, თანდათანობითი ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს.

ანალიზისა და შეფასების თვალსაზრისით დეცენტრალიზება იმას ნიშნავს, რომ მაგ., სამინისტროები, საპარლამენტო კომიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები, გაერთიანებები, კომპანიები და კერძო ინდივიდები ერთი და იგივე პრობლემის გადაწყვეტას ცდილობენ. იგულისხმება, რომ ისინი ამ პრობლემას თავიანთი გამოცდილებისა და ინტერესების მიხედვით განიხილავენ და შესაბამის გადაწყვეტას ეძებენ. ამიტომაც, მათი მცდელობები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამავე დროს ისინი ცდილობენ შეამოწმონ სხვების მიერ ჩატარებული ანალიზები და შემუშავებული წინადადებები იმ მიზნით, რომ ისინი გადმოიღონ ან უარყონ. ხელსაყრელ შემთხვევაში სახელისუფლებო სტრუქტურები და სუბიექტები პრობლემის გადაჭარის პროცესში ჩართული პირების ურთიერთკონტროლს ახორციელებენ (Lindblom, 1958,გვ. 306). ცვლილებათა სარგებლიანობისა და ზიანის შესახებ მათ თავიანთი ინტერესების შესაბამისი დასკვნები გამოაქვთ. უნდა ითქვას, რომ ამგვარ მოქმედებათა საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია ყოველთვის უფრო უკეთესია, ვიდრე ის, რომელსაც ერთი საგეგმო ინსტანცია აგროვებს და აფასებს. დემოკრატიული პროცედურის მონაწილეებს, რომლებიც პრობლემას თავიანთი ინტერესების მიხედვით აფასებენ, მისი გადაწყვეტის საკუთარი მეთოდებისა და შეფასებების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა აქვთ. ისინი მოტივირებული არიან, რომ კომპლექსური ანალიზი და შეფასება გააკეთონ. ინფორმაციის ასეთ პოტენციალშია სწორედ ამ პროცედურის უპირატესობა. დეცენტრალიზებული ანალიზი და შეფასება შედარებით წარმატებული მოქმედების საფუძველს გვაძლევს, თუ არ გავითვასწინებთ იმას, რომ ყოველი მონაწილე რაღაც მომენტებს უგულვებელყოფს ან ანგარიშს არ უწევს.

გადაწყვეტილების მიღების მთავარი სიძნელე იმაშია, რომ პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობები გადაწყვეტილების ავტონომიურობის საფუძველზე უნდა იქნეს განხილული. გადაწყვეტილების გლობალური წესის ძიება ამ შემთხვევაში ამაო იქნებოდა. პირიქით, ყველა ცდილობს თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე კონკრეტულ ცვლილებასთან დაკავშირებით უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვოს. უმრავლესობის ორგანიზება კი პოლიტიკის შემოქმედთა ამოცანაა. ასეთი პროცედურის საყოველთაოდ ცნობილი ნაკლოვანებები შემდეგია:

- ამბიციური რეფორმისტული იდეის მოკლევადიანი ჩარევით რეალიზების მცდელობა;
- იმ პირებს, რომლებსაც შეეხო ცვლილება, მას ან არ აქცევენ ყურადღებას ან სათანადოდ არ ითვალისწინებენ.

ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალური ცვლილებების შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება

ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალურ ცვლილებებზე გადაწყვეტილებების მიღება ყოველდღიურად არ ხდება. ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღებთ სიტუაცია უბიძგებს, უფრო იშვიათად კი ისინი გადაწყვეტილებებს შეგნებულად ღებულობენ. 1948 წ. აშშ-ის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელემ (საგარეო საქმეთა მინისტრი J. E. Dulles) – რომელიც ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას გამოხატავდა - სენატის კომიტეტს განუცხადა, რომ გერმანია ევროპის აღორძინების ,,საცობია". ძალზე საკამათო იყო საკითხი იმის თაობაზე თუ როგორ უნდა მომხდარიყო - არა მარტო მსოფლმხედველობრივი ასპექტით - ამ ,,საცობის" თავიდან მოშორება. ანალიტიკური წვდომისა და პრაქტიკული გამოცდილების უქონლობის გამო ამ სიძნელეს სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. გაურკვეველი იყო ის, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ეკონომიკური სისტემის ცვლილებას, რომ არაფერი ვთქვათ მიზნად დასახული ეკონომიკური წესრიგის შეფასებაზე.

მაშინდელი ეკონომიკური სისტემის ცვლილების შესახებ იგივე უნდა ითქვას, რაც სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო-ეკონომიკურ წესრიგზე გადასვლასა და დემოკრატიულ ტრანსფორმაციაზე. დაგროვილი იყო უამრავი გადაუჭრელი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა. ისინი მძიმე ტვირთად აწვებოდა გადაწყვეტილების მიმღებთ და მათ ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალური ცვლილებებისკენ უბიძგებდა. წესრიგის თეორიის ასპექტით ეჭვს არ იწვევს ის, რომ პრობლემები სისტემის მემკვიდრეობას წარმოადგენს. რეალიზებული და ფუნქციონირებადი ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილება მნიშვნელოვან ინფორმაციას არ გვაძლევს იმის თაობაზე, თუ რა გზით უნდა ევლოთ განვითარებად ქვეყნებს და გათვლა რა კონკრეტულ შედეგებზე უნდა გაეკეთებინათ. როგორც თანამედროვე, ისე წარსულში არსებული მდგომარეობა გადაწყვეტილების მიმღების პოზიციიდან მხოლოდ ერთჯერადი მოქმედებების შემთხვევებია და მათ ისტორიული ღირებულება აქვთ. გადაწყვეტილება კი უფრო ინტუიციასა და გამბედაობას ემყარება, ვიდრე სარგებელი-ხარჯების ანალიზსა და ცივი გონებით გაანგარიშებას (Dror, 1964,გვ. 155).

ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალურ გარდაქმნას სხვადასხვა საფუძველი აქვს. ეს იმაზეც არის დამოკიდებული თუ როგორ გავიაზრებთ გარდამავალი პერიოდის პრობლემებს. როცა გლობალური გარდაქმნა გარდაუვალი და სასურველია, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას სიტუაციაზე მორგების ხარჯებსაც ითვალისწინებენ. გერმანელი რეფორმატორი ლუდვიგ ერჰარდი, როცა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და სავალუტო რეფორმისთვის იბრძოდა - ერთობლივ ეკონომიკურ რეკომენდაციებზე დაყრდნობით - 1948 წლის 21 აპრილს წერდა: „ეს საფინანსო-ეკონომიკური რეფორმა შედარებით ადვილი ამოცანა იქნებოდა, მაგრამ ზუსტი გაანგარიშების შემთხვევაშიც კი გაუთვალისწინებელი რჩება უამრავი სოციალური მოთხოვნილება და ეკონომიკური შესაძლებლობა... ამდენად მე, უპირველეს ყოვლისა, იმაში ვარ დარწმუნებული, რომ სავალუტო რეფორმაში აშკარად ნაგულისხმევი მსხვერპლი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა რეფორმებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ტვირთი პატიოსნად არის გადანაწილებული“(Erhard, 1962, გვ.45).

რაც შეეხება უტოპიური სოციალური ტექნიკის წარმომადგენლებს, მათ გარდამავალი პერიოდის პრობლემების მიმართ სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვთ. მათი პოზიცია მსხვერპლს მოითხოვს, რომელიც იმ ხალხმა უნდა გაიღოს, ვისაც რეფორმა ეხება. ცხადია მსხვერპლის ქვეშ ლენინი გულისხმობდა ,,წითელ ტერორს“, რომელმაც მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა. ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისითაც რეფორმები დაკავშირებულია ,,მშობიარობის ტკივილებთან”, რომელიც ახალი წესრიგის დაბადებას თან ახლავს. საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ,,მშობიარობის პერიოდის” შემცირებაა შესაძლებელი.

არსებითი მნიშვნელობა აქვს არა ისტორიული იძულების რწმენას, არამედ კონსტრუქციულ მიდგომასა და ნდობას, იმის მიმართ, რომ შესაძლებელია იდეალის მიხედვით საზოგადოების მოდელირება. არ არსებობს ეჭვი ისეთი საზოგადოებრივი წყობის არსებობის შესახებ, რომელიც მომავალი თაობებისთვისაც დამაჯერებელი იქნება. ამ პოზიციაზე მყოფთ არც იმაში ეპარებათ ეჭვი, რომ შესაძლებელია იდეალის ისეთი სიზუსტით აღწერა, რომ შესაბამისი მიზნები დაიგეგმოს და განხორციელდეს.

ლენინს შესაძლებელია არც ცოდნოდა თუ რაოდენ მწირი და ბუნდოვანია ადამიანების ცოდნა საზოგადოების გლობალური დაგეგმვის შესახებ. საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ აჩვენა, რომ შეუძლებელია სოციალიზმზე გეგმაზომიერი გადასვლა. 1917-1921 წწ. „სამხედრო კომუნიზმი” სხვა არაფერი იყო, თუ არა სრული ეკონომიკური ქაოსი და ბანდიტიზმი. 1921 წელს ლენინის მიერ გამოცხადებული „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა,“ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის დარგში ეკონომიკის კაპიტალისტური ფორმებისადმი ნაწილობრივ მიბრუნებას გულისხმობდა. 1928

წელს კი პირველი ხუთწლედით დაიწყო ახალი პროცესი, რომლის მიზანს წარმოადგენდა: ეკონომიკის ,,განთავისუფლება" კაპიტალისტური გადმონაშთებისაგან და გეგმურ ეკონომიკაზე გადასვლა. არც შემდგომ რეფორმებს მოუტანია საბჭოთა კავშირში ნამდვილი სოციალისტური წყობა. პირველ ათწლეულებში გამოაშკარავდა, რომ გლობალურ განახლებას თან ახლავს უამრავი გაუთვალისწინებელი შედეგი. მათთან გამკლავება კი ძალისმიერი მეთოდებითა და ენთუზიაზმითაც ვერ გახდა შესაძლებელი. სავალდებულო (სანდო) დაგეგმვის ადგილი „დაუგეგმავმა დაგეგმვამ"(Popper, 1957a/99,გვ.69) უნდა დაიჭიროს.

საბოლოო ჯამში ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის გლობალური და გეგმაზომიერი ცვლილების პოზიცია მხარს უჭერს უტოპიური სოციალური ტექნიკის დამკვიდრების მოთხოვნას. ამ პოზიციაზე მყოფნი თვლიან, რომ ძალაუფლება ხელში იმ ძალებმა უნდა აიღონ, რომლებიც ყველას დაუმტკიცებენ, რომ გარდაქმნა არ წარმოადგენს აუცილებლობას, რადგან ისინი საზოგადოებრივი წესრიგის ყოველმხრივი მცოდნენი არიან. ამავე დროს არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ ვინ უნდა გააკონტროლოს პოლიტიკური ძალაუფლების მქონე გაბატონებული ჯგუფები. ამ ჯგუფების მიერ არც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაა კარგად გათვალისწინებული. საზოგადოებისადმი მათი გზავნილი ასე ჟღერს: რჩეულმა ადამიანებმა იციან თუ როგორ უნდა შექმნან მომავლის იდეალური საზოგადოება და შეუძლებელია ისინი ცდებოდნენ. ახალი საზოგადოების შექმნის შესახებ მოსაზრებები კი ძალზე ძველია და ბრძენი ტირანის ბატონობის შესახებ პლატონის შეხედულებებს შეესაბამება.

დასკვნა

იმისათვის, რომ რეფორმები გამოცდილების შესაბამისად განხორციელდეს, აუცილებელია საკმარისად გრძელვადიანი პოლიტიკური მხარდაჭერა. რეალობაში ასეთი მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეუძლებელია. ამომრჩეველთა მოუთმენლობა, შედეგებზე პასუხისმეგებლობის აღებასთან დაკავშირებული სიძნელეები, ოპორტუნისტულად განწყობილი საპარლამენტო ოპოზიცია (ან ხელისუფლება) სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც რეფორმების დროზე ადრე შეწყვეტას ან მოდიფიცირებას განაპირობებს.

თანმიმდევრული რეფორმები არ ჰგავს ექსპერიმენტებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ის მიზეზები, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს საზოგადოების მართვის საზღვრებსაც ცხადყოფს. ამ საზღვრებში იერარქიულად ყველაზე მაღალ საფეხურზე პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებები და უფლებები დგას. ამიტომ შედეგი რაციონალურობის პოსტულატის ამოცანა არ არის. პირიქით, საქმე ეხება თანმიმდევრული რეფორმების პოლიტიკის კონტროლისა და დაცვის დამატებითი დემოკრატიული მეთოდებით უზრუნველყოფას. ეს ხორციელდება იმისათვის, რომ არ დაირღვეს მართვის შესაძლებლობათა საზღვრები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეფემერული კანონმდებლობის შედეგად განხორცილდებოდა სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციათა სერია და დაიკარგებოდა თავისუფლება. ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების თვალსაზრისითაც ფაქტობრივი პროგრესის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. (2018). *გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში.* გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. (2015). ეკონომიკურ–პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები. *ეკონომიკა და ბიზნესი.* VIII (4), 34-45.

DROR, Y. (1964). Muddling Through - ,,Science'' or Inertia? *Public Administration Review* 24, S.153-157.

ERHARD, L. (1962). Deutsche Wirtschaftspolitik – *Der Weg der Sozialen Marktwirtschaft*, Duesseldorf u.a.

LIDBLOM, CH. E. (1958). Policy Analysis. *American Economic Review 48*, S.298-312.

POPPER, K.R. (1945). The Open Society and its Enemies, Vol. 1 – The Spell of Plato, Golden Jubilee Edition, London 1995.

POPPER, K.R (1957a). The Poverty of Historicism, 6. Aufl., Neudruck, London 1999. Ubersetzt in: KIESEWETTER, H. (Hrsg.), Gesammelte Werke 4, Das Elend des Historizismus, 7. durchges. u. erg. Aufl., Tuebingen 2003.

Gvelesiani R., Gogorishvili I. (2014). The Basic Problems for the Realization of the Concept of Economic Policy. *XII International Conference on Economics and Management, International Science Index*. Madid. 8(11), 532-535.

Making decisions in economic policy reflecting expected global changes

Revaz Gvelesiani
Doctor of economic sciences, professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
reavaz.gvelesiani@tsu.ge

Irine Gogorishvili
Doctor of economics, associate professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Irine.gogorishvili@tsu.ge

Summary

The preparation of informed decisions in economic policy depends on:
• to what extent the possibilities of action and its consequences are provided empirically, i.e. how rational is the available and acceptable knowledge about management; and
• To what extent the problem of making a decision lends itself to an analytical explanation (depending on the logic of the decision).
As a rule, knowledge of managerial practice is the more limited the less the recommended actions take into account or refrain from previous work (ie, the more they are removed from theoretical economic experience). Analytical access to the decision problem is complicated by the difficulty of implementing well-understood actions. The assessment of the status and scale of the decision problem in economic policy depends on how the proposed actions, the proposed changes and the development of the situation in society are understood and comprehended.

Keywords: economic order, core values, Critical and constructive rationalism, global change in society and economy, evaluation problem, decision making.

გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენები: გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის

შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
shota.veshapidze@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-77-87

ანოტაცია. *ამ სტატიის ძირითადი მიზანია გლობალიზაციის ამჟამინდელი რეალობის თავისებურებების გაანალიზება, შექმნილი შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება და მისი დაძლევის გზების გამოვლენა. კვლევის ობიექტს შეადგენს როგორც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, ასევე, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური საკითხები და უკრაინის კრიზისი. ნაშრომი ეფუძნება სხვადასხვა ფუნდამენტური ლიტერატურის ანალიზს, სინთეზს, კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებს, გლობალიზაციის ინდექსის შემადგენლებს. ნაშრომი აკეთებს დასკვნებს ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოყენებით. მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ტენდენციიდან გამომდინარე, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები გლობალიზაციის თანამედროვე ახალი რეალობით განპირობებული შესაძლებლობებისა და საფრთხეების, მისთვის ალღოს აღების შესახებ. მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ახალ, თანამედროვე ტენდენციას, არა მარტო თვალსაჩინო დადებითი შედეგები მოაქვს, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ეროვნული პრიორიტეტების დაცვის მწვავე პრობლემებს ქმნის. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენები, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების ეკონომიკის გაზრდილი ღიაობა, ერთობლივი პროგრამების შემუშავება ჩვენი დროის მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად.*

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაციის წყაროები, მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების თანამედროვე ტენდენცია, გლობალისტები, ანტიგლობალისტები*

შესავალი

„გლობალიზაცია“ არის პროცესი რომლის განხორციელების შედეგად მსოფლიო გარდაიქმნება ერთიან სისტემად, რა დროსაც ხდება ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და რეგიონალური სფეროების ინტეგრაცია. მეოცე საუკუნის 80–იანი წლების ბოლოს საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოს მრავალმხრივ სტრუქტურას, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა მსოფლიოს გლობალური პროცესები. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ეკონომიკურმა და სოციალურ–ინსტიტუციონალურმა ობიექტურმა წანამძღვრებმა განაპირობა. მათ მიეკუთვნება: ტრანსნაციონალური კომპანიების როლის გაძლიერება; მსოფლიო ინფრასტრუქტურის განვითარება; მსოფლიო ბაზრების განვითარება; მსოფლიო ეკონომიკური ცენტრების შექმნა; მსოფლიო მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბება; ახალი ეკონომიკური აზროვნებისა და მასობრივი კულტურის წარმოშობა: გეოპოლიტიკური გარდაქმნები, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკის ახალი ცენტრების წარმოშობა უკავშირდება.

21–ე საუკუნის მესამე ათწლეულის დასაწყისში განვითარებულმა მსოფლიო მოვლენებმა, საფუძველი დაუდო ახალი რეალობის ჩამოყალიბებას. გამოიკვეთა მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ახალი ტენდენცია, რომელმაც ახალი წინააღმდეგობები, საფრთხეები, პრობლემები და შესაძლებლობები წარმოშვა. (Gvelesiani, & Veshapidze, 2016; Papava, 2022a, 2022b; Veshapidze, & Karchava, 2022; Zoidze, & Veshapidze, 2022a; 2022b).

ძირითადი ნაწილი

გლობალიზაციის ბუნებისა და არსის გაგებას ეძღვნება მსოფლიო კულტურის, მსოფლიო მმართველობის, მსოფლიო სისტემათა, გლობალური კაპიტალიზმის, ქსელური საზოგადოების თეორიებში.

მსოფლიო კულტურის თეორია (world culture Theory), ისევე, როგორც ტერმინი „გლობალიზაცია," ამერიკელი სოციოლოგის რ. რობერტსონის სახელს უკავშირდება. აღნიშნული თეორიის მიხედვით, გლობალიზაციის ბუნების კვლევისას პრიორიტეტი ენიჭება კულტურას. ძირითად საკითხად მიიჩნევა ის, თუ როგორ შეუძლია გადარჩენა გლობალური კულტურის ფორმირების პირობებში ინდივიდსა და ეროვნულ იდენტურობას (Nettl, & Robertson, 1968; Robertson, 1991,1992; Shengelia, 2022).

მსოფლიო მმართველობის თეორიაში (world polity theory) გლობალიზაცია განიხილება როგორც საყოველთაო ფასეულობათა ზრდა და მათი ყველგან კანონიერი ძალით დამკვიდრება, რაც მსოფლიო მმართველობის აღმნიშვნელია. მრავალფეროვან კონფლიქტურ და დეცენტრალიზებულ მსოფლიოში გლობალიზაცია უზრუნველყოფს აზროვნებისა და მოქმედების საერთო მოდელებს. საყოველთაო მმართველობის საფუძველს შეადგენს რაციონალური ფასეულობები (Boll, & Thomas, 1997; Meyer , 1980; Meyer, et al., 1997).

მსოფლიო სისტემათა თეორიას (world systems theory) საფუძველი ჩაეყარა 1970-იან წლებში ი. ვალერსტაინის შრომებით. აღნიშნული თეორია გლობალიზაციას განიხილავს როგორც კაპიტალიზმის გავრცელების პროცესს მთელ მსოფლიოში, რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და დასრულდა XX ს.-ის ბოლოს. მისი მომხრეები თანამედროვე ეპოქის შინაარსს ხედავენ გლობალური მოწყობის არსებული სისტემიდან – მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკიდან – სხვა, გლობალურ სისტემაზე გადასვლაში, რომლის მახასიათებლები ჯერ კიდევ არაა განსაზღვრული (Wallerstein, 1974a, 1974b, 1989, 1995).

გლობალური კაპიტალიზმის თეორიის (global capitalism theory) მომხრეები გლობალიზაციას მიაკუთვნებენ არა მარტო გლობალური ტრანსნაციონალური კაპიტალის მფლობელ ეკონომიკურ ძალებს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, (მაგალითად, მსოფლიო ბანკი, სსფ), აგრეთვე, სახელმწიფო ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომელიც სახელმწიფო კაპიტალს ემყარება. გლობალურ პოლიტიკურ ელიტას ისინი მიაკუთვნებენ გაეროს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, გლობალურ საქმიან ორგანიზაციებს, მსო–ს, პოლიტიკურ პარტიებს. აგრეთვე, ინტეგრაციულ დაჯგუფებებს (მაგალითად, ევროკავშირს), რომლებიც განიხილება როგორც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ტრანსეროვნული სახელმწიფოები (Ross, & Trachte, 1990; Sklair, 1995; Samesonf, & Miyoshi, 1998).

ქსელური საზოგადოების თეორიაში გლობალიზაცია ინფორმაციული საზოგადოების კონტექსტში შეისწავლება, „ტექნოლოგიური" მიდგომის საფუძველზე, რასაც მ. კასტელსი ტექნოლოგიური პროგრესის კანონზომიერებით ხსნის. მას მიაჩნია, რომ კაპიტალისტურმა სისტემამ, თავისი უპირატესობების გამოყენებით „ინფორმაციული კაპიტალიზმის" მოდელი შექმნა, რომელიც ქსელური

საზოგადოების თეორიაში განიხილება, როგორც „ახალი ეკონომიკა.“ მისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: არის ინფორმაციული, ანუ ცოდნაზე დაფუძნებული; გლობალურია, რადგან წარმოება, რომელიც დაფუძნებულია ახალ ტექნოლოგიებზე, გლობალურ ხასიათს ატარებს; ის არის ქსელური, რადგან გლობალური ქსელების წყალობით ფუნქციონირებს, რომელიც ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს.

ქსელური საზოგადოების თეორია გლობალურ ეკონომიკას განსაზღვრავს, როგორც სისტემას, რომელსაც შეუძლია იმუშაოს ერთიანი მთლიანის სახით, პლანეტარულ დონეზე. ეს სისტემა მოიცავს გლობალურ ფინანსურ და სასაქონლო ბაზრებს, საერთაშორისო საწარმოო სისტემების გაფართოებას, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გაფართოებას. მისი ძირითადი სუბიექტი არის „ქსელური საწარმო“, რომელიც განსხვავდება ტრადიციული იერარქიული სტრუქტურებისგან. ქსელური საზოგადოების თეორიის მიხედვით, გლობალურ ინფორმაციულ ეკონომიკაში, მოქნილმა საერთაშორისო ქსელებმა, რომლებიც კომპანიებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ურთიერთქმედებას უზრუნველყოფენ, გიგანტური ტრანსნაციონალური კორპორაციების მოძველებული ცენტრალიზებული სტრუქტურები უნდა შეავიწროვოს (Castells, 2010).

ცალკე აღებული თეორიები გლობალიზაციის გამოვლინების კონკრეტული ფორმებია. ყველა ზემოაღნიშნული მიდგომა გლობალიზაციის განსაზღვრულ მხარეს ასახავს და ამ გაგებით, ჭეშმარიტია და სასარგებლო. ყველა მათგანის გარეშე სინამდვილეს სწორად ვერ გავიგებთ, არ გვეცოდინება, რა განსაზღვრავს ეპოქის მაჯისცემას, როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ ქვეყნისთვის, თითოეული ადამიანისთვის სიკეთე და კეთილდღეობა მოგვქონდეს.

გლობალიზაციის პროცესების განვითარებამ 21–ე საუკუნეში, მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ახალი ტენდენციის ჩამოყალიბება განაპირობა, რაც ახალ შესაძლებლობებსა და საფრთხეებს წარმოშობს.

გლობალიზაციის შესაძლებლობებისა და საფრთხეების გამოსავლენად, მნიშვნელოვანია მისი წყაროების ანალიზი. გლობალიზაციის წყაროებია: მეცნიერულ-ტქნიკური პროგრესი; მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაცია; ტრანსნაციონალიზაცია; საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა; კულტურული ტრადიციების გაერთიანება.
მსოფლიო ეკონომიკასთან დამოკიდებულებაში გლობალიზაცია ვლინდება, როგორც: ფირმათა და ინდივიდთა მზარდი ჩართულობა საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციებში; კაპიტალის ნაკადთა ზრდა, სამუშაო ძალის მიგრაცია; მრავალეროვნული კორპორაციების გავლენის მასშტაბები; ტექნოლოგიათა სტანდარტიზაცია; ცვლილებათა და ახალ იდეათა სწრაფი გავრცელება (Gvelesiani, & Veshapidze, 2016a; Veshapidze, 2017; Veshapidze, & Zoidze, 2021; 2022a, 2022b; Veshapidze, et al., 2015, 2021, 2022).
გლობალიზაციის აღნიშნული გამოვლინებები იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოებები და ქვეყნები სულ უფრო და უფრო ინტეგრირებული ხდება. გლობალიზაცია მოიცავს კაცობრიობის ცხოვრების ყველა სფეროს. ეკონომიკაში იგი პოვებს ასახვას შემდეგ პროცესებში: საერთაშორისო ვაჭრობა იზრდება წინმსწრები ტემპებით მმპ (МВП)-ის ზრდასთან შედარებით; მომდინარეობს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მნიშვნელოვანი ზრდა, განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების; შეინიშნება ეკონომიკური ბარიერების შესუსტება ქვეყნებსა და მათ სუვერენიტეტებს შორის საერთაშორისო შეთანხმებების ზრდასთან დაკავშირებით, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას განაპირობებს; ხდება გლობალური ფინანსური სისტემის განვითარება; იზრდება მსოფლიო ეკონომიკის წილი, რომელიც იმყოფება მრავალეროვნული კორპორაციების

კონტროლქვეშ; იზრდება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, როგორებიცაა: მსო (ВТО), მსოფლიო ბანკი, სსფ (МВФ), საერთაშორისო გარიგებების განხორციელებაში; საერთაშორისო შრომის დანაწილების გაღრმავებამ წარმოების ფრაგმენტაციის ფორმით განაპირობა მრავალეროვნული საწარმოების მიერ ბიზნესის წარმოების ახალი მეთოდების გამოყენების ზრდა, ისეთების, როგორიცაა, მაგალითად, აუტსორსინგი (გარეშე ნარდი).

ქვეყნის ეკონომიკაზე გლობალიზაციის ზეგავლენის საკითხები აისახება გლობალისტების და ანტიგლობალისტების შეხედულებებში.

გლობალისტები პოზიტიურ მხარეებზე საუბრისას ხაზს უსვამენ გლობალიზაციის როლს ინტეგრაციის გზით ერებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ. კავშირების გაღრმავებასა და განხორციელებაში. ეკონომიკური ასპექტით გლობალიზაციას, რაც გულისხმობს მსოფლიოს თავისუფალი ბაზრის შექმნას, უდავოდ მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია თითოეული ქვეყნის ეკონომიკისათვის: ხელმისაწვდომს ხდიან კაპიტალს, ტექნოლოგიებს, უფრო იაფ იმპორტსა და გაცილებით ფართო საექსპორტო ბაზრებს; აადვილებს, აიაფებს და აჩქარებს საერთაშორისო ეკონომიკურ გარიგებათა განხორციელებას; კონკურენცია საშუალებას აძლევს ქვეყნებს ძალისხმევა მოახმარონ იმას, რაც მათ უკეთესად გამოსდით.

ანტიგლობალისტების აზრით, გლობალიზაცია ხელს უწყობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა და თვითმყოფადობის შესუსტებასა და ნიველირება-გაერთსახოვნებას, რადგან: საერთაშორისო ორგანიზაციები აჭარბებენ თვიანთ უფლებამოსილებებს, ხელს უწყობენ კულტურათა არასასურველ აღრევას უნივერსალური ნორმების შექმნით; გლობალიზაცია შეიცავს გლობალური მონოპოლიზმის სტიქიური საბაზრო ურთიერთობების და აქედან გამომდინარე, არასამართლიანი კონკურენციის წარმოშობის საფრთხეს; საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით ხდება ეკონომიკური პროცესების ეფექტიანი, გლობალური, ზეეროვნული რეგულირება.
საქართველოს ეკონომიკაზე გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციის ზეგავლენის შესაფასებლად, ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექი მნიშვნელოვანი წყაროა. ინდექსის თანახმად, საქართველო გლობალიზაციის დონით მსოფლიოში 53-ე ადგილზეა 71.4 ქულით, ცალკე აღებული ეკონომიკური გლობალიზაციით კი მას 22-ე ადგილი უჭირავს. გლობალიზაციის საერთო დონით 55-ე ადგილი იმით არის განპირობებული, რომ სოციალური გლობალიზაციით საქართველო 73-ე ადგილზეა, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციით 125-ე ადგილზე. გასულ წელს საქართველოს გლობალიზაციის ქულა 0.2-ით მაღალი, 71.6 იყო.საქართველოს ეკონომიკურ გლობალიზაციაში 100-დან 81.5 ქულა აქვს. ეკონომიკური გლობალიზაციის კომპონენტებში – საერთაშორისო ვაჭრობაში 84.3 ქულა აქვს, ხოლო ფინანსურ გლობალიზაციაში – 78.7. საქართველო მაღალ პოზიციას საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკა და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობა განაპირობებს.

პოლიტიკურ გლობალიზაციაში საქართველოს 100-დან 59.4 ქულა აქვს, შედარებით დაბალ ქულას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოში ბევრი ქვეყნის საელჩო არ არის და პირიქით, საქართველოს საელჩოები ბევრ ქვეყანაში არ არის.

სოციალურ გლობალიზაციაში საქართველოს 100-დან 73.4 ქულა აქვს. საქართველოს მაღალი ქულები აქვს ტურიზმში, ემიგრანტების რაოდენობაში, ფულად გზავნილებში, მაგრამ დაბალი ქულები აქვს საერთაშორისო აეროპორტების რაოდენობაში, სამოქალაქო უფლებებში, ჰუმანურ

კაპიტალსა და პერსონალური მომსახურებით ვაჭრობაში. ნული ქულა აქვს „იკეას“ მაღაზიების არსებობაში, რადგან ეს ცნობილი შვედური ბრენდი საქართველოში ჯერ არ შემოსულა.

საქართველოს პოზიცია გლობალიზაციის ინდექსში, ადგილი



წყარო: ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, გლობალიზაციის ინდექსი

ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა.

მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების თანამედროვე ტენდენციის მოქმედების შედეგად წარმოიშობა ახალი შესაძლებლობები: პირველი, ტერიტორიითა და მოსახლეობით მცირე ქვეყნისთვის გლობალურ, საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იძლევა საშუალებას, შენი ეკონომიკის საზღვრები ქვეყნის ფიზიკურ საზღვრებთან არ სრულდებოდეს, წარმოებული პროდუქციის მომხმარებელი მხოლოდ საკუთარი, მცირერიცხოვანი მოსახლეობა არ იყოს. მეორე, საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყანას აძლევს საშუალებას, გამოიყენოს ე.წ. შედარებითი უპირატესობა, ანუ სხვა ქვეყნიდან შემოიტანოს (იმპორტი) ის საქონელი და მომსახურება, რისი წარმოებაც ქვეყნის შიგნით უფრო ძვირია, ვიდრე საზღვარგარეთ, და პირიქით, სხვა ქვეყნებში გაიტანოს (ექსპორტი) ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაც თვითონ უფრო იაფი უჯდება, ვიდრე სხვა ქვეყნებს. საბოლოო ჯამში, ქვეყანა იგებს როგორც ექსპორტიდან, ასევე იმპორტიდან. მარტივად რომ ვთქვათ, ვყიდულობთ იაფად და ვყიდით ძვირად. ეს კი ზრდის მოსახლეობის დანაზოგებს, რაც ინვესტირებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა.

გლობალიზაციის თანამედროვე რეალობა ასევე წარმოშობს ახალ პრობლემებს, რაც განპირობებულია კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებით, სამუშაო ძალის მიგრაციით, ლეგალური და არალეგალური მიგრაციული ნაკადების სწრაფი ზრდით, პოლიტიკურ დეზინტეგრაციით.

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) და ამოცანები გლობალური ბუნების და უნივერსალური გამოყენებისაა არიან, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკას და პრიორიტეტებს. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არ არიან - მათი განხორციელება ინტეგრირებულად უნდა მოხდეს. ახალი მიზნები ორიენტირებულია მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე - ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

აღნიშნულიდან გამომდინარ, საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მიზნებია: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა; სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის; მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება.

დღევანდელ პირობებში, გლობალური ეკონომიკა ეროვნული უსაფრთხოების ახალ ეპოქაში შევიდა. COVID-19 პანდემიამ ცხადი გახადა დაუცველობა, რომელიც გამოწვეულია უკიდურესი დამოკიდებულებით მიწოდების გლობალურ ჯაჭვზე და გლობალურ ჯანმრთელობის რისკებთან ბრძოლის კოორდინაციის არარსებობაზე. მაგრამ რამაც ყველაზე მეტად გვამცნო ეს ახალ ეპოქა, ეს არის უკრაინის კრიზისი, მსოფლიო ეკონომიკის საბოტაჟი, სასურსათო ომი და ენერგეტიკული ომი. გარდა ადამიანური და ეკონომიკური დანაკარბებისა, უკრაინის ომმა მკვეთრად გააძლიერა უთანხმოება დასავლურ და აღმოსავლურ გეოპოლიტიკურ ბლოკებს შორის, რომელიც, შეიძლება ითქვას შემოკრებილია, შესაბამისად შეერთებული შტატების და ჩინეთის ირგვლივ (Papava, 2016, 2018, 2020a, 2020b, 2021).

თანამედროვე მსოფლიოში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დამოკიდებულია როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორებზე. ამიტომ, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის ხელს უწყობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას, სამრეწველო გამოცდილების გაცვლას, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და საქონლითა და სერვისებით მსოფლიო ვაჭრობის დაჩქარებულ განვითარებას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მიზანია მსოფლიო თანამეგობრობისბის ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალის უპირატესობების მაქსიმალური გამოყენება. ამავდროულად, აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ქვეყნები ამ პროცესში სხვადასხვა როლს ასრულებენ და ნებისმიერი ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონის საერთაშორისო მნიშვნელობა ემყარება არსებულ ბუნებრივი რესურსებს, ეკონომიკური განვითარების დინამიკას, მის ადგილს საქონლისა და მომსახურების წარმოების მსოფლიო სისტემაში და ფინანსური რესურსების არსებობას, მის ხელმისაწვდომობას.

საქართველო, აქტიურადაა ჩართული მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში, ზრდის საექსპორტო პოტენციალს, აფართოებს ეკონომიკურ თანამშრომლობას მსოფლიოს ქვეყნებთან. ქვეყანას გაცნობიერებული აქვს ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების დამყარება რუსეთის ფედერაციასთან, ევროკავშირთან და ევროპიდ დანარჩენ ქვეყნებთან, აშშ–სთან, აზერბაიჯანთან,

სომხეთთან, თურქეთთან, ჩინეთთან, ყაზახეთის და შუა აზიის რესპუბლიკებთან, იაპონიასთან, აზიისა და ოკეანეთის სხვა ქვეყნებთან, აღმოსავლეთის რეგიონისა და აფრიკის ქვეყნებთან, ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, კანადასთან სრულიად მსოფლიო თანამეგობრობასთან, რომელიც არის საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების მიზნით ურთიერთმოქმედი სუბიექტების ერთობლიობა.

დასკვნა

გლობალური მსოფლიოს ახალი მოვლენების სისტემური გააზრება აუცილებელია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია პერმანენტულად გამოვარკვიოთ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სივრცის გლობალური პროცესების თანმდევი ტენდენციები და მათი გავლენა ჩვენს ქვეყანაზე. მნიშვნელოვანია შეფასდეს, საით მიემართება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს სამომავლო განვითარება, რა გზებით შეიძლება ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რა არის მისი პრიორიტეტები, როგორია ქვეყნის განვითარების საგარეო ორიენტირები.

მსოფლიო ეკონომიკის დინამიური განვითარების შედეგად, ახალ ათასწლეულში გლობალიზაციის ხასიათი შეიცვალა. მასზე გადამწყვეი ზეგავლენა იქონია COVID-19 პანდემიის გლობალურმა გავრცელებამ და რუსეთის აგრესიამ უკრაინაში, რასაც ეკონომიკური აგენტების უმეტესობის ქცევაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცვლილებები მოსდევს. შედეგად, ახალი რეალობა ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ამჟამინდელ განვითარებას განსაზღვრავს. გამოიკვეთა მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის განმტკიცების ტენდენცია. გაჩნდა ახალი ტენდენციები საქოვლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის საერთაშორისო მოძრაობაში, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბაზარზე, მიწოდების გლობალური ჯაჭვებში, დიგიტალიზაციის ზეგავლენის ზრდაში (Bedianashvili, 2021, 2023; Bedianashvili et al., 2021; Shengelia, at al., 2021; Silagadze, et al., 2022).

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე, მნიშვნელოვნად დამოკიდებული ხდება არა მსოფლიოს ერთ მთავარ პოლუსზე, არამედ მსოფლიოს ყველა დიდ და პატარა სახელმწიფოებთან, მთლიანად მსოფლიო თანამეგგობრობასთან, ეკონომიკურ გაერთიანებებთან ურთიერთკავშირის ხარისხზე.

საქართველომ ბოლო წლებში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ეკონომიკის, სოციალური, საგარეო-პოლიტიკური, დემოკრატიის მშენებლობისა და სხვა მიმართულებებით. ამასთანავე, კორონავირუსის პანდემიამ და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიამ მსოფლიო და საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რაც გლობალური კრიზისით არის განპირობებული. ამ მოვლენებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე უარყოფითად იმოქმედა. ახალი რეალობა პრობლემებთან ერთად, ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალური კონკურენციის ახალ პირობებში საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებით შესაძლებელია ქვეყნის წინაშე წარმოშობილი გამოწვევების წარმატებით დაძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

Bedianashvili, G. (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 15(2):191-197.

Bedianashvili G. (2023). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 17(2), 174-179.

Bedianashvili, G., Bichia, Q., & Natsvlishvili, E. (2021). Development of Entrepreneurial Activity, Labor Market and Modern Challenges of Higher Education. *Globalization and Business*. 12, 21-31. (In Georgian). https://doi.org/10.35945/ gb.2021.12.002.

Boli, J., & Thomas, G. M. (1997). World culture in the world polity: A century of international non-governmental organization. *American sociological review*, *vol. 62. No. 2.* Pp. 171-190.

Bowers, C. A. (1999). The Cultures of Globalization, Frederic Jameson and Masao Miyoshi, editors, Durham, NC: Duke University Press, 1998. Reviewed by CA Bowers. *Journal of Political Ecology*, *6*(1), 165-168.

Castells, M., & Cardoso, G. (1996). The network society. *Blackwell*. Oxford.

Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016a). European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business*. *(1).* 40-46. (In Georgian).

Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016b). Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, *(1).* 35-39. (In Georgian).

Mekvabishvili, E. (2009). Globalization of the economy: directions, challenges, prospects. *Innovation*. Tbilisi. (In Georgian).

Meyer, J. W., Boli, J., Thomas, G. M., & Ramirez, F. O. (1997). World society and the nation-state. *American Journal of sociology*, *103*(1), 144-181.

Nettl, J. P., & Robertson, R. (1968). International systems and the modernization of societies: The formation of national goals and attitudes. *Basic Books.* New York, Pp. 216.

Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). IMPACT OF ECONOMIC CRIME ON THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE STATE. Three Seas Economic Journal 4 (1), 10-17.

Papava, V. (2016). Georgia's Choice: The European Union or the Eurasian Economic Union. GFSIS, Expert Opinion, 57, https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/57-expert-opinion-eng.pdf

Papava, V. (2018). The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, 3-4(98-99), 90-108.

Papava, V. (2020a). Georgia's European Way During the Period of Pandemic Deglobalization. Rondeli Blog, August 6, https://gfsis.org.ge/blog/view/1091.

Papava, V. (2020b). Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century. *iUniverse.* Bloomington.

Papava, V. (2021). On Pseudo De-Globalization, Silk Road Of Global Value Chains And Role Of Georgia – OpEd. https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/.

Papava, V. (2022a). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23, https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/.

Papava, V. (2022b). On Sanctionomics. *Eurasia Review,* March 14. Available at: https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped.

Robertson, R. (1991). The globalization paradigm: Thinking globally. Religion and social order. *JAI Press*. Greenwich.

Robertson, R. (1992). Globalization: Social theory and global culture. *Sage.* London.

Ross, R. J., & Trachte, K. C. (1990). Global capitalism: The new leviathan. *SUNY Press*. New York.

Schwab, K. (2016). The Fourth Industrial Revolution. *World Economic Forum.* Switzerland.

Shengelia, T. (2022). INFLUENCE OF MULTICULTURAL FACTORS ON INNOVATIVE DEVELOPMENT OF THE COUNRY. *Sciences of Europe*, (107), 15-19.

Shengelia, T., & Berishvili, K. (2020). METHODOLOGY OF SOCIAL ENTREPRENEURSHIP RESEARCH AND ITS INFLUENCE ON COUNTRIES WITH SMALL ECONOMY. *International Journal of Social and Humanities Sciences*, 4(3), 181-190.

Shengelia, T., Berishvili, K., & Jganjgava, K. (2021). Anti-crisis strategy caused by uncertainty of the small businesses under the COVID-19 pandemic. *Sciences of Europe*, (81-2), 3-6.

Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022). Covid Depression and Search for a New Paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(1).

Stiglitz, J. E. (2017). Globalization and its discontents revisited: Anti-globalization in the era of Trump. *WW Norton & Company.* New York. Pp. 472.

Veshapidze, S., (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. Sciences of Europe. VOL 4, No 13 (13).

Veshapidze, S. (2022). Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity. Conference: VII International Scientific Conference. At: Tbilisi, Georgia.

Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4).

Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. The New Economist, 16(2), 1–1. DOI: https://doi. org/10.36962/NEC6102202133.

Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022a). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. - International Scientific Collection - Vol. 5.* Kyiv – CUL. https://doi.org/10.5281/ zenodo.5807500.

Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022b). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. *DOI: https://doi. org/10.5281/ zenodo*, *6373197*.

Veshapidze, S., Babuadze, N., & Beridze, T. (2015). EUROPEAN VALUES AND CHOICE OF GEORGIA (HUMAN DIGNITY, LAWFUL SOVEREIGNTY, DEMOCRACY AND WELLBEING). *ACTUAL PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMIES.(10-11 July, 2015). PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY. Tbilisi*, 79-83.

Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. Globalization and Business. 12, 32-36. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003. Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A.,

Wallerstein, I. (1974). The rise and future demise of the world capitalist system: Concepts for comparative analysis. *Comparative studies in society and history*, *16*(4), 387-415.

Wallerstein, I. (2011). The modern world-system I: Capitalist agriculture and the origins of the European world-economy in the sixteenth century (Vol. 1). *Univ of California Press.* Berkeley, Los Angeles, London.

Wallerstein, I. (2011). The modern world-system III: The second era of great expansion of the capitalist world-economy, 1730s–1840s (Vol. 3). *Univ of California Press.* Berkeley, Los Angeles, London.

Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022a). The Modern Economy and Values. *Cambridge Scholars Publishing. P. 125;*

Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022b). Transformation of Economic Policy Priorities Under Covid-19. *Three Seas Economic Journal*, *3*(2), 35-43.

New developments in the global world: challenges and opportunities for Georgia

Shota Veshapidze

Doctor of economic sciences, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
shota.veshapidze@tsu.ge

Summary

The main purpose of this article is to analyze the features of the current reality of globalization, to identify the created opportunities and threats, and to reveal the ways to overcome it. The object of research is the current economic and political processes in the world, as well as, especially, geopolitical issues and the Ukrainian crisis. The work is based on the analysis of various fundamental literature, synthesis, specific statistical data, components of globalization index. The work draws conclusions using the cause-and-effect relationship of facts. Based on the trend of strengthening the multipolar world order, important conclusions and recommendations are presented about the possibilities and threats caused by the modern new reality of globalization, and taking advantage of it. The new, modern trend of strengthening the multipolar world order not only brings visible positive results, also creates acute problems of protecting national priorities within the framework of international cooperation. Ensuring the country's security is significantly influenced by the growth of interdependence between the subjects of international relations, new events in the global world, the increased openness of the economy of the world's most countries, the development of joint programs to solve contemporary, important problems.

Keywords: sources of globalization, modern tendency of strengthen the multipolar world order, globalists, anti-globalists.

გლობალიზაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება

მურმან კვარაცხელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მთავარი მეცნიერთანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
murmankvara77@gmail.com

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-88-94

ანოტაცია. *გლობალიზაცია გახდა კაცობრიობის შეუქცევადი პროცესი. მისი თანმდევი უარყოფითი გავლენების შედეგად შეიძლება სუვერენული სახელმწიფოები გარკვეული პრობლემების წინაშე დადგნენ. ამ შემთხვევაში ისინი გარკვეული ნეგატიური გამოწვევების წინაშე დგებიან ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამის გამო სრულიად ახალი ფორმით იკვეთება სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, რომელსაც გლობალიზაცია სთავაზობს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოების მთავარ ამოცანად რჩება ისეთი სახის საფრთხეების აღმოფხვრა, როგორიცაა პოლიტიკური, ეკოლოგიური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო და სხვა. თუმცა ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობა გლობალიზაციის პირობებში უფრო მეტად იზრდება. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოების ეროვნული ეკონომიკების შესაძლებლობების ძალისხმევის გაერთიანება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეროვნული ინტერესების დაცვა მსოფლიო და სამამულო ეკონომიკურ სივრცეში საკუთარი პოტენციალის დაცვის კუთხით. ეს კი შექმნის მყარ პირობებს ინოვაციური ეკონომიკის შესაქმნელად, რაც სუვერენული სახელმწიფოების მომავლის გზამკვლევადაც შეიძლება იქცეს.*

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეროვნული ინტერესები*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადი გახდა. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე იგი მჭიდროდ შეიჭრა სახელმწიფოებრივი განვითარების ყველა სფეროში და დომინანტი გახდა. აქედან ერთ-ერთი სწორედ ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული, რომლის მყარი საფუძვლების გარეშე ქვეყნის განვითარება შეუძლებელია. ამ პროცესებმა გააღრმავა ტრანსფორმაციული პროცესებიც, რომელიც დაიწყო მეოცე საუკუნის შუახანებიდან, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ამ პერიოდიდან დაიწყო მსოფლიო საზოგადოების მიერ თავისი ღირებულებების ძირფესვიანი გადაფასებაც, კარდინალურად შეიცვალა საკუთარი, მანამდე არსებული იდეოლოგია და მოხდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფორმირება. ასეთი გარდაქმნების მოთხოვნამ ფუნდამენტური საფუძვლები წამოსწიეს წინ, რომლებიც ქვეყნებში ადამიანების უსაფრთხოებაზე აგებენ პასუხს. ამის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება.

ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს მოვლენას, რომელიც ახასიათებს ეკონომიკის მდგომარეობას, რომლის დროსაც ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები სრულად აკმაყოფილებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეების მოთხოვნებს.

* * *

თანამედროვე მსოფლიო პროცესებში გლობალიზაციის გავლენის ხარისხი მნიშვნელოვანია, რომელიც პირდაპირ დიდ გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. როდესაც ვიხილავთ გლობალიზაციის მნიშვნელობას, მაშინ უნდა მოვახდინოთ ქვეყნების დაყოფა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებად. ეს, ჩვენი აზრით, განპირობებულია იმით, რომ გლობალიზაცია მართლა ხომ არ მოიგონეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა ძალებმა იმისათვის, რომ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები კიდევ უფრო განვითარდნენ და მეორე კატეგორიის ქვეყნები ისევ ისე იყვნენ ჩაძირულები სიღარიბის წუმპეში. მე ამის თქმის უფლებას მაძლევს თუნდაც ის მესამედი საუკუნის გამოცდილება, რომელიც გამოიარეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა ამ პერიოდის განმავლობაში. ეს აზრი გაატარა ათიოდე წლის წინ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ნობელიანტმა მეცნიერ-ეკონომისტმა, ჯოზეფ სტიგლიცმა (სტიგლიცი, 2012).

თავის შრომაში მეცნიერი ხაზგასმით მიუთითებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ადგილზე წარმოქმნილი თხუტმეტი ახალი ქვეყანა ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის შემდეგ მიიღებდა უპრეცენდენტო კეთილდღეობას. ბუნებრივია, ასეთი რწმენა აგებული იყო კაპიტალისტური სისტემის უძლეველობის მითზე და ამ ქვეყნებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ კაპიტალისტური სისტემის პერიოდულ დამანგრეველ კრიზისებზე და საკუთარი კეთილდღეობისათვის სხვა ქვეყნების იაფი რესურსების ხელში ჩაგდების გარდუვალ პროცესებზე (სტიგლიცი, 2012: 11).

როგორც მსოფლიო ეკონომიკის დინამიკა მეტყველებს ცალკეული ქვეყნების მიხედვით, აქაც პოსტსაბჭოთა ქვეყნები არსებითად ჩამორჩნენ. საკმარისია რუსეთის და ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტების მოცულობები შევადაროთ ერთმანეთს და აღმოვაჩენთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ ღრმა უფსკრული გაჩნდა მათ შორის. ჩვენი აზრით, გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა განაპირობა ასეთი ტენდენციის ჩამოყალიბება. ამ შემთხვევაში სწორი განვითარების ვექტორი სულ სხვა მიმართულებით გადაიხარა. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში გლობალიზაციის პროცესი ერთნაირად არაა სასიკეთო ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემაც მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება, რამდენადაც იგი უშუალოდ დაკავშირებულია სწორედ არსებითად ღარიბი ქვეყნების ეკონომიკურ აღორძინებასთან. ამ პროცესის გაუმჯობესება გარკვეულ გარანტიებსაც იძლევა საშუალოდ განვითარებული ქვეყნებისთვის ეკონომიკური ზრდის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

ამ დროს გლობალიზაციის პროცესს თუ ღრმად ჩავუღრმავდებით, ისიც ხომ ცხადია, რომ განვითარებული ქვეყნები განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე საკუთარი, არაპროპორციულად მაღალ მოგებას ღებულობენ. ამასთან განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი ბაზარი, ფაქტობრივად, დახურული აქვთ განვითარებადი ქვეყნების მდიდარ და უფრო რენტაბელურ საქონელზე. ამისათვის უწესებდნენ სპეციალურად შემზღუდავ კვოტებს. ამ დროს თვითონ ახდენდნენ სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას, რასაც განვითარებად ქვეყნებს არ ურჩევდნენ. ამის შედეგად ღარიბი იმპორტიორი ქვეყნების შემოსავალი კიდევ უფრო შემცირდა. საბოლოოდ კი, მსოფლიოს რამდენიმე უღარიბესი ქვეყნის მდგომარეობა გაუარესდა (სტიგლიცი, 2012:12). ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ასეთი ტენდენციები უფრო მეტად ფარულად თანამედროვე პირობებშიც გრძელდება.

ყოველივე ამაში თვით გლობალიზაცია თავისთავად ასრულებს გადამწყვეტ როლს, რისი ზემოქმედების შედეგად ვითარდება როგორც ეკონომიკა, ასევე პოლიტიკა ცალკეულ ქვეყნებში. ამის შედეგად დღეს ჩნდება საფუძველი ვამტკიცოთ, რომ სახელმწიფოების ინტეგრირება გლობალურ ეკონომიკაში დამოკიდებულია გლობალური ეკონომიკური სისტემების საბაზრო სივრცეებსა და ეკონომიკურ მოვლენებზე და იმაზე თუ რამდენად სენსიტიური იქნებიან ისინი ამ პროცესებში.

გლობალიზაცია თანამედროვე გაგებით სახელმწიფოებს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების გართულებასა და გაფართოებასაც გულისხმობს. აქ უკვე ჩნდება ეკონომიკის განვითარების ახალი სტადია, ქვეყნებსა და ეკონომიკებს შორის ურთიერთობების ახალი ხარისხი. გლობალიზაცია იქმნება უამრავი ღრმა ტრანსფორმაციისაგან, რომელიც მიმდინარეობს ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში. (არა მარტო ეკონომიკურში). ამ წერტილიდან დანახული გლობალიზაცია, ესაა ახალი წესრიგის აშენება და ბარიერების შემცირება ცალკეულ ქვეყნებსა და მათ ეკონომიკებს შორის. ასევე იწვევს საქონლისა და მომსახურების წარმოების მსოფლიო მასშტაბების გადიდებას ვაჭრობისა და სხვა საერთაშორისო გაცვლის საშუალებით, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ნაციონალურ სტრუქტურებზე.

ეს ყველაფერი არის ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნებში და სათანადო შედეგებიც სახეზეა. მაგრამ თუ შევხედავთ გლობალურ პროცესებს სხვა რაკურსით, მაშინ სასიკეთო ცვლილებების პარალელურად საწინააღმდეგო შედეგებსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ამის ერთ-ერთი ასპექტია ვაჭრობის ლიბერალიზაცია.

აქედან ცხადია, რომ გლობალიზაცია ერთდროულად ახდენს ზეგავლენას პროცესებსა და მოვლენებზე, რომელსაც ადგილი აქვს ქვეყნების ცხოვრებაში. ყოველივე ეს ხსნის უდიდეს შესაძლებლობებს, რომელიც დაკაშირებულია საქონლის ნაკადებისა და ინფორმაციების გაღრმავებასა და გაფართოებასთან, რაც სახელმწიფოებს, ფირმებსა და ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენას უწყობს ხელს. ამ პროცესში დიდ როლს თამაშობს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციების სფეროებში. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო დონის ამაღლების შედეგად შესაძლებლობას იძლევა თანამედროვე მსოფლიოს ყველა შემადგენელი ნაწილის დაახლოებისათვის. ესაა მანძილის შემცირება ქვეყნებს შორის, ჩნდება ახალი შესაძლებლობები ტრანსპორტირებასა და კავშირგაბმულობაში, შესამჩნევად მცირდება ტრანსაქციური ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო და ფინანსურ ოპერაციებთან.

ყველაფერი ეს მიუთითებს გლობალიზაციის წინააღმდეგობრივ და მრავალწახნაგოვან ასპექტებზე და მათ შორის, მის შინაგან წინააღმდეგობაზეც: ეს პროცესი აფართოებს შეფარდებით ანუ მოჩვენებით თავისუფლებას სახელმწიფოსა და მისი სამეურნეო სუბიექტებისათვის და ამავე დროს ავიწროებს, არტახებს უჭერს, არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მიღებაში, არამედ აიძულებს მათ დაემორჩილონ განვითარებული ქვეყნების მიერ მკაცრად დადგენილ ეკონომიკურ წესრიგს. ამაში კი, როგორც ჩანს, იგულისხმება საკუთარი ინტერესების უპირატესობა. თავისი ინტერესების გატარებისათვის მოქნილად ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების გამოყენება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა გზებით გამოსავლის ძიება ფუჭი პროცესია, რამდენადაც მათ ხელშია საინვესტიციო რესურსების მთავარი ბირთვი. ჩვენი აზრით, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ განვითარებადი ქვეყნები იაფი რესურსების წყაროსაც წარმოადგენენ და მათი სტატუსი სრულიად მისაღებია განვითარებული ქვეყნებისათვის.

ყოველივე ეს ახასიათებს გლობალიზაციას როგორც ობიექტურ რეალურ ძალას თავისი თანმდევი უარყოფითი თვისებებით. ის თავისთავად განსაზღვრავს სახელმწიფოების ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების საფუძველზე, რომელიც

ცხოვრებისეული საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს და განვითარების ახალი პროცესებით საზრდოობს. ყოველივე ეს მონაწილე ქვეყნებისათვის მარტო დადებითი შედეგების მატარებელი არ არის, არამედ გარკვეულ საშიშროებასაც წარმოადგენს. ყოველივე ეს, პირველ რიგში, განსაზღვრავს მათ საგარეო და საშინაო პოლიტიკას როგორც ეკონომიკის, ასევე ადამიანური საქმიანობის სხვა სფეროებშიც. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს საერთოდ მიღებულ აზრს იმის შესახებ, რომ გლობალიზაციამ უკვე შეაღწია ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში, რომელთა შორის მთავარია ეკონომიკური საქმიანობა.

გლობალიზაცია პოზიტიური ზეგავლენას ახდენს თუნდაც კონკურენციის ეფექტში, სადაც ის უალტერნატივოა. ამ მომენტში ჩნდება ერთიანი „თამაშის წესები“, კოლექტიური უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავებაში, რომელიც უხსნის ყველა ქვეყანას განვითარების დიდ შესაძლებლობებს. თუმცა, აქვე შეიძლება გაჩნდეს შესაძლო ნეგატიური შედეგებიც. ეს დაკავშირებულია განვითარებული ქვეყნების მიერ მიღებულ უპირატესობებთან, ვინაიდან ისინი არიან ძლიერნი და განვითარებულნი, რაც შეიძლება გახდეს მომავალი კონფლიქტების საფუძველი განვითარებად და აუტსაიდერ ქვეყნებთან, რომელიც შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედროც კი. ამიტომ გლობალიზაციის პროცესის ჩარჩოებში იცვლება სახელმწიფოების ფუნქციები და შესაძლებლობები როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ელემენტებისა და პროცესების მონაწილისა (Харламов,Чирук, 2005:6).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შედეგიანი მექანიზმის შექმნა დამოკიდებულია იმაზეც თუ სახელმწიფო რა ტიპისაა. როგორც ცნობილია, მათ ყოფენ სამ სახეობად: განვითარებული, განვითარებადი და აუტსაიდერი ქვეყნები. ბოლო ხანებში სხვა მიდგომაც გამოიყენება, რომელიც უფრო ადეკვატურია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებთან მიმართებაში. ესენია, რესურსმომხმარებლები და რესურსგამტანი ქვეყნები. უნდა აღინიშნოს კრიზისული წლების გამოცდილება, რომელმაც აჩვენა, რომ განვითარებადმა რესურსგამტანმა ქვეყნებმა განიცადეს უფრო მეტი ზარალი კრიზისის შედეგად, ვიდრე რესურსშემომტანებმა.

სწორედ კრიზისული სიტუაციები და მათი დამანგრეველი გავლენები ეკონომიკაზე, უფრო და უფრო მწვავედ აყენებს დღის წესრიგში ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხს. უსაფრთხოების საფუძველი უკვე დიდი ხანია გასცდა ერთი წვეყნის შესაძლებლობებს. მას არ შეუძლია მარტო დაეყრდნოს საკუთარი ეკონომიკური რესურსების მოთხოვნებს. ეკონომიკური უსაფრთხოების თანამედროვე გაგება ტრანსფორმირდება იმაშიც, რომ სახელმწიფომ შესძლოს თავისი ქვეყნის ურთიერთობა ააშენოს როგორც გლობალური ეკონომიკის ქვესისტემა მთლიან სისტემაში ისე, რომ უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტების მოთხოვნილების მაქსიმალურად სრული დაკმაყოფილება. ამისათვის აუცილებელია რაც შეიძლება მცირე რაოდენობით გამოიყენოს საკუთარი გამოუყენებელი რესურსები. შემლებისდაგვარად საკუთარი ამოცანები პარტნიორებზე გადაიტანოს ან უკეთეს შემთხვევაში, ეს ამოცანები გადაწყვიტოს პარტნიორებთან ერთად. სწორედ ასეთ პარტნიორობას აქვს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. თუმცა ასეთი პროცესი დღეისათვის სიღრმისეულად არაა განვითარებული. აქ ადგილი აქვს ახლებურ მიდგომას პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

თანამედროვე ტენდენციების მიმდინარეობა მსოფლიოში, დარწმუნებით შეიძლება ითქვას სერიოზულად ამწვავებს ეკონომიკურ ბრძოლას სახელმწიფოებს შორის მისი ტრანსფორმაცის სხვადასხვა დონეზე. ამ შემთხვევაში რთული იერარქიული ურთიერთკავშირი მოითხოვს სახელმწიფოს როგორც ინსტიტუტის როლის გაძლიერებას, რომელიც მოწოდებულია ყველა სამეურნეო სუბიექტების მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას შეუწყოს ხელი. ამის გაკეთება კი შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მაქსიმალური დონის

უზრუნველყოფით. სწორედ გლობალიზაციის პირობებში ეს რჩება სახელმწიფოს მთავარ ამოცანად, ვინაიდან იგი შექმნის იმ ბალავარს, რაზეც შეიძლება აშენდეს მნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო ამოცანები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია ისეთი სახის უსაფრთხოებები, როგორიცაა პოლიტიკური, ეკოლოგიური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო და სხვა, ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობის ხარისხი გლობალიზაციის პირობებში უფრო მეტად იზრდება.

აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება. ეს შეიძლება იყოს მაკროეკონომიკის პოლიტიკის ინსტრუმენტებთან შესაბამისობა, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე კონტროლი, რომლებიც ასახავენ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დონეს. ამიტომ უნდა შემუშავდეს სტრატეგია და კონკრეტული მოქმედებები ქვეყნებისა და გლობალური სამეურნეო სუბიექტების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ შესამჩნევი ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა გაერთიანებების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ასევე საჭიროა ინვესტირების ინტერესებისა და გარანტიების უზრუნველყოფა ეკონომიკის რეალურ სექტორში. გარემოს დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ურთიერთსასარგებლო ახალი წარმოების ფორმების ძიება და სხვა (Кирилин, 2005).

გლობალიზაციის პროცესში მსოფლიო ეკონომიკის გახსნადობის ხარისხის ამაღლებამ შეიძლება წარმოშვას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიოს უდიდეს ნაწილში სახელმწიფო საზღვრები უკვე არ წარმოადგენს მთავარ ბარიერს წარმოების, საქონლისა და ფულის ნაკადების მოძრაობაში. ესენი ურთიერთთანამშრომლობაში გადაიზარდა უკვე. ეს იძლევა შესაძლებლობებს შემცირდეს წარმოების დანახარჯები, მოხდეს წარმოების სტრუქტურის და გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის ოპტიმიზაცია, გამარტივდეს კაპიტალის მოზიდვა და ამის შედეგად დაჩქარდეს ეკონომიკური ზრდა. მეორე პროცესი მდგომარეობს იმაში, რომ საზღვრების გახსნის შედეგად გაიზრდება გარკვეული ჯგუფის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა, რომელთა წარმოება უფრო ეფექტურია ამა თუ იმ ქვეყანაში. ყოველივე ეს მიდის იქამდე, რომ ცალკეული დარგების განვითარების უთანაბრობამდე და მსოფლიო ბაზრის კონიუქტურაზე დამოკიდებულების ხარისხი იზრდება, ეს კი აძლიერებს საგარეო ეკონომიკური საფრთხეების როლს. საბოლოო ჯამში სახელმწიფოთა გლობალური სისტემის უსაფრთხოების ტრანსფორმაცია გამოიწვევს „რბილი უსაფრთხოების“ პრობლემის როლის გაზრდას, რომლის ბაზირებაც ხდება ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ქვესისტემებზე, როგორიცაა ფინანსური, ეკოლოგიური, სიღარიბესთან ბრძოლის და სხვა.

„მკაცრი უსაფრთხოების“ საკითხები თანდათანობით გადაინაცვლებს შეჯიბრების სფეროდან ახალი ტექნოლოგიების მხარეს. ამ კუთხით განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც მიისწრაფიან სხვადასხვა სახელმწიფოების ეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკა და მათი პერსპექტიული სეგმენტები დაუქვემდებარონ მსოფლიო ეკონომიკური სივრცის უნივერსალიზაციის ინტერესებს. სახელმწიფოს ვალია ამ შემთხვევაში მინიმუმამდე დაიყვანოს წარმოშობილი უსაფრთხოების რისკები. ამ შემთხვევაში მცირე ეკონომიკისა და მწირი რესურსების მქონე ქვეყნები განსაკუთრებული ზეგავლენის ქვეშ შეიძლება მოექცნენ. ამ კუთხით ბოლომდე პრობლემის აღმოფხვრა, ჩვენი აზრით, შეუძლებელია, მაგრამ საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა და სწორი მიდგომა.

ამისათვის საჭიროა, სახელმწიფომ მაკონტროლებლიდან პარტნიორის როლში გადაინაცვლოს. უკვე გამოიკვეთა, რომ მისი ფუნქცია სწორედ გლობალიზაციამ აქცია პარტნიორად როგორც ბიზნესში, ასევე ადამიანებისთვისაც. გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი ხდება მოდერნიზაცია და ეკონომიკური უსფრთხოების მიღწევაც. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის შემუშავებიდან დაწყებული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზით

დამთავრებული ფინანსური სისტემის სრულყოფასა და სახელმწიფო ბიუჯეტზე სწორი ორიენტაციის გაკეთება. ეს უნდა აისახოს სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების საზოგადოებრივი ინტერესებისთვის დახარჯვაში, რომელიც არ უნდა იყოს თვითმიზანი. მთავარია ისეთი სისტემის შექნა პროგნოზირების კუთხით, რომელიც საზოგადოების მოთხოვნილებას მაქსიმალურად დააკმაყოფილებს, მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების სასურველი დონის მისაღწევად.

დასკვნა

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება გლობალიზაციის პირობებში შესაძლებელია შემდეგი მთავარი მიმართულებით ჩამოყალიბდეს:

1. უნდა გამოიკვეთოს ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერების როლი, როგორც პროცესისა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკურ და არაეკონომიკურ პოზიციას მსოფლიო თანამეგობრობაში.
2. ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტიანი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს ძალთა გაერთიანებით, მათი ფუნქციების განაწილებით, რაც თავისთავად შეამცირებს დანახარჯების პროცესს.
3. უნდა გაძლიერდეს პროგნოზირების როლი სახელმწიფოსა და მსხვილი ბიზნესის ინტერესების ბალანსის მისაღწევად, რომელიც გამოიწვევს ყველა სახის დანახარჯების ოპტიმიზაციას ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: საქართელოს ეროვნული ანგარიშები 2021.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: ინფლაცია საქართველოში. სექტემბერი, 2021. თბილისი, 2021.

საქართელოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. 2021.

სტიგლიცი ჯ. (2012). გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება. თბილისი.

Кирилин А. www.trud.ru/artike_ll/24-05/88066_gadanie na vto.ltml

Иноземцев В.Л. (2004). Современное постиндустриальное общество: природа, противоречия, перспективы. М.

Харламов А.В., Чирук И.С. (2005). Изменение концепции экономической политики государства в условиях глобализации. Известия СПБУЭФ, №2.

Globalization and economic security

Murman Kvaratskhelia
Doctor of Economic Sciences, Professor
Sukhumi State University
Chief Research fellow
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
murmankvara77@gmail.com

Globalization has become an irreversible process of humanity. As a result of its negative effects, sovereign states may face certain problems. In this case, they will face some negative challenges in terms of economic security. Because of this, the degree of economic interrelationship and interdependence between states, which globalization offers, is being defined in a completely new way. In this case, the main task of the states remains to eliminate such threats as political, ecological, scientific-technical, military and others. However, the importance of economic security is increasing in conditions of globalization. Therefore, it is necessary to unite the efforts of the capabilities of the national economies of the states in order to ensure the protection of national interests in terms of protecting one's own potential in the world and national economic space. This will create solid conditions for creating an innovative economy, which can become a guide for the future of sovereign states.

Keywords: globalization, economic security, national interests

საქართველოს ექსპორტის გამოწვევები გლობალური უსაფრთხოების რისკების ზრდის პირობებში

ნიკოლოზ ჩიხლაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ქუთაისის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

გოჩა უგულავა
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ქუთაისის უნივერსიტეტი
gocha.ugulava@unik.edu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-95-112

ანოტაცია. *მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში საქონლისა და მომსახურების საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ზოგადი ტენდენციის მიუხედავად, ეს პროცესი ქვეყნების ჭრილში განსხვავებული ინტენსივობით ხასიათდება და მოითხოვს ეკონომიკური განვითარების ეროვნული და რეგიონული მოდელების თავისებურებების გათვალისწინებას. თუმცა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით არსებული სამართლებრივი ველი მნიშვნელოვნად ზღუდავს ცალკეული ქვეყნებისთვის საერთაშორისო ვაჭრობაში მისი გამოყენების შესაძლებლობას. ასეთ პირობებში ქვეყნები იძულებულნი არიან ეძებონ ახალი ლეგალური გზები შიდა ექსპორტიორების მხარდასაჭერად. კერძოდ, ბევრ განვითარებად ქვეყანაში ექსპორტისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მსოფლიო პრაქტიკაში, მსო-ს მოთხოვნების მიუხედავად, არსებობს წინააღმდეგობები ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს (გაერთიანებებს) და განვითარებად ქვეყნებს შორის. საგარეო ვაჭრობის სფეროში სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებში განსხვავებები წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტებს, რომელთა ინტენსივობამაც განაპირობა მსო-ს ფარგლებში ინტერესთა ჰარმონიზაციის შესაძლებლობების ინსტიტუციონალური გაფორმების აუცილებლობა. მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის ინსტიტუტებისა და რეგიონული სავაჭრო კავშირების ძალისხმევის მიუხედავად, იზრდება იმ პროტექციონისტული ბარიერების სია, რომლებიც ხელს უშლის საქონლის, კაპიტალის და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას. ამას ადასტურებს სხვადასხვა გადასახადებისა და კვოტების გამოყენების პრაქტიკა, იმპორტზე ტექნიკური შეზღუდვების (უსაფრთხოების ნორმების ან სტანდარტების შემოღება, რომლებიც განსხვავდება ექსპორტიორ ქვეყნებში დადგენილისაგან), ასევე ფისკალური, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბარიერების დადგენა. ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ექსპორტის ძირითადი ტენდენციები და გამოკვეთილია უმთავრესი გამოწვევები გლობალური უსაფრთხოების რისკების ზრდის პირობებში.*

საკვანძო სიტყვები: ექსპორტი, გლობალური უსაფრთხოება, საგარეო ვაჭრობა.

შესავალი

გლობალიზაცია 4.0, რომელიც ამჟამად მსოფლიო ეკონომიკის განვითარების საკვანძო ტენდენციაა, დღის წესრიგში აყენებს ზენაციონალური სტრუქტურებისა და საერთაშორისო კომპანიების ფუნქციონირების ეფექტურობისა და შედეგიანობის საკითხს.

გლობალიზაციის პროცესის ევოლუცია ართულებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების სისტემას და ამძაფრებს უთანასწორობის გაღრმავების პრობლემას ეკონომიკური განვითარების ყველა დონეზე. ყველაზე კონკურენტული სუბიექტების სარგებლიანობის გაზრდის შესაძლებლობები პრაქტიკულად შეუზღუდავი ხდება, არ ექვემდებარება გარე კონტროლს და რაიმე სახის რეგულირებას.

ამავდროულად, სხვა მოთამაშეების ფუნქციონირების მთავარი პრობლემა, რომლებიც არ არიან ლიდერებს შორის, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ, იმდენად არა განვითარების, რამდენადაც გადარჩენის საკითხია, შეინარჩუნებენ თუ არა ისინი თავს, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეულები.

გლობალიზაციის პირობებში იზრდება მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის ეკონომიკების დამოკიდებულება ზოგადად მსოფლიო ეკონომიკაში და კონკრეტულად საერთაშორისო ვაჭრობაში სტრუქტურულ ცვლილებებზე. ქვეყნებისთვის, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გასული საუკუნის მიწურულს გადავიდნენ, ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების გლობალური კონტექსტი მოიცავს როგორც უპრეცედენტო შესაძლებლობებს, ასევე მნიშვნელოვან რისკებს.

პოტენციური შესაძლებლობა, წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში მსოფლიო ბაზარზე დომინანტური პოზიციის დასაკავებლად, დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართული განვითარების პოლიტიკის გატარებასა და ინოვაციური საქმიანობის აქტიურ განხორციელებაზე. მაგრამ რისკები, უპირველეს ყოვლისა, ასოცირდება საზოგადოების, მთავრობისა და ბიზნეს ელიტების მხრიდან დროის ახალ მოთხოვნებზე შესაბამისი რეაქციის არარსებობასთან.

მრავალი კვლევა ფოკუსირებულია იმ არხებზე, რომლებითაც საგარეო ვაჭრობა გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. შედეგები გვაჩვენებს, რომ ზრდა უფრო მაღალია იმ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ უფრო დივერსიფიცირებული საექსპორტო სტრუქტურა (Lederman and Maloney, 2003), აუმჯობესებენ ექსპორტის ხარისხს (Henn, Papageorgiou and Spatafora, 2015) და ღრმად არიან ინტეგრირებულნი ღირებულების შექმნის გლობალურ ჯაჭვებში (Didier and Pinat, 2017). ამასთან, ექსპორტის დივერსიფიკაცია ეკონომიკურ ზრდაზე დადებით გავლენას ახდენს (სიხარულიძე და კიკუტაძე, 2020)

ბოლო პერიოდის კვლევებმა წარმოაჩინა, რომ უფრო ფართო სავაჭრო ღიაობის მიღწევამ, ღირებულების შექმნის გლობალურ ჯაჭვებში გაზრდილ მონაწილეობასთან ერთად, ექსპორტის დივერსიფიცირების ზრდამ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებამ, შეიძლება მომდევნო ორმოცდაათი წლის განმავლობაში 5-10 პროცენტით გაზარდოს შემოსავლების დონე.

დაბალი დამატებული ღირებულების მქონე საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციით შეუძლებელი იქნება საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება. ამდენად აუცილებელია ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა, რომლებსაც ექნებათ მაღალი დამატებული ღირებულება (ღაღანიძე, 2019). ასევე, სამართლიანად მიიჩნევენ, რომ საბაზრო ექსპანსიისათვის აუცილებელია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფართოება. საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა რე-ექსპორტის განვითარებას,

რაც ცხადია, წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას, თუმცა მისი როლის გაზვიადება არასწორია. (ღაღანიძე, 2022).

მეტი ღიაობის უარყოფითი ეფექტების შესარბილებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასთან დაკავშირებული დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა იყოს რაც შეიძლება ინკლუზიური, შესაძლოა აუცილებელი გახდეს ინვესტიციების და სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისაკენ მიმართული სტრუქტურული რეფორმების და კორექტირების ხარჯების შესამცირებლად მიზნობრივი საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ღონისძიებათა გატარება. სახელმწიფო პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარე ვაჭრობის პოტენციური ნეგატიური გვერდითი ეფექტების მართვაში.

დასაქმებულთა ზოგიერთი ჯგუფისათვის მეტი ღიაობა შეიძლება მნიშვნელოვანი გარდამავალი დანახარჯების წარმოშობის მიზეზი იყოს. ემპირიული კვლევები იძლევა გარკვეულ ხედვას ამ დანახარჯების ზემოქმედების კომპენსირებისათვის გადანაწილების საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის პოტენციურ ეფექტურობაზე, რაც ეკონომიკის რიგ დარგებში სამუშაო ადგილების შემცირებით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად განსაკუთრებულად ეფექტური გამოდგეს.

საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა ფუნდამენტურ როლს თამაშობს ეკონომიკური სუბიექტების მცდელობებში, გლობალიზაციის პირობებში შეინარჩუნონ თავი, როგორც დამოუკიდებელმა ერთეულებმა.

2014-2022 წლებში მნიშვნელოვნად (1,7-ჯერ) გაიზარდა საქართველო საგარეო სავაჭრო ბრუნვა. პოზიტიური ძვრები ამ მხრივ გვაქვს ექსპორტშიც, რომელიც საანალიზო პერიოდში 2861 ათასი დოლარიდან 5592,8 ათას დოლარამდე (თითქმის 2-ჯერ) გაიზარდა და მაქსიმუმს 2022 წელს მიაღწია. (ცხრ. 1)

ცხრილი 1

საქართველოს ექსპორტის დინამიკა 2014-2022 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)

მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ექსპორტი სულ,	2861	2204.7	2112.9	2735.5	3379.7	3798.4	3344.5	4242.7	5592.8
მ.შ. ადგილობრივი ექსპორტი	1816.5	1602.5	1619.7	2006.3	2224.1	2323.8	2409	3127.7	3704.2
რეექსპორტი	1044.5	602.2	493.2	729.2	1155.6	1474.6	935.5	1115	1888.6
სავაჭრო ბრუნვა	11462.9	9505	9407	10674.7	12741.1	13317.9	11398.3	14342.4	19043

ყურადსაღებია რეექსპორტის საკითხიც, რომელიც მნიშვნელოვნად „ავსებს“ ექსპორტს. საანალიზო პერიოდში მაღალი იყო რეექსპორტის ხვედრითი წილი (მაქსიმუმი 2019 წელს - 38,8%). პერიოდის

ბოლოს წინა წელთან შედარებით ადგილობრივი ექსპორტის ხვედრითი წილი შემცირდა, ხოლო რეექსპორტმა ექსპორტის მესამედს გადააჭარბა და თანაფარდობამ 66,2% / 33,8% შეადგინა. საერთო ექსპორტის ზრდის ფონზე ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ექსპორტის ზრდის ტემპი უფრო მაღალი იყო, ვიდრე რეექსპორტისა. (ნახ. 1)

დიაგრამა 1

საქართველოს ექსპორტში ადგილობრივი ექსპორტის და რეექსპორტის

ხვედრითი წილების დინამიკა 2014-2022 წლებში, %



სასაქონლო პოზიციების მიხედვით საქართველოს ადგილობრივ ექსპორტში ლიდერობს სპილენძის მადნები და კონცენტრატები (ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტში 28%). შემდგომ პოზიციებზეა ფეროშენადნობები (12%), ღვინოები და სპირტიანი სასმელები (10%), სასუქები (7%). (ნახ. 2)

საინტერესო შედეგები მოგვცა ექსპორტის ხვედრითი წილის ანალიზმა ცალკეული გეოგრაფიული არეალების მიხედვით 2009 და 2021 წლებისათვის (პირველი მათგანი ავიღეთ, როგორც რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი წელი და შევადარეთ ბოლო წლის მაჩვენებელს). (ნახ. 3)

დადებით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ ევროპასთან ექსპორტის ხვედრითი წილის ზრდა (8,8%-ით), რასაც უდაოდ ხელი შეუწყო საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) არსებობამ, GSP და GSP+ რეჟიმებმა, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამ. შესაბამისად, შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა აზიასათან (3,5%-ით) და ამერიკასთან ექსპორტის ხვედრითი წილი (5,1%-ით).

დიაგრამა 2

საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2022 წელს



დიაგრამა 3

საქართველოს ექსპორტის ხვედრითი წილის ცვლილება 2009 და 2021 წლებში გეოგრაფიული არეალების მიხედვით (%)



არსებული რეალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია რუსეთთან, როგორც ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან ექსპორტის ანალიზი. (ნახ. 4)

დიაგრამა 4

რუსეთთან სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის ხვედრითი წილის დინამიკა 2004-2021 წლებში, %



ანალიზი 2004-2021 წლებისათვის გვიჩვენებს არაერთგვაროვან ტენდენციებს:

- 2004-2007 წლებში რუსეთთან საგარეო ბრუნვაში ექსპორტის ხვედრითი წილი თითქმის 4-ჯერ ეცემა (29,1-დან 7,3%-მდე) ამ პერიოდში ბრუნვის ზრდის პირობებში;
- 2007-2012 წლებში შენარჩუნდა დაბალი ხვედრითი წილი საგარეო ვაჭრობაში (7-10%-ის დონეზე);
- 2012-2014 წლებში ექსპორტის ხვედრითი წილი 3,6-ჯერ გაიზარდა და 32,3% შეადგინა, ამ პერიოდში ბრუნვის ზრდის პირობებში;
- 2015 წელს კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდა და 20,7% შეადგინა;
- 2015-2021 წლებში ექსპორტის ხვედრითი წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდება ამ პერიოდში ბრუნვის ზრდის ფონზე. საანალიზო 18 წლიან პერიოდში ექსპორტის ხვედრითმა წილმა 37,4% შეადგინა საანალიზო პერიოდის ბოლოს - 2021 წელს;
- საანალიზო პერიოდში მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის თანაფარდობამ 5,7 შეადგინა. უარყოფითი სალდო მინიმალური იყო 2004 წელს - 149,9 მლნ. დოლარი, ხოლო მაქსიმალური 2007 წელს - 528,5 მლნ. დოლარი.

ქვეყნის ეკონომიკური სპეციალიზაციის გასაანალიზებლად გამოვიყენოთ გამოვლენილ შედარებით უპირატესობის მაჩვენებელი (RCA). იგი ზომავს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის შედარებით მნიშვნელოვნებას ქვეყნის მთლიან ექსპორტში, სხვა ქვეყნის ექსპორტის წილების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მაღალი RCA მიუთითებს ქვეყნის სპეციალიზაციაზე კონკრეტულ პროდუქტში, გაზომილს ამ პროდუქციის ექსპორტის მიხედვით.

ჩვენს მიერ გაკეთდა ანალიზი 5 დასახელების საქონელზე/პროდუქტზე და მათთვის გამოთვლილ იქნა RCA: ღვინო, ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები, წყლები, მინერალური წყლები და გაზირებული სასმელი და თხილი (ცხრ. 2) პირველ რიგში მოვახდინეთ მაჩვენებელთა დაჯგუფება RCA გამოთვლის მეთოდოლოგიის მიხედვით.

ცხრილი 2

2014-2021 წლებში RCA-ს დინამიკა ხუთი დასახელების საქონლისთვის

საქონლის დასახლება	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	ჯამი 2014-21
ღვინო	12.2	14.5	15.4	12.9	11.1	9.4	10.3	9.6	11.5
ფეროშენადნობები	9.5	9.5	9.1	9.7	9.0	7.3	7.6	9.4	8.8
სპილენძის მადნები	53.9	59.0	55.8	53.0	47.9	38.6	44.7	52.0	49.7
წყლები, მინერალური წყლები და გაზირებული სასმელი	7.5	10.0	11.2	9.5	7.7	5.9	9.1	5.3	7.9
თხილი	6.5	8.7	8.5	6.7	5.4	5.4	5.7	4.8	6.2

ბოლო წლებში საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირების და კონცენტრაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა (ნახ. 5). კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ ვიწროა სამამულო ექსპორტის სტრუქტურა და საჭიროა სათანადო ღონისძიებების შემუშავება მისი გაფართოებისათვის.

დიაგრამა 5

ქვეყნების მიხედვით ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსი

როგორც უცხოურმა გამოცდილებამ დაადასტურა, ეკონომიკური კურსი, რომელიც მიმართულია სამრეწველო ექსპორტის პრიორიტეტულ განვითარებაზე, ამ ქვეყნების საექსპორტო პოტენციალის ფორმირებისა და განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ანალიზით შეგვიძლია რამოდენიმე საერთო მნიშვნელოვანი მიმართულების გამოყოფა:

- ეროვნული ეკონომიკის დაბალანსებულობა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა;
- ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სტრუქტურული გარდაქმნის წარმატებულობა;
- მაღალტექნოლოგიური დარგების მიზნობრივი განვითარება და ახალი ტექნოლოგიების მოზიდვა ტრადიციულ დარგებში.

თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განვითარების მოდელის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ქვეყნის ეროვნული დეტერმინანტების ჰარმონულობაზე, გარე ფაქტორებზე მათ მიერ ზემოქმედების მოხდენის განწყობაზე. (ქუთაისის უნივერსიტეტი, პანელური დისკუსიის მასალები, 2023). ეროვნული ექსპორტის მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის საქმეში. საექსპორტო პროდუქციის პრომოუშენისათვის და ექსპორტის მოცულობის ზრდის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი რიგი ღონისძიებები და ინსტრუმენტები, რომლებიც ჩვენს მიერ სისტემატიზებული იქნა შემდეგი სახით (ნახ. 6).

დიაგრამა 6

საექსპორტო პროდუქციის პრომოუშენის და ექსპორტის მოცულობის ზრდის ღონისძიებები და ინსტრუმენტები

საქართველოს 1995-2022 წლების ექსპორტის მონაცემების საფუძველზე, ARIMA (Autoregressive Integrated Moving Average) მეთოდის მეშვეობით მოვახდინეთ დროითი მწკრივის მოდელირება შემდგომი მონაცემთა მაჩვენებლების პროგნოზირების მიზნით. (Asteriou & Hall, 2011).

მოდელირება განხორციელდა Python დაპროგრამების ენაზე დაწერილი პროგრამის მეშვეობით statsmodels ბიბლიოთეკის გამოყენებით. (Skipper & Perktold, 2010).

საწყისი მონაცემების ანალიზით, როგორც ვიზუალურად (ნახ. 7), ასევე გაფართოებული დიკი-ფულერის ტესტითაც (Augmented Dickey–Fuller test - ADF) დადგინდა მწკრივის არასტაციონარულობა, რაც პირველი რიგის სხვაობის აღებით გასწორდა. (ცხრ. 3). შესაბამისად მოდელისათვის განისაზღვრა სხვაობითი კომპონენტის რიგის მნიშვნელობაც (d=1).

დიაგრამა 7

საქართველოს 1995-2022 წლების ექსპორტის მონაცემები
(დროითი მწკრივი - საწყისი და პირველი რიგის სხვაობის აღების შემდეგ)

ცხრილი 3

გაფართოებული დიკი-ფულერის ტესტის შედეგები

	adf	p-value	Critical values		
			'1%'	'5%'	'10%'
ts	1.94	0.99	-3.72	-2.98	-2.63
ts1diff	-3.79	0.002***	-3.72	-2.98	-2.63

კორელოგრამის (ნახ. 8) ანალიზით განისაზღვრა მოდელის სხვა პარამეტრებიც: p - ავტორეგრესიის რიგი (AR) და q - მცოცავი საშუალოს რიგი (MA). შესაბამისად p=1 და q=1.

აღნიშნული პარამეტრებით ავაგეთ მოდელი (ნახ. 9). ყველა კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (alpha=0.05).

დიაგრამა 8

კორელოგრამა



დიაგრამა 9

ARIMA მოდელის მახასიათებლები

```
                             ARIMA Model Results
==============================================================================
Dep. Variable:               D.Export   No. Observations:                   27
Model:                 ARIMA(1, 1, 1)   Log Likelihood                -196.388
Method:                       css-mle   S.D. of innovations            332.931
Date:                Wed, 08 Feb 2023   AIC                            400.776
Time:                        11:03:53   BIC                            405.960
Sample:                    01-01-1996   HQIC                           402.318
                         - 01-01-2022
=================================================================================
                    coef    std err          z      P>|z|      [0.025      0.975]
---------------------------------------------------------------------------------
const           200.0188     90.640      2.207      0.027      22.368     377.669
ar.L1.D.Export   -0.4028      0.182     -2.213      0.027      -0.760      -0.046
ma.L1.D.Export    1.0000      0.115      8.724      0.000       0.775       1.225
                                    Roots
=============================================================================
                  Real          Imaginary           Modulus         Frequency
-----------------------------------------------------------------------------
AR.1           -2.4826           +0.0000j            2.4826            0.5000
MA.1           -1.0000           +0.0000j            1.0000            0.5000
-----------------------------------------------------------------------------
```

მოდელს ჩაუტარდა ლიუნგ-ბოქსის Q-ტესტი (Ljung–Box Q-test) იმის შესამოწმებლად, განსხვავდება თუ არა დროითი მწკრივის ავტოკორელაციების რომელიმე ჯგუფი ნულისაგან. მიღებული სტატისტიკის მნიშვნელობები და p-მნიშვნელობები მიუთითებს იმაზე, რომ ჰიპოთეზა ნარჩენების შემთხვევითობის თაობაზე არ არის უარყოფილი და, სავარაუდოდ, აღნიშნული პროცესი შემთხვევითია, ანუ "თეთრ ხმაურს" წარმოადგენს.

მიღებული მოდელის ვალიდაციისათვის მოვახდინეთ მისი მეშვეობით მნიშვნელობათა გამოთვლა და არსებულ, აქტუალურ მონაცემებთან შეპირისპირებით რიგი მეტრიკების განსაზღვრა. (ცხრ. 4, ნახ. 10)

ცხრილი 4

ARIMA მოდელის რიგი მეტრიკები

Metrics	Value
R2	0.959751
MAPE	0.265651
ME	203.415473
MAE	224.327097
MPE	0.256613
RMSE	286.539521
CORR	0.991273
MINMAX	0.183541

დიაგრამა 10

მოდელირებული და აქტუალური მნიშვნელობები



ARIMA მოდელის გამოყენებით მოვახდინეთ საქართველოს ექსპორტის 2023 და 2024 წლებისათვის მაჩვენებლების პროგნოზირება (Ceteris Paribus) 95 %-იანი სანდოობის ინტერვალის გაანგარიშებით. (ცხრ. 5, ნახ. 11).

ცხრილი 5

საქართველოს ექსპორტის 2023 და 2024 წლების საპროგნოზო მაჩვენებლები (ARIMA მოდელი)

Date	Forecast	Confidence Intervals	
		Lower	Upper

2023	5991.366036	4761.719147	7221.012926
2024	6190.957865	4675.797756	7706.117975

დიაგრამა 11

საპროგნოზო მაჩვენებლების გრაფიკი

(ARIMA მოდელი)



იგივე, საქართველოს 1995-2022 წლების ექსპორტის, მონაცემების საფუძველზე შესადარებლად მოვახდინეთ დროითი მწკრივის მოდელირება და პროგნოზირება სინგულარული სპექტრის ანალიზის (Singular Spectrum Analysis - SSA) მეთოდით. აღნიშნული მეთოდი ბოლო პერიოდში უფრო ხშირად გამოყენებადი გახდა. ის დაფუძნებულია ერთგანზომილებიანი დროითი მწკრივის მრავალგანზომილებიან მწკრივად გარდაქმნაზე, მასზე მთავარი კომპონენტების მეთოდის შემდგომი გამოყენებით. (Laborde & Paris, 2021). მისი ზოგადი პროცედურა შემდეგ ოთხ ძირითად ეტაპს მოიცავს:

- დროითი მწკრივიდან ლაგირებული ფანჯრის მეშვეობით k-სიგრძის ვექტორების ჩასმით ჰენკელის მატრიცის ფორმირება (Embedding);
- ჩასმული დროითი მწკრივის სინგულარული დაშლა (SVD);
- საკუთრივი სამეულების დაჯგუფება - საკუთრივი მნიშვნელობა - საკუთრივი ვექტორი წყვილების იდენტიფიცირება (ტრენდი, სეზონურობა, ხმაური) (Eigentripple grouping);
- დიაგონალური გასაშუალება - საკუთრივი მნიშვნელობა - საკუთრივი ვექტორი წყვილებისაგან (ტრენდი, სეზონურობა) დროითი მწკრივის რეკონსტრუირება (Diagonal averaging).

გარკვეულ სირთულეებს შეიცავს მოდელისათვის ფანჯრის სიგრძის პარამეტრის (k) შერჩევის საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული რეკომენდაციების მიხედვით (მაგ.: Golyandina et al., 2018, 2001, Knapik et al., 2022, Ghil et al., 2002 და სხვა) შერჩეულ იქნა შესაბამისი პარამეტრები. (k=14, suspected_seasonality=0).
გაანალიზებულ იქნა თითოეული სიგნალის წვლილი (ნახ. 12).

დიაგრამა 12

თითოეული არანულოვანი სიგნალის წვლილი



პირველი ხუთი სიგნალი (0-4) საკმარისი იქნება მისაღები სიზუსტის რეკონსტრუქციის შესაქმნელად (ნახ. 13)

დიაგრამა 13

საკუთრივ მნიშვნელობებთან (0-4) ასოცირებული სიგნალების რეკონსტრუქცია







შესაბამისად, საბოლოო რეკონსტრუქციით მიღებული მოდელის ვალიდაციისათვის მოვახდინეთ მისი მეშვეობით მნიშვნელობათა გამოთვლა და არსებულ, აქტუალურ მონაცემებთან შეპირისპირებით რიგი მეტრიკების განსაზღვრა. (ცხრ. 6, ნახ. 14).

ცხრილი 6

SSA მოდელის რიგი მეტრიკები

Metrics	Value
MAPE	0.094581
ME	-4.342984
MAE	80.096864
MPE	0.027305
RMSE	97.544342
CORR	0.997721

დიაგრამა 14

მოდელირებული და აქტუალური მნიშვნელობები



საბოლოოდ, მიღებული მოდელი გამოვიყენეთ მოცემულ პირობებში (Ceteris Paribus) საქართველოს ექსპორტის 2023 და 2024 წლების მაჩვენებლების პროგნოზირებისათვის. მიღებულ იქნა შემდეგი მაჩვენებლები: 2023 - 7747.056485 და 2024 - 8939.839917 (ნახ. 15).

დიაგრამა 15

საპროგნოზო მაჩვენებლების გრაფიკი (SSA)



მიღებულ მონაცემებს თუ გადავხედავთ, იმის გათვალისწინებით რომ ბოლო პერიოდში ექსპორტის მოცულობის წლიური ზრდის ტემპი 30 პროცენტამდე ფარგლებში მერყეობდა მეტწილად (2022 წ. – 31.6%, 2021 წ. – 27%, 2018 წ. – 23.1% , 2017 წ. – 29.7%. გარდა 2019-20 წლების COVID პანდემიით გამოწვეული კლებისა) შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ არსებულ რეალიებში სინგულარული სპექტრის ანალიზის მეთოდით პროგნოზირებული წლიური მაჩვენებელი მიახლოებულია მოსალოდნელ ნიშნულებთან. ARIMA მოდელი განსაკუთრებით მგრძნობიარე აღმოჩნდა წინა რამოდენიმე მნიშვნელობის მიმართ, შედეგად COVID პანდემიის პერიოდის ვარდნის ზეგავლენით მომავალი საპროგნოზო მაჩვენებლები დაქვეითებული შეიქნა. თუმცა აღსნიშნავია, რომ ორივე მოდელი განვლილი პერიოდის ექსპორტის სწრაფი ზრდის ტემპის ნაწილობრივ შემცირებას პროგნოზირებს 2024 წლის პერსპექტივაში. (ცხრ. 7)

ცხრილი 7

საქართველოს ექსპორტის 2023 და 2024 წლების საპროგნოზო მაჩვენებლების შედარება

2022 წელი (ფაქტიური)	ARIMA				SSA			
	2023		2024		2023		2024	
	სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%
5592.8	5991.4	7.1	6191.0	3.3	7747.1	38.5	8939.8	15.4

თუმცა მხედველობაშია მისაღები სხვადასხვა, ექსპორტის მოცულობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ფაქტორების ცვლილებების დინამიკა და მიმდინარეობა. პროგნოზირებისას, ციფრობრივი ანალიზის კვალდაკვალ გასათვალისწინებელია ექსპორტის დინამიკის შინაარსობრივი მხარეც, მისი ხარისხობრივი მახასიათებლები, ამ კუთხით მოსალოდნელი ცვლილებები. ამდენად, მოცემული

მოდელი დამატებით შესაძლოა გამოყენებულ იქნას ამ ფაქტორების როლისა და ზეგავლენის დონის შემდგომი კვლევებისათვის.

დასკვნა

1. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი არასასურველი ტენდენცია - ქართული ექსპორტი კონცენტრირებულია მცირე რიცხოვნობის საქონელზე და მას ახასიათებს შეზღუდული მრავალფეროვნება, გადაუმუშავებელი ექსპორტის მაღალი წილი. აღნიშნული, ცვალებადი სივრცის პირობებში შეიცავს ეკონომიკური მდგრადობის გარკვეულ საფრთხეებს;
2. გამოიკვეთა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების საჭიროება, ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულებებით მონიჭებული პრეფერენციების და უპირატესობების უკეთ გამოყენების, საგარეო ვაჭრობაში ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის მოცულობის ზრდაზე ორიენტორებულობის აუცილებლობა.
3. ეროვნული ეკონომიკის მაღალი ღიაობის და მსოფლიო სამეურნეო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის შემდგომი გაღრმავების პირობებში, სამეურნეო წინსვლის დაჩქარებისა და გაუმჯობესების ამოცანები უნდა გადაწყდეს აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის გატარების გზით ექსპორტის მხარდაჭერის სფეროში;
4. რუსეთ-უკრაინის ომმა, მიწოდების ჯაჭვების რღვევამ და ინფლაციურმა პროცესებმა გვიჩვენეს, რომ საქართველომ გეოპოლიტიკური მდებარეობის მაქსიმალური გამოყენების პირობებში აუცილებლად უნდა განავითაროს ლოჯისტიკური სექტორი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მასშტაბით კონკურენტული უპირატესობების გასაღრმავებლად.
5. რუსეთში ექსპორტის წილის ზრდა საერთო ექსპორტის მოცულობაში განაპირობებს მასზე დამოკიდებულების გაღრმავებას, რაც მოწყვლადობას ზრდის. არასაიმედო სავაჭრო პარტნიორების წილის სერიოზული მატება საერთო ექსპორტში, წარმოქმნის პოლიტიკური გადაწყვეტილებების ზეგავლენის გამო ექსპორტის მკვეთრი შეკუმშვის რისკებს, რისი პრეცენდენტიც ახლო წარსულში დაფიქსირდა.
6. საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის მოკრძალებული წილი და ასეთივე პოზიცია მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად განაპირობა ექსპორტის მხარდაჭერის დახვეწილი მექანიზმების არარსებობამ და უსისტემობამ - ამ სფეროში პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია მეტი კოორდინირება და სიცხადე;
7. საქართველოს საექსპორტო სტრატეგიის კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმი უნდა გახდეს მისი ინოვაციური მიმართულება, რაც საშუალებას მოგვცემს შეიქმნას მაღალი დამატებული ღირებულების მქონე საქონელი/მომსახურება;
8. ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება საქართველოს ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში.
9. მეტი ეფექტურობაა საჭირო ეკონომიკური დიპლომატიის ნაწილშიც. ამ მხრივ, სავაჭრო გარიგებებშიც მთავრობის სამოლაპარაკებო შესაძლებლობებს აქვთ გარკვეული რეზერვები;
10. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უცხოურ ბაზრებზე გამოუცდელი ფირმების საქმიანობის ხელშეწყობას, რომელთათვის მაღალია საექსპორტო საქმიანობის რისკი.

გამოყენებული ლიტერატურა

სიხარულიძე დ., კიკუტაძე ვ., (2020) ექსპორტის დივერსიფიკაცია და ეკონომიკური ზრდა: ქვეყანათა შორის ანალიზი (პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე). აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, N2, გვ. 32-38. თბ., „საგა“.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა. საქსტატი, 2022. https://www.geostat.ge/media/46988/External-Merchandise-Trade-2021_publication.pdf

საქონლით საგარეო ვაჭრობა. საქსტატი, 2023. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba

ფარსენაძე ზ. (2021) ექსპორტის სტიმულირების მექანიზმები და მათი სრულყოფის გზები საქართველოში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. – 166 გვ.;

ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი. პანელური დისკუსიის „საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები და გამოწვევები“ მასალები (28.02.2023). https://unik.edu.ge/News/1400

ღაღანიძე გ. (2019). ექსპორტის ზრდა: ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნის აუცილებლობა. *„გლობალიზაცია და ბიზნესი“,* N7, გვ. 24-31. https://www.eugb.ge/uploads/journal/gb-N7.pdf

ღაღანიძე გ. (2022) საექსპორტო სტრატეგიების ფორმირება და ფუნქციონირება თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკის საფუძველზე. ეკონომიკა და ბიზნესი, N4; http://eb.tsu.ge/?cat=arq&leng=ge&arq=2022-12-28

Asteriou, Dimitros; Hall, Stephen G. (2011) "ARIMA Models and the Box–Jenkins Methodology". Applied Econometrics (Second ed.). Palgrave MacMillan. pp. 265–286

Didier, T., and M. Pinat. 2017. “The Nature of Trade and Growth Linkages.” World Bank Policy Research Working Paper 8168, World Bank, Washington, DC.

Ghil, M., R. M. Allen, M. D. Dettinger, K. Ide, D. Kondrashov, et al. (2002) "Advanced spectral methods for climatic time series", Rev. Geophys. 40(1), 3.1-3.41

Golyandina, N., A. Korobeynikov and A. Zhigljavsky (2018) Singular Spectrum Analysis with R. Series Use R! Springer Verlag. ISBN 3662573784.

Golyandina, N., V. Nekrutkin and A. Zhigljavsky (2001) Analysis of Time Series Structure: SSA and related techniques. Chapman and Hall/CRC. ISBN 1-58488-194-1.

Henn, C., C. Papageorgiou, and N. Spatafora. (2015) "Export Quality in Advanced and Developing Economies: Evidence from a New Dataset." WTO Staff Working Paper ERSD-2015-02, World Trade Organization, Economic Research and Statistics Division, Geneva.

Knapik, T., Ratiarison, A., & Razafindralambo, H. (2022) An experimental evaluation of choices of SSA forecasting parameters.

Laborde, F., & Paris, M. T. (2021). Review of SSA for Economic Time Series.

Lederman, D., and W. Maloney. (2003) “Trade Structure and Growth.” World Bank Working Paper 3025, World Bank, Washington, DC.

Seabold Skipper and Josef Perktold. (2010) “statsmodels: Econometric and statistical modeling with python.” Proceedings of the 9th Python in Science Conference.

Sikharulidze D., Kikutadze V., (2020) Export Diversification and Economic Growth: Cross-Country Analysis (on the example of post-Soviet countries). Collection of scientific works of East European University, N2, p. 32-38. Tb., "Saga". (in Georgian).

Foreign Trade of Georgia. Geostat, 2022. https://www.geostat.ge/media/46988/External-Merchandise-Trade-2021_publication.pdf

Foreign Trade in Goods. Geostat, 2023. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba

Farsenadze Z. (2021) Export Stimulation Mechanisms and Ways to Improve Them in Georgia. Akaki Tsereteli State University. - 166 p.; (in Georgian)

Kutaisi University Research Institute of Economics. Materials of the panel discussion "Trends and Challenges of Foreign Trade of Georgia" (28.02.2023). https://unik.edu.ge/News/1400

Ghaganidze G. (2019). Export Growth: the Need to Create New Export Products. "Globalization and Business", N7, p. 24-31. https://www.eugb.ge/uploads/journal/gb-N7.pdf (in Georgian).

Ghaganidze G. (2022) Formation and Operation of Export Strategies Based on Modern Industrial Policy. Economics and Business, N4; http://eb.tsu.ge/?cat=arq&leng=ge&arq=2022-12-28 (in Georgian).

Asteriou, Dimitros; Hall, Stephen G. (2011) "ARIMA Models and the Box–Jenkins Methodology". Applied Econometrics (Second ed.). Palgrave MacMillan. pp. 265–286.

Didier, T., and M. Pinat. 2017. “The Nature of Trade and Growth Linkages.” World Bank Policy Research Working Paper 8168, World Bank, Washington, DC.

Ghil, M., R. M. Allen, M. D. Dettinger, K. Ide, D. Kondrashov, et al. (2002) "Advanced spectral methods for climatic time series", Rev. Geophys. 40(1), 3.1-3.41.

Golyandina, N., A. Korobeynikov and A. Zhigljavsky (2018) Singular Spectrum Analysis with R. Series Use R! Springer Verlag. ISBN 3662573784.

Golyandina, N., V. Nekrutkin and A. Zhigljavsky (2001) Analysis of Time Series Structure: SSA and related techniques. Chapman and Hall/CRC. ISBN 1-58488-194-1.

Henn, C., C. Papageorgiou, and N. Spatafora. (2015) "Export Quality in Advanced and Developing Economies: Evidence from a New Dataset." WTO Staff Working Paper ERSD-2015-02, World Trade Organization, Economic Research and Statistics Division, Geneva.

Knapik, T., Ratiarison, A., & Razafindralambo, H. (2022) An experimental evaluation of choices of SSA forecasting parameters.

Laborde, F., & Paris, M. T. (2021) Review Of SSA for Economic Time Series.

Lederman, D., and W. Maloney. (2003) “Trade Structure and Growth.” World Bank Working Paper 3025, World Bank, Washington, DC.

Seabold Skipper and Josef Perktold. (2010) “statsmodels: Econometric and statistical modeling with python.” Proceedings of the 9th Python in Science Conference.

Georgia's Export Challenges in the Context of Increasing Global Security Risks

Nikoloz Chikhladze
Doctor of Economic Sciences, Professor
Kutaisi University, Akaki Tsereteli State University
nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

Gocha Ugulava
Doctor of Economics, Associate Professor
Kutaisi University
gocha.ugulava@unik.edu.ge

Summary

Despite the general trend of liberalization of foreign trade of goods and services in most countries of the world, this process is characterized by different intensity in different countries and requires taking into account the features of national and regional models of economic development. However, the existing legal field of the World Trade Organization (WTO) in terms of export promotion significantly limits the possibility of using it in international trade for individual countries. Under such circumstances, countries are forced to look for new legal ways to support domestic exporters. In particular, the need for state support for export in many developing countries is due to the fact that in world practice, despite the requirements of the WTO, there are contradictions between economically developed countries (unions) and developing countries. Differences in the national economic interests of different countries in the field of foreign trade give rise to conflicts of interests, the intensity of which led to the necessity of institutionalization of opportunities for the harmonization of interests within the framework of the WTO. Despite the efforts of multilateral trading system institutions and regional trade associations, the list of protectionist barriers that prevent the free movement of goods, capital and people is growing. This is confirmed by the practice of using various taxes and quotas, technical restrictions on imports (introduction of safety norms or standards that differ from those established in the exporting countries), as well as establishing fiscal, legislative, and administrative barriers. The paper examines the main trends of Georgia's exports and highlights the main challenges in the conditions of increasing global security risks.

Keywords: Export, Global Security, Foreign Trade

ანტიმონოპოლიური პოლიტიკა საქართველოში

სლავა ფეტელავა
ეკონომიკის დოქტორი (PhD), ასოცირებული პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
sfetelava@gnca.gov.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-113-121

ანოტაცია. *სტატიაში „ანტიმონოპოლიური პოლიტიკა საქართველოში“ ავტორი ხაზს უსვამს ეკონომიკური კონკურენციის პოლიტიკის როლსა და მნიშვნელობას ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში. ამასთანავე, დინამიკაშია წარმოდგენილი საქართველოში ამ პოლიტიკის ფორმირებისა და განვითარების პროცესი, რომელიც დაყოფილია თოთხმეტი ეტაპად მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით (კონკურენციის საბჭოს შექმნა და აღსრულების მექანიზმების გაერთიანება ერთი ქოლგის ქვეშ). სამომავლოდ კონკურენციის ორგანო). ამასთან, გაანალიზებულია ქვეყანაში განხორციელებული პოლიტიკის პოზიტიური და უარყოფითი მხარეები თითოეულ ეტაპზე და გაკეთდა დასკვნა, რომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, რომელიც განხორციელდა საქართველოში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან - დასაწყისში. ხოლო ბოლო პერიოდში - გამორჩეული იყო. ანუ პირველი, მეორე და მერვე ეტაპებიდან მოყოლებული – ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად ან ნაწილობრივ მაინც წარმატებულად. ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ 2025 წლის 1 იანვრიდან დაგეგმილი ინსტიტუციური ცვლილების შემდეგ და საბოლოოდ, ქვეყანაში ერთიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების პროცესის დანერგვით ერთი ორგანოს (კონკურენციის ეროვნული სააგენტო/კონკურენციის საბჭო) მეშვეობით, აღსრულება. ქვეყანაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის კიდევ უფრო წარმატებული იქნება, რაც საქართველოში ბიზნესგარემოს უფრო უსაფრთხო და მიმზიდველს გახდის.*

საკვანძო სიტყვები: *ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, ინსტიტუციური ცვლილებები,*

შესავალი

საქართველოში, ისევე როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების უმეტესობაში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი დიდი სირთულეებით და წინააღმდეგობით ხასიათდებოდა. ცხადია, საბაზრო ეკონომიკის რელსებზე ქვეყნის ეკონომიკის მოდიფიკაციის პროცესი არ იყო მარტივი და ადვილად განხორციელებადი. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ყველა იმ ქვეყანაში სადაც ეს პროცესი დაიწყო და რაიმე ღირებული წარმატებისთვის მიუღწევიათ, ამ წარმატების უმთავრესი მიზეზი იყო თითოეული ცალკე აღებული სახელმწიფო პოლიტიკური ნება, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია სწორედ თანმიმდევრული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეალიზაცია, რომელიც თავის მხრივ, უნდა იყოს ჰარმონიზებული გარე სამყაროსთან და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებსა და საერთაშორისო ვალდებულებებს.

საქართველომ, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულმა ქვეყანამ, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლიდან დაისახა მიზნად, ხელი შეეწყო თავისუფალი ვაჭრობისა და

კონკურენციისათვის, რომლის მიღწევა საბაზრო ეკონომიკის შემაფერხებელი ელემენტების გამოვლენისა და აღკვეთის ქმედითი ბერკეტების არსებობის გარეშე შეუძლებელი იყონ (ფეტელავა, 2007, გვ. 123). ეს უკანასკნელი კი მიღწევადი იყო სწორედ ანტიმონოპოლიური რეგულირების სამართლებრივი მექანიზმების დანერგვისა და მის პრაქტიკული რეალიზაციის პირობებში.

შესაბამისად, საქართველოში 1992 წლიდან დაიწყო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესი, რომელიც მთელი ამ 30 წლიანი ისტორიის მანძილზე არ იყო ყოველთვის თანმიმდევრული და რიგ შემთხვევებში ის ამოვარდნილი იყო ანტიმონოპოლიური რეგულირების ზოგადი პრინციპებიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს, მოკლედ წარმოვაჩინოთ და შევაფასოთ, საქართველოში, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის სამ ათეულ წელზე მეტხნიანი ისტორია, რომელიც თავის მხრივ შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ეტაპებად:

<u>პირველი ეტაპი: 1992 წლის მარტი - 1996 წლის ივნისი.</u> ეს პერიოდი იწყება - ,,საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ – საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის **1992** წლის 17 მარტის დადგენილების (№323) მიღებით. მოგვიანებით მიღებულ იქნა - ,,მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს **1992** წლის 16 ოქტომბრის დეკრეტი, რითაც განისაზღვრა კონკურენციის განვითარების, მონოპოლიური საქმიანობის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების, შეზღუდვისა და აღკვეთის ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები. ამავე პერიოდში მიღებულ იქნა ,,არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის მარტის ბრძანებულება (№60), რომლის საფუძველზეც, მეწარმეობის მხარდაჭერისა და კონკურენციის განვითარების, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციის აღსრულების პარალელურად, სარეკლამო საქმიანობის კონტროლის ფუნქციაც დაეკისრა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს (ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი სამმართველო).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი დაემთხვა მასობრივი პრივატიზაციის პროცესს, რის გამოც დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა სჭირდებოდა ამ პოლიტიკის აღსრულებას. შესაბამისად, თუ დღევანდელი გადასახედიდან ვიმსჯელებთ, ცხადია, რომ საქართველოს კონკურენციის ორგანომ (ეკონომიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შიდა სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით), მის წინაშე მდგარ ამოცანებს (ახალი მონოპოლისტური წარმონაქმნების დაუშვებლობას და სამეწარმეო გარემოს გაჯანსაღებას), იმ პერიოდში მეტ–ნაკლები წარმატებით გაართვა თავი.

<u>მეორე ეტაპი: 1996 წლის ივლისი - 2002 წლის ივნისი.</u> ეს პერიოდი ემთხვევა ქვეყანაში კონკურენციის სამართლის კონსტიტუციურ საფუძვლებზე ფორმირების პროცესს. ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოში მეტ–ნაკლებად დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური ორგანოს – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბება.

ამავე პერიოდში მიღებულ იქნა - ,,მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და ,,რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონები და ამ კანონებიდან გამომდინარე ათეულობით (მარტო მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით 21 ქვენორმატიული წესი) ნორმატიული აქტი.

ამავე პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, განხორციელებულ იქნა არაერთი ისეთი აქტივობა, რითაც მნიშვნელოვნად იქნა გაჯანსაღებული ცალკეულ სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემო. ინტენსიურად მიმდინარეობდა შესაბამისი სასაქონლო ბაზრების კვლევა ამ ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების და

დომინანტური/მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა გამოვლენის მიზნით. ამასთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ასევე სარეკლამო საქმიანობის რეგულირების კუთხით.

საგულისხმო და ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ამ პერიოდში გაწეული საქმიანობა, საკმაოდ მაღალ დონეზე იქნა შეფასებული - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 1999 წლის ანგარიშში, რომელიც ეხებოდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კონკურენციის პოლიტიკის მიმდინარეობის საკითხებს.

<u>მესამე ეტაპი: 2002 წლის ივლისი - 2004 წლის ნოემბერი</u>. ესაა პერიოდი, როდესაც ქვეყანაში იწყება ერთიანი ცენტრალიზებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმების ვიწრო დარგობრივ ჭრილში დანაწევრება (გადანაწილება), რასაც სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა ,,დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამ.

აღნიშნული კანონის მიღების პარალელურად, ,,მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის თანახმად, ანტიმონოპოლიური სამსახურის ზედამხედველობის არეალიდან გავიდნენ რეგულირებადი ეკონომიკის სექტორები. ამასთან, ,,სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონში 2002 წლის 25 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის მიუწვდომელი გახდა პირველადი მონაცემები ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ (პროდუქციის წარმოების მოცულობა), რაც მისი საქმიანობის (სასაქონლო ბაზრების შესწავლისა და ამ ბაზრებზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასების) შემაფერხებელ გარემოებად იქცა (ფეტელავა, 2007, გვ. 142).

აღნიშნული და სხვა რიგი გარემოებების გამო, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობა, კონკურენციის დაცვის კუთხით, ამ პერიოდში გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობდა. შესაბამისად, ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების მიმართულებებზე.

<u>მეოთხე ეტაპი: 2004 წლის დეკემბერი - 2005 წლის აგვისტო.</u> ,,ესაა პერიოდი, როდესაც საქართველოში მოქმედ კონკურენციის ჩარჩო სამართალში ცვლილებების განუხორციელებლად, მოხდა ქვეყნის მთავარი კონკურენციის ორგანოს რიცხოვნობის რადიკალური შემცირება (01.12.2004 წელი), რითაც ფაქტიურად უარი ეთქვა (აღსრულების ნაწილში და არა საკანონმდებლო დონეზე), 1992 წლიდან რეალიზებულ კონკურენციის პოლიტიკას და დაიწყო ინტენსიური მუშაობა, ახალ ხედვაზე (ეკონომიკის თავის ნებაზე მიშვების კონცეფციაზე) დაფუძნებული კონკურენციის სამართლის ჩამოსაყალიბებლად" (ფეტელავა, 2007, გვ.143]. შესაბამისად აღნიშნულისა, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს ამ პერიოდში ახალი საქმეების შესწავლა არ დაუწყია (მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე ამის უფლება ჰქონდა) და ახალ ხედვაზე დაფუძნებული კონკურენციის ჩარჩო კანონის პროექტზე მუშაობის პარალელურად, მისი აქტიურობა შემოიფარგლებოდა მიმდინარე (ადრე დაწყებული და დაუსრულებელი) სასამართლო დავებში ჩართულობით.

ეს პერიოდი სრულდება - საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციით (2005 წლის 19 აგვისტო).

<u>მეხუთე ეტაპი: 2005 წლის სექტემბერი - 2010 წლის ივნისი</u>. ეს პერიოდი იწყება 2005 წლის 3 ივნისის კანონის – ,,თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" ძალაში შესვლიდან (გამოქვეყნებიდან ორი თვის შემდეგ) და საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციიდან. კონკურენციის ახალი ჩარჩო კანონით განსაზღვრული მთელი რიგი ნორმები არ მიესადაგებოდა ამ მიმართულებით არსებულ მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკას. ის არ მოიცავდა კონკურენციის ზოგადი დებულებების მნიშვნელოვან ნაწილს და მხოლოდ სახელმწიფო დახმარებებისა და

მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული თანხმობის გაცემის რეგულაციებს (კონკურენციის სააგენტოსთან შეთანხმების პროცედურებს) ადგენდა.

<u>მეექვსე ეტაპი: 2010 წლის ივლისი - 2011 წლის დეკემბერი.</u> ამ პერიოდში ლიკვიდირებული იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო და მის ნაცვლად, საქართველოს მთავრობის ქუდქვეშ შეიქმნა, იმავე სახელწოდების საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ამოცანად განისაზღვრა - კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება და საქართველოს მთავრობაში წარდგენა. შესაბამისად, სააგენტოს საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამ სტრატეგიის პროექტზე მუშაობით, რის გამოც, მას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სხვა აქტივობები ფაქტიურად არ განუხორციელებია.

თავის მხრივ, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მიერ მომზადებული - კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია მიღებული იქნა - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის N1551 განკარგულებით, რის შემდეგ, ფაქტიურად სააგენტომ ამოწურა თავისი უფლებამოსილება (ხადური, ფეტელავა, 2017, გვ. 315-316).

<u>მეშვიდე ეტაპი: 2012 წლის იანვარი - 2014 წლის მარტი.</u>

ამ პერიოდში კონკურენციის ჩარჩო კანონში (,,თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“) ცვლილებების შეტანის გარეშე (კონკურენციის ზოგადი პრინციპების მასში ასახვის გარეშე) მექანიკურად მოხდა 2012 წლის 01 იანვრიდან სსიპ კონკურენციის სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოების გაერთიანება (შერწყმა).

მოგვიანებით, უკვე 2012 წლის 8 მაისს, მიღებული იქნა ახალი კანონი - ,,თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ - რითაც გაუქმდა ამავე სახელწოდების 2005 წლის 3 ივნისის კანონი. ეს ახალი ჩარჩო საკონკურენციო სამართალი უკვე შეიცავდა კონკურენციის ამოსავალ პრინციპებს და მისი ცალკეული დებულებები მეტ-ნაკლებად ჰარმონიზებული იყო ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან. თუმცა, მთლიანობაში კანონი იყო ხარვეზიანი, რის გამოც ის ვერ უზრუნველყოფდა ჯანსაღი კონკურენციის პრინციპების სრულყოფილად დაცვას. შესაბამისად, პრაქტიკული საქმიანობა (სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ანტიკონკურენციული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით), სსიპ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს - სათანადო საკანონმდებლო (კანონქვემდებარე) ბაზის უქონლობის გამო, მთელი მეშვიდე ეტაპის განმავლობაში არ განუხორციელებია (ფეტელავა, 2021, გვ. 17-19].

<u>მერვე ეტაპი: 2014 წლის აპრილი - 2020 წლის ოქტომბერი.</u>

ეს პერიოდი იწყება, ჩარჩო საკონკურენციო სამართალში არსებული ხარვეზების გამოსწორებით (შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანით) და დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბებით (შეიქმნა 2014 წლის 14 აპრილიდან).

ამასთან, კონკურენციის სამართალში შეტანილი ცვლილებების პარალელურად, კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებულ და მიღებულ იქნა შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (სააგენტოს თავმჯდომარის 5 ბრძანება და 2 მთავრობის დადგენილება), რომელთა ძალაში შესვლიდან (2014 წლის 1 ოქტომბერი) - კონკურენციის სააგენტომ დაიწყო ინტენსიური მუშაობა კონკურენციის სამართლის აღსრულების ყველა მიმართულებით - ეკონომიკის რეგულირებადი სექტორების გარდა, რეზეც არ ვრცელდებობა კონკურენციის კანონმდებლობა.

<u>მეცხრე ეტაპი: 2020 წლის ნოემბერი - 2022 წლის მარტი</u>. ეს პერიოდი იწყება - ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით (ძირითადი ნაწილი ძალაში შევიდა 2020 წლის 4 ნოემბრიდან). კონკურენციის ჩარჩო კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი მომზადებული იყო -

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ,,საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ ფარგლებში და მას უნდა აღმოეფხვრა კანონში არსებული, პრობლემურად მიჩნეული ისეთი საკითხები, როგორიცაა - ა) კანონდარღვევის შესწავლის პროცესში კანონმდებლობით გათვალისწინებული აღსრულების მექანიზმების არასრულყოფილება, ბ) კონკურენციის სააგენტოსა და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობის ფარგლების არაეფექტურობა და გაუმართავობა, გ) კონცენტრაციის მარეგულირებელი ნორმების არაეფექტურობა, დ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული საკითხების და ვადების არასრულყოფილება, ე) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში (კანონის მე-11[3] მუხლი) სანქციის გაუთვალისწინებლობა, ვ) სააგენტოს ერთპიროვნული მმართველობის კოლეგიალური მმართველობით ჩანაცვლება და კანონის აღსრულების სხვადასხვა მექანიზმების, ტერმინოლოგიის და აშ. გამართვა და დახვეწა (Info.parliament.ge/file/1/BellReviewContenty/224612).

აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში მოქმედი კონკურენციის ჩარჩო კანონი, ძირითადში, შესაბამისობაში მოვიდა (ჰარმონიზირებულ იქნა) მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან, რამაც თავის მხრივ, გააუმჯობესა (აამაღლა) ქვეყნის კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მუშაობის ხარისხი.

ამ პერიოდში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით კონკურენციის კანონმდებლობა ვრცელდება ეკონომიკის რეგულირებად სექტორებზე და მის აღსრულებას ახორციელებენ შესაბამისი დარგის მარეგულირებელი ორგანოები.

ამავე პერიოდში გადაიდგა პირველი ნაბიჯები, ქვეყანაში, ანტიდემპინგური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის კუთხით. კერძოდ, დემპინგური იმპორტისაგან ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ან/და შესაძლო ზიანის მიყენებისაგან დაცვის მიზნით - 2020 წლის ივლისში მიღებული კანონი - ,,ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შესახებ“, ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან და მისი აღსრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა - ანტიდემპინგური ღონისძიებების დეპარტამენტი [9; ჩვენს შესახებ; სტრუქტურა].

ასევე, კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში 2021 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებს - დავების განხილვის საბჭოს აპარატი, რომელიც ემსახურება - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში 2020 წლის ივლისში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შექმნილ, დამოუკიდებელ ორგანოს - სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს. თავის მხრივ, ,,1) საბჭო არის ამ კანონის საფუძველზე შექმნილი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანო, რომლის მიზანია დავების ამავე კანონის შესაბამისად, სწრაფად, ეფექტიანად და სამართლიანად გადაწყვეტა, 2) საბჭო განცალკევებულია ყველა ორგანოსგან/პირისგან, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს, 3) საბჭოს რეგლამენტს დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, 4) საბჭოს თავმჯდომარე არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მარტისა საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და სააგენტოს წარუდგენს საბჭოს გასული წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას . . . .“ [7, მუხლი 23[2]]. როგორც ვხედავთ, ერთის მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი საბჭო არის განცალკევებული, დამოუკიდებელი ორგანო, ხოლო მეორეს მხრივ, ის პარატი, რომელიც ამ საბჭოს ემსახურება არის საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი [9; ჩვენს შესახებ; სტრუქტურა].

<u>მეათე ეტაპი: 2022 წლის აპრილიდან დღევანდლამდელი პერიოდი.</u> ეს პერიოდი იწყება - საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წელს მიღებული ,,მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (29.03.2022 წელი) მიღებით, რომელიც 2022 წლის 1 ივისიდან შევიდა ძალაში. შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე, მომხმარებლის უფლებების დარღვევის პრევენციისა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობის ფაქტების გამოვლენისა და სათანადო რეაგირების მიზნით, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ 2022 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო განცხადებების მიღება და განხილვა, რასაც წინ უსწრებდა სააგენტოს ცენტრალურ აპარატში - მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის ჩამოყალიბება და მის შესაბამისი კადრებით აღჭურვა.

რაც შეეხება ეკონომიკის რეგულირებად სექტორებს - აქ მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკის აღსრულებას, კონკურენციის პოლიტიკის მსგავსად, ახორციელებენ - დარგის მარეგულირებელი ორგანოები.

ამავე პერიოდში დაიწყო და ამ ეტაპზე მიმდინარეობს - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „TWINNING"-ის პროექტი „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება", რომლის ფარგლებში, კონსულტაციებს და ტექნიკურ მხარდაჭერას კონკურენციის სააგენტოს - ლიეტუვას და ავსტრიის კონკურენციის უწყებების პროფესიონალთა გუნდი უწევს.

ამ პროექტის მიზანია - ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად, კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის მიმართულების გაძლიერება, საქართველოში მომხმარებლის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესა, დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის გაძლიერება. ასევე, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, GNCA-ს ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერა [9; 2022 წლის ანგარიში].

ამდენად, გასული წლის მარტის ბოლოდან მოყოლებული - მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციების აღსრულების პროცესი, ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და ანტიდემპინგური ღონისძიებების მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად კონკურენციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა.

<u>მეთერთმეტე ეტაპი: კონკურენციის საბჭოს შექმნის შემდგომი პერიოდი.</u> ჩვენი აზრით, მას შემდეგ რაც საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო მართვის ორგანო გახდება კოლეგიალური, მოხდება კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ახალ მეთერთმეტე ეტაპზე გადასვლა. ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის ახალი რედაქცია, რომელიც სწორედ სააგენტოს მართვის კოლეგიალურ მოდელზე გადასვლას ითვალისწინებს, ძალაში შედიოდა 2021 წლის 1 ივნისიდან. თუმცა, 2022 წლის 22 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ეს ვადა გადაიწია 2025 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, ამ ცვლილების ძალაში შესვლის მომენტიდან, სააგენტოს მმართველი/ხელმძღვანელი იქნება არა თავმჯდომარე (როგორც ეს დღეს არის), არამედ, პარლამენტის მიერ (საჯარო კონკურსის გზით) ხუთი წლის ვადით არჩეული, ხუთ წევრიანი საბჭო. ასევე, ამ პერიოდიდან შემოდის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაც, რომელსაც ღია კონკურსის წესით, ხუთი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. თავის მხრივ, კონკურენციის ეროვნული ორგანოს მართვის კოლეგიალურ ფორმაზე გადასვლა, კიდევ უფრო დაახლოებს ქვეყენაში რეალიზებულ კონკურენციის პოლიტიკას ევროპულ, მოწინავე პრაქტიკასთან.

<u>მეთორმეტე ეტაპი: კონკურენციის სააგენტოს/საბჭოს მეშვეობით ერთიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის აღსრულება ეკონომიკის ყველა სექტორში, მათ შორის ინფრასტრუქტურის დარგებში/რეგულირებად სექტორებში.</u> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (მეცხრე პერიოდი), ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში 2020 წელს შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ის

ვრცელდება ყველა სექტორზე, მათ შორის, ეკონომიკის რეგულირებად სექტორებზეც. თუმცა, მისი აღსრულება - რეგულირებად სფეროებში ხორციელდება არა კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით, ცენტრალიზებულად, არამედ, უშუალოდ დარგის მარეგულირებელი ორგანოების/კომისიების მიერ. ამდენად, 2020 წლის 16 სექტემბრის ცვლილებების შემდეგ ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე საჩივარი/განცხადება ან კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება წარედგინება ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოებს - ა) საქართველოს ეროვნულ ბანკს; ბ) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიას და გ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას.

ცხადია, ის ფაქტი, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება ეკონომიკის ყველა სფეროზე - წინგადაგმული ნაბიჯია - კონკურენციის სამართლის აღსრულების ნაწილში. თუმცა, საქართველოში მისი აღსრულების არსებული მოდელი (კონკურენციის ეროვნული სააგენტოსთან ერთად 3 დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო) - არ წარმოადგენს მოწინავე საერთაშორისო, მათ შორის, ევროპულ პრაქტიკას. შესაბამისად, მას შემდეგ რაც ქვეყანა უარს იტყვის კონკურენციის სამართლის აღსრულების ვიწრო დარგობრივ პრაქტიკაზე და დაიწყებს ამ პოლიტიკის აღსრულებას ეკონომიკის ყველა სექტორში, უშუალოდ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით - ეს იქნება სწორედ ახალი ეტაპის დასაწყისი, რომელიც ბოლომდე იქნება ჰარმონიზებული მოწინავე საერთაშორისო და პირველ რიგში ევროპულ პრაქტიკასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ანტიმონოპოლიური რეგულირების და მისი აღმასრულებელი ინსტიტუტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დონე არის განმსაზღვრელი საბაზრო ურთიერთობის ხარისხის ქვეყანაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კონკურენციის კანონმდებლობის რეალიზაციის კუთხით გაწეული საქმიანობა (დაწყებული 1992 წლიდან), მთლიანობაში, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე – რიგ შემთხვევებში იყო წარმატებული, ხოლო რიგ შემთხვევებში წარუმატებელი.

ამდენად, თუ წლების მიხედვით საქართველოში რეალიზებული ანტიმონოპოლიური/კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობას შევაფასებთ, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტად ის საწყის და ბოლო პერიოდებშია გამორჩეული. ანუ, პირველი, მეორე და მერვე ეტაპიდან მოყოლებული - ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად ან ნაწილობრივ წარმატებულად მაინც. ასევე, თამამად შეიძლება ითქვა, რომ 2025 წლის 1 იანვრიდან დაგეგმილი ინსტიტუციური ცვლილების შემდგომ, ხოლო საბოლოოდ, ქვეყენაში ერთიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ერთი ორგანოს (კონკურენციის ეროვნული სააგენტო/კონკურენციის საბჭო) მეშვეობით პრაქტიკაში რეალიზაციის პროცესის დანერგვით, კიდევ უფრო წარმატებული იქნება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესი ქვეყანაში, რაც კიდევ უფრო დაცულს და მიმზიდველს გახდის ბიზნეს გარემოს საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგიაშვილი შ., (2009). *კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში*, თბ., „ინოვაცია“.

მგელაძე ლ., (2020). *კონკურენციის პოლიტიკის გამოწვევები და მისი სრულყოფის გზები,* თბ., ,,იურისტების სამყარო“.

ფეტელავა ს., (2007). *კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში,* თბ., ,,ლოი“.

ფეტელავა ს., (2021). ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა, ჟურნალი, *,,ახალი ეკონომისტი“,* 1, გვ. 15-22;

ლაფაჩი ქ., (2012). *კონკურენციის პოლიტიკა და დარგობრივი რეგულირება საქართველოში*, თბ., ,,ნეკერი“.

ხადური ნ., ფეტელავა ს., (2017). ეკონომიკური კონკურენციის პოლიტიკის იმპლემენტაცია საქართველოში, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - *,,კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“,* თბ., 17-18 ნოემბერი.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი (კოდიფიცირებული);

სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2022 წლის ანგარიში, www.gnca.gov.ge

www.gnca.gov.ge

Info.parliament.ge/file/1/BellReviewContenty/224612

Antimonopoly policy in Georgia

Slava Fetelava
Doctor of Economics (PhD), Associate Professor
Grigol Robakidze University
sfetelava@gnca.gov.ge

Summary

In the article "Antimonopoly Policy in Georgia", the author emphasizes the role and importance of economic competition policy in the process of formation of a market economy in the country. In addition, it presents the process of formation and development of this policy in Georgia in dynamics, which is divided into fourteen stages, taking into account the expected changes (the creation of the Competition Council and the unification of enforcement mechanisms under the umbrella of one competition body in the future). In addition, the positive and negative aspects of the policy implemented in the country at each stage have been analyzed and a conclusion has been made that the anti-monopoly policy implemented in Georgia since the beginning of the nineties of the last century - in the beginning and in the last period - was outstanding. That is, from the first, second and eighth stages onwards - the practice of antimonopoly regulation can really be considered successful or at least partially successful. Also, the opinion is expressed that after the planned institutional change from January 1, 2025, and finally, with the introduction of the implementation process of the unified antimonopoly policy in the country through one body (National Competition Agency/Competition Council), the enforcement of the antimonopoly policy in the country will be even more successful, which will make the business environment in Georgia safer and more attractive.

Keywords: antimonopoly policy, institutional changes,

სიღარიბის პრობლემა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა

ნინო მიქიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.mikiashvili@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-122-131

აბსტრაქტი. *ეკონომიკური ზრდა აუცილებელია სიღარიბის შესამცირებლად, მაგრამ მდგრადი ზრდისთვის საჭიროა სამუშაო ძალის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის განვითარების პროცესში. ინკლუზიური ზრდა სოციალური პოლიტიკის განსხვავებულ მექანიზმს სთავაზობს საზოგადოებას, რომლის პირობებშიც შეჭირვებულთა მდგომარეობის გაუმჯობესება გადანაწილების პოლიტიკის ნაცვლად მათი ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვით ხდება. ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხილული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ძირითადი თავისებურებები, მისი მიღწევის გზები. ისინი დაკავშირებულია უთანასწორობის და სიღარიბის პრობლემის დაძლევასთან. როგორც მსოფლიო, ასევე, ლოკალურად, ქვეყნის მასშტაბით, აუცილებელი ხდება სისტემური, მიზანმიმართული და გეგმაზომიერი საქმიანობა სიღარიბის გლობალური პრობლემის შესარბილებლად, რაც მოვლენათა დადებითი განვითარების ფონზე საფუძველს შეუქმნის სიღარიბის აღმოფხვრას.*

საკვანძო სიტყვები: *სიღარიბე, ინკლუზიური ზრდა, უთანასწორობა, აბსოლუტური სიღარიბე, ჯინის კოეფიციენტი.*

შესავალი

სიღარიბე გლობალური პრობლემა. განვითარების დონის მიხედვით, იგი განსხვავებული სიმწვავით ვლინდება სხვადასხვა ქვეყანაში. სიღარიბე, უმეტესწილად, მძაფრდება მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის დაბალი ტემპის, ფინანსური სახსრების არასწორი მართვის და შემოსავლების უთანასწოროდ განაწილების გამო. სწორედ ამ მიზეზების გამო, მსოფლიოში არსებული უთანასწორობის და სიღარიბის შესარბილებლად, სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, რომელშიც ჩართულია ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა (Inclusive Growth Putting Principles Into Practice, 2017). ეკონომიკაში მიმდინარე დადებითი პროცესების შედეგები ყველა სოციალურ ფენაზე უნდა ნაწილდებოდეს. მსგავსი პოლიტიკა ლოგიკურად გამოიწვევს ცხოვრების დონის ამაღლებას, სოციალური პრობლემის მართვის შესაძლებლობას.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნიდან გააქტიურდა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მეცნიერული შესწავლის საკითხი (Piketty, 2015). იგი მსოფლიოში არსებული სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირების ეფექტიან გზად არის მიჩნეული. მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე სრულყოფილ ინფორმაციას არ იძლევა ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. ემპირიული დაკვირვებით ჩანს, რომ ეკონომიკური ზრდისგან მეტ სარგებელს ღებულობს კაპიტალის მფლობელი მოსახლეობა. ისინი დაბალშემოსავლიან ფენასთან შედარებით უკეთეს პირობებში არიან. შესაბამისად,

ეკონომიკური ზრდა უპირობოდ ვერ აუმჯობესებს მოსახლეობის უმრავლესობის მდგომარეობას. უფრო მეტიც, არაა გამორიცხული ზოგიერთი ფენის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესება. მსგავსი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდით გამოწვეული სარგებლის სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით სამართლიანი განაწილება. ამდენად, ადამიანების კეთილდღეობაზე ეკონომიკური ზრდის მეტ-ნაკლებად დადებითად ასახვისთვის აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის მოდელი (პაპავა, 2018). რაც უფრო ადრე და კომპლექსურად დაიწყებს მთავრობა აღნიშნული მიმართულებით სვლას, მით მალე გაუმჯობესდება საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონე.

კონვერგენციის თეორია, რომელიც XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გახდა პოპულარული, გულისხმობდა ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებების თანდათანობით შემცირებას. საწყისი კაპიტალის ჰიპოთეზა მართებული აღმოჩნდა. ერთ მუშაკზე რაც უფრო დაბალია საწყისი კაპიტალის მარაგი, ქვეყანას მით უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევა შეუძლია, თუმცა, უფრო ღარიბია იმ ქვეყანასთან შედარებით, რომლის სასტარტო კაპიტალიც მაღალია. ცხადია, განსხვავება დროებითია. რაღაც პერიოდის შემდგომ კონვერგენციის პროცესი დასრულდება. ქვეყნის ცხოვრების დონეები თანაბარი ხდება. საწყისი კაპიტალის ჰიპოთეზა მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის განსხვავებას. უგულვებელყოფილია მწარმოებლურობის და დანაზოგის დონის გავლენა. ამიტომაც, კაპიტალის მარაგით განპირობებულ კონვერგენციას აბსოლუტური კონვერგენცია ეწოდება. პირობითი კონვერგენცია კი გულისხმობს, რომ განსხვავებული მწარმოებლურობის და დაზოგვის დონეების ქვეყნებიც ექვემდებარებიან დაახლოებას სოლოუს მარტივი (არაგაფართოებადი) მოდელის მიხედვით. სხვადასხვა განვითარების დონის სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების დინამიკამ არ დაადასტურა სასურველი ვარაუდი. ზოგიერთ შემთხვევაში დივერგენციაც კი მოხდა. თანდათან დიდი იმედები ინკლუზიურ ზრდას დაუკავშირდა (Barro & Martin, 2004).

ეკონომიკური ზრდა საშუალებაა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ცხოვრების საერთო დონის ამაღლებას საზოგადოების ყველა ფენისა და სუბიექტის ჩართულობით (Kraay, 2006). აღნიშნულ საშუალებას კონკრეტულ დროსა და სივრცეში როგორ გამოიყენებს მმართველობითი ორგანოები, დამოკიდებული იქნება სიღარიბის (უთანასწორობის) შემცირების ტენდენციები. ინკლუზიური ზრდით მიღებული ეკონომიკური წინსვლის შედეგები საჭიროებისამებრ გასავრცელებელია მთელ საზოგადოებაზე.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, როგორც სიღარიბის შემცირების საფუძველი, გლობალური მასშტაბის მიზანია. ის ასახულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ დოკუმენტებში. კერძოდ:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations_UN) 2030 წლის მდგრადი განვითარების მე-8 მიზანი, მდგრადი ინკლუზიური ზრდა, ორიენტირებულია ადეკვატური სამუშაო ადგილების შექმნაზე. სიღარიბის აღმოფხვრა და უთანასწორობის შემცირება (შესაბამისად, 1-ელი და მე-10 მიზანი) კი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდით არის მისაღწევი (UN, 2015);

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინკლუზიური ზრდის და განვითარების ანგარიშში აღწერილია ინკლუზიური ზრდის მნიშვნელობა და მისი შეფასების ინდიკატორები. დოკუმენტის მიხედვით, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა განმარტებულია როგორც მდგრადი წარმოების ზრდა ეკონომიკის

უდიდეს ნაწილში სამუშაო ძალის დასაქმების მასშტაბის გაფართოების და სიღარიბის შემცირების პერსპექტივით (World Economic Forum, 2015);

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (Organization of Economic Cooperation and Development_OECD) ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ზრდა არა თვითმიზანი, არამედ მოქალაქეთა ცხოვრების დონის გამაუმჯობესებელი საშუალებაა. მან გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის არსებული უთანასწორობის აღმოფხვრასა და სიღარიბესთან ბრძოლაში. ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ჯინის ინდექსის ზრდა სამი ერთეულით, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იწვევს ეკონომიკური ზრდის ყოველწლიურ შემცირებას 0.35 პროცენტული პუნქტით. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა უნდა ქმნიდეს თანაბარ შესაძლებლობას მოსახლეობის ყველა ფენისთვის, უზრუნველყოფდეს ზრდის და განვითარებისგან სამართლიანი სარგებლის მიღებას (როგორც ფულად, აგრეთვე არაფულად გამოსახულებაში). ანუ, ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ეკონომიკური საქმიანობაში, იყოს ეკონომიკური ზრდის თანამონაწილე და შეტანილი წვლილის შესაბამისად მიიღოს შრომის პროპორციული და სამართლიანი სარგებელი (OECD, 2014);

ზრდისა და განვითარების კომისიის „ზრდის ანგარიში: მდგრადი განვითარების და ინკლუზიური ზრდის სტრატეგიები“, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უთანასწორობის და სიღარიბის დაძლევას და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობას. ზრდისა და განვითარების კომისიის „ზრდის ანგარიში: სტრატეგიები მდგრადი ზრდისა და ინკლუზიური განვითარებისთვის“ მოიცავს მიმართულებათა რამდენიმე ჯგუფს. ესენია: „აკუმულაცია“, მსხვილი სახელმწიფო ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და განათლების სისტემაში სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად; „ალოკაცია“ კი არის ადამიანისეული და ფინანსური რესურსების მობილიზება ეფექტიან დარგებში. აუცილებელია მკვეთრი რყევების თავიდან აცილება, რისკების „დაზღვევა“ და მისთ. (Commission on Growth and Development, 2008);

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (Inernational Monetary Fund_IMF) ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობის და უთანასწორობის აღმოფხვრის აუცილებლობა (IMF, 2017). ფონდის კვლევის თანახმად, მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა საშუალოვადიან პერიოდში მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპს ამცირებს, ხოლო ღარიბი და საშუალო ფენის შემთხვევაში, პირიქით, აჩქარებს. ფაქტობრივად, მდიდრები დამატებითი შემოსავლის მცირე, ხოლო ღარიბი და საშუალო ფენა კი უმეტეს ნაწილს ხარჯავს, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის დამაჩქარებელია (IMF, 2015);

აზიის განვითარების ბანკი (Asian Development Bank_ADB) ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, როგორც „სტრატეგია 2020“-ის, ასევე, „სტრატეგია 2030“-ის საკვანძო მიმართულებებში მოიაზრებს. ბანკის მიერ შემოთავაზებულია ინკლუზიური ზრდის შემფასებელი ინდიკატორთა ნაკრები. თავად ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებას და ამ შესაძლებლობების რეალიზაციას საზოგადოების ყველა ფენისთვის (ADB, 2018).

მსოფლიო ბანკი ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას განიხილავს როგორც გრძელვადიანი მიზნების, მსოფლიოში სიღარიბის დასრულების და საერთო კეთილდღეობის ამაღლების მიღწევის საშუალებას (The World Bank, 2018). ასევე, ინკლუზიურ ზრდა, გარემო ფაქტორების მიუხედავად, უნდა

გულისხმობდეს მოსახლეობის ღარიბი ფენის, რეგიონებში მცხოვრებთა და ა.შ., თანაბარ წვდომას შრომის ბაზარზე, სათანადო განათლების და ჯანდაცვის მომსახურებებით უზრუნველყოფას და ჩართულობას ეკონომიკურ საქმიანობაში (Stiglitz, J., 2013); მსგავს მიზნებს და სტრატეგიას ისახავს და ახორციელებს ლოკალურ დონეზე სახელმწიფოთა უმრავლესობა, მათ შორის, საქართველო.

როგორც აღინიშნა, მაღალი ეკონომიკური ზრდა აუცილებელი პირობაა სიღარიბის შემცირებისთვის, თუმცა, ეს ზრდა რომ საკმარისი იყოს სიღარიბის და უთანასწორობის შესამცირებლად, ამისთვის საჭიროა მან მოიცვას ქვეყნის სამუშაო ძალის დიდი ნაწილი და ეკონომიკის ყველა წამყვანი დარგი. სამწუხაროდ, უთანაბრობის ზრდა ძირითადად აისახება დაბალშემოსავლიან ოჯახებზე, რაც უფრო ართულებს თანხების დაბანდებას განათლების და ჯანდაცვის მიმართულებით და ამცირებს ეკონომიკაში კვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალის მიწოდებას და შემოსავლით უზრუნველყოფას (Cingano, 2014)

ინკლუზიური ზრდა გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე. შემოსავლების გადანაწილება სოციალურად დაუცველ ფენებზე უარყოფით შედეგებს არბილებს, თუმცა ინკლუზია გულისხმობს ეკონომიკურ და ბიზნეს პროცესებში მოსახლეობის უმრავლესობის ჩართვას, რაც უპირობოდ გამოიწვევს მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და სიღარიბის შემცირებას დასაქმებულთა ზრდის კვალობაზე.

ამდენად, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის დროს: ეკონომიკის დარგების უმრავლესობა ჩართულია პროცესში დროსა და სივრცეში; თითოეულ მოქალაქეს ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები აქვს და მაღალია სოციალური ინტეგრაციის დონე; იქმნება მაღალმწარმოებლური სამუშაო ადგილები; ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებელი სამართლიანად ნაწილდება მოსახლეობაზე მათი წვლილის და გაწეული შრომის შესაბამისად; უზრუნველყოფილია სიღარიბის აღმოფხვრა და მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული უთანაბრობის დონის შემცირება. ამდენად, „თანაბარი შესაძლებლობა“ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ქვაკუთხედია, რაც გულისხმობს ჯანსაღ კონკურენციას და კანონის წინაშე თანასწორობას. ამასთანავე, სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს სათანადო სოციალური დაცვით მათ, ვისაც ობიექტური მიზეზების გამო არ შეუძლია ეკონომიკური საქმიანობა.

სახელმწიფო ორგანოები, ასევე, უნდა ცდილობდნენ ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო თუ სხვა სახის შოკის არიდებას, რადგან ისინი ძირითადად აზიანებს მოსახლეობის შედარებით დაუცველ, მოწყვლად ფენებს. ამიტომაც, უსამართლოა ისეთი ზრდა, რომელსაც თან ახლავს უთანასწორობა. უთანასწორობის დონის ზრდა საშიშია ქვეყნის სოციალური სტაბილურობისთვის. კრიმინალის გააქტიურება, არეულობა, მკვეთრი დაპირისპირება, არალეგალური საქმიანობა და მისთ. გამოიწვევს მოსახლეობაში არასოციალური ნაწილის გაზრდას, სამოქალაქო არეულობას და ადამიანისეული რესურსის არაეფექტიან გამოყენებას;

სიღარიბის აღმოფხვრის და საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობა გულისხმობს, რომ თანდათანობით შემცირდეს მსოფლიოს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში.

დიაგრამა 1. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ($2,15) მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი მსოფლიოში, 1981-2019 წწ.



წყარო: The world bank, Poverty headcount ratio at $2,15 a day (2017 PPP) (% of population). https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.DDAY

აღმოჩნდა, რომ 1981 წელს მსოფლიო მოსახლეობის 43,6% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა და მათი ყოველდღიური შემოსავალი ნაკლები იყო 2,15 $-ზე. დადებითი ტენდენცია, განსაკუთრებით, 1999 წლიდან მნიშვნელოვნად ამცირებს მოცემულ მაჩვენებელს, 2018 წელს მოსახლეობის მხოლოდ 9%, 2019 წელს კი 8,5% ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. ამდენად, შესაძლებელი ყოფილა სიღარიბის პრობლემის მართვა და მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად ქცეული სატკივარის მინიმუმამდე დაყვანა.

მიუხედავად საიმედო წინსვლისა, ბევრ ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა არ მცირდება, უფრო მეტი, იზრდება კიდეც. მსოფლიო ბანკის მიზანი, 2030 წლისთვის უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლის 3%-ის ნიშნულამდე შემცირება (The world bank, 2018) მაშინ მიიღწევა, თუ მსგავს ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპები მათ ისტორიულ ნიშნულს გადააჭარბებს და მიღებული სარგებელი განაწილდება ღარიბ და საშუალო ფენებზე. მსგავსი პროცესი საზოგადოების კეთილდღეობას მნიშვნელოვნად ზრდის.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, ასევე, ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ ნაწილდება შემოსავლები მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის. შემოსავლების გადანაწილება თავისთავად პირდაპირ კავშირშია სიღარიბის დონესთან. უთანასწორობა, ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებლის გადანაწილების კუთხით, არის სიღარიბის აღმოფხვრის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი. დადგენილი სიღარიბის დონის ქვემოთ მყოფი ადამიანების რაოდენობის, ისევე როგორც მოსახლეობაში მათი წილის დადგენა, ვერ განსაზღვრავს, თუ რამდენად ღარიბია ესა თუ ის პიროვნება (ცარციძე, 2022).

სამწუხაროდ, საქართველოს შემთხვევაში სიღარიბის შემცირების ტენდენცია შთამბეჭდავი არ არის. სიღარიბის ერთ-ერთ საზომად მიჩნეულია მედიანური მოხმარების 60 (40) პროცენტის ქვემოთ მყოფი მოსახლეობა. ამ მაჩვენებლების მიხედვით, სიღარიბის შემცირება დუნედ, ზიგზაგისებურად მიმდინარეობს, განსაკუთრებით, სოფლად.

დიაგრამა 2. მედიანური მოხმარების 60%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, 2004-2022 წწ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done

ფაქტობრივად, ანალოგიური დინამიკაა შეიმჩნევა მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვეშ იმყოფება. ამ შემთხვევაშიც, სოფლად მცხოვრები ადამიანები უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან და განსხვავება ქალაქელებთან საკმაოდ დიდია (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. მედიანური მოხმარების 40%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, 2004-2022 წწ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2010 წლიდან 2016 წლამდე შეინიშნება სიღარიბის კლების შედარებით მკვეთრი ტენდენცია, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ წამყვანი პოზიცია ქალაქს უკავია. სამწუხაროდ, სოფლად სტაბილური შემოსავლის ნაკლებობა განაპირობებს მოხმარების დაბალ დონეს. 2020 წელს, როცა პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგები შოკურ ეფექტს ახდენდა ეკონომიკასა და მოსახლეობაზე, გამოვლინდა სიღარიბის მაჩვენებლების ზრდა, 2021 წელს აბსოლუტური სიღარიბის შემცირება სახეზეა, რაც, უპირატესად, აისახა მედიანური მოხმარების 60%-ის ქვემოთ მყოფ მოსახლეობაში, ხოლო 40%-იანი მოხმარების დონეზე აღნიშნული ცვლილება თვალსაჩინო არ არის. ცხადია, ცხოვრების დონის პოზიტიური დინამიკა მყისიერად ვერ გამოიწვევს სიღარიბის მნიშვნელოვან შემცირებას, ასევე, სიფრთხილეა გამოსაჩენი სიღარიბის განსაზღვრისა და გაზომვის ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების მიმართ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ღარიბთა რაოდენობის ზრდა.

სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლების ცვლილების დინამიკა მოცემულია დიაგრამა 4-ის საშუალებით.

დიაგრამა 4. აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლები (2004-2021 წლების მიხედვით პროცენტულ გამოსახულებაში)



წყარო: მსოფლიო ბანკი. https://data.worldbank.org

სიღარიბის პრობლემას ამძაფრებს და აღრმავებს შემოსავლების უთანაბრო განაწილება. მსოფლიო უთანასწორობის ლაბორატორიის (პარიზის ეკონომიკურ სკოლა) ანგარიშის მიხედვით (World inequality lab, 2022), საერთაშორისო მასშტაბით შემოსავლები საკმაოდ უთანაბროდაა განაწილებული.

2020 წელს მსოფლიო მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10% იღებდა მთლიანი შემოსავლების 54.8%-ს, ხოლო დაბალშემოსავლიანი 50% მხოლოდ 7.1%-ს, შუალედურ ჯგუფში მყოფი მოსახლეობის 40% კი იღებდა მთლიანი შემოსავლის 38.0%-ს. 1980 წლიდან შეინიშნება დაბალშემოსავლიანი 50%-ის შემოსავლების მცირედი მატება და 2000 წლიდან კი მაღალშემოსავლიანი 10%-ის შემოსავლების წილის კლება. შუალედურ ჯგუფში 1980 წელთან მიმართებაში საგრძნობი ცვლილება არ ფიქსირდება. მთლიანობაში, შემოსავლების უთანასწორობის კუთხით მკვეთრი გაუმჯობესების ტენდენცია არ ჩანს და ამიტომაც, მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის არსებული უთანასწორობა მსოფლიოს მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საქართველოს შემთხვევაში, სოციალური უთანასწორობის ჯინის კოეფიციენტის ყველა ვარიანტი ასახავს საკმაოდ რთულ მდგომარეობას შემოსავლების არათანაბარი განაწილების კუთხით.

დიაგრამა 5. ჯინის კოეფიციენტები (2006-2022 წლები, პროცენტულ გამოსახულებაში)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done

მართალია, ჯინის კოეფიციენტის ყველა ვარიანტის მიხედვით კლების ტენდენცია შეიმჩნევა, მაგრამ სიღარიბის და უთანასწორობის დასაძლევად კლების ტემპის ზრდა არის მიზანშეწონილი. სასურველი შედეგის მისაღწევად კი აუცილებელია ადამიანისეულ კაპიტალში გააზრებული ინვესტირება, რეგიონების განვითარების ხელშეწყობა და სამუშაო ადგილების ზრდა როგორც ეფექტიან, ასევე სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებში.

დასკვნა

გასათვალისწინებელი და კრიტიკულად გასაანალიზებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ინვესტირების მნიშვნელობაზე ინფრასტრუქტურის, განათლების და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით. ასევე, მნიშვნელოვანია ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში. მომავალი მეწარმეები, გამომგონებლები, საჯარო მოხელეები და ა.შ. დღევანდელი სკოლის მოსწავლეები თუ უნივერსიტეტების სტუდენტები არიან. მათი წარმატებული მომავალი ცალსახად საჭიროებს სათანადო ცოდნას და უნარ-ჩვევებს. შესაბამისი განათლების გარეშე უკვე წარმოუდგენელიც კი არის მაღალი მწარმოებლურობის მიღწევა იდეალურ გარემოშიც კი. განათლების სისტემაში ინვესტირება ასევე პირდაპირ კავშირშია ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობასთან. ეკონომიკის სწრაფი და მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია მსოფლიოში არსებული ტექნოლოგიური ცოდნის ათვისება და დანერგვა. ტექნოლოგია საშუალებას აძლევს ეკონომიკას, არსებული რესურსებიდან უფრო მეტი უკუგება მიიღოს. ტექნოლოგიური სახის ცვლილებები საქონელსა თუ მომსახურებას აუმჯობესებს და, უმეტესწილად, აიაფებს, ამასთანავე, იზრდება ახალი პროდუქტის შეთავაზების შანსი. აქედან გამომდინარე, მსოფლიოში დანერგილი ტექნოლოგიების ნაწილის ქვეყანაში შემოტანა ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული მიმართულებები და მათთან დაკავშირებული სფეროები კი ინკლუზიური ზრდის საფუძველს მისცემს ქვეყანას.

რეგიონული განვითარების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ქვეყნის მასშტაბით განსახორციელებელ ცვლილებებზე. ახალი თუ გამოცდილი საწარმოები ყოველთვის ეცდებიან თავიანთი საქმიანობა ქვეყნის ცენტრალურ და განვითარებულ ქალაქებში წამოიწყონ, რაც ამ უკანასკნელთა კიდევ უფრო განვითარებას შეუწყობს ხელს ქვეყნის სხვა დანარჩენი რეგიონების ჩამორჩენის ხარჯზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ თავისი პოლიტიკით ხელი შეუწყოს მსგავს ჩამორჩენილ რეგიონებში ეკონომიკის გაძლიერებას. მსგავსი მიზანმიმართული საქმიანობა კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლად უთანასწორობის და სიღარიბის პრობლემის შერბილებას, მიგრაციული ნაკადების შეფერხებას და სხვა დადებით ასპექტებს.

სახელმწიფომ, ამასთანავე, უნდა იზრუნოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და ჯანსაღ კონკურენტულ და სოციალურ გარემოზე, შრომის ბაზრის ისეთი პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც სტიმულს მისცემს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უფრო მეტი ადამიანის დასაქმებას.

გამოყენებული ლიტერატურა

პაპავა, ვ., (2018). რატომ ვერ აღიქვამს დადებითად საქართველოს მოსახლეობა ეკონომიკურ ზრდას, რონდელის ბლოგი. https://gfsis.org.ge/ge/blog/view/888 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://geostat.ge

ცარციძე მ. (2022). უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ADB, (2018). Strategy 2030, Publication Stock No. TCS189401-2. https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/435391/strategy-2030-main-document.pdf

Barro, R. J.. Martin, X. S., (2004). Economic growth. 2nd edition.

Cingano, F., (2014). Trends in Income Inequality and Its Impact on Economic Growth, OECD SEM Working Paper No. 163. - http://www.oecd.org/els/soc/trends-in-income-inequality-and-its-impact-on-economic-growth-SEM-WP163.pdf

Commission on Growth and Development, (2008). The Growth Report: Strategies for Sustained Growth and Inclusive Development, The World Bank. https://openknowledge.worldbank.org

IMF, (2017). Annual report 2017 Promoting inclusive growth https://www.imf.org/external/pubs/ft/ar/2017/eng/pdfs/IMF-AR17-English.pdf

Inclusive Growth Putting Principles Into Practice, (2017). Inclusive Growth Commission. RSA. https://www.thersa.org/globalassets/pdfs/reports/rsa_inclusive-growth---principles-into-practice.pdf

Kraay, A., (2006). When is Growth Pro-Poor? Evidence from a Panel of Countries, Journal of Development Economics, Volume 80, Issue 1, Pages 198-227.

OECD (2018). The framework for policy action on inclusive growth https://www.oecd.org/mcm-2018/documents/C-MIN-2018-5-EN.pdf

Piketty T., (2015). Economics of Inequality, The MP3 CD – Unabridged.

Stiglitz, J., (2013). The Price of Inequality: How Today's Divided Society Endangers Our Future. W. W. Norton & Company; Reprint edition (April 8).

World Vision. Updated 2023, 05 April. What is poverty? It's not as simple as you think. https://www.worldvision.ca/stories/child-sponsorship/what-is-poverty#

The Problem of Poverty and Inclusive Economic Growth

Nino Mikiashvili
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
nino.mikiashvili@tsu.ge

Summary

Economic growth is necessary to reduce poverty, but sustainable growth requires maximum involvement of the workforce in the development process. Inclusive growth offers a different mechanism of social policy to society, under which the condition of the poor is improved by involving them in economic activity instead of redistributive policies. The paper presents the main features of inclusive economic growth discussed by various international organizations, the ways to achieve it, and they are related to overcoming the problem of inequality and poverty. Systematic, purposeful and planned activities to alleviate the global problem of poverty, both globally and locally, are necessary, which will create a foundation for the elimination of poverty in the light of the positive development of events.

Keywords: Poverty, Inclusive growth, Inequality, Absolute poverty, Gini coefficient

სოციალური ქსელის შუქ-ჩრდილები: პოლიტ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები [3]

იოსებ არჩვაძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ქუთაისის უნივერსიტეტი
daswreba@yahoo.com

ლია ქურხული
ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)
kurkhulilia@yahoo.com

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-132-142

ანოტაცია. *ინტერნეტისა და სოციალური ქსელების განვითარებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების წესში, ადამიანთა ქცევასა და ურთიერთობებში. მათ ბოლო მოუღეს ტელევიზიის მონოპოლიას ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, გააფართოეს და გაამდიდრეს ენობრივი ლექსიკონი. ქსელებმა შეაღწიეს ისეთ სფეროებშიც, როგორიცაა კომერცია და პოლიტიკა. დადებით ასპექტებთან, სოციალურ ქსელებთან მეტისმეტი სიახლოვეს და დამოკიდებულებას თან ახლავს ნეგატიური ასპექტებიც - რეალური ცხოვრებისა და ურთიერთობების ვირტუალურით ჩანაცვლების საფრთხე.*

საკვანძო სიტყვები: *ინტერნეტი, სოციალური ქსელი, ფეისბუკი, ინფორმაცია, დამოკიდებულება.*

შესავალი

სოციალური ქსელების (Facebook, Twitter, google+, Instagram, Youtube, Whatsapp, Tik Tok, Linkedin, etc.) დანერგვა ინფორმაციის გავრცელების თვისებრივად ახალ საფეხურზე ყველაზე მასშტაბური გადასვლაა კაცობრიობის ისტორიაში გუტენბერგის მიერ წიგნის დაბეჭდვის შემდეგ. - *ოპერატიულობა, მასობრიობა, მყისიერი გავრცელება* - ის „გამსვლელი პაიკებია“, რომლებმაც უმოკლეს დროში არა თუ პოპულარობა მოუხვეჭა სოციალურ ქსელებს, არამედ მილიარდობით ადამიანისთვის ცხოვრების წესად, „ახალ რელიგიად“ აქცია. დღეს მოზრდილ მოსახლეობაში (<65) თითებზე ჩამოსათვლელი დარჩა მათი რიცხვი, ვინც არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. სოციალურმა ქსელებმა არა თუ დაიმკვიდრეს ადგილი ჩვენს ყოველდღიურობაში, არამედ გარკვეულწილად ადამიანთა ქცევა და ურთიერთობა გადაიყვანეს და მოარგეს თავის თარგს, „აბორდაჟზე“ აიყვანეს ისინი. დღეს უკვე არა თუ რიგითი მოქალაქეები, არამედ ოფიციალური

[3] სტატია მომზადებულია სოციალურ ქსელებზე მრავალწლიანი დაკვირვების, შესაბამისი კონტენტის, მათში განთავსებული მასალების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე.

სტრუქტურებიც ინტენსიურად იყენებენ ასეთი ქსელების პოტენციალს. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება კომუნიკაციის ამ უმნიშვნელოვანესი საშუალების შესაძლებლობებს სულ უფრო მეტად ზრდის. შესაბამისად, სულ უფრო აქტუალური ხდება აღნიშნული თანამედროვე ცხოვრებისეული ფენომენის არა მარტო უტილიტარული გამოყენება, არამედ მისი თეორიული განზოგადება, ტექნიკური, ორგანიზაციული, ინსტიტუციური და არანაკლებ, ფსიქოლოგიურ-ემოციური კომპონენტის ადგილის განსაზღვრა თანამედროვე ცივილიზაციაში.

ძირითადი ტექსტი

დღეისათვის დედამიწის ყოველი რვა მაცხოვრებლიდან ხუთი ჩართულია სოციალურ ქსელებში, თანაც ამ უკანასკნელთა 60 პროცენტი facebook-ზე მოდის. ასეთმა ქსელებმა ზღვარი რეალურ და ვირტუალურ სამყაროს შორის სულ უფრო მეტად გამჭვირვალე გახადა. სოციალურმა ქსელებმა მნიშვნელოვნად შეზღუდეს, ფაქტობრივად კი ბოლო მოუღეს ტელევიზიის მონოპოლიურ მდგომარეობას ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, რის შედეგია ის, რომ მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილი „ტელევიზორის პარტიიდან“ „ინტერნეტის პარტიაში“ გადადის. სოციალურმა ქსელებმა, კერძოდ ფეისბუკმა სამყარო აქცია ერთ „გლობალურ სოფლად“, წაშალა ცენზურის ბარიერები. თითოეულ ადამიანს მისცა შესაძლებლობა, გაესაჯაროებინა საკუთარი აზრი მედია-საშუალების გვერდის ავლით. ეს ჭეშმარიტი თუ „სახალხო“ ექსპერტების ცენზურაგაუვლელი შეხედულებების გადმოცემისა და გაცნობის საშუალებაა, ფაქტობრივად, ოცდამეერთე საუკუნის „აგორაა“[4]. მან „ღირსეულად“ გააგრძელა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (პრესა, რადიო, ტელევიზია) მიერ სიახლეებისადმი წვდომის, გართობის, შოუების ცქერის ასპექტით საზოგადოების „გამოთანაბრების“, მდიდრებსა და ღარიბებს შორის ზღვრის „წაშლის“ ამოცანა, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მან ამგვარ უთანაბრობას „საკონტროლო ტყვიაც“ კი დაახალა. ამავე დროს, ასრულებს რა დიდ როლს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და შესაბამისად, მის მანიპულირებაში, ფეისბუკისთვის (ზოგადად - სოციალური ქსელისათვის) უცხო არაა კანონის დარღვევის ზღვარზე ყოფნა ან ფაქტობრივი გადაცდომაც (კონფიდენციალობის, ინტელექტუალური საკუთრების, მიმოწერის საიდუმლოების და სხვა სახის დარღვევები, პერსონალური ინფორმაციის უკანონო დამუშავება და სხვ.), თუმცა ეს მაინც არ უშლის ხელს, რომ იგი მიჩნეულ იქნას ყველაზე დემოკრატიულ, ერთგვარ „ექსტერიტორიულობის პრინციპის“ მქონე სახალხო პლატფორმად, რომელზეც თანაბრად მიუწვდებათ ხელი სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის, მსოფლმხედველობის, ინტელექტისა და გაქანების მქონე ადამიანებს.

ამიტომ რაც უნდა ყურს ჭრიდეს ნათქვამი **„ფეისბუკს ებარებოდეთ!“,** იგი ირონიული და სარკასტული ფორმით, მაინც იძლევა თანამედროვე საზოგადოების ამგვარი მდგომარეობისა და დამოკიდებულების სურათს.

ინტერნეტმა წარმოშვა, ხოლო სოციალურმა ქსელებმა დააჩქარა ისტორიაში უპრეცენდენტო ენობრივი რევოლუციაც, რომელსაც უკავშირდება ყოველდღიურობაში სოციალურ ქსელებში ახალი სიტყვების, ფრაზების, ტერმინების - ძირითადად ანგლიციზმების - დამკვიდრება ან ძველი, „ტრადიციული“

[4] **აგორა** (ძვ. ბერძნ. „მოედანი, ბაზარი“) — სახალხო კრება ძველ საბერძნეთში.

ტერმინების ახალი შინაარსით შევსება: *ჰეშტეგი,*[5] *სელფი,*[6] *ტროლინგი,*[7] *ბანი,*[8] *ჩატი,*[9] *ბლოგი,*[10] *ავატარი,*[11] *მემი,*[12] *გიფი*[13] *და ა.შ.* ფაქტობრივად, ყურადღებიანი მოსაუბრისათვის სულ რამდენიმე წუთიანი საუბარიც კი საკმარისია იმის დასადგენად, ინტერნეტის თუ სოციალური ქსელების რამდენად აქტიური და ინტენსიური მომხმარებელია მისი ვიზავი.

ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარებამ, აუდოვიზუალურმა კულტურამ, ერთი მხრივ, მომხმარებლებს აჩუქა ახალი ინფორმაციითა და შესაძლებლობებით სავსე უზარმაზარი სამყარო. კომპიუტერული თამაშები, ელექტროწიგნები, ინტერაქტიური მუზეუმები და მრავალი სხვა, რომლებმაც ცხოვრება გაცილებით კომფორტული, შინაარსიანი გახადა. მეორე მხრივ, ამ პროცესმა გამოიწვია წერითი კულტურის, ეპისტოლარული ჟანრის დაკნინება და ჩანაცვლება. - თუ მანამდე, საუკუნეთა მანძილზე პირადი თუ ინსტიტუციური მახსოვრობის ფიქსაცია ფოლიანტებით, ეტრატებით, დღიურებით, წერილებით, ბოლოს კი ხელის საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტით ხორციელდებოდა, ინტერნეტმა და სოციალურ ქსელებმა ისინი თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ინფორმაციის სხვა სახეობებითა და მატარებლებით - მომხმარებლის პერსონალური გვერდებით (აკაუნტებით) და ფოტოებით.

შემთხვევითი არ არის, რომ სოციალურ ქსელში ადამიანს უფრო მეტი „მეგობარი“ ყავს, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. ჩამოყალიბდა ურთიერთობის ახალი ფორმა, რომელსაც **ორბიტინგს** უწოდებენ. - ნაცნობი ადამიანები სოციალურ ქსელში თვალყურს ადევნებენ, ეცნობიან ერთმანეთის პოსტებს, კომენტარებს, რემარკებს, გამოხატავენ ემოციებს, მაგრამ არა აქვთ უშუალო ურთიერთობა ერთმანეთთან. ამიტომაცაა, რომ ფბ-ის ზოგიერთი მომხმარებლის აღნიშნული სოციალური ქსელის მეგობართა რაოდენობა ლიმიტირებულ რიცხვს - 5 ათასსაც კი აღწევს, თუმცა, რეალურ ცხოვრებაში მათგან მხოლოდ მნიშვნელოვნად ნაკლებ ადამიანთან აქვს ურთიერთობა.

ინფორმაციის გადაცემის, გაცვლის თანამედროვე ტექნოლოგიის მეშვეობით ადამიანი თავს აღარ გრძნობს მარტოსულად - სოციალურ ქსელში ადვილად პოულობს მსგავსი შეხედულებებისა და ფასეულობების მატარებელ პირს, რომელსაც შეიძლება გაუზიაროს საკუთარი შეხედულებები, ემოციები, ადამიანური სიხარული თუ მწუხარება, წარმატება, სოციალური სტატუსის ცვლილება,

---

[5] **ჰეშტეგი** (ინგლ. *hashtag hash-დან* - ცხაურის ნიშანი # და *tag* - ნიშანი) - სოციალურ ქსელებში გამოყენებული საკვანძო სიტყვა, თემა ან რამდენიმესიტყვიანი შეტყობინება, რომელიც აიოლებს შეტყობინების ძებნას და იწყება ცხაურის ნიშნით.

[6] **სელფი** - აიფონით საკუთარი თავისთვის სურათის გადაღება.

[7] **ტროლინგი** - სოციალურ ქსელში კონკრეტული პირების, ინსტიტუტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ ყალბი, დამცინავი, მადისკრედიტირებელი და მაპროვოცირებელი ინფორმაციის მიზანმიმართული გავრცელება.

[8] **ბანი** (ინგლ. Ban - აკრძალვა, კანონგარეშედ გამოცხადება) - ინტერნეტში იმ მომხმარებელთა აქტიურობის შეზღუდვა, რომლებიც მოქმედებენ როგორც ტროლები ან იმ ფორმით, რაც შეურაცხყოფს და რეპუტაციულად აზიანებს ინტერნეტ-საიტის რესურსების სხვა მომხმარებლებს.

[9] **ჩატი** (ინგლ. to chat - ყბედობა) - სოციალურ ქსელის მომხმარებელთა შორის დროის რეალურ რეჟიმში ინფორმაციის გაცვლის საშუალება, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასეთ ურთიერთობებს უზრუნველყოფს.

[10] **ბლოგი** (ინგლ. blog, we**b log**-დან - ინტერნეტ-ჟურნალი, ინტერნეტ-დღიური, ვებ-გვერდი) - სოციალურ ქსელში ამა თუ იმ თემაზე რეგულარული კომენტარი და შეფასება ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო- ან აუდიო ფორმით.

[11] **ავატარი,** სოციალურ ქსელში - საკუთარი თავის და ქცევის პრეზენტაციის ერთერთი ფორმა. ინდუიზმში გამოიყენება ღმერთის განსახიერების აღსანიშნავად.

[12] **მემი,** *ინტერნეტში* - მახვილგონივრული და ირონიული ინფორმაცია, რომელმაც სოციალურ ქსელში სპონტანურად მოიპოვა პოპულარობა.

[13] **გიფი** (აკრონიმი ინგლისურიდან - **G**raphic **I**nterchange **F**ormat - გრაფიკული ჩანაცვლების ფორმატი) - ინტერნეტში გამოყენებული ციფრული გამოსახულების ფორმატი.

სთხოვოს დახმარება, რჩევა, შველა, ყურადღება, მოახდინოს რეაგირება ცხოვრებისეულ, ზოგადსახელმწიფოებრივ, გლობალურ თუ კერძო პრობლემებზე.

აქტიურობა სოციალურ ქსელში ძირითადად ორგვარია: ერთია, საკუთარი და ოჯახის წევრების სურათების განთავსება, რაიმე ღირშესანიშნავი თარიღის მოხსენიება, ვიზიტის ან მობილურობისას მარშრუტის ჩვენება და მეორე - მსჯელობა, აზრის გაზიარება ამა თუ იმ რეზონანსულ პროცესსა თუ აქტუალურ პრობლემაზე - ყოფითიდან დაწყებული და გლობალურით დამთავრებული. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგანაც ასეთი აქტიურობა იმავდროულად ამ პრობლემათა ფორმირების, კრისტალიზაციისა და განვითარების კატალიზატორიცაა.

სოციალურმა ქსელმა მიზნის - დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილება, შეესაბამებოდეს იდეალს ან მოიძიოს თანამოაზრენი, წარმართოს ყურადღება სასურველი მიმართულებით - რეალიზაციაში მნიშვნელოვნად წაიწია ისეთი ასპექტებითაც კი, როგორებიცაა **მარკეტინგი** და **პოლიტიკა.** კერძოდ, იგი იქცა მოსახერხებელ პლატფორმად რაიმე მოწოდების, სლოგანის გასაჟღერებლად, მანვე უზრუნველყო რეალობის კოდირება კომერციული მოგებისათვის სოციალური ქსელის ისეთი პარამეტრების მქონე მომხმარებლების ჯგუფებთან, როგორებიცა ინტერესები, ასაკი, სქესი, სოციალური მდგომარეობა, შემოსავლების დონე, გეოგრაფია და ა.შ., შექმნა სასურველი სივრცე ფლეშმობის ჩასატარებლად, რჩევების მისაღებად, რაიმე ნივთის ყიდვა-გაყიდვისათვის რეკომენდაციის მისაღებად...

აქ „იშვა“ ახალი სიტყვა და „პროფესია“ – **„ინფლუენსერი“** - ქსელის აქტიური მომხმარებელი ფართო და ლოიალური აუდიტორიით.

სოციალური ქსელი მასზე დამოკიდებულებას რამდენიმე ინსტრუმენტით უზრუნველყოფს: ერთია ე.წ. „სათამაშო მარყუჟის“ (ludic loops) როლი, რომლითაც მომხმარებელს უყალიბდება ჩვევა, დამოკიდებულება, მეორე კი, ადამიანის მოთხოვნილებების მანიპულაცია - სურვილი გავდეს ვინმეს (იმიტაცია) და მოძებნოს ისინი, ვინც იზიარებს მისეულ ფასეულობებს (სოლიდარიზაცია). [3].

საკუთარი აუდიტორიის მქონე ბლოგერის, ცნობილი პირის (ე.წ. სელებრითის) მიერ პოტენციური მომხმარებლების აყოლიების შესაძლებლობამ დაამკვიდრა **ინფლუენს-მარკეტინგი** - სარეალიზაციო პროდუქტის წინწაწევა მათ მიერ გამოთქმული მოსაზრების, დადებითი შეფასების ღია თუ ფარული რეკლამის საფუძველზე.

მაგრამ ის შესაძლებლობა, ეფექტიანობა და სარგებლიანობა, რაც ბიზნესისათვის სოციალურ ქსელებს მოაქვთ საზოგადოებრივი აზრის, მათ შორის ხსენებული სამომხმარებლო გემოვნების ფორმირებით, პოლიტიკურ პროცესებზე, თავისუფალი, „ცენზურაგაუვლელი“ შეხედულებათა გავრცელების გამო, მუდმივ თავის ტკივილს, ეგზისტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ავტორიტარული, დემოკრატიული მართვის მეთოდებისაგან დაშორებული ხელისუფლებისათვის. ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის შიმონ პერესის ხატოვანი ნათქვამი, რომ *ტელევიზიის პირობებში დიქტატურა - შეუძლებელია, ხოლო დემოკრატია - აუტანელი,* ამჟამინდელი გადასახედიდან, კიდევ უფრო მართებულია ინტერნეტსა და სოციალური ქსელებთან მიმართებაში.

ის, რომ უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ოპერატიულად დახურა ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი სოციალური ქსელების უმრავლესობა, საკმაოდ მრავლისმეტყველია. - ავტორიტარული ხელისუფლება ცდილობს, კონტროლირებადი ტელევიზორივით „მოათვინიეროს“

ინტერნეტი (შესაბამისად - მის მომხმარებელთა უმრავლესობა), „ეროვნული ინტერესებიდან“ გამომდინარე, მოახდინოს საინფორმაციო სივრცის „სუვერენიზაცია.“ ნებისმიერმა ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ სოციალური ქსელი, ბინარული იარაღივითაა: იგი არა მარტო „ორთქლის გამოშვების“ საშუალებაა, არამედ კოლექტიური აფექტების - *რისხვისა* და *აღშფოთების* - გენერირებისა და ტრანსლირების იდეალური ინსტრუმენტიცაა, რომელიც ვირტუალური „მაიდანისა“ და „ვანდეის“, განსხვავებისა და დაპირისპირების კონტურების ჩამოყალიბების უზარმაზარი რესურსის, ანუ „გასაგებ ენაზე რომ ვთარგმნოთ“, ხელისუფლების მიერ რეპუტაციის, რეიტინგისა და საბოლოო ჯამში, ძალაუფლების დაკარგვის პოტენციური საფრთხის მატარებელია.

რა თქმა უნდა, სოციალურ ქსელში აქტიურობის ნეგატიური კონტექსტი არა მარტო ინსტიტუციურია, არამედ ყოფითიც: ინტერნეტისა და სოციალური ქსელების წარმოშობამ გააძლიერა კონტექსტური კოლაფსი - ჩამოშალა ბარიერები სხვადასხვა აუდიტორიებს შორის. - ინფორმაციის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ერთი აუდიტორიისთვის, ხელმისაწვდომი გახადა სხვა, მათ შორის არამეგობრული, ნეგატიური და აგრესიული, რეფლექსიისა და თვითკრიტიკის დაბალი დონის აუდიტორიისათვის. ბარიერების ჩამოშლამ ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში ადამიანების შინაგანი ბუნება, ინტელექტი, განწყობა, სოციალური თუ პიროვნული პრიორიტეტები და სისუსტეები საჯარო გახადა. ადამიანთა ერთი ნაწილი თვლის, რომ სწორედ სოციალური ქსელებია მათი თვითრეალიზაციის საუკეთესო პოლიგონი, სადაც მათ ეძლევათ შესაძლებლობა, მთელ კაცობრიობას თუ არა, სანაცნობო წრეს მაინც გაუზიაროს საკუთარი ცოდნა-შეხედულება კონკრეტულ სფეროში თუ საკითხზე, თანაც არცთუ იშვიათად - კატეგორიული და აგრესიული ფორმით. ბევრისთვის ჩვეულებად იქცა ნეგატიური რეაგირება, კომენტარი იმაზე, რაც უშუალოდ მათთვის არაა განკუთვნილი და რაშიც ისინი არ არიან კომპეტენტურნი.

ასეთმა საჯაროობამ უზრუნველყო ადამიანების დაახლოება კომუნიკაციურად და არა მენტალურად. განთავსებული ინფორმაციით და უფრო მეტიც, ცალკეული „სმაილიკებითაც“ კია შესაძლებელი სუბიექტის ფსიქოლოგიური პორტრეტის, მისი მსოფლმხედველობის, გემოვნების, პრიორიტეტების დადგენა და შემდეგ მათი მეშვეობით მანიპულირება. ამიტომაც ასე ხშირად ხდება ადამიანი ფეისბუკზე აგრესიის ობიექტი განსხვავებული აზრის, შეხედულების და თვით ემოციის გამოხატვის გამო.

ამას აძლიერებს ასეთი ქსელების მომხმარებელთა არც თუ მცირე ნაწილის პოლემიკის კულტურის კრიტიკულად დაბალი დონე, რაც ახდენს არა მარტო ცხარე კამათის, პოლემიკის პროვოცირებას, სხვათა, განსხვავებული აზრის და პოზიციის კატეგორიულ მიუღებლობას, ოპონენტთა გაქილიკებას, არამედ ამ ქსელებს ტექსტური დაპირისპირების „ტატამად“ და პიროვნული შეურაცხყოფის პოლიგონად აქცევს. ტროლინგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, ზოგისთვის ერთგვარ რიტუალად, „დილის გამამხნევებელ ვარჯიშად“ და ადრენალინის მიღების საშუალებად იქცა.

მყისიერი უკურეაქცია ან რეპუტაციული და ფიზიკური საფრთხე, რაც რეალურ ცხოვრებაში საკუთარი აზრის გამოხატვის თვითშეზღუდვის განმაპირობებელი ფაქტორია, სოციალურ ქსელში, მით უფრო, საკუთარი იდენტიფიცირების მაქსიმალურად შეზღუდვის პირობებში (ფსევდონიმით, პირადი ფოტოს გარეშე), მინიმიზებულია. ამით ზოგი პერსონა ბოროტად სარგებლობს, რადიკალურ და აგრესიულ აფრებს, რომ იტყვიან, ბოლომდე შლის, თავს უსაფრთხოდ და დაცულად მიიჩნევს, თვლის რა, რომ სხვებისთვის ნასროლ „დამპალ პომიდორებს“ უკან დაბრუნების მინიმალური შანსი აქვთ და ინტერნეტ-სივრცე საკუთარ ბუნებაში ჩაბუდებული, აგრესიის გამოვლენის პოლიგონად წარმოუდგენია.

ის, რომ არასწორი ინფორმაცია მართალ, ობიექტურ ინფორმაციაზე გაცილებით, ჯერადად სწრაფად ვრცელდება, ხოლო პირად ღირსებასა და ფასეულობებზე ღია შეტევა თუ სკაბრეზული გამოხდომა უფრო ღრმა ემოციურ ნაჭდევს ამჩნევს სოციალური ქსელის მომხმარებელს, დიდწილად განპირობებულია ადამიანის კულტურის, აღზრდის, განათლების დონით, აგრეთვე ფსიქოლოგიური წყობითა და ემოციურობის პალიტრით.

არასწორი, ფეიკ-ინფორმაციისა და ტროლინგის შემთხვევებმა ისეთი მასშტაბები შეიძინა, რომ სოციალური ქსელის მომხმარებლები ასეთი შემოტევებისაგან, ავყია და მცდარი, რეპუტაციის შემლახველი კომენტარებისაგან თავდასაცავად „თავდაცვით ზღუდეებს“ აგებენ: ზღუდავენ სამეგობრო წრეს და იმ პირთა კონტიგენტს, ვისაც აქვს მათ პოსტებზე კომენტარის გაკეთების უფლება.

მაგრამ ინდივიდუალური „თავდაცვითი საშუალებები“ ნამდვილად არ არის საკმარისი სოციალურ ქსელებში აგრესიისა და ბულინგის შესაჩერებლად - იგი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ცალსახა მხარდაჭერას შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების მეშვეობით. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ სოციალურ ქსელში ძალუმად მოქმედებს „პირველი შთაბეჭდილების ეფექტი“, რომელიც გულისხმობს, რომ **პირველი შთაბეჭდილება ხშირად განსაზღვრავს პიარის შედეგს.** როდესაც საქმე ეხება მრავალრიცხოვან აუდიტორიას, ძნელია გვერდი აუარონ ცდუნებას, არ შეუქმნან მასებს სასურველი შთაბეჭდილება, თუნდაც აპრიორი ყალბი ან დამახინჯებული ინფორმაციის ხარჯზე. ამიტომ აღნიშნული გარემოების ნეგატიური ეფექტის დასაძლევად ერთერთ საშუალებად განიხილება სოცქსელების მფლობელთა თავისუფლების შეზღუდვა და მათი პასუხისმგებლობის ზრდა. ამ მიმართულებით რიგითი მოქალაქეების, ინტერნეტ-მომხმარებლების დასაცავად ყველაზე შორს წავიდა იაპონია, სადაც ონლაინ შეურაცხყოფისთვის გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა და პატიმრობა

მეორე მხრივ, პერსონალური მონაცემების რა ეფექტიან დაცვაზე შეიძლება საუბარი, როცა თავად წყარო ამ ინფორმაციისა ქსელის მომხმარებელია და უზარმაზარ, სრულიად უსაზღვრო ინფორმაციას ნებაყოფლობით ასაჯაროებს და ფაქტობრივად, არც აცნობიერებს, რომ *„ყველაფერი რასაც იტყვის, მის წინააღმდეგვე შეიძლება იქნეს გამოყენებული“.* ამ გარემოების გამო, ინფორმაციის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად, ზოგიერთი დაწესებულება, ორგანიზაცია, კომპანია თავის თანამშრომლებს უკრძალავს სოციალური ქსელის მომხმარებლად დარეგისტრირებას.

ამიტომაც **ნეტიკეტის** - ქსელური ეტიკეტის დეფიტი, რაც გამოიხატება პირდაპირი თუ ირიბი ფორმით პიროვნების შეურაცხყოფაში, ცილისწამებისა და დეზინფორმაციის გავრცელებაში, სკაბრეზულ ლექსიკაში - სოციალური ქსელის ერთერთი მწვავე და ჯერჯერობით გადაუჭრელი პრობლემაა. [4] აღნიშნული პრობლემის მასშტაბურობაზე აქცენტის გაკეთება უკვე უმაღლეს სასულიერო პირებსაც უწევთ. [14]

ამავე დროს, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტი და სოციალური ქსელები - თანამედროვე ცივილიზაციის ასეთი შთამბეჭდავი მონაპოვარი - მათზე მეტისმეტი დამოკიდებულების გამო გლობალურ დაავადებადაც იქცა, რომელიც თავისი მასშტაბებით ყველაზე მწვავე, მრისხანე პანდემიების მასშტაბებსაც კი აღემატება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ

[14] როგორც საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიო (მუჯირი) დიდმარხვის პირველი კვირის ოთხშაბათის ქადაგებისას განაცხადა, „დღეს ჩვენ ვართ ისეთ ეპოქაში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „დიდი ცუდად მეტყველების ხანა“. ჩვენ ვხედავთ, რომ მასმედიის საშუალებებიც, ინტერნეტიც, პრესაც, სავსეა აი, ამ ამაო მეტყველებით, ცუდად მეტყველებით და, შეიძლება ითქვას, თითქმის გაიგივებულია ამ ყველაფერთან“. - იხ. Interpressnews.ge, 1.03.2023

სოციალურ ქსელზე დამოკიდებულება ძალიან ჩამოგავს აზარტული თამაშისადმი დამოკიდებულებას - ერთი და იგივე ქმედების გამეორება რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში და დროის მინავლებული აღქმა, რეალურ ცხოვრებასა და მოქმედების ვირტუალურით ჩანაცვლება...[5]

ინტერნეტ-დამოკიდებულება იქცა დამოკიდებულების ისეთივე სახეობად, როგორიცაა ალკოჰოლ-, ნარკოტიკ- თუ თამაშდამოკიდებულება. იმავდროულად, გაჩნდა ახალი ფობია, ირაციონალური შიში: **ნომოფობია** - ადამიანების სმარტფონთან წვდომის გარეშე დარჩენის შიში.

ადიქციისა[15] და მენტალური ჯანმრთელობის სპეციალისტები თვლიან, რომ ქსელში ყოველდღიურად ორ საათზე მეტ ხანს ყოფნა ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია. სოცქსელებზე დამოკიდებულებას კი ასტიმულირებს თავის ტვინის შესაბამისი უბნებისაკენ მიმართული სიამოვნების ისეთივე სიგნალები, როგორებიც წარმოიშობა შოკოლადის დაგემოვნებისას ან ფულის მოგებისას. სპეციალისტების ვერდიქტი ცალსახაა: *სოციალური ქსელების ინტენსიურმა გამოყენებამ შეიძლება გიძგი მისცეს ტვინში ისეთი პროცესების განვითარებას, რომლებიც დამახასიათებელია ნარკოტიკებსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანებისთვის.* ამ დროს სიამოვნების ჰორმონი დოფამინი სულ უფრო ნაკლებად გამოიყოფა და ადამიანს უჩნდება მეტი „ლაიკის“ შეგროვებისა და ონლაინ რეჟიმში მეტი ხნით ყოფნის მოთხოვნილება. სამედიცინო პრაქტიკაში უკვე გაჩნდა ტერმინი - ე.წ. სნეჟანას სინდრომი - როგორც ინდივიდუუმების სოციალური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული სტრესი, ფსიქსომატური აშლილობა სოციალურ ქსელებზე მეტისმეტი დამოკიდებულების გამო. - ბელგრადში ვინმე სნეჟანა პავლოვიჩი (Snezhana Pavlović) ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვდა მას შემდეგ, რაც მისი კომენტარი ფეისბუკში საკუთარმა მეგობრებმა რეაგირების გარეშე დატოვეს. [7]

რადგანაც ფეისბუკში (ზოგადად - სოციალურ ქსელებში) შესულები ერთმანეთს უზიარებენ უპირატესად თავიანთი ცხოვრების კარგ მომენტებს, შეიძლება ზოგიერთებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ სხვები, მათგან განსხვავებით, ცხოვრობენ გაცილებით მჩქეფარე და საინტერესო ცხოვრებით. ამით იქმნება წარმოდგენა, რომელიც ძალიან ჩამოგავს ე.წ. დემონსტრაციული (სტატუსური, საჩვენებელი) მოხმარებით სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენის ეფექტს, როდესაც პირი ხარჯებს ეწევა საზოგადოების თვალში თავისი რეალურზე უფრო მაღალი სოციალური სტატუსისა და დადებითი იმიჯის შესაქმნელად.

ამან კი შეიძლება წარმოშვას საკუთარი ცხოვრების სუბიექტურად მიკერძოებული, ტენდენციური ნეგატიური შეფასება, რაც პირდაპირი გზაა ისეთი ფსიქიკური დაავადებისაკენ, როგორიცაა დეპრესია და ცალკეულ შემთხვევებში, ფსიქოსომატური აშლილობაც კი.

პრობლემაა ისიც, რომ უაღრესად მაღალი დადებითი კორელაცია არსებობს მშობლებისა და შვილების მიერ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ურთიერთობებისთვის გამოყოფილ დროთა შორის - რაც უფრო მეტად „ყვინთავენ“ მშობლები ინტერნეტში და გაჯეტებში, მით უფრო მეტ ხანს ამასვე აკეთებენ მათი შვილებიც. შესაბამისად, მცირდება დრო და ემოციური კავშირები ოჯახის წევრებს შორის, პირველ რიგში, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის. ზარალი ორგვარია: ერთი მხრივ, სუსტდება ემოციური კავშირი მშობლებსა და შვილებს შორის და მეორე მხრივ, ეკრანული დროის ზრდის კვალობაზე უარესდება ბავშვებისა და მოზარდების ფსიქოლოგიური მდგომარეობა. - დამტკიცებულია კავშირი, ერთი მხრივ, ინტერნეტდამოკიდებულებასა და, მეორე მხრივ, დეპრესიას,

[15] **ადიქცია** (ინგლ. addiction) - დამოკიდებულება, დამღუპველი ჩვევა.

შფოთვიანობასა და სტრესს შორის. ამასთან, ბავშვების, მოზარდების უკონტროლოდ დატოვება სოციალურ ქსელში ზრდის საფრთხეს, რომ ისინი შეიძლება მოექცნენ სოციალურად საშიშ პირთა (პედოფილები, ე.წ. „ლურჯი ვეშაპის“ მსგავსი „სიკვდილის ჯგუფები“ და ა.შ.) გავლენის ქვეშ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერნეტში გამოჩნდა უკვე ისეთი სოციალური რეკლამაც, სადაც *ბავშვები მოუწოდებენ მშობლებს, გამოვიდნენ ფეისბუქიდან და მეტი ყურადღება დაუთმონ საკუთარ შვილებს.* ამ სახის ანტირეკლამა ფეისბუქს ორნაირად ურტყამს - პირდაპირი სოციალური რეკლამისა და არაპირდაპირი, ფარული ანტიკომერციული შინაარსით. [1; 163]

ინტერნეტისა და სოციალური ქსელების ზემოქმედებაზე საზოგადოებრივი ცხოვრების წესსა და ფორმებზე საუბარი არასრული იქნებოდა, თუ არ შევეხებოდით თავად ხელისუფალთა, პოლიტიკოსების, ზოგადად, „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ მათდამი დამოკიდებულებისა და გამოყენების საკითხებს.

მსოფლიოს სახელმწიფოთა ხელმძღვანელების უმრავლესობას საკუთარი გვერდი აქვს გახსნილი სოციალურ ქსელში (აქ პირველობას facebook-თან შედარებით Twitter-ი ფლობს), რომელზეც რეგულარულად ათავსებს თავის შეხედულებას დამოკიდებულებას ამა თუ იმ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენაზე. უფრო მეტიც, Twitter დაახლოებით 2015 წლიდან იქცა ციფრული დიპლომატიის ძირითად პლატფორმად, ხოლო მისი წარმოება - დიპლომატიის განუყოფელ ნაწილად. მისი მეშვეობით პოლიტიკოსები და დიპლომატები მედიის გვერდის ავლით ახდენენ საკუთარ აუდიტორიასთან ურთიერთობას. ამ ინფანტილური, ნაკლებად თუ არადიპლომატიური ფორმით ურთიერთობის ამოცანა იმდენად არა სხვა ქვეყნის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა, რამდენადაც იმ ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაზე და ხალხის მასაზე ზემოქმედებაა.

რა თქმა უნდა, პოლიტიკოსის სოციალურ ქსელში აქტიურობა გარკვეული რისკის მატარებელიცაა: შეიძლება ვინმემ „გატეხოს“ პოლიტიკოსის გვერდი და მისი სახელით მასზე რაიმე პროვოკაციული შინაარსის ტექსტი განათავსოს. პოლიტიკოსებისთვისაც „ყოველივე ადამიანური არაა უცხო“ და გამორიცხული არაა, რომ მათ შემთხვევით მოიწონონ („დაალაიქონ“) სახელმწიფოს ოფიციალური კურსისგან განსხვავებული მოქმედება ან მის უკან მდგარი პირი, აგრეთვე თავად აღმოჩნდნენ შემთხვევითი თუ მიზანმიმართული ყალბი ინფორმაციის (ფეიკის) მსხვერპლი და მასზე მოახდინოს რეაგირება, რასაც მაღალი ალბათობით, საპირისპირო მხარის შესაბამისი დემარში, პროტესტი მოყვება, თუმცა ეს ის შემთხვევაა, რომელსაც ქართული ანდაზა შეესატყვისება: „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?!“.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება სმარტფონების სულ ახალ-ახალი ფუნქციებით და გამოყენების შესაძლებლობების დიაპაზონის გაფართოების პროგნოზით „გვაიმედებს“, რაც კიდევ უფრო ზრდის მათზე ადამიანების მიჯაჭვულობას და ამასთან დაკავშირებულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს. ამავე დროს განვითარების დიალექტიკა გვკარნახობს, რომ შორს არ არის დრო, როდესაც მკაფიოდ გამოიკვეთება საპირისპირო ტენდენციაც: **ინტერნეტსა და გაჯეტებზე მეტისმეტი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების სწრაფვა, როგორც ჭეშმარიტი თავისუფლების ზომა.** დადგება დრო, როდესაც ამგვარი თავისუფლება ისეთივე პრესტიჟული იქნება, როგორც ამ რამდენიმე ათეული წლის წინ პერსონალური კომპიუტერის თუ მობილურის ფლობა...

დასკვნა

ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, ეკონომიკის გაციფრებამ, ინტერნეტმა და სოციალურმა ქსელებმა არსებითად შეცვალეს ადამიანთა ცხოვრების ფორმა და წესი. ამ მხრივ 1990-იანი წლების პირველი ნახევრის პერიოდის საზოგადოება, თავისი ცხოვრების წესით, ფორმითა და ატრიბუტებით, უფრო ახლოს დგას 70 წლის წინანდელ (1940-1950-იანი წლები) პერიოდთან, ვიდრე 20-25 წლის შემდეგდროინდელ პერიოდთან (2010-2020-იან წლებთან).

უპრეცენდენტოდ გაიზარდა ინფორმაციაზე წვდომა და მისი გავრცელების მასშტაბი და ოპერატიულობა. იმავდროულად, გაიზარდა მომხმარებლების მიერ ინტერნეტში ყოფნის ხანგრძლივობა, რამაც გაამყარა მოსაზრება თანამედროვე ცივილიზაციის ახალ დამოკიდებულებაზე - ინტერნეტდამოკიდებულებაზე.

იმავდროულად, ინფორმაციაზე წვდომის **ოპერატიულობა** არის ფეისბუკის ყველაზე ძლიერი მხარეც და „აქილევსის“ ქუსლიც - უამრავი, აბსოლუტურად განსხვავებული ჟანრისა და შინაარსის ინფორმაცია აიძულებს ადამიანს რაც შეიძლება სწრაფად „გადაფურცლოს“, „გაირბინოს“ შეტყობინებები, პოსტები, რის გამოც უარესდება მათი აღქმისა და გააზრების ხარისხი.

ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ ქსელებში, ფეისბუკში მრავლადაა ღრმა, მაღალმხატვრული და საინტერესო ეტიუდები, ესეები, მოგონებები, მხატვრული ნაწარმოებები, საჭირო და საგულისხმო ინფორმაცია, ემპათიის შთამაგონებელი მაგალითები, ეს არაა საუკეთესო ადგილი, ის სივრცე, სადაც უნდა გაეცნო (წაიკითხო), მაგალითად, ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ ან ჰიუგოს „კაცი რომელიც იცინის“. - ის უფრო ლირიკული ჩანახატებისა და ექსპერტული კომენტარების, ირონიული პასაჟების, საქმიანი და პირადი მიმოწერის, ზოგჯერ - დაუფარავი ფლირტი და სამწუხაროდ, ტროლინგის „პოლიგონია“.

სოციალურის ქსელების პოზიტიურ ასპექტებთან ერთად მათ ინტენსიურ მოხმარებასთან დაკავშირებით წარმოიშვა რამდენიმე პრობლემა. ესაა არასწორი, მცდარი ინფორმაციის გავრცელება და ეთიკური ნორმების დარღვევა, პიროვნული ღირსებისა და რეპუტაციის შელახვა შავი პიარისა და სკაბრეზული ლექსიკის გამოყენებით. ამისაგან მომხმარებელთა დაცვა მხოლოდ ქსელის ადმინისტრაციის ძალებს აღემატება და სახელმწიფოებრივ დონეზე სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს. ამ მხრივ საგულისხმოა ის ნაბიჯები, რაც ამ მიმართულებით სხვადასხვა სახელმწიფომ (იაპონია, საფრანგეთი და სხვ.) გადადგა.

ტექნოლოგიების განვითარება გლობალურად - სახელმწიფოებს, ინსტიტუტებს და რიგით ადამიანებს კიდევ მრავალ სიურპრიზს უმზადებს. მთავარია, ადამიანთა მენტალური მდგრადობა, ჰუმანიზმის, სიკეთისა და ემპათიის კრიტერიუმები საზოგადოებრივ ფასეულობათა სისტემაში, როგორც სოციალურ ქსელებში ურთიერთობისას, ისე მის ფარგლებს გარეთ, შენარჩუნდეს და განვითარდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

არჩვაძე ი., ქურხული ლ. (2022). ეკონომიკის ფსიქოლოგია. - „მწიგნობარი“, თბილისი.

A14 Sociology of Economics, O15 Human Resources; Human Development; Income Distribution; Migration; D1 Household Behavior and Family Economics.

Matilda Zhang The Lucid Truth of Ludic Loops May 24, 2018. - https://medium.com/interactive-designers-cookbook/the-lucid-truth-of-ludic-loops-caec3ad272da

Email/Discussion Group Netiquette Tips. 29.05.2012 - http://earlydues.usanethosting.com/ieel/netiquette.htm
Lawrence Robinson and Melinda Smith, M.A. Social Media and Mental Health 20.12.2022. - https://www.helpguide.org/articles/mental-health/social-media-and-mental-health.htm#:~:text=The%20negative%20aspects%20of%20social%20media&text=However%2C%20multiple%20studies%20have%20found,about%20your%20life%20or%20appearance

Агрессия в Интернете: распространение кибербуллинга среди российских подростков. Электронный научный журнал «Медиаскоп». №2, 2017. - http://www.mediascope.ru/2315

Синдром Снежаны, Google-эффект и другие интернет-болезни. 7.12.2017. - Источник: https://www.myjane.ru/articles/text/?id=19442
სოციალური ქსელები: Facebook, Twitter, etc.

Black and White Shades of Social Network: Political-Economic and Psychological Aspects

Joseph Archvadze
Doctor of economics, Professor
Kutaisi University
daswreba@yahoo.com

Lia Kurkhuli
Professor
Georgian National University (SEU)
kurkhulilia@yahoo.com

Summary

The introduction of social networks (Facebook, Twitter, google+, Instagram, Youtube, Whatsapp, Tik Tok, Linkedin, etc.) is the largest transition in the history of mankind, in terms of dissemination of information since Gutenberg began printing. Its "passing pawns" are efficiency, mass character and instantaneous distribution. The behavior of people and their relationships social networks took on a strong "boarding". Before our eyes, a process is taking place when an increasing part of the population is changing the "Party of the TV" to the "Party of the Internet." Social networks have significantly narrowed, and in fact put an end to, the monopoly of television in the formation of public opinion. Moreover, they, in particular Facebook, having overcome the barriers of almost any censorship, have turned the globe into one "global village". This is actually the "agora" of the twenty-first century. They adequately continued the process of "levelling" between the rich and the poor in terms of access to news, entertainment, shows, provided earlier by traditional media (press, radio, television). The Internet began, and the social network accelerated an unprecedented language revolution, rooted or filled with new meaning in everyday life "traditional" words, terms or phrases: hashtag, selfie, trolling, ban, chat, blog, avatar, meme, gif, etc. Over-reliance on the Internet and social media has become a global disease that surpasses the most acute, formidable pandemics in human history in scale. This means that excessive dependence on social networks is too similar to gambling addiction - the repetition of the same actions for a long time and a weakened perception of time, the replacement of real life and activity with virtual ... The development of information technology is "encouraging" by stuffing more and more new functions and expanding the range of possibilities of smartphone functions, which further strengthens people's attachment to them and the social and psychological problems associated with it. At the same time, the development of dialectics suggests that the time is not far off when the opposite trend will also appear: the desire for liberation from excessive dependence on the Internet and gadgets, as a measure of true freedom. The time will come when such freedom will be as prestigious as owning a personal computer or a mobile phone a few decades ago...

Keywords: Internet, Social network, Facebook, Information, Addiction.

მართლმადიდებლური სწავლება საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის შესახებ

გიორგი შიხაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული პროფესორი.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.shikhashvili@tsu.ge

კახაბერ რუსიძე
ეკონომისტი
გამომცემლობა „მერიდიანი“
meridiani777@gmail.com

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-143-151

ანოტაცია. *სტატიაში ასახულია მართლმადიდებლური სწავლება საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმისა და თეოლოგიური ეკონომიკის შესახებ. ღმერთის განგებულებით, ქრისტიანულ მოძღვრებას უნდა ეყრდნობოდეს ცალკეული ქვეყნების და მთელი კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.*

საკვანძო სიტყვები: *საკუთარი თავის შეცნობა. სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმი. თეოლოგიური ეკონომიკა. ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.*

შესავალი

ნაშრომში ასახულია მართლმადიდებლური სწავლება საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის შესახებ. ღმერთის განგებულებით, ქრისტიანულ მოძღვრებას უნდა ეყრდნობოდეს ცალკეული ქვეყნების და კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

2008 წლის 12 ოქტომბერს თბილისში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი. პატრიარქისვე ლოცვა-კურთხევით უნივერსიტეტის მთავარი მოწოდება, სლოგანია “NOSTE TE IPSUM - შეიცან თავი შენი”.

კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჭეშმარიტი, თეოლოგიური გააზრებისათვის საჭიროა ღვთაებრივი და ადამიანური ძალების თანაქმედების სინერგიული აღქმა.

სინერგია არის ადამიანური და ღვთაებრივი ძალის შერწყმა და ღვთის მოწყალების კარის განღება. საზოგადოებრივი და პიროვნული წინსვლა-განვითარებისთვის აუცილებელია ორი ძალის - ღვთაებრივისა და ადამიანურის გაერთიანება - სინერგია. მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა

ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით მთელი კაცობრიობის და ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, სამეცნიერო, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს.

საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი სულიერი ზესვლაა. რელიგიასთან ერთად, საზოგადოებრივ ცხოვრებას განეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობა. მხოლოდ ღვთაებრივ, ეკლესიურ საწყისებთან მისი სინერგიული შეთანაწყობის საფუძველზე არის შესაძლებელი ჭეშმარიტი, ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე.

მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკის სინერგიული არსი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თავის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებაში ასახავს მწყემსმთავრულ მიმართვებს, სწავლებას ეკლესიის, ცალკეული პიროვნების, საზოგადოების გარკვეული ჯგუფის, ქვეყნის ან მთელი კაცობრიობისადმი საკუთარი თავის შეცნობის, ცხოვრება-არსებობისა და განვითარების აქტუალურ, სინერგიულ საკითხებთან დაკავშირებით. ასეთ მიმართვებში გადმოცემულ-განმარტებულია საღვთო, მართლმადიდებლური მოძღვრება, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ცალკეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მართვა.

ეკლესიის დამფუძნებელი და წარმმართველი, საზოგადოების ღვთივსულიერ, ჰარმონიულ განვითარებაზე მუდმივად მზრუნველი უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გვასწავლის: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მამასთან, თუ არა ჩემს მიერ“ (ბიბლია. იოან. 14, 6). ეს სწავლება არის საფუძველთა-საფუძველი (თანამედროვე ტერმინოლოგიით _ კონცეფცია, პარადიგმა, მოდელი) მთელი კაცობრიობის მიზნისა და მისი განხორციელების ჭეშმარიტი გზისა. სწორედ და მხოლოდ ამ გზაზე დამდგარი საზოგადოება შეძლებს მიაღწიოს სულიერი და მატერიალური სიკეთეების ჰარმონიულ ურთიერთშეხამებას, ღვთაებრივი ნების და ადამიანური მისწრაფებების შეერთებას - სინერგიას, სიკვდილზე გამარჯვებას და მარადიული სიცოცხლის მოპოვებას.

ასეთ მიდგომას უნდა ემყარებოდეს ჭეშმარიტი მეცნიერება და განათლება, რომლის საფუძველზეც განვითარდება ყოვლისმომცველი, ღვთივსულიერი, სინერგიული საზოგადოებრივი კულტურა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II არის საფუძველჩამყრელი სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმისა, სხვაგვარად - სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის მართმადიდებლური სინერგიული გააზრებისა.

სასულიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედება წარმოგვიდგება როგორც ქართული სახელმწიფოს სინერგიული, ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ეროვნული კონცეფციის, მოდელის, შესაბამისი სტრატეგიული გეგმისა და სათანადო პროგრამების და პროექტების ღვთივსულიერი საფუძველი.

დღევანდელ საქართველოში, ბოლო პერიოდში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ-დემოგრაფიული მდგომარეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სუბიექტურ-ბოლშევიკურად

აგრესიული სეკულარიზაცია-ლიბერალიზაციის პირობებში, უაღრესად აქტუალურია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების კვლევა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა სოციალური სინერგიზმის, ანუ თეოლოგიური და საზოგადოებრივ-ეროვნულ-პიროვნული პოზიციების ურთიერთშეხამებული გააზრების საფუძველზე.

გადაუდებელი საჭიროება მოითხოვს მეცნიერული კვლევებისა და სოციალურ-ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობისადმი რელიგიურ-ეკლესიური (მართლმადიდებლური) და საერო (ობიექტური, არააგრესიულ-სეკულარული) მიდგომების სინერგიულ ჰარმონიზებას.

თანამედროვე საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის ყოველმხრივი, ჰარმონიული, სინერგიული განვითარება როგორც საერო, ასევე საეკლესიო სფეროებში. ეკლესიის და სახელმწიფოს მატერიალური და ფინანსური სიძლიერე უზრუნველყოფს ერის სულიერ და სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას. სათანადო სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური და მმართველობითი ღონისძიებების შედეგად საქართველოს შეუძლია მიაღწიოს ასეთ მიზანს.

ბიბლიური მოძღვრებით ნასაზრდოები და საეკლესიო და საერო სამართალზე დაფუძნებული ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ის სფეროა, რომელიც ისტორიულად აწესრიგებდა და მომავალშიც უზრუნველყოფს ქართული სახელმწიფოს ჰარმონიულ, სინერგიულ განვითარებას.

საეკლესიო დიდი სჯულის კანონის მიხედვით ქრისტიანული ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია – „ფასეულობათა (მათ შორის - ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება“.

ამ ღვთაებრივი სიბრძნის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობის უმთავრესი, ჩვენეული პარადიგმა: „სოციალურ-ეკონომიკურ ფასეულობათა სიმართლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება უზრუნველყოფს მთელი საზოგადოების (ყოველი ადამიანის, სახელმწიფოს, ერის) ამქვეყნიურ, სინერგიულ, ჭეშმარიტ, ჰარმონიულ კეთილდღეობას და გზას გვიკაფავს ზეციური სასუფევლისაკენ“.

მართლმადიდებელი ეკლესია დააფუძნა უფალმა ღმერთმა და წარმოადგენს ღმერთის მიერვე მოწოდებულ ადამიანთა ერთობას. ეკლესიის მისია მდგომარეობს იმაში, რომ ღმერთთან, სამშობლოსთან/სახელმწიფოსთან და კონკრეტულ ადამიანებთან სინერგიული ურთიერობის მეშვეობით უზრუნველყოს ქვეყნის ყოველი მოქალაქისათვის ამქვეყნიური სულიერ-ხორციელი სიხარული და მარადიული, ნეტარი სიცოცხლე ზეციურ სასუფეველში.

ამ მხრივ მეტად ღვთივსულიერია ჩვენი ღვთივგანბრძობილი პატრიარქის ილია II-ის მოწოდებები და დალოცვა: შევიცნოთ თავი ჩვენი! ვიცხოვროთ რწმენით, იმედით და სიყვარულით! პიროვნული, ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სრულყოფა-განვითარებისთვის, ზეციურ სასუფეველში ადამიანის დამკვიდრებისა და საქართველოს გაბრწყინებისათვის აუცილებელია ღვთაებრივი და ადამიანური ძალის გაერთიანება - სინერგია! ერთსულოვნებით და ურთიერთსიყვარულით გვევლოს უფლისკენ! შევიცნოთ და გვიყვარდეს ღმერთი, სამშობლო, ადამიანი! ქართველნო, ერთად ღვთისაკენ! ვიცხოვროთ ერთმანეთისთვის და ვიხაროთ ორთავ

სოფელსა შინა! სრულიად საქართველოს შეეწიოს და ფარავდეს ღმერთი და ღვთისმშობელი! საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება!

მატერიალური ფასეულობები, ქონება და ფინანსური საშუალებები ესაჭიროება ეკლესიას, რათა ამქვეყნად იარსებოს ღმერთის სასუფეველისათვის ადამიანთა მომზადების მიზნით.

ზოგადსაკაცობრიო სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა საგანძურში ზეაღმატებული ადგილი უკავია ბიბლიას, რომელშიც ასახულია მთელი სოციუმის და მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის (მათ შორის, ეკონომიკის) საწყისი, ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი, საზოგადოებრივი განვითარების, ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობისა და ყოველი ინდივიდის არსებობის ზოგადი კონცეპტუალური საფუძველი და პრაქტიკული მოქმედების მეთოდოლოგია.

ბიბლიის ეკონომიკურ-მმართველობითი მოძღვრება უფლისმიერად დადგენილ-მოწოდებულია - თეორიულ-მეთოდოლოგიურად და პრაქტიკულად უზრუნველყოს საზოგადოების ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ბიბლიური სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრების მიხედვით, ყოველი ადამიანი და ცალკეული სოციუმი, მთელი კაცობრიობა და საარსებო გარემო, ეკონომიკურ-ეკოლოგიური პოტენციალის ჩათვლით, ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა პროცესი, მათ შორის, ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობაც, საღვთო ნების, განმგებლობის, ზრუნვის, განჩინებებისა და დაშვების საფუძველზე მიმდინარეობს.

თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ოფიციალურად მიღებულ ეკონომიკურ თეორიებსა და პრაქტიკულ ეკონომიკურ-მმართველობით საქმიანობაში თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი უფალი ღმერთი, ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპები და ზნეობრივი ნორმები. ამის გამო დღევანდელი ეკონომიკის საბოლოო მიზანს უმეტესად ამქვეყნიური სიამოვნების (ჰედონიზმი), ბედნიერების (ევდემონიზმი), მატერიალური დოვლათისა და მაქსიმალური ფულადი მოგების ნებისმიერი საშუალებით მიღება წარმოადგენს. ასეთ საფუძველს დამყარებული ეკონომიკის ფუნქციონირება კი სიმდიდრის (მამონას) გაღმერთებას, ცოდვების საყოველთაო გაბატონებას და საზოგადოების სულიერ დაცემას იწვევს, რაც ცოდვილ ადამიანთა იმქვეყნიურ ცხოვრებაში წარწყმედას/ჯოჯოხეთში მოხვედრას განაპირობებს.

დღის წესრიგში დგას ქრისტიანული სარწმუნოების და ეკონომიკის ღვთივდადგენილი კავშირურთიერთობების შეცნობა-შესწავლა-გამოყენების აქტუალური საკითხი. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში თავისი წვლილის შეტანა ქრისტიან ეკონომისტებთან ერთად ყველა დაინტერესებულ და კომპეტენტურ ადამიანს შეუძლია.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ყოველი ადამიანისათვის ღმერთს დადგენილი აქვს ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების ეტაპები. ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვის, აქედან გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულება და მისი მიწიერი ცხოვრების მიზანი.

ყოველი ქრისტიანის მიწიერი ცხოვრების უმაღლესი მიზანია საკუთარი თავის შეცნობის საფუძველზე ცხოველქმედების პროცესში ზნეობრივი კანონის განხორციელება, რაც მისი სულის ნეტარებას უზრუნველყოფს.

ადამიანის დანიშნულებისა და ცხოვრების მიზნის ამგვარი განმარტება განაპირობებს მისივე ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის საბოლოო მიზნის შესაბამისი განსაზღვრის აუცილებლობას, რაც თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკის უმთავრეს კრიტერიუმად უნდა იქცეს.

ადამიანმა, მისთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიოს ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის ისეთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მისი ხორციელი და სულიერი მოთხოვნილებების ღმერთისათვის მოსაწონ ურთიერთშეხამებას - სინერგიას.

დღის წესრიგში დგას სხვადასხვა ათეისტური, მამონას კერპზე (ანუ ფულზე და სიმდიდრეზე) ორიენტირებული ეკონომიკური თეორიების ღვთივსულიერი, - ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის სიყვარულზე ორიენტირებული - სინერგიული, ჰარმონიული ქრისტიანული ეკონომიკურ-მმართველობითი თეორიით კანონზომიერი და აუცილებელი შეცვლის აქტუალური საკითხი.

სინერგიული, თეოლოგიურ-ეკონომიკური მიდგომის მიხედვით, საქართველოს ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამებული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება.

სწორედ ასეთ საძირკველს ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ყოფა, რამაც ისტორიულ ქარტეხილებში ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად, თავის დროზე - „ოქროვან ხანაში“, მსოფლიოში მოწინავე და თვითმყოფადი სოციალურ-ეკონომიკური კულტურის ერადაც წარმოგვაჩინა.

ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის, რომ მიწიერი ცხოვრება არის დაუცხრომელი შრომის, სულიერი სრულყოფის და ზნეობრივი გმირობის დრო, მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის ადამიანის თვითშემზადების პერიოდი.

აქედან გამომდინარე, ადამიანმა ამქვეყნად უნდა მოახდინოს სხეულის, სამშვინველის და სულის მოთხოვნილებათა ღმერთისათვის მოსაწონი სინერგიული ურთიერთშეხამება პავლე-მოციქულისეული დევიზით: „სხეული - უფლისათვის, ხოლო უფალი - სხეულისათვის“ (ბიბლია, 1 კორ. 6, 13). ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელების მიზნით ადამიანმა, საკუთარი თავის შეცნობის საფუძველზე, მისთვის ღვთივბოძებული თავისუფალი ნებისა და გონიერების მეშვეობით უნდა ამოირჩიოს აზროვნებისა და მოქმედების, მათ შორის, ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის ისეთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მის მოხვედრას ცათა სასუფეველში.

სინერგიულ საფუძველზე დამყარებული საზოგადოებრივი განვითარების პროცესში სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და ტექნიკა-ტექნოლოგიების მეშვეობით უნდა შეიქმნას ისეთი ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი (ქრისტიანული ფასეულობანი), რომელიც მოემსახურება სულის ნეტარების უზრუნველმყოფი ზნეობრივი კანონის განხორციელებას და არ გამოიწვევს ღმერთის გმობას, მამონას გაკერპებას და მომაკვდინებელ ცოდვათა წარმოშობა-გაბატონებას.

საკუთარი თავის შეცნობის საფუძველზე, საქართველოში სინერგიული სოციალურ-ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი გზა იმ ღვთივდადგენილი

ზნეობრივი ნორმების დაცვაა, რომელთა უარყოფა გამოიწვევს უმწვავეს სულიერ, პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-დემოგრაფიულ პრობლემებს და კატასტროფულ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ დეგრადაციას.

მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკა სინერგიული, ღვთისმეტყველურ-ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინაა. იგი იკვლევს სოციალურ-ეკონომიკურ-მმართველობით პროცესებში ცალკეული ადამიანის და მთელი საზოგადოების ფიზიოლოგიურ, მატერიალურ, ეკოლოგიურ, სოციალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ერის გაბრწყინებას და ადამიანის მარადიულ ნეტარებას უზრუნველყოფს.

მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკა არის სოციალურ-ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის ღვთივდადგენილი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის ღვთივსულიერ, სინერგიულ ჰარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სინერგიული სოციალურ-ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის საბოლოო მიზანს ადამიანის და მთელი საზოგადოების ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნა უნდა წარმოადგენდეს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც გამუდმებული სულიერი სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფეველში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს.

მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკის ამოცანები სამეცნიერო-მეთოდოლოგიური კვლევის სფეროში შემდეგია:

- ადამიანის წარმოშობის, დანიშნულების, ცხოვრების მიზნის, ამოცანების და შესაბამის ქმედებათა სინერგიული შეცნობა;
- ეკონომიკური თეორიისა და მეთოდოლოგიის მართლმადიდებლური გააზრება;
- სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საბოლოო მიზანი და ამოცანები;
- მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა;
- მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკის ადგილი და დანიშნულება საზოგადოებისა და ერის ცხოვრებაში;
- ქრისტიანული სინერგიული პრინციპების ასახვის აუცილებლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში;
- სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო და მმართველობითი თემატიკა ბიბლიაში;
- მართლმადიდებელი წმინდანები და ღვთისმეტყველები საზოგადოების განვითარების, ეკონომიკისა და მართვის შესახებ;
- საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის, სასოფლო-სამეურნეო და ეკოლოგიური საკითხების შესახებ;
- ეკლესიის ადგილი და როლი საზოგადოებაში;
- კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის;

- ორგანიზაციულ-სამართლებრივი დოკუმენტები საეკლესიო ეკონომიკისა და მართვის სფეროში;
- საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის არსი და დანიშნულება;
- განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაცია საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის სფეროში;
- საქართველოს ეკლესიის სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის აღორძინება-განმტკიცების ძირითადი მიმართულებები;
- საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკისა და საერო ეკონომიკის სინერგიული განვითარების საფუძვლები.

სწორედ ასეთ ღვთივსულიერ, სინერგიულ ბაზაზე უნდა წარიმართოს მაღალზნეობრივი სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობა ქვეყნის ჭეშმარიტი პროგრესისათვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ხელისუფლებამ სასწრაფოდ გამოაცხადოს ქვეყნაში სამამულო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარება სახელმწიფოსათვის უმთავრეს სტრატეგიულ მიმართულებად.

მთლიანობაში, ქრისტიანულ მოძღვრებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი სიბრძნე, პარადიგმები და პრინციპები უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ზოგადეროვნული სინერგიული კონცეფციის შესაქმნელად.

საქართველოს სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით აუცილებელია სახელმწიფომ, ეკლესიამ, მეცნიერებმა და საზოგადოების ყველა დაინტერესებულმა მხარემ უახლოეს მომავალში ერთობლივად შეიმუშავონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თვისებრივ-პრინციპულად ახალი, ღვთივსულიერი, სინერგიული კონცეფცია, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას სათანადო მოდელი, სტრატეგია, პროგრამები და გახორციელდება შესაბამისი შედეგიანი პროექტები.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის სინერგიული კონცეფციის შემუშავების საწყის ეტაპზე საჭიროა:

- თეოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი კვლევის მეთოდების სინერგიული ურთიერთშეხამება;
- საზოგადოების ყოვლისმომცველი თეოლოგიურ-ესქატოლოგიურ-ეთიკური სინერგიული ანალიზის ჩატარება;
- ათეიზმის, ანტითეიზმის; მსოფლიოს მასშტაბით კლიმატური, სტიქიური და სხვა ეკოლოგიური უბედურებების; მსოფლიო პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი არეულობების, ომების; აგრესიულ-ძალადობრივი სეკულარიზმის, ნეობოლშევიზმის, ფსევდოლიბერალიზმის, ანტიეკლესიურობის; მამონას (ფულის, სიმდიდრის) გაღმერთების; საზოგადოებისთვის შეგნებულად თავსმოხვეული დიდი ჭირის - უმძიმესი განსაცდელების, მწუხარება-გაჭირვებების, სიღატაკის, უსახლკარობის, პანდემიების, სნეულებების, ყოფითი და მომაკვდინებელი ცოდვა-ვნებების, ძალადობის, მკვლელობა-თვითმკვლელობების, საშინელი გარყვნილების და ბოლო ჟამის სხვა ესქატოლოგიური მოვლენა-ფაქტორების გამრავლება-მომძლავრების აუცილებელი სინერგიული გააზრება-შეცნობა-გათვალისწინება;
- სინერგიული ურთიერთქმედების თეოლოგიური და თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შეცნობა, დადგენა და მკაფიო ჩამოყალიბება;

- საქართველოს სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ისტორიული ასპექტების სიღრმისეული გააზრება;
- სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მართვის ტრადიციული და თანამედროვე ფორმების ჰარმონიული კომბინაციის, ეკონომიკური, მმართველობითი და თეოლოგიური პრინციპების ურთიერთშეხამების სახელმწიფოებრივი რეგულირება;
- სინერგიულ განვითარებაზე გადასვლის ამოცანების, მიმართულებებისა და ეტაპების განსაზღვრა;
- სინერგიულ განვითარებაზე გადასვლის სახელმწიფოებრივი მართვის ორგანიზება, განვითარების სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და ფინანსური მხარდაჭერა.

დასკვნა

ყოველმხრივ შეცნობილ-გააზრებული, ბიბლიურ სწავლებაზე დამყარებული, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ეროვნული კონცეფციის, მოდელის, სტრატეგიის, პროგრამებისა და შესაბამისი პროექტების შემუშავება-განხორციელება შექმნის მყარ გარანტიას საქართველოს რეალური, ღვთივსულიერი, ჰარმონიული საზოგადოებრივი პროგრესისათვის, გლობალურ სისტემაში ქვეყნის ჭეშმარიტი, ღვთივბოძებული მისიის და სათანადო, ბოლო ჟამის, ესქატოლოგიურ ფაქტორთან მისადაგებული, ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს საპატრიარქო (1989). ბიბლია. თბილისი. სქართველოს საპატრიარქოს გამოცემა.

შიხაშვილი გ. (2021). სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თემატიკა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ეპისტოლეებში. თბილისი, „მერიდიანი“.

შიხაშვილი გ., კ. რუსიძე კ. (2023). *საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის მართლმადიდებლური საფუძვლები. თბილისი.* „მერიდიანი“.

+ + +

Orthodox Teaching of Self-knowledge and Socio-economic Synergism

Giorgi Shikhashvili
Doctor of Economics, guest professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
giorgi.shikhashvili@tsu.ge

Kakhaber Rusidze
Economist
"Meridiani" publishing house
meridiani777@gmail.com

Summary

The article outlines the Orthodox teaching on self-awareness and socio-economic synergism and theological economy. By God's providence, the socio-economic development of individual countries and the entire humanity should be based on the Christian doctrine.

Keywords: Knowing yourself. Socio-economic synergism. Theological economy. God, Motherland, Man.

დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

მედეა ხარაიშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
medea.kharaishvili@gruni.edu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-152-161

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია დასაქმების პოლიტიკის მნიშვნელობა და უმაღლესი განათლების სრულყოფის მიმართულებები საქართველოში. დასაქმების პოლიტიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც იმ პროგრამების და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ცდილობს გაზარდოს ქვეყანაში დასაქმების მაჩვენებელი. ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფას. დასაქმების პოლიტიკის გატარებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებზე. ადამიანისეული კაპიტალი ინოვაციური ეკონომიკის და ცოდნის ეკონომიკის, როგორც განვითარების შემდგომი მაღალი დონის ფორმირების მთავარი ფაქტორია. მასზე გავლენას ახდენს განათლება, ცოდნა, უნარები, კომპეტენციები, დამოკიდებულება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში, ისევე როგორც ინვესტირება ფიზიკურ კაპიტალში, ზრდის პიროვნებების შრომის პროდუქტიულობას, მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შრომისუნარიანობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ განვითარებაზე. კვალიფიციური სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს როგორც შრომის პროდუქტიულობის გაზრდას, ასევე, წარმოებაში ინვესტიციების მოზიდვას.*

საკვანძო სიტყვები: *დასაქმების პოლიტიკა, ადამიანისეული კაპიტალი, სწავლის შედეგები, უმაღლესი განათლება, ინვესტიციები.*

ეკონომიკური ზრდა მიღწევადია ადამიანისეული კაპიტალის განვითარების გზით. თუმცა სახელმწიფოს მხრიდან მისი სრულყოფილი შესრულებისთვის აუცილებლია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, ხოლო საბოლო მიზანი უნდა ემსახურებოდეს:

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას
- მაღალი განათლების დონის მიღწევას
- კერძო სექტორის განვითარების შედეგად სამუშაო ადგილების გაზრდას.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია სიღარიბის კოეფიციენტების უკეთესი შედეგების მიღწევა, რაც ადამიანისეული კაპიტალის დონის ამაღლებით არის მიღწევადი. ამიტომ,

სოციალურ ხელშეწყობასთან ერთად, აუცილებელია საქართველოსთვის პრიორიტეტული დარგების განვითარება და მის ბაზაზე შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა.

ადამიანისეული კაპიტალი არის უნარ-ჩვევების, გამოცდილების, ცოდნის ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ადამიანის და ზოგადად საზოგადოების მრავალმხრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ადამიანისეული კაპიტალი განიხილება, როგორც ინვესტიციების ერთობლიობა ადამიანში, ხოლო შრომის უნარს აძლიერებს განათლება და პროფესიული ჩვევები. ამჟამად მასში ჩართულია სამომხმარებლო დანახარჯები, ოჯახის დანახარჯები კვებაზე, ტანსაცმელზე, განათლებაზე, კულტურაზე, საცხოვრებელზე, ამასთან, სახელმწიფო დანახარჯები ამ მიმართულებით.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისას მნიშვნელოვანია საუკეთესო უნარების განვითარება. უნარების წარმოქმნა შრომატევადი პროცესია, შესაბამისად, ადამიანისეული კაპიტალის განვითარების მთელი პროცესი მოითხოვს გრძელვადიან პოლიტიკას.

ამგვარად, ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება მიუთითებს განათლებაზე, ჯანდაცვის გაუმჯობესებასა და სპეციალიზირებულ უნარ-ჩვევებში მუშაკთა გადამზადებაზე.

ადამიანისეულ კაპიტალში ადეკვატური ინვესტიციების არარსებობა, ფიზიკური კაპიტალის გამოყენების დაბალ ტემპს განაპირობებს, რაც იწვევს განვითარების ჩამორჩენას. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას გააჩნია ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეულია ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების არარსებობით.

ინოვაციები ან ტრადიციული საზოგადოების ცვლილებების პროცესი მოითხოვს დიდი რაოდენობით სტრატეგიულ ადამიანისეულ კაპიტალს. შედეგად, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში უთანასწორობისა და შემოსავლების დიფერენციაციის გაძლიერებაზე გავლენას ახდენს გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციისა და კომუნიკაციის განვითარებას.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის შესაძლებლობისა და უნარების დონის განსაზღვრას. მოსახლეობის დიდი ნაწილის პასუხიმგებლობების გარდაქმნის მიზნით ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების გატარება აუცილებელია (Kwatiah, 2016). აქედან გამომდინარე, ადამიანისეული კაპიტალი მოითხოვს: ახალი და გაფართოებული სამთავრობო სამსახურების დაკომპლექტებას, მიწათსარგებლობის ახალი სისტემის დანერგვას და სოფლის მეურნეობის სრულყოფისთვის ახალი მეთოდების შემუშავებას, კომუნიკაციის საშუალებების შექმნას, ინდუსტრიალიზაციის გამყარებას და განათლების სისტემის რეფორმას.

დასაქმების პოლიტიკა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დამსაქმებელმაც და დასაქმებულმაც გაითავისონ მათი შესაბამისი სამუშაო ურთიერთობები. გარკვეული სახის სწორ პოლიტიკას შეუძლია გააძლიეროს დამსაქმებლის პოზიცია და განსაზღვროს დასაქმებულის ქცევა.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების პოლიტიკებს შორის მჭიდრო, ლოგიკური კავშირი არსებობს. კერძოდ, ინდუსტრიალიზაციის წინა პერიოდში, უმუშევრობის შესამცირებლად ქვეყნები ისეთი სექტორების განვითარებაზე არიან ორიენტირებული, რომლებიც დაბალ ტექნოლოგიურია, თუმცა დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვს (Soon T.W. and Stoever W.A. (1996)).

დასაქმების პოლიტიკის გატარებისას, მნიშვნელოვანია კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა განათლების დონის კვლევა. თუმცა მხოლოდ განათლების დონე არ განაპირობებს დასაქმების პრობლემის სრულყოფილ შესწავლას.

კვლევის პროცესში დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია სხვადასხვა თეორიულ-მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი.

სტატიაში კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, რაოდენობრივი და თვისებრივი, ინტერვიუ/გამოკითხვის, დედუქციის, განზოგადების და მონაცემთა ანალიზის მეთოდები.

კვლევის ემპირიულ ბაზად განისაზღვრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემები და წლიური ანგარიშები, გლობალური სტატისტიკური ინტერნეტ-რესურსები და სხვა.

კვლევის შედეგად გამოიკითხა 144 ორგანიზაციის შუალედური და უმაღლესი რგოლის მენეჯერები, კვლევის პროცესში მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ კონკრეტული ნიუანსებისთვის მიგვექცია ყურადღება, როგორიცაა რესპოდენტთა სქესის, მენეჯერთა რანგირებისა და ორგანიზაციის ტიპების პროცენტული მაჩვენებელი.

გამოკითხული რესპოდენტებიდან სქესთა ბალანსი გამოიკვეთა, რაც მნიშვნელოვანია და საყურადღებო. რადგან საქართველო, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანა და ამ ეტაპზე ,,განვითარებადის“ სტატუსის მატარებელია და გენდერული ბალანსის არსებობა მენეჯერულ პოზიციებზე, ევროპული ტენდეციის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.



***დიაგრამა №1*; (რესპოდენტთა სქესი %) ავტორის კვლევა**

გამოკითხული მენეჯერებიდან 50 % უმაღლესი რგოლის მენეჯერებზე და 50% შუალედური რგოლის მენეჯერებზე ნაწილდება.



დიაგრამა №2; (რესპოდენტთა თანამდებობა %) ავტორის კვლევა

ორგანიზაციების კვლევის მიხედვით კერძო სექტორის წილმა შეადგინა 58.3 %, ხოლო სახელმწიფო ორგანიზაციების წილმა შეადგინა.



დიაგრამა №3; (ორგანიზაციის ტიპი %) ავტორის კვლევა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოკითხული რესპოდენტებიდან, უმეტესობა საქმიანობას ქვეყნის დედაქალაქში ეწევა, მეორე ნაწილი კი რეგიონების წილზე მოდის. ხოლო საქმიანობის სფერო საკმაოდ მრავალფეროვანია.



დიაგრამა №4; (ორგანიზაციის ადგილმდებარეობა %) ავტორის კვლევა

უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების მაღალი მაჩვენებელია სახელმწიფო სამსახურებში, ტრანსპორტირების, დისტრიბუციი და ლოჯისტიკის სფეროში, ასვე დომინირებს განათლების სფერო დასაქმებასთან მიმართებაში.

დიაგრამა: №5; (ორგანიზაციის საქმიანობის სფერო) ავტორის კვლევა

კვლევამ აჩვენა, რომ ბაზარზე არის უმაღლესი განათლების და დიპლომს ექცევა ყურადღება, რესპოდენტთა უმრავლესობამ დაასახელა, რომ უმაღლესი განათლების ნებისმიერი დამადასტურებელი დიპლომი მისაღებია, ამასთან 16,7 %-ი უპირატესობას ანიჭებს მაგისტრის დიპლომს, ან უფრო ზემდგომი საფეხურის დიპლომს.

დიაგრამა: №6; (განათლების დონის მიღწევის მიხედვით დასაქმების მაღალი შანსის მქონე პირები) ავტორის კვლევა

კვლევებიდან გამოიკვეთა დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნადი უნარები, სადაც პრიორიტეტულად კვლავაც პრაქტიკული ცოდნაა გამოყოფილი.



დიაგრამა №7; (მნიშვნელოვანი კომპეტენციები რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი (მაგალითად: უნივერსიტეტის კურსდამთავრებული) თქვენს ორგანიზაციაში დასაქმებისთვის) ავტორის კვლევა

როგორც კვლევიდან ჩანს დამსაქმებლებს ჭირდებათ პრაქტიკული ცოდნის მქონე უმაღლესი განათლების სტატუსის მქონე დასაქმებულები.

საქართველოში ამჟამად არსებობს, როგორც მიწოდების, ასვე მოთხოვნის მხარის დასაქმების პოლიტიკის მახასიათებლები. აქედან გამომდინარე ბიზნესისათვის თავისუფალი გარემოს შექმნით, სამუშაო ადგილები შეიქმნება და შესაძლებელი იქნება უმუშევრობის პრობლემის მოგვარება.

დასაქმების შესახებ საკითხების განხილვისას, მნიშვნელოვანი ხდება შრომის ბაზრის პოლარიზაციის ხარისხის განსაზღვრა საქართველოში. პოლარიზაცია დასავლეთის განვითარებულ ეკონომიკაში მწვავე პრობლემად სახელდება. საქართველოს შემთხვევაში, ისევე, როგორც სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პოლარიზაციის ხარისხი გაცილებით მაღალია.

მნიშნველოვანია, რომ დასაქმების სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისები დაკავშირებული იყოს კერძო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებულ სახელმწიფო პროგრამებთან, როგორიცაა, მაგალითად, „აწარმოე საქართველოს“ პროგრამა;

სამუშაო ადგილების კლასიფიკაცია ძირითადად საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციის მიხედვით ხდება. ამ მიზნით ხშირად გამოიყენება პროფესიათა საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი (ISCO), რომელიც უნარების 4 დონეს გამოყოფს. სამუშაო ადგილები, რომლებიც I- დონის უნარებს (მარტივი ფიზიკური დავალებების შესრულება) საჭიროებს, დაბალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებად მიიჩნევა. ასეთებია, მაგალითად: დამლაგებლები, სამზარეულოს დამხმარეები, ხილის მკრეფავები და ა.შ.). სამუშაო ადგილები, რომლებიც II და III დონის უნარებს მოითხოვს, საშუალო კვალიფიკაციის სამუშაო ადგილებია. მათ შესასრულებლად საჭიროა უფრო მაღალი არითმეტიკული და წერა-კითხვის უნარები, თუმცა ასევე ხშირია რუტინული ფიზიკური დავალებების შესრულება. ასეთი სამუშაოებია, მაგალითად: მდივანი, ბუღალტერი, მკერავი, ამწის ოპერატორი და ა.შ. და ბოლოს, მე-IV დონის უნარები მოიცავს პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღებისა და სხვა ანალიტიკურ უნარებს. სამუშაოები, რომელთა შესასრულებლად მსგავსი ტიპის უნარებია საჭირო, მაღალკვალიფიციურია და მაგალითად, მოიცავს: სხვადასხვა პროფილის მენეჯერებს, პროგრამისტებს, მასწავლებლებს და ა.შ.

დასკვნა

საქართველოში არასაკმარისად ეფექტიანად გამოიყენება ადამიანისეული კაპიტალი, რომელიც უმაღლესი განათლების სისტემაში იქმნება. უმაღლეს განათლებაში სახელმწიფო ინვესტიციების ზრდასთან ერთად, აუცილებელია უმაღლესი განათლების საზოგადოებრივი უკუგების მაჩვენებლის ზრდისთვის დამატებითი ქმედებების განხორციელება.

დასაქმების სფეროების, განათლების საფეხურებისა და კვალიფიკაციების კლასიფიკაციის არსებული მოდელის კონტროლი იუნესკოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) საერთაშორისო კლასიფიკატორების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

კლასიფიკაციით ინფორმაციის შეგროვება და მოწესრიგება, უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას დასაქმების მაჩვენებლების შესახებ აკადემიური განათლების ზოგადი

მიმართულებების და ქვე - მიმართულებების მიხედვით, ისევე როგორც საქართველოში შეგროვებული მონაცემების შედარებას სხვა ქვეყნების მონაცემებთან.

საქართველოში უმაღლესი განათლების დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის გაზრდისათვის საჭიროა უმაღლესი განათლების ხარისხის მონიტორინგი და კონტროლის მექანიზმის გაძლიერება.

საჭიროა გატარდეს შემდეგი სახის ქმედებები:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კარიერული განვითარების შესაბამისი ორგანიზაციების არსებობის უზრუნველყოფა;
- უმაღლესი სასწავლებლების სარეიტინგო სქემის გამოქვეყნების შემთხვევაში დასაქმების მაჩვენებლების რეიტინგის ერთ-ერთ კომპონენტად ჩართვა.

უმაღლესი განათლებიდან შემოსავლების ზრდისთვის სტრატეგიულ ნაბიჯებს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე პირთა თვით დასაქმების სტიმულირება, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების ზრდას ქვეყანაში.

მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა კერძო და საჯარო სექტორში ინოვაციების დანერგვის თვალსაზრისით, ისევე როგორც მაღალკვალიფიციური რესურსის ქვეყნიდან გადინების პრევენცია.

გამოყენებული ლიტერატურა

ადამიანის უფლებათა სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC). შრომის ბაზრის სეგმენტაცია და შრომა კრიზისის დროს (2020). თბილისი.

დასაქმების პოლიტიკა განვითარების კონტექსტში (2020). თბილისი.

ლეჟავა დ., ამაშუკელი მ. (2015). აკადემიური პროგრამების შედეგებსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი.

თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. (2019). ადამიან-კაპიტალი და მისი გაზომვის მიდგომები. თსუ, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" თბილისი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019, თბილისი.

European Political Strategy Centre (EPSC). Global Trends to 2030: The Future of Work and Workplaces.

Hahn, F. (1998), "Labour market flexibility and welfare", *Quaderni del Dipartimento di Economia Politica* (No. 223), Universita degli Studi di Siena.

Graetz G. (2019) ,,Labor Demand in the Past, Present, and Future", *European Commission Discussion Paper. 114*.

International Labour Organization., Global Employment Trends for Youth 2020,Technology and the future of jobs, Geneva.

Labour Market and Social Policies in the Baltic Countries 2003 (OECD).

Nickell S. (1997), "Unemployment and Labour Market Rigidities: Europe versus North America", *Journal of Economic Perspectives* (Vol. 11, No 3, pp.55-74).

Piore M., (1986). ,,Labour market flexibility", University of California, Berkeley, CA.

Kenton Will, Updated September 04, 2020. http://www.investopedia.com/terms/h/humancapital.asp

Kwatiah N. (2016), Article: *,,Human Capital Formation: Meaning, Importance and Composition".*

Soon T.W. & Stoever W.A. (1996). *Foreign Investment and Economic Development in Singapore: A policy-oriented approach*. The Jouranal of Developing Areas. 30.

Корчагин Ю.А. (2014), Измерение эффективности и стоимости национального человеческого капитала;

ინტერნეტ გვერდები

1. https://mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo
2. ec.europa.eu
3. https://osp.stat.gov.lt/documents/10180/2905525/ISCO_88COM_A_Guide_for_Users.pdf

Directions for improving the compliance of employment policy and learning outcomes of higher education in Georgia

Medea Kharaishvili
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
m.kharaishvili@nbe.gov.ge

Summary

The article discusses the importance of the employment policy and directions for the improvement of higher education in Georgia. Employment policy can be defined as a set of programs and opportunities through which the state tries to increase the employment rate in the country. Ensuring the effective employment of the population is extremely important for accelerating the economic development in the country and solving existing social problems. It is important to focus on the formation of human capital when conducting employment policy. Human capital is the main factor in the formation of innovative economy and knowledge economy as a post-development high level. It is influenced by education, knowledge, skills, competencies, attitudes, health and well-being. Investing in human capital, as well as investing in physical capital, increases the labor productivity of individuals, it has a significant impact on the quantitative and qualitative development of working capacity. The availability of qualified workforce ensures both the increase of labor productivity and the attraction of investments in production.

Keywords: employment policy, human capital, learning outcomes, higher education, investments.

სექცია II

დიასპორები საქართველოში: რიცხოვნობა და სტრუქტურა

მირიან ტუხაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tuxamiri@yahoo.com

მზია შელია
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მკვლევარი
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
mziashe@yahoo.com

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-163-171

ანოტაცია. *მე-19 საუკუნის დამდეგს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომ საქართველოს ტერიტორიაზე დიასპორათა რიცხოვნობა და ხვედრითი წილი განუხრელად იზრდებოდა. იგი კავკასიაში რუსული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მიმართულება იყო და გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომამდე. შემდგომ დაიწყო მთელ მოსახლეობაში მათი წილის ნელი შემცირების პროცესი, რაც ნახტომისებურად დაჩქარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პოსტსაბჭოთა პერიოდში. ამის მიზეზია ცხოვრების პირობების კატასტროფული გაუარესების გამო დიასპორათა უფრო მაღალი ტემპით გასვლა საზღვარგარეთ, ვიდრე ავტოქტონური ქართველი და აფხაზი ეროვნების მოსახლეობისა. დიასპორათა რიცხოვნობის შემცირებაზე გავლენა მოახდინა ქართველ ეთნოსში დიასპორათა ინტეგრაციის პროცესმა. პოსტსაბჭოთა პერიოდში ძირითადი ავტოქტონური ქართული ეროვნების მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 512 ათასი კაცით, ანუ13,5%-ით, აფხაზთა რიცხოვნობა გაიზარდა 30%-ით, ხოლო დიასპორათა საერთო რიცხოვნობა შემცირდა 2,5-ჯერ. დიდი ცვლილებები მოხდა დიასპორათა დემოგრაფიულ სტრტუქტურაში. ეს გამოიხატა ყველა დიასპორათა დაბერებით. 1989-2014 წწ. მედიანური ასაკი რუსულ დიასპორაში 36, 7 წლიდან 48,8 წლამდე გაიზარდა, სომხებში-30,5-დან 38,4 წლამდე, აზერბაიჯანელებში - 23,5-დან 32,2 წლამდე, საქართველოს მთლიან მოსახლეობაში 30,7-დან 37,7 წლამდე. პოსტსაბჭოთა პერიოდში ფორმირდა და მატულობს თურქული, არაბული, ირანული, ინდური, ჩინური დიასპორები. ბოლო ხანს, საქართველოს ეკონომიკურ-კულტურული დაწინაურება ნოყიერ ნიადაგს ქმნის აზიური ქვეყნების მოსახლეობის მიგრაციული მიზიდვისათვის. აუცილებელი ხდება კარგად გააზრებული პოლიტიკით იმიგრაციული ნაკადების რეგულირება.*

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, დიასპორა, ეთნოსი, მოსახლეობა*

შესავალი

ავტოქტონურ მოსახლეობას საქართველოში ქართველი და აფხაზი მოსახლეობა წარმოადგენს. საქართველოს მოქალაქეობის მიუხედავად, დანარჩენი მოსახლეობა დიასპორაა. მათი

ურთიერთშეფარდება, ეთნოდემოგრაფიული განვითარება, ჯერჯერობით, დიდი გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მოსახლეობის ბუნებრივ და მიგრაციულ მახასიათებლებზე.

ამ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ საქართველოში ეთნოსტრუქტურის ევოლუციასა და დემოსტრუქტურის ცვლილებებს ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, კერძოდ, რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირისა და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდებში. ამ დროს ინტენსიურად ხდებოდა დიასპორათა ფორმირება, რიცხობრივი და სტრუქტურული ცვლილებები როგორც მიგრაციული პროცესების, ისე განსხვავებული ბუნებრივი მატების გამო.

მეთოდოლოგია

სამწუხაროა, რომ შედარებითი ანალიზისას ბევრ გამოკვლევასა და ოფიციალურ მასალაში არაა გათვალისწინებული საქართველოს პოსტსაბჭოთა ანექსირებული რეგიონების მოსახლეობა და საქართველოს მოსახლეობაზე მსჯელობენ მხოლოდ „დე ფაქტო“ შემცირებული ტერიტორიის მოსახლეობით, რაც, ცხადია, მეთოდურად არასწორია. ის, რომ 2002-2014 წლის მოსახლეობის აღწერებმა ვერ მოიცვა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობა, ეს სრულიად არ გვაძლევს უფლებას, ვიმსჯელოთ საქართველოს მთელ(„დე იურე“) მოსახლეობაზე. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ბევრად უფრო სწორი იქნება ვისარგებლოთ სეპარატისტული რეჟიმების მიერ განხორციელებული აღწერებითა და სხვადასხვა აღრიცხვებით, რასაკვირველია, გავითვალისწინოთ მოტივაციური მიზნობრივი დამახინჯებანი, რაც თან ახლავს ამ აღწერებს.

კვლევის შედეგები

ცხრილი 1.საქართველოში მცხოვრებ დიასპორათა წილის ცვლილება მთელ მოსახლეობაში XIX-XXI საუკუნეებში(%)

დიასპორა	1800	1832	1865	1897	1926	1939	1959		1970	1979	1989	2002	2014
osuri	3,7	3,6	3,6	4,2	4,2	4,2	3,5		3,2	3,2	3,0	1,7	1,3
rusuli	-	-	2,0	5,3	3,6	8,7	10,1		8,5	7,4	6,3	2,1	1,2
somxuri	6,0	9,4	9,5	10,3	11,5	11,7	11,0		9,6	9,0	8,1	5,7	5,2
აზერბაიჯანული	3,8	3,0	4,0	4,2	5,4	5,3	3,8		4,6	5,1	5,7	6,5	5,8
ებრაული	0,4	0,5	0,6	0,9	1,1	1,2	1,3		1,1	0,6	0,5	0,1	0.1
ბერძნული	0,1	0,8	0,9	2,0	2,0	2,4	1,8		1,9	1,9	1,9	0,3	0,2
გერმანული	-	-	0,3	0,4	0,4	0,3	-		-	-	-	-	-
უკრაინული	-	-	-	-	0,5	1,3	1,3		1,1	0,9	1,0	0,2	0,2
დანარჩენი	-	0,5	0,7	1,1	2,4	1,9	1,4		1,4	1,4	1,6	0,4	0,4

წყარო: ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობაXVIII-X*Xსს. თბილისი. 1984.* საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. სტატისტიკური კრებული.თბილისი, 1996. შესაბამისი წლების მოსახლეობის

საყოველთაო აღწერის შედეგები.Geostat.ge. 2002 და2014 წლები აღებულია ოკუპირებულ ტერიტორიებიანად მთელი საქართველოს მიხედვით.

1800-იანი წლების საქართველოს მოსახლეობის აღრიცხვა-აღწერების დამუშავების დროს პროფესორი ვახტანგ ჯაოშვილი ყოველმხრივ ცდილობდა, საქართველოს მოსახლეობაში მოექცია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საქართველოს ტერიტორია, რაც დღემდე „დე იურე" ტერიტორიას წარმოადგენს მისი ანექსირებული ნაწილით. ამრიგად, ამ სტატიაში მოსახლეობის დინამიკის ანალიზი ხდება უცვლელ ტერიტორიაზე, თუმცა იძულებული ვართ კრიტიკული დამოკიდებულებებით ვისარგებლოთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების სეპარატისტული ხელისუფლებების მიერ გამოქვეყნებული მასალითაც, რათა მივაღწიოთ სრულიად საქართველოს რეალურ დემოსურათს. მე-19 საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დიასპორათა რიცხოვნობა და წილი მატულობს და ეს ტენდენცია გრძელდება მეორე მსოფლიო ომამდე. მათმა წილმა მთელს მოსახლეობაში თითქმის ორ მეხუთედს მიაღწია, ხოლო შემდგომ კლების ტენდენციით ხასიათდება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომდროინდელ ვითარებაში. იგი მეტად დაჩქარდა ყველა დიასპორაში (ცხრილი1).

პოსტსაბჭოთა პერიოდში დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილმა ვითარებამ, პოლიტიკურმა ქაოსმა და სამოქალაქო ომმა, ეთნოკონფლიქტებმა, ეკონომიკურმა კრახმა და ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ დიდი ემიგრაციული ტალღები გამოიწვია. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1991-1995 წწ. ერთობლივი სამამულო პროდუქტი ოთხჯერ შემცირდა, ცხოვრების დონემ საარსებო მინიმუმის 42,5% შეადგინა. ამიტომ ვისაც კი საზღვარგარეთ რაიმე დასაყრდენი ჰქონდა, იქ გადავიდა საცხოვრებლად. ობიექტურმა ვითარებამ დააჩქარა რეპატრიაციული პროცესები.

ემიგრაცია დიასპორებში უფრო ინტენსიურად წარიმართა, ვიდრე ავტოქთონურ მოსახლეობაში, რამაც მკვეთრად შეამცირა დიასპორათა რიცხოვნობა (ცხრილი 2)

ცხრილი 2. დიასპორათა რიცხოვნობის ცვლილება 1989-2014 წწ. (კაცი)

დიასპორა	**1989**	**2014**	**აბსოლუტური კლება 1989-2014წწ.**	**დიასპორათა რიცხოვნობას 1989-2014წწ. დააკლდა%**
სომხური	437211	209947	227264	52
აზერბაიჯანული	307556	233024	74532	24
რუსული	341172	46794	292379	85
ოსური	164055	62471	101584	62
ბერძნული	100324	56894	93430	93
ებრაული	24720	1405	23315	94
იეზიდურ-ქურთული	33331	12174	21157	63
უკრაინული	52443	7795	44648	85
ბელორუსული	8595	268	8327	97

წყარო: შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერის მასალები.Geostat.ge 2014 წლის მასალა შევსებულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შესაბამისი პერიოდის მონაცემებით.

მეორე მხრივ, სსრკ მაშინდელი სახელმწიფო პოლიტიკა ხელს არ უწყობდა საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს. ამის შედეგია, რომ 1989 წლის აღწერით, საქართველოში მცხოვრები რუსების 74%-მა არ იცოდა ქართული ენა, რაც მაშინაც ოფიციალურ

სახელმწიფო ენად იყო აღიარებული. ინტენსიურად მიმდნარეობდა ყველა დიასპორის რუსიფიკაციის პროცესი. ამიტომაც იყო, რომ რუსულმა ან კულტურულად გარუსებულ დიასპორათა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სსრკ დაშლისთანავე საცხოვრებლად რუსეთში ან უკრაინაში გადაინაცვლა.

ამჟამინდელი შედარებით მსხვილი დიასპორებიდან ყველაზე ნაკლები რიცხობრივი ცვლილება აზერბაიჯანულმა დიასპორამ განიცადა. ამის მიზეზია ის, რომ მათი ტერიტორიული მობილობის მაჩვენებელი ყოველთვის დაბალი, ხოლო ბუნებრივი მატების მაჩვენებელი - მაღალი იყო.

საქართველოში არის რეგიონები, სადაც ავტოქტონურ მოსახლეობას რიცხობრივად დიასპორა ჭარბობს. აზერბაიჯანელები კომპაქტურად არიან დასახლებულნი ქვემო ქართლში, ხოლო სომხები ჯავახეთში, სადაც ისინი ეთნიკურ უმრავლესობას ქმნიან.

დიასპორათა რიცხოვნობაზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა მეტად დიფერენცირებული შობადობა და ბუნებრივი მატება. ცხოვრების დონის დაცემამ და დემოგრაფიული ზრდისათვის აუცილებელი რესურსების კატასტროფულმა შემცირებამ პოსტსაბჭოთა პერიოდში მეტად შეასუსტა დიასპორათა რიცხოვნობის ზრდაში ბუნებრივი ფაქტორის როლი. იგი ნათლად ჩანს ყველაზე დიდი დიასპორების - აზერბაიჯანელებისა და სომხების კომპაქტურად განსახლების რაიონებში შობადობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებელთა ცვლილებაში (ცხრილი 3).

ცხრილი 3. შობადობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებელთა ცვლილება კომპაქტურად დასახლებულ დიასპორებში პოსტსაბჭოთა პერიოდში(‰)

მუნიციპალიტეტები	**1990**	**2014**	**2022**
შობადობის ზოგადი კოეფიცინეტი ‰			
Mმარნეულის (აზერბაიჯანული დიასპორა)	26,1	19,2	14,0
ახალქალაქის(სომხური დიასპორა)	19,4	13,5	12,0
ნინოწმინდის(სომხური დიასპორა)	20,7	14,2	15,0
ბუნებრივი მატება ‰			
მარნეულის (აზერბაიჯანული დიასპორა)	18,4	9,9	4,8
ახალქალაქის(სომხური დიასპორა)	14,3	2,0	0,5
ნინოწმინდის (სომხური დიასპორა)	14,8	4,1	1,1

წყარო: რეგიონული სტატისიკა. http://geostat.ge

ამჟამად საქართველოში ახალგაზრდა მოსახლეობის მქონე დიასპორა აღარ არის. ასაკობრივად მეტად დეფორმირებულია რუსული, ბერძნული, ოსური და უკრაინული დიასპორები. ეს პოსტსაბჭოთა პერიოდში ამ დიასპორების წარმომადგენლების ინტენსიური ემიგრაციის შედეგია. მათი დემოგრაფიული დაბერება დაჩქარდა ქვეყნიდან შედარებით ახალგაზრდა კონტინგენტების მასობრივი გასვლის გამო (ცხრილი 4).

ცხრილი 4. ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება დიასპორებში 1989-2014წწ.

დიასპორა	წელი	0-14 წლის (%)	60+ წლის (%)	მედიანური ასაკი
სომხური	1989	25,9	14,4	30,5
	2002	19,8	21,5	35,9
	2014	17,3	21,5	38,4
აზერბაიჯანული	1989	34,6	7,1	23,5
	2002	27,1	12,0	27,0
	2014	23,3	14,1	32,2
რუსული	1989	19,3	20,2	36,7
	2002	8,4	34,4	48,8
	2014	7,9	41,3	55,2
უკრაინული	1989	13,7	24,2	39,3
	2002	5,9	40,0	52,6
	2014	8,3	40,0	53,6
ოსური	1989	23,4	14,7	32,0
	2002	11,8	31,6	43,8
	2014	11,0	34,0	50,8
ბერძნული	1989	27,3	12,2	29,7
	2002	11,5	37,6	50,2
	2014	12,0	41,5	54,6
ქართულ-ეზიდური	1989	35,4	4,4	22,9
	2002	23,5	10,2	28,0
	2014	18,6	15,6	36,3
სულ საქართველოში	1989	24,7	14,4	30,7
	2002	21,0	18,2	34,5
	2014	18,6	20,0	37,7

წყარო: მ. შელია (2013). ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში. უნივერსალი, თბილისი. გვ 92. Shelia M. (2016). Ethnic and religious peculiarities of aging of the population of Georgia. *Humanities and Social Sciences Review*. 06(01):255–260; http://www. University publications. Net / hssr/0601/ html/M6K318.xml

მეტად გამოკვეთილია რუსული დიასპორის რიცხოვნობის კატასტროფული შემცირება და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ატროფია. 2002 წლის აღწერით, რუს ქალთა რიცხოვნობა 2,5-ჯერ აღემატებოდა ამ დიასპორის მამაკაცთა რიცხოვნობას. ასეთი ასიმეტრია მხოლოდ ბოლო წლებში არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ უკიდურესი ფორმა პოსტსაბჭოთა პერიოდში მიიღო. როგორც ვნახეთ, ასევე ატროფირებულია რუსული დიასპორის ასაკობრივი სტრუქტურა. 20014 წლისათვის 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილმა რუსულ დიასპორაში 41.3%-ს მიაღწია, მედიანურმა ასაკმა 55,2 წელს, მაშინ, როცა იგივე მაჩვენებლები 1989 წლის აღწერით იყო 20% და 36,7 წელი. ასეთი დემოსტრუქტურა, ცხადია, დიასპორის გაფართოებული აღწარმოებას გამორიცხავს. 2002 წლის აღწერისას გამოიკითხა ფერტილური ასაკის (15-49წლის) გათხოვილ ქალთა აზრი მოსალოდნელ შვილთა რაოდენობის შესახებ. ყველაზე მცირე შვილიანობის განზრახვა რუს ქალებს აღმოაჩნდათ. მაშასადამე, აშკარადაა გამოკვეთილი შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმი და უკიდურესად რეგრესული დემოგრაფიული ვითარება.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში, ბოლო ასი წლის მანძილზე სახელმწიფო ენა ქართულია, დიასპორათა მნიშვნელოვანი ნაწილი საშუალო განათლებას თავიანთ მშობლიურ ენაზე იღებდა. ამჟამადაც, საქართველოში კვლავაც არსებობს ეროვნული უმცირესობათა ენაზე (აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ), სკოლები, ბევრია შერეული სკოლაც, სადაც სწავლა აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ ენაზეა. მიმდინარე განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი იდეაა დიასპორათა სამოქალაქო ინტეგრაციის დაჩქარება და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ყოველმხრივი დაცვის უზრუნველყოფის პოლიტიკა. პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობს დიასპორათა განათლების პოტენციალის გამოთანაბრების პროცესი.

მსხვილი დიასპორებიდან, ჯერჯერობით, დემოგრაფიული განვითარების ყველაზე მეტი პერსპექტივა აქვს აზერბაიჯანულ დიასპორას. ამავე დროს, უკვე შეიმჩნევა მუდმივი და შრომითი იმიგრაციის ინტენსიურობის ზრდა თურქეთიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. მოსალოდნელია რომ, ისინი საქართველოს ეკონომიკური განვითარების შემდეგ მნიშვნელოვან დიასპორებად ფორმირდებიან.

დასკვნა

საქართველოს ანექსიის შემდგომ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობაში თანდათან მატულობდა დიასპორათა რიცხოვნობა და წილი. მიგრაციული ექსპანსიის უმთავრესი ამოცანა იყო იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური განმტკიცება კავკასიაში. კერძოდ, საქართველოში ლოიალურად განწყობილი დიასპორების სახით ერთგული საყრდენის შექმნა. ეს პოლიტიკა ხორციელდებოდა საბჭოთა პერიოდშიც. განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომამდე.

პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებითად შეიცვალა ვითარება. ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ და ეროვნული სახელმწიფოს აღდგენამ ბიძგი მისცა მაღალი ინტენსიურობის ემიგრაციულ პროცესებს, რაშიც, პირველ რიგში, დიასპორები გააქტიურდნენ. მოხდა ყველა და, მათ შორის, რუსული, უკრაინული, ებრაული, ბერძნული, ოსური დიასპორების რიცხოვნობის სწრაფი შემცირება, დიასპორათა ნებაყოფლობითი რეპატრიაცია. მთელ მოსახლეობაში მათი წილი დაუბრუნდა ანექსირებამდელ დონეს, ემიგრაციასთან ერთად დიასპორათა წილის შემცირებაში გარკვეული როლი გაქართველების ბუნებრივმა პროცესებმაც მოახდინა (ოსური, სომხური დიასპორები).

ამჟამად ქართული სახელმწიფო ყოველმხრივ ცდილობს ეროვნულ უმცირესობათა მაქსიმალურ მხარდაჭერას. ერთ - ერთი უმთავრესი პრობლემაა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის სწრაფი ამაღლება, რაც დააჩქარებს მათ სამოქალაქო ინტეგრაციას და დაამკვიდრებს დიასპორათა ღირსეულ თანაცხოვრებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ანთაძე კ.(1973). *საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში.* განათლება. თბილისი.

გუგუშვილი პ.(1949). საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში.ტ.1.გვ.613-615

ეთნოსები საქართველოში(2008). საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი. თბილისი

თოთაძე ა. (2009). საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. უნივერსალი. თბილისი.

თოთაძე ა. (2006). ოსები საქართველოში. მითი და რეალობა. უნივერსალი.

დიასპორასთან ურთიერთობის სახელმწიფო სტრატეგია.http://www.diaspora.gov.ge

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. (1996). სტატისტიკური კრებული. თბილისი.

1989 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები (1991). საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. სტატისტიკური კრებული, თბილისი.

2002 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. (2003). ტ.1. თბილისი.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები.http://geostat.ge

ტუხაშვილი მ. (2009). რუსების ჩამოსახლება და ემიგრაცია საქართველოდან. ჟ. მიგრაცია 3. უნივერსალი. თბილისი.გვ. 5-15.

ტუხაშვილიმ. (1998). საქართველოს შრომითი პოტენციალი (ფორმირება და განაწილება). თსუ, თბილისი.

ქუთელია ბ. (2013). პარადოქსული პოსტმოდერნულობა. დიასპორა და ჩვენ. ჟ. ქართული ემიგრაცია. #1, გვ.111-122.

შელია მ. (2013). ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში. უნივერსალი, თბილისი.

ჯაოშვილი ვ. (1984). საქართველოს მოსახლეობა XIX-XX საუკუნეებში. მეცნიერება. თბილისი.

Bedianashvili G. (2023). Macrosystem Socio-Economic Challenges of the Post-PandemicPeriod. Conference: *The world economy in the post-pandemic period: Implications and challenges*/https://www.reserchgate.net/publication/371422316_Macrosystem_Socio-Economic_Challenges_of_the_PostPandemic_Period_postpandemiuri_periodis_makrosistemuri_sotsialur-ekonomikuri_gamotsvevebi

Georgian Diaspora Study. giz. Tbilisi. 2013. http://www. diaspora.gov. ge/files/ GIZ% 20 For %20web.pdf

Shelia M. (2016). Ethnic and religious peculiarities of aging of the population of Georgia. *Humanities and Social Sciences Review*. 06(01):255–260; http://www. University publications. Net / hssr/0601/ html/M6K318.xml

Tukhashvili M., Tsibadze M.,Lobzhanidze M.(2023). THE OSSETIAN DIASPORA IN GEORGIA: DEMOGRAPHIC CONSEQUENCES OF OCCUPATION AND SEPARATISM.*The 10th International scientific and practical conference "Science and technology: problems, prospects and innovations"* (July 6-8, 2023) CPN Publishing Group, Osaka, Japan.file:///C:/Users/acer/Downloads/SCIENCE-AND-TECHNOLOGY-PROBLEMS-PROSPECTS-AND-INNOVATIONS-6-8.07.23-1.pdf

Tsibadze M., Tukhashvili M.(2022).ETHNODEMOGRAPHIC CONSEQUENCES OFFORCED MIGRATION IN THE OCCUPIED REGIONS OF GEORGIA. *Proceedings of IV International Scientific and Practical Conference Lviv, Ukraine.10-12 July 2022.MODERN RESEARCH IN WORLD SCIENCE*. file:///C:/Users/acer/Downloads/MODERN-RESEARCH-IN-WORLD-SCIENCE-10-12.07.22.pdf.

Итоги всеобщей переписи населения Республики Южная Осетия.(2016). Управление государственной статистики. – Цхинвал. https://ugosstat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf

Национальный состав наличного населения-2016. Источник: *Управление государственной статистики Республики Абхазия* https: //ugsra. org/ofitsialnaya -statistika.php ?ELEMENT_ID=243

ЧисленностьнаселенияАбхазии. demoscope.ru.#493-494.

Diasporas In Georgia: Number and Structure

Mirian Tukhashvili
Doctor of economic sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tuxamiri@yahoo.com

Mzia Shelia
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Researcher
Institute of Demography and Sociology, Ilia State University
mziashe@yahoo.com

Summary

After the annexation of Georgia by Russia in early XIX century, the number and relative share of diaspora in the territory of Georgia grew steadily. It was one of the directions of the implementation of Russian policy in the Caucasus region that continued until the Second World War and was then followed by the process of slow reduction of the share of diasporas in the entire population, which accelerated exponentiallyin the post-Soviet period after the restoration of the independence of Georgia. The reason for this is that due to the disastrous deterioration of the living conditions, diasporas tend to go abroad at a higher pace than the representatives of the autochthonous Georgian and Abkhazian ethnicities do. The reduction of the number of diasporas was influenced by the process of integration of diasporas into the Georgian ethnos. In the post-Soviet period, the number of population of the main autochthonous Georgian ethnicity decreased by 512 thousand people, i.e. 13.5%, while the number of Abkhazians increased by 30%, and the total number of diasporas decreasedby 2.5 times. Great changes have taken place in the demographic structure of diasporas that was manifested in the aging of all diasporas. In the period of 1989-2014, the median age in the Russian diaspora increased from 36.7 years to 48.8 years, among Armenians - from 30.5 to 38.4 years, among Azerbaijanis - from 23.5 to 32.2 years, and in the total population of Georgia- from 30.7 to 37.7 years. In the post-Soviet period, Turkish, Arab, Iranian, Indian and Chinese diasporas were formed and tend to increase. The economic and cultural advancement of Georgia that occurred in the recent period provides a fertile ground for attracting the population of Asian countries for migration purposes. It becomes necessary to regulate immigration flows with a carefully thought - out policy.

Keywords: Georgia, Diaspora, Ethnos, Population

კონფრონტაციული გლობალიზაცია და მცირე ქვეყნების გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა

გივი ბედიანაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
givi.bedianashvili@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-172-179

ანოტაცია. კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში მცირე ქვეყნები აღმოჩდნენ ახალი გამოწვევების წინაშე. თვით კონფრონტციული გლობალიზაცია, განსხვავებით ტურბულენტური გლობალიზაციისაგან გამოირჩევა მთელი რიგი თავისებურებებით. თუ გლობალიზაცია თავისი თავდაპირველი საწყისი ბუნებით წინა პერიოდებში ორიენტირებული იყო უმთავრესად ქვეყნებს შორის კოოპერაციაზე და საერთო გლობალური პრობლემების გადაჭრაზე, მისი კონფრონტაციული ფორმა უკვე ქვეყნებს შორის ურთიერთობის პრინციპულად სხვა ფორმატს აყალიბებს. ბოლო რამოდენიმე წლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს ყოველი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ხდება საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობის და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. აღნიშნული გამოწვევა განსაკურებით აქტუალურია მცირე ქვეყნებისთვის, რომლებიც გამორჩევიან რესურსების შედარებით მცირე პოტენციალით და გარე შოკების მიმართ უფრო მაღალი მგრძნობიარობით. მცირე ქვეყნებისთვის კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში აუცილებელი ხდება მდგრადი კონკურენტუნარიანობის ეფექტიანად მორგებული კოცეფციის ჩამოყალიბება. ამასთან ერთად, აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების და მომავალის ადამიანისეული კაპიტალის განვითარების მოთხოვნებზე ორიენტაცია, სამეცნიერო კვლევების შესაბამისი სტიმულირება და ფინანსური მხარდაჭერის გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები: კონფრონტაციული გლობალიზაციის თავისებურებები, მცირე ქვეყნების გამოწვევები, გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა

გლობალიზაციის თავისებურებების განხილვისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების და დასავლეთის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების ფონზე (Papava, 2022a) უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა კონფრონტაციული ხასიათის გლობალიზაციური პროცესები (Papava, 2022b), თუმცა, თვით გლობალიზაციის პროცესი შეიძლება გაანალიზდეს სხვადასხვა ნიშნით (Papava, 2022c; Silagadze, 2022; Bedianashvili, 2021; Veshapidze, 2022).

კომპლექსური რეტროსპექტიული ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე ეტაპზე გლობალური ეკონომიკა და ეროვნული ეკონომიკები ხასიათდებიან ახალი თავისებურებებით. ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის პეიოდში, ტურბულენტური გლობალური პროცესების ზემოქმედებით აქტუალური

გახდა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის დონე, შოკების შედეგად ეკონომიკების ვარდნის სიღრმე და პოსტკრიზისული აღდგენისათვის საჭირო დრო, შესაძლო გარე შოკების ადრეული გამოვლენა და შესაბამისი მექანიზმების დროული ამოქმედება, კრიზისული პერიოდის მოთხოვნებზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკა, სხვა ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების რეგულირება (Bedianashvili, 2021).

კონფრონტაციულ გლობალურ გარემოში ყოველი სახელმწიფოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება საკუთარი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფონქციონირების მდგრადობა.

აღსანიშნავია, რომ მდგრადობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ქვეყნებისათვის, რაც განპირობებულია მათი სოციალურ-ეკონომიკური სისტემების თავისებურებებით (ბედიანაშვილი & კოხრეიძე, 2023; თოქმაზიშვილი, 2017; Alouini & Hubert, 2019; Antola, 2002; Bedianashvili & Kokhreidze, 2023; Jesse et al., 2016; Milton-Edwards, 2023; Sampson et al., 2023; Steinmetz, 2016). ჩვენს კვლევაში მცირე ქვეყნები განიხილება ევროკავშირში გაწევრიანებისა და ევროკავშირის სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესების კონტექსტში მოსახლეობის რიცხოვნობისა და ტერიტორიების სიდიდის შედარებითი მსგავსების ნიშნით. გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო ბენჩმარკინგის მიზნებისთვის ქვეყნების შერჩევა.

მდგრადობის პრობლემის არსობრივ განხილვამდე, მიზანშეწონილია გამოიყოს ძირითადი გლობალური მაკროსისტმური გამოწვევები (Acemoglu et al., 2022; Papava, 2022a; Bedianashvili, 2022b, 2023), როგორიცაა კლიმატის ცვლილება (Pisu et al., 2022; Bedianashvili, 2022a) და განუზღვრელობის ზრდა (ბედიანაშვილი, 2023; Bedianashvili, 2023).

გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული განუზღვრელობის ზრდა თავისი მოქმედებით მკაფიოდ ატარებს მაკროსისტემურ ხასიათს. ამის დასტურია, მაგალითად, კლიმატის ცვლილების პრობლემა, რომელიც წარმოადგენს კონფრონტაციული გლობალიზაციის პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გლობალურ გამოწვევას (Aspinall, 2021; Bedianashvili, 2023; Berestycki et al., 2022). ამასთან ერთად, კლიმატის გლობალური ცვლილება განსაკუთრებულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ყოველი ქვეყნის არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ მთლიან სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე (Bedianashvili, 1995, 2022b). საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნები, კლიმატის გლობალური ცვლილების უარყოფით ეფექტებს ყოველწლირად განიცდის, ხოლო მისი უარყოფითი გავლენა უშუალოდ ეკონომიკასა და ადამიანების ცხოვრების ხარისხზე სულ უფრო მეტად იზრდება. კვლევების შედეგად დადგენილია, რომ კლიმატის გაუარესების გამო ტემპერატურის მატების კვალობაზე მნიშვნელოვნად იზრდება მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის (Gross Domestic Product-ის ქართულენოვანი შესატყვისი სახელწოდების შესახებ იხ.: პაპავა & სილაგაძე, 2019) დანაკარგი (Kahn et al., 2019). ამასთან ერთად, გამოკვეთილად შეინიშნება კლიმატის პოლიტიკის განუზღვრელობის ზრდის ტენდენცია (Bedianashvili, 2023).

კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში განუზღვრელობის ზრდის კვალობაზე ნებისმიერი ქვეყნისთვის არსებითია პირველ რიგში ქვეყნის მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობის უშუალოდ უზრუნველყოფის საკითხი. ქვეყნის მდგრადობა დამოკიდებულია შესაბამისი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადი კონკურენტუნარიანობის დონეზე. ეს თავის მხრივ, წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას, ეკონომიკური, სოციალური,

ბუნებრივ-ეკოლოგიური, ტექნოლოგიური და საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროების ჩართულობით (ნახ.1).

ნახ.1. საქართველო გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების მიხედვით 2022 წ.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ SolAbility (2022) მონაცემების მიხედვით

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, აქტუალურია ქვეყნის მდგრადი კონკურენტუნარიანობის მთავარი გამოწვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების ჩამოყალიბება (ბედიანაშვილი, 2023; Cheba et al., 2019, 2020; Despotovic et al., 2016; Judrupa et al., 2021; Liu et al., 2022; Mishchuk et al., 2022; Möbius et al., 2020; SolAbility, 2022; Syromyatnikov et al., 2021)

კვლევამ გამოავლინა, რომ თანამედროვე კონფრონტაციული გლობალიზაციის ეტაპზე გლობალური განუზღვრელობის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში (ბედიანაშვილი, 2022; Bedianashvili, 2021a, 2021b) საქართველოს მდგრადი კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების უზრუნველყოფისათვის საჭიროა ბუნებრივი კაპიტალის ბლოკის შემდგომი გაძლიერება კლიმატის პრობლემის შემსუბუქების და მწვანე ზრდის ხელსეწყობისთვის (ბედიანაშვილი, 2022; ლაზარაშვილი, 2020; Batrancea et al., 2020; Bedianashvili, 2019; Ionescu et al., 2022). მნიშვნელოვანია ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების (Bedianashvili, 2021a) დაჩქარება, შესაბამისად მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინტელექტუალური კაპიტალის ბლოკის შემდგომი განვითარება, სამეცნიერო კვლევების შესაბამისი სტიმულირება და ფინანსური მხარდაჭერის გაუმჯობესება.

ქვეყნის მდგრადი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური მდგრადობისა და რესურსეფექტიანობის ბლოკების არსებით გაუმჯობესებას, ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებას, ცოდნის ფაქტორის და ციფრული ტექნოლოგიების ათვისების უზრუნველყოფით (Afonasova et al., 2019; Bedianashvili, 2023; Chen et al., 2023; Širá et al., 2020).

გამოყენებული ლიტერატურა

ბედიანაშვილი გ., კოხრეიძე გ. (2023). სახელმწიფო ვალი და ეკონომიკური ზრდა მცირე ქვეყნებში თანამედროვე გამოწვევების პირობებში. *ეკონომისტი.* XIX (1), 98-110. DOI: 10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.GIVI.BEDIANASHVILI.GIORGI.KOKHREIDZE

ბედიანაშვილი გ. (2023). გლობალური გაურკვევლობა, როგორც გამოწვევა ქვეყნის მდგრადი კონკურენტუნარიანობისთვის. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: *მდგრადი სატრანსპორტო სისტემა და საზღვაო ლოგისტიკა. ISTSML – 2023.* ბათუმი.

ლაზარაშვილი თ. (2020). ეკონომიკური ზრდის „მწვანე“ დაფინანსება: კონცეფციები და პრობლემები. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 9, 53-56. DOI: 10.35945/gb.2020.09.0064.

თოქმაზიშვილი, მ. (2017). მცირე ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ტენდენციები. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 3, 21-25. DOI: 10.35945/gb.2017.03.003.

პაპავა ვ., სილაგაძე ა., (2019). ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის –“Gross Domestic Product”-ის ქართული სახელწოდების შესახებ. *ეკონომიკა და ბიზნესი.* 1, 180-182.

Afonasova, M. A., Panfilova, E. E., Galichkina, M. A., & Ślusarczyk, B. (2019). Digitalization in economy and innovation: The effect on social and economic processes. *Polish Journal of Management Studies*, 19(2), 22–32. DOI:10.17512/pjms.2019.19.2.02

Alouini O., Hubert P. (2019). Country Size, Economic Performance and Volatility. *Dans Revue de 1'OFCE,* 4(164),139-163.

Aspinall E. (2021) The Geopolitics of the climate change transition: security threats, power struggles and a test for multilateralism, BFEG. London.

Batrancea, I.; Batrancea, L.; Rathnaswamy, M.M.; Tulai, H.; Fatacean, G.; Rus, M.-I. (2020). Greening the financial system in USA, Canada, and Brazil: A panel data analysis. *Mathematics*. 8, 1-13.

Jesse, N., G., & Dreyer, J., R. (2016). *Small States in the International System*. London.

Bedianashvili, G. (1995). *State, Power Structure and Socio-Economic Reform of Society*. Tbilisi, Mecniereba.

Bedianashvili, G. (2019). Formation of Knowledge-Based Economy and Green Economy: Socio-Cultural Aspect. Conference materials: *Current Problems of Formation of "Green Economy"*. Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi. 33-37.

Bedianashvili, G. (2023). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*,17(2), 174-179.

Bedianashvili G., Kokhreidze G. (2023). Public debt and Foreign Direct Investment in small countries in the context of economic growth. *Soci,lo Zin,tÚu VÁstnesis / Social Sciences Bulletin*, 36(1), 7-28. DOI: 10.9770/szv.2023.1(1)

Bedianashvili, G. (2021a). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 15(2),191-197.

Bedianashvili, G. (2021b). Globalization and Modern Challenges of Economic Uncertainty. Conference materials: *Strategies, Models, and Technologies of Economic Systems Management (SMTESM-2021)*. Khmelnytskyi National University, Ukraine. 45-48.

Bedianashvili G. (2022a). Uncertainty and Challenges of Small Countries in Modern Conditions of Globalization. Thesis for the 17th International Academic Conference *"SOCIAL SCIENCES FOR REGIONAL DEVELOPMENT 2022".* 7. DOI: 10.13140/RG.2.2.17173.19683

Bedianashvili G. (2022b). Impact of the Cultural Factor on Economic Growth and Entrepreneurial Activity: Challenges of Modern Globalization. Proceedings of VII International Scientific Conference Dedicated to the 100th Anniversary of the Faculty of Economics and Business "*Challenges of Globalization in Economics and Business".* Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Economics and Business Faculty. 53-58.

Berestycki, C., Carattini, S., Dechezleprêtre, A., & Kruse., T. (2022) Measuring and assessing the effects of climate policy uncertainty. OECD. Paris.

Charaia, V., Papava, V. (2021). Public Debt Increase Challenge under COVID-19 Pandemic Economic Crisis in the Caucasian Countries. *Journal of Contemporary Issues in Business and Government*, 27(3), 18-27. DOI:10.47750/cibg.2021.27.03.003

Cheba, K., & Szopik-Depczyńska, K. (2019). Sustainable competitiveness and responsible innovations – the case of the European Union countries. *Prace Naukowe Uniwersytetu Ekonomicznego We Wrocławiu*, 63(6), 139–150. DOI:10.15611/pn.2019.6.11

Cheba K., Bąk, I., & Szopik-Depczyńska K. (2020). Sustainable competitiveness as a new economic category – definition and measurement assessment. *Technological and Economic Development of Economy*, 26(6), 1399–1421. DOI:10.3846/tede.2020.13528

Chen, Y., Xu, S., Lyulyov, O., & Pimonenko, T. (2023). China's digital economy development: incentives and challenges. *Technological and Economic Development of Economy*, 29(2), 518–538. DOI:10.3846/tede.2022.18018

Despotovic D., Cvetanovic S., Nedic, V., & Despotovic M. (2016). The economic, social, and environmental dimension of sustainable competitiveness of European countries. *Journal of Environmental Planning and Management*, 59(9), 1656–1678. DOI:10.1080/09640568.2015.1085370

Judrupa, I., Senfelde, M., & Juscius, V. (2021). Evaluation of the competitiveness of statistical regions in latvia using official statistical information. *Engineering Economics*, 32(2), 154–164. DOI:10.5755/j01.ee.32.2.27979

Kahn M. A., Mohaddes K., Ryan N., Ng R.N.C., Pesaran H., Raissi M., &Jui-Chung Yang J-C. (2019). Long-Term Macroeconomic Effects of Climate Change: A Cross-Country Analysis. *IMF Working Papers*.

Liu, X., Wang, Y., & Wang, L. (2022). Sustainable competitiveness evaluation of container liners based on granular computing and social network group decision-making. *International Journal of Machine Learning and Cybernetics*, 13(3), 751–764. DOI:10.1007/s13042-021-01325-5

Ionescu, R., V., Antohi, V., M., Zlati , M. L., Georgescu, L. P. & Iticescu, K. (2022). To a Green Economy across the European Union. *Int. J. Environmental Research Public Health.* 19, 12427. DOI: 10.3390/ijerph191912427

Milton-Edwards B. (2023). The survival of small states in the Gulf region: COVID-19, pandemic politics, and the future of niche diplomacy. *International Politics*, 60 (2), 390–405.

Mishchuk H., Štofková J., Krol V., Joshi O., & Vasa L. (2022). Social Capital Factors Fostering the Sustainable Competitiveness of Enterprises. *Sustainability*, 14(19), 11905. MDPI AG. Retrieved from DOI:10.3390/su141911905

Möbius, P., & Althammer, W. (2020). Sustainable competitiveness: a spatial econometric analysis of European regions. *Journal of Environmental Planning and Management*, 63(3), 453–480. DOI:10.1080/09640568.2019.1593005

Papava, V., & Charaia, V. (2021). The Problem of the Growth of Georgia's Public Debt during the Economic Crisis under the Covid-19 Pandemic. *GFSIS Expert Opinion*, No. Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies. DOI:10.13140/RG.2.2.10091.5712019

Papava V., (2022a). "On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy." *Eurasia Review*, March 31, <https://www.eurasiareview.com/31032022-on-the-main-challenges-of-the-architecture-transformation-of-the-world-economy-oped/>

Papava, Vladimer. (2022b). "Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." *Eurasia Review*, May 23. https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I18

Petkovski, I., Fedajev, A., & Bazen, J. (2022). Modeling Complex Relationships between Sustainable Competitiveness and Digitalization. *Journal of Competitiveness*, 14(2), 79–96. DOI:10.7441/joc.2022.02.05

Popescu, G. H., Sima, V., Nica, E., & Gheorghe, I. G. (2017). Measuring sustainable competitiveness in contemporary economies-insights from European economy. *Sustainability (Switzerland)*, 9(7). DOI:10.3390/su9071230

Sampson B. Narteh-Yoe, Justice G. Djokoto, Paragon Pomeyie (2023) Aid, domestic and foreign direct investment in small states. *Economic Research-Ekonomska Istraživanja*. 36 (3), 2160998.

Silagadze A. (2022). Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies During Covid-Depression. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 16 (3), 130-135.

Širá E., Vavrek R., Kravčáková Vozárová I., & Kotulič R. (2020). Knowledge Economy Indicators and Their Impact on the Sustainable Competitiveness of the EU Countries. *Sustainability*, 12(10), 4172. MDPI AG. Retrieved from. DOI: 10.3390/su12104172

SolAbility (2022). Global Sustainability Competitiveness Index. 28 აპრილს, ონლაინ მისამართზე: https://solability.com/the-global-sustainable-competitiveness-index/methodology

Steinmetz R. (2016). *Small States in Europe: Challenges and Opportunities*. Routledge.

Syromyatnikov, D., Konev, P., Popov, M., & Sultanova, N. (2021). Practical strategies to improve national competitiveness. *Scientific Papers of the University of Pardubice, Series D*. Faculty of Economics and Administration, 29(2). DOI:10.46585/SP29021315

Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 16(4), 152-157.

Confrontational globalization and global sustainable competitiveness of small countries

Givi Bedianashvili
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Professor, Grogol Robaqidze University
givi.bedianashvili@tsu.ge

Summary

In the face of confrontational globalization, small countries faced new challenges. Confrontational globalization itself, unlike turbulent globalization, is distinguished by a number of features. If globalization in its initial nature in previous periods was focused mainly on cooperation between countries and solving common global problems, its confrontational form is already forming a fundamentally different format of relations between countries. The analysis of the last few years shows that it is becoming important for every country in the world to ensure the sustainability and competitiveness of its socio-economic system. This challenge is particularly relevant for small countries, which are characterized by relatively small resource potential and higher sensitivity to external shocks. For small countries, in the conditions of confrontational globalization, it becomes necessary to establish an effectively adjusted concept of sustainable competitiveness. Along with this, it is necessary to focus on the requirements of the formation of a knowledge-based economy and the development of human capital of the future.

Keywords: features of confrontational globalization, challenges of small countries, global sustainable competitiveness

მაკროეკონომიკური ფაქტები. საქართველო

დემურ გიორხელიძე
პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
demurgio@yahoo.com

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-180-195

ანოტაცია. ნაშრომში განხილული და სისტემატიზირებულია ის მაკროეკონომიკური ფაქტები, რომლებიც საქართველოში ჩამოყალიბდა უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში და ქმნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პროცესების გაგებისა და გააზრების საერთო საფუძველს. ეს ფაქტები საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში (20-30 წელი), როგორი შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები, რა საფუძველზე აიგოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა და მოვახდინოთ ზრდის პროგნოზირება, ყოველ შემთხვევაში, მისაღებ დონეზე შეფასება მაინც. თანამედროვე ეკონომიკის ხასიათიდან გამომდინარე, ეს ძალზე რთული, მაგრამ შეფასების თანამედროვე საშუალებების (მეთოდების) გამოყენებით შესაძლებელი საკითხია.

საკვანძო სიტყვები: მაკროეკონომიკური ფაქტები, ეკონომიკური ზრდა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, ზრდის პროგნოზირება

შესავალი

ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტური ფაქტები და მათი ანალიზი შეიძლება დაწვრილებით იხილოთ *Blanchard O.J., Fisher St. (1993),* რომელიც უაღრესად საინტერესოა ანალიზის კვლევის მეთოდებისა და შეფასებების თვალსაზრისით. იხილეთ აგრეთვე დარონ აჯემოღლუს ანალიზი მაკროეკონომიკური ფაქტების შესახებ *(Daron Acemoglu (2009))* და ჩარლზ ჯონსის ნაშრომი *(Charles I. Jones (2016))*, რომელშიც, უკანასკნელი ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე, შეკრებილი და დაზუსტებულია თანამედროვე ზრდის თეორიების საფუძვლად არსებული მთავარი მაკროეკონომიკური ფაქტები (მონაცემები),

ნაშრომში განხილული და ყურადღებას გამახვილებულია საშუალო სტატისტიკური მოსახლის კეთილდღეობის ორ მაენებელზე: (1) შემოსავალზე (income) და GDP ერთ მომუშავეზე (GDP per worker), _ ანუ მწარმოებლურობის (პროდუქტიულობის, productivity) მაჩვენებელზე და (2) შემოსავალი და GDP მოსახლეობის ერთ სულზე (GDP per capita (ან per person)), _ ანუ კეთილდღეობის მაჩვენებელზე. ეს მაჩვენებლები კორელირდება კეთილდღეობის ამსახველ სხვა მრავალ მნიშვნელოვან სტატისტიკურ მაჩვენებელთან, როგორებიცაა, მაგალითად, მოხმარება, ადამიანის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, ბავშვთა სიკვდილიანობის დონე და ა.შ. არსებული მონაცემები შეიძლება განზოგადებული იქნას რამდენიმე ძირითადი ფაქტის სახით. რეალური შემოსავლის შესახებ ქვეყნებ-შორისი მონაცემების საბაზო წყაროს **Penn World Tables** წარმოადგენს. ეს მონაცემები და ქვეყნებსშორის შედარებებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებიდან ზოგიერთი აღწერილია Summers R.,

Heston (1991) ნაშრომში. ამ მონაცემების ყველაზე ახალი ვერსია ხელმისაწვდომია ეკონომიკური კვლევის ნაციონალური ბიუროს (**NBER**) ვებ-საიტზე (*http://www.nber.org*).

გაზომვის პრობლემა

ეროვნული GDP-ს საბაზრო გაცვლითი კურსებით დოლარში კონვერტაციას (გადაყვანას) შეცდომაში შევყავართ. საქმე ისაა, რომ ღარიბ ან ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ფასები, როგორც წესი, დაბალია. ამიტომ მაგალითად, საქართველოში, ხარჯები დოლარებში გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე დოლარი აშშ-ში. ვთქვათ, რომელიღაც *t* წლის დასაწყისში ლარი/დოლარის [(**₾/$**)-ის] გაცვლითი კურსი **2,45**-ის ტოლი იყო, მაგრამ წლის განმავლობაში რხევებს განიცდიდა, რაც საქართველოსათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. საქართველოში აშშ დოლარით შეფასებული (ან დოლარის თვალთახედვით შეფასებული) GDP-ს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე უფრო მაღალი იქნება, თუ **₾/$**-ის გაცვლითი კურსი, ვთქვათ, **2,38**-ის ტოლი გახდება. მაგრამ ეს ცვლილება არ ითვალისწინებს აღნიშნულ განსხვავებას ფასებში. სხვადასხვა ეკონომიკებში ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებისას, კერძოდ, GDP-სა და შემოსავლების ერთი და იმავე ფულად ერთეულში (საერთო ვალუტაში) შედარებისას აუცილებელია გარდაქმნა, რაც მიიღწევა ყველა ეროვნული ვალუტის საერთო ვალუტაში (აშშ დოლარი) კონვერტაციის გზით. ამ ოპერაციის შესრულების შემდეგ შესაძლებელი ხდება ცალკეული ქვეყნების (ფირმების, ფიზიკური პირების და ა.შ.) ერთმანეთთან შედარება საერთაშორისო მსყიდველობითი უნარის (International purchasing Power) თვალთახედვით. გაცვლით კურსებზე გადასვლა, რომლებიც "მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის " (**მუპ**) ("Purchasing Power Parity" (**PPP**)) მიხედვით იქნება კორექტირებული, უკეთეს მეთოდს წარმოადგენს. როგორც ამბობენ, _ შესწორებული **მუპ**-ზე, რაც ქვეყნებს შორის, სხვადასხვა საქონელზე ფარდობით ფასებში განსხვავებების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. ამ თეორიის თანახმად, გრძელვადიან პერსპექტივაში გაცვლითი კურსები იმ ტემპებზე გადავა, რომლებიც ნებისმიერ ორ ქვეყანას შორის საქონელსა და მომსახურებაზე (იდენტურ კალათაზე) ფასებს გაათანაბრებს, რაც პროდუქციისა და მომსახურების გარკვეული ნაკრების მიმართ, ორი ან მეტი ქვეყნის ფულადი ერთეულების (ვალუტების) შედარების საშუალებას ქმნის. ამდენად, სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე კურსის ეროვნულ ვალუტებში გადათვლილი ფულის ერთი და იმავე ოდენობით (სატრანსპორტო ხარჯებისა და გადაზიდვებზე შეზღუდვების არარსებობისას), ერთნაირი რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შეძენა შეიძლება. ამდენად, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გამოყენება ქვეყნებს შორის ცხოვრების დონეში არსებული განსხვავების უფრო გონივრულად დადგენის საშუალებას იძლევა. ცხადია, **მუპ**-ის მიხედვით შესწორების გარეშე ქვეყნებსშორის შემოსავლებში განსხვავება უფრო მეტი იქნებოდა. ღარიბი ქვეყნების **GDP**-ს აშშ დოლა-რებში საბაზრო გაცვლითი კურსებით კონვერტაციისას, ფასების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი არის ეკონომიკის ზომისა და ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი შემცირება.

ქვეყნებსშორისი შედარება

ნახ.1 და ნახ.2-ზე ნაჩვენებია ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო სტილიზებული ფაქტი: (ა) აშშ-ს ეკონომიკაში მოსახლეობის ერთ სულზე რეალური GDP-ს ცვლილების დინამიკა 1870 წლიდან 2015 წლამდე Charles I. Jones (2016) მიხედვით. თითქმის 150 წლის მანძილზე, ეს მაჩვენებელი გაიზარდა მკვეთრად გამოკვეთილი გასაოცარი საშუალო მდგრადი (სტაბილური) ზრდის ტემპით: 1870 წელს მოსახლეობის ერთ სულზე GDP, რომელიც 3 000 აშშ დოლარის ტოლი იყო, 2014 წელს 50 000 აშშ დოლარს გადააჭარბა, ანუ თითქმის 17-ჯერ გაიზარდა (!), და ყოველწლიური ზრდა ახლოა წრფივ დროით ტრენდთან, დახრით 2% წელიწადში, ანუ შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში ერთ სულ

მოსახლეზე შემოსავალი მდგრადი ზრდის ტრაექტორიაზეა. როგორც ნახ. 1--დან ჩანს, ტრენდის მიმართ მოკლევადიანი რხევების არსებობა საქმიან-ბიზნეს ციკლებზე მიუთითებს, ხოლო ზრდის გრძელვადიანი ტენდენციების შესწავლა ეკონომიკური ზრდის თეორიის სფეროს განეკუთვნება. ტრენდიდან გადახრები (არატრენდული რეალური გამოშვება) _ რეალური გამოშვების ციკლური ნაწილი (the cyclical part of the real output), საკმარისად გამოკვეთილია და შედარებით იოლად შესასწავლი აშშ-სა და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ფაქრგლებში. ეკონომიკური ზრდის ყველა თანამედროვე თეორია, დაწყებული რობერტ სოლოუდან (1956), შემდგომ რობერტ ლუკასით (1988), პოლ რომერითა (1990) და ააგიონითა და ჰოვიტით (1992) გაგრძელებული (აღნიშნული თეორიების შესახებ იხ. დემურ გიორხელიძე (2021), თავი 5, A და B ნაწილები), დამუშავებულია ამ ფაქტის გათვა-

ლისწინებით. უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკაში მოხდარი კოლოსალური მასშტაბის ძვრები, უზარმაზარი ვარდნა და ტრანსფორმაციული შოკით გამოწვეული სხვა უაღესად ნეგატიური მოვლენები, დღემდე ჩამოუყალიბებელი ტენდენციები (იხ. ნახ. 2 და მესამე ნაწილში განხილული საქართველოს ეკონომიკის მაკროეკონომიკური ფაქტები),

ნახ. 1. აშშ. რეალური GDP მოსახლეობის ერთ სულზე (GDP per person). (ლოგარითმული მნიშვნელობები, $. 2009 წ.)



.

წყარო: . Charles I. Jones. The Facts of Economic Growth. Handbook of Macroeconomics Paper. 2016, Vol. 2A. pp.3. - 69. (იხ. გვ. 37)

ნახ. 2. რეალური GDP მოსახლეობის ერთ სულზე. საქართველო. 2015 წლის წლის მუდმივ ფასებში. ათას აშშ დოლარებში. (1965-2022 წწ.)



წყარო: *World Bank national accounts data. GDP per capita (constant 2010 US $).*

ჩამოუყალიბებელი და გამოუკვეთელი ციკლები, ქართული ეკონომიკის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, - ავტომატურად, კლასიკური ზრდის თეორიებისა და საქმიანი ბიზნეს-ციკლების მოდელების გამოყენება, რომლებიც სულ სხვა რეალობის მქონე ეკონომიკებისთვის შეიქმნა და კარგადაც აღწერს იქ არსებულ მდგომარეობებს, საქართველოს პირობებში გამოყენებისას სერიოზულ სიფრთხილეს მოითხოვს: მოდელები, რომლებიც მის შესასწავლად იქნება გამოყენებული, დაზუსტებული უბნდა იქნას არსებული მაკროეკონომიკური ფაქტეების (ან არსებული მდგომარეობის) გათვალისწინებით.

როგორც ნახ. 1-დან ჩანს, აშშ-ში "დიდი დეპრესიაც" კი არ იყო უწყვეტი გადახრა/ვარდნა. ამ პერიოდში GDP მოსახლეობის ერთ სულზე მხოლოდ 20%-ით დაეცა და ისიც მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში, 1939 წლისათვის თავის პიკს გადის და ათწლეულის შემდეგ მაკროეკონომიკური ისტორია კვლავ მდგრადი, თითქმის "დაუნდობელი ეკონომიკური ზრდის ისტორია ხდება" (ჯონსის სიტვებით). ამ მონაცემებზე დაყრდნობით ჯონსი საინტერესო დასკვნას აკეთებს, რომ აშშ-თვის: "...მომავალი ეკონომიკური ზრდისთვის კარგი დაშვება წელიწადში 2% იქნება". შევნიშ-ნოთ, რომ უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში, მდგრადი გრძელვადიანი ექსპონენციალური ზრდა წარმოადგენს ზღვრული (სასაზღვრო) ზრდის (frontier growth) საკვანძო მახასიათებელს. იგულისხმება ეკონომიკური ზრდა, როცა ქვეყნის ეკონომიკა (ამ შემთხვევაში, აშშ-ს ეკონომიკა) მდებარეობს საწარმოო შესაძლებლობების ზღვრულ დიაგრამის შესაბამის წერტილზე და ეფექტურობის თვალსაზრისით, საუკეთესოდ აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას და, მაშასადამე, საუკეთესოდ განათავსებს კიდეც საკუთარ რესურსებს. სამომავლოდ ზღვრული ზრდის წარმოდგენა და გაგება ძნელია, ზღვრული ზრდის სტაბილურობის (ნახ. 1) შემდგომი ზრდის ორიენტირად დასახვა კი შეიძლება ძალზე დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს. ამის ნGDიშნები უკვე გამოჩნდა კოვიდ-პანდემიით გამოწვეული შოკისა და საერთაშორისო დაძაბულობის მკვეთრი ზრდის შედეგად, რამაც ათწლეულობით აწყობილი ლოგისტიკური ჯაჭვების რღვევა გამოიწვია და არაერთი განვითარებული ქვეყანა დააყენა ეკონომიკური პრობელემების წინაშე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, რამ, რაც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას ქართული ეკონომიკის ანალიზისას, არის ე.წ. "სტრატიფიკაციის ფენომენი" ("stratification phenomenon"), _ მოვლენა, როცა მდიდარი ქვეყნების ნაწილში ადგილი აქვს სიმდიდრისა და სიმჭიდროვის ზრდას, როცა მრავალი ქვეყანა ჯერ კიდევ ღარიბია. საქართველოშიც სიღარიბის პრობლემა დაძლეული არ არის და საკმაოდ მწვავედ დგას დ ა ამდენად, ეს მოვლენა აუცილებლად გასათვალისწინებელია. შევნიშნოთ, რომ "ეკონომიკური სტრატიფიკაცია" თავისი შინაარსითა და არსით განსხვავდება "ეკონომიკური უთანასწორობისგან" ("inequality"). სტრატიფიკაციის ფენომენისას მხედველობაში მიიღება სიმდიდრის დიაპაზონი და არა ცალკეული ფენების არსებობა. ცხადია, ეკონომიკური უთანასწორობა და ეკონომიკური სტრატიფიკაცია შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს. ამ საკითხის განხილვისას საყურადღებოა ის მოვლენა, თუ როგორ იცვლის და იუმჯობესებს ესა თუ ის ეკონომიკა თავის მაჩვენებლებსა და როგორ აისახება ეს ყველაფერი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. კერძოდ, 1960 წ.-თვის, შემოსავლების თვალსაზრისით, საშუალო დონის არაერთი ქვეყანა მიურთდა მაღალი შემოსავლების დონის ქვეყნების რიგს, ხოლო სხვებმა შეინარჩუნეს შემოსავლების საშუალო დონის ქვეყნების სტატუსი ან შედარებით გაღარიბების გზაზე შემდგარი ქვეყნების სტატუსი მიიღეს. ამ უკანასკნელთა შორის საქართველოც მოიაზრებოდა. საქმე ისაა, რომ ფარდობით.შემოსავლებში ყველაზე დიდი ცვლილებების საკვირველ მაგალითებს "ზრდის საოცრებები და ტრაგედიები" ("growth miracles & growth

disasters") წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ზრდის საოცრებად ("growth miracle") იწოდება საკმარისად ხანგრძლივი ეპიზოდი, რომლის განმავლობაშიც ქვეყანაში ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიო ზრდის საშუალო ტემპს, რის შედეგადაც ხდება სწრაფი გადაადგილება შემოსავლების მსოფლიო განაწილების მწვერვალისაკენ.

ზრდის საოცრებების ყველაზე ცნობილ მაგალითებს წარმოადგენს იაპონია და აღმოსავლეთ აზიის უახლესი ინდუსტრიული ქვეყნები _ სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური და ჰონკონგი. მაგალითად, 1960 წლიდან 1990 წლამდე, უახლეს ინდუსტრიულ ქვეყნებში საშუალო შემოსავლები იზრდებოდა წლიურ 5%-ზე აღმატებული ტემპებით, რის შედეგადაც მათი შემოსავლები აშშ-ში შემოსავლებთან მიმართებაში დაახლოებით გასამმაგდა. ზრდა არც 1990 წლის შემდეგ შეწყვეტილა მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, დაკავშირებული ეკონომიკური ზრდის გარკვეულ შენელებასთან. ნახ. 3-დან კარგად ჩანს ამ ქვეყნების დინამიკა და მდგომარეობა 2011 წლისათვის (ნახ. 3-ზე საქართველოს შესაბამისი მონაცემები გაანგარიშებულია წინამდებარე სტატიის ავტორის მიერ). რა დასკვნის გაკეთება შეიძლება?

თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი კლასიფიკაციით ქვეყნები მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების დონით $ 3 956,0-დან $ 12 235,0-მდე მიეკუთვნებიან საშუალო დონეზე მაღალის შემოსავლები მქონე ქვეყნებს, საქართველო 2022 წლის მონაცემებით (5424,6 აშშ დოლარი ერთ სულ მოსახლეზე) აკმაყოგფილებს ამ დონეს, თუმცა, დონის ქვედა დიაპაზონში იმყოფება, მსოფლიო ბანკის რეიტინგის (2021) მიხედვით მსოფლიოში 123-ე ადგილზე იმყოფება. ეს მაჩვენებელიც ასეთია მხოლოდ იმის გამო, რომ მოსახლეობის მკვეთრ კლებასთან გვაქვს საქმე. რომ არა მოსახლეობის კლება, 1985 წლის უმაღლესი მაჩვენებელი როგორც GDP-ს, ისე მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ს მიხედვით (მოსახლეობის ერთ სულზე $ 4 704,1 (4 734 ათასი ადამიანის პირობებში)), მიღწეული არ იქნებოდა: და იმავე რაოდენობის მოსახლეობისას, ერთ სულზე მხოლოდ $ 4254,3 გვექნებოდა). ამდენად, უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობას (ინტეგრალური შეფასების თვალსაზრისით) რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია: საქართველო ვერ გასცდა მსოფლიოში შემოსავლების განაწილების საშუალო დონის ქვედა დაბალ მდგომარეობას და პრაქტიკულად, რაიმე შესამჩნევი გაუმჯობესება არ განუცდია. შეიძლება, ჩვენ არ ვართ ზრდის ტრაგედიის ("growth disaster") მდგომარეობაში, ანუ არ გვაქვს ეკონომიკური ზრდის ტემპები, რომლებიც გაცილებით ნაკლებია საშუალო მსოფლიო ზრდის ტემპებზე, მაგრამ საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპები არ ხასიათდება რაიმე გამოკვეთილი ტენდენციით (იხ.ქვემოთ „ფაქტი 2“) და არც ზრდის მონაცემების ზერელედ აღქმა გვაძლევს რეალური წარმოდგენას ზრდის (როცა ის გვაქვს) რეალურ მიზეზებზე და ამ ზრდაზე შემთხვევითი გარე ფაქტორების გავლენაზე.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ღარიბი ქვეყნები იყო და დღესაც დარჩნენ ღარიბ და უუნარო ქვეყნებად, საშუალო შემოსავლების რაღაც მდგრად ზრდას მაინც რომ მიაღწიონ. შედეგად ისინი რჩებიან საცხოვრებელი მინიმუმის დონეზე, როცა მსოფლიო შემოსავლები განუხრელად იზრდება დემურ გიორხელიძე (2021, გვ. 285-289). შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეპოქის მთელ მანძილზე ქვეყნებს შორის განსხვავება შემოსავლებში (საშუალოდ) გაიზარდა. იმ ფაქტიდან, რომ ინდუსტრიულ რევოლუციის მიჯნაზე ყველაზე მდიდარ ქვეყნებში საშუალო შემოსავლები მცირედ მაღალი იყო საცხოვრებელ მინიმუმზე, იმაზე მიგვითითებს, რომ სამყაროს სხვადასხვა ნაწილებს შორის საშუალო შემოსავლის დისპერსია უნდა იყოს დღეს არსებულ განსხვავებუ-ლობაზე დაბალი (იხ. Pritchett L. (1997)), მაგრამ, უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში დივერგენციის ან კონვერგენციის მკაცრად გამოკვეთილი რაიმე ტენდენცია არ შეინიშნებოდა.



(იხ. ნახ. 3. **GDP** მოსახლეობის ერთ სულზე **1960** და **2011** წელს

წყარო: Jones (2016: 35)

მოტანილი მცირე შედარებითი ანალიზიც კი მიმანიშნებელია იმისა, რომ აუცილებელია და საჭიროა ნათელი წარმოდგენა და გავერკვევა იმისა, თუ რა არის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი, ამისათვის კი მთელი ისტორიის მანძილზე ეკონომიკური ზრდის საკვანძო სტილიზებული ფაქტების დადგენაა აუცილებელი. ამ მიმართულებით საქართველოს მონაცემების ანალიზის მცდელობა და იმ არხების შესწავლა, რომელთა საშუალებითაც ტექნიკური პროგრესი (ინოვაციები) თუ სხვა ფაქტორები გავლენას ახდენს გრძელვადიანი ზრდის სტიმულირებაზე, განხორციელებულებული იქნა ავტორის წიგნში (დემურ გიორხელიძე (2021). იმის გარკვევას, თუ როგორ წარმოიქმნება ზრდის მასტიმულირებები სიახლეები და როგორ ვრცელდება ისინი ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის, მიყავართ ამ სამშენებლო ბლოკებით ზემოქმედების ხერხებისა და ცოდნის გავრცელების შედეგების განხილვამდე. ქვემოთ საქართველოსთან მიმართებაში, განხილულია ზრდის პერსპექტივების მომავლის განსაღვრისათვის აუცილებელი ფაქტებად დალაგებული შედეგები, გამოწვეული ღრმა პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისებით.

საქართველო. მაკროეკონომიკური ფაქტები

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში და როგორია ის ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტები, რომლის გათვალისწინებაც საქართველოს ეკონომიკური ზრდის მოდელისა და საერთოდ, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელია, რომ იგი (მოდელი)

სრულად ითვალსიწინებდეს არსებულ მდგომარეობას და არ ახდენდეს უცვლელი სახით იმ მოდელების მარტივ კოპირებას, რომლებიც სულ სხვა მაკროეკონომიკურ ფაქტებზე დაყრდნობით, დასავლეთის განვითარებული ეკონომიკების ეკონომიკურ ზრდას ხანგრძლივი დროის განმავლობაში საკმარისად კარგად ასახავს.

რეალური ფაქტების შინაარსში გარკვევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს არსებული მდგომარეობის ნათლად წარმოდგენისა და ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საუკეთესო გზების მოსახაზად. იმისათვის რომ პარალელების გავლება შევძლოთ, საქართველოსათვის ანალიზს ზუსტად იმ მოსაზრე-ბების ფარგლებში მოვახდენ, რა მოსაზრებებიც წინა პარაგრაფში იქნა გამოყენებული.

ფაქტი 1.

მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ს წილი ისევე როგორც GDP, არასრული 10 წლის განმავლობაში, ტრანსფორმაციის შოკის შედეგად 4,68-ჯერ (ანუ 468%-ით) დაეცა, რაც ერთი სახის ეკონომიკის სრული რღვევისა და ახალ ეკონომიკაზე ნახტომისებური გადასვლის ტოლფასია (იხ. ნახ. 2)

ცხრილში №1 მოცემულია ნახ. 2-ზე გამოსახული, 1965-2022 წწ-ში, მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ს მნიშვნელობების გამომსახველი გარფიკის შესაბამისი რიცხვითი მონაცემები 2015 წლის მუდმივ ფასებში, ათას დოლარებში, ხოლო ცხრილიში №2 მოცემულია GDP-ს მნიშვნელობები, გაანგარიშებული იგივე პირობებში. ამ შემთხვევაში GDP-ს გრაფიკის ცალკე წარმოდგენა არ არის აუცილებელი, რადგან იგი პრაქტიკულად იმეორებს მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ს გრაფიკის სახეს.

ცხრილში №1. საქართველო. GDP მოსახლეობის ერთ სულზე (1965-2022 წწ.)
(2015 წლის მუდმივ ფასებში, ათას აშშ დოლარებში)

1965	1796,1	1980	3965,3	1995	1033,0	2010	3100,7
1966	1909,1	1981	4137,0	1996	1191,2	2011	3356,9
1967	2009,1	1982	4184,2	1997	1359,4	2012	3597,1
1968	2079,7	1983	4326,0	1998	1436,7	2013	3738,6
1969	2158,7	1984	4522,0	1999	1508,6	2014	3902,5
1970	2395,6	1985	4704,1	2000	1566,5	2015	4014,1
1971	2429,4	1986	4181,3	2001	1667,5	2016	4128,3
1972	2473,2	1987	4300,5	2002	1774,6	2017	4327.6
1973	2610,5	1988	4494,7	2003	1984,2	2018	4539,0

1974	2815,8	1989	4160,4	2004	2112,2	2019	4773,3
1975	3001,4	1990	3546,1	2005	2329,5	2020	4447,6
1976	3161,6	1991	2778,3	2006	2563,5	2021	4931,7
1977	3356,7	1992	1519,0	2007	2901,1	2022	5424,6
1978	3585,0	1993	1065,7	2008	2980,3	_	
1979	3821,0	1994	969,7	2009	2837,1	_	

წყარო: World Bank national accounts data. GDP per capita (constant 2015 US $). Georgia (1965-2022):

ხრილში №2 მოცემულია 1965-2022 წწ-ში. საქართველოს GDP-ს შესაბამისი რიცხვითი მონაცემები, გამოსახული 2015 წლის მუდმივ ფასებში:

ცხრილი №2. საქართველო. GDP (2015 წლის მუდმივ ფასებში, მლნ აშშ დოლარი) (1965-2022)

1965	7,044	1980	17,70	1995	4,812	2010	11,741
1966	7,575	1981	18,635	1996	5,350	2011	12,61
1967	8,,808	1982	19,01	1997	5,913	2012	13,414
1968	8,407	1983	19,83	1998	6,097	2013	13,899
1969	8,808	1984	20,90	1999	6,272	2014	14,515
1970	9,870	1985	21,935	2000	6,387	2015	14,954
1971	10,11	1986	20,14	2001	6,694	2016	15,389
1972	10,40	1987	20,40	2002	7,060	2017	16,134
1973	11,075	1988	21,533	2003	7,841	2018	16,915
1974	12,05	1989	19,984	2004	8,296	2019	17,758
1975	12,94	1990	17,029	2005	9,091	2020	16,557
1976	13,73	1991	13,44	2006	9,947	2021	18,290

1977	14,68	1992	7,403	2007	11,20	2022	20,140
1978	15,77	1993	5,234	2008	11,47	_	
1979	16,93	1994	4,690	2009	11,051	_	

წყარო: World Bank national accounts data. GDP per capita (constant 2015 US $). Georgia (1965-2022): https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD?locations=GE

ფაქტი 2.

ეკონომიკური ზრდის ტემპები რაიმე გამოკვეთილი ტენდენციებით არ ხასიათდება (ნახ.4). ცხრილში №3 მოცემულია ნახ. 4-ზე გამოსახული გრაფიკის შესაბამისი რიცხვითი მონაცემები: 1966-2022 წწ.-ში, საქართველოში, მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ს ზრდის წლიური ტემპი, გამოსახული პროცენტებში. 1989 წლიდან დაწყებული, ზრდის ტემპების ვარდნამ, წლიური

ნახ. 4. GDP მოსახლეობის ერთ სულზე, ზრდის ტემპი (წლიური %). (1965-2022)



(_7,439%)-დან, პიკს 1992 წელს მიაღწია, როცა ვარდნამ (_ 45,325%) შეადგინა. უარყოფითი ვარდნა კიდევ ორი წელი გაგრძელდა და 1995 წლიდან, ამ მაჩვენებელმა თანდათანობით ზრდა დაიწყო (იხ. ცხრილი №3). საერთოდ მსოფლიოში, ამ მაჩვენებლის (მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ს ზრდის წლიური ტემპის) რხევის ამპლიტუდა 1973 წელს მაქსიმალური +4,476%-დან, 2009 წელს, _ ანუ მსოფლიოს უკანასკნელი ეკონომიკური კრიზისის (რომელიც 2008 წლის ფინანსური კრიზისით დაიწყო) ცხადად გამოკვეთის მომენტისათვის მხოლოდ (_2,932%)-მდე დაეცა, ისიც მოკლე პერიოდის განმავლობაში, მაშინ, როცა 2020 წელს, კოვიდ-პანდემიის პირობებში, მსოფლიო ეკონომიკა შემცირდა _4,3%-ით, რაც 2,5-ჯერ აღემატება გლობალური ეკონომიკური კრიზისის (2009 წელი) მსოფლიო ეკონომიკის ვარდნის მაჩვენებელს..

ცხრილი №3. საქართველო, მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ს ზრდის ტემპი (წლიური %, (1966-2015)

1965	_	1980	3,698	1995	5,365	2010	7,657
1966	6,313	1981	4,407	1996	14,040	2011	8,633
1967	5,213	1982	1,142	1997	12,580	2012	7,741
1968	3,513	1983	3,389	1998	4,123	2013	4,729
1969	3,802	1984	4,531	1999	3,673	2014	5,999
1970	10,975	1985	4,026	2000	2,627	2015	3,154
1971	1,410	1986	_8,987	2001	5,568	2016	2,788
1972	1,802	1987	0,449	2002	6,186	2017	4,800
1973	5,549	1988	4,516	2003	12,504	2018	4,900
1974	7,868	1989	_7,439	2004	7,254	2019	5,200
1975	6,591	1990	_14,765	2005	11,038	2020	_6,200
1976	5,335	1991	_21,653	2006	10,811	2021	10,900
1977	6,170	1992	_45,325	2007	13,830	2022	10,000
1978	6,804	1993	_29,841	2008	3,634		_
1979	6,583	1994	_ 9,488	2009	_ 2,391		_

წყარო: World Bank national accounts data. GDP per capita growth (annual %).Georgia (1966-2022):

https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG?end=2022&locations=GE&most_recent_year_desc=false&start=1966&view=chart

ფაქტი 3.

უმუშევრობის ციკლური მდგენელი და GDP-ს გეპის სიდიდეები სხვადასხვა მიმართულებით იცვლება როგორც ნახ. 5-დან ჩანს, ფაქტიური უმუშევრობის დონისა (u) და NAIRU-ს შორის სხვაობა (ან უმუშევრობის ფაქტიური დონის ციკლური მდგენელი) uციკლ. და GDP-ს გეპის ერთმანეთთან უარყოფითად კორელირებულია.კორელაციის კოეფიციენტი (_0.89342)-ის ტოლია, ანუ ახლოსაა (_1)-თან, რაც ნიშნავს, რომ ამ ორ სიდიდეს შორის კორელაცია შებრუნებულია, მაგრამ ძალზე მჭიდრო, ხოლო დახრა, რომელიც უდრის (_1.33077)-ს (ანუ ზრდის (ცვლილების) სიდიდე), _ უარყოფითია და საკმარისად სწრაფი (ციცაბო).

ცხრილი 3. უმუშევრობის ციკლური მდგენელი და GDP-ს გეპი

დაკვირვება	u	NAIRU	mSp სეზ.შესწ.	mSp პოტ.	u ციკლ.	mSp-ს gepi
1949-01-01	4.7	5.26	2007.5	2011.1	-0.56	-0.18
1952-01-01	3.1	5.36	2423.5	2355.5	-2.26	2.89
1955-01-01	4.7	5.37	2683.8	2638.8	-0.67	1.71
1958-01-01	6.3	5.40	2772.7	2876.5	0.90	-3.61
1961-01-01	6.8	5.51	3102.3	3219.8	1.29	-3.65
1964-01-01	5.5	5.57	3672.7	3648.4	-0.07	0.67
1967-01-01	3.8	5.78	4324.9	4162.8	-1.98	3.89
1970-01-01	4.2	5.88	4707.1	4734.2	-1.68	-0.57
1973-01-01	4.9	6.10	5380.5	5177.2	-1.20	3.93
1976-01-01	7.7	6.19	5618.5	5735.7	1.51	-2.04
1979-01-01	5.9	6.26	6433.0	6327.7	-0.36	1.66
1982-01-01	8.8	6.13	6475.0	6838.4	2.67	-5.31
1985-01-01	7.2	6.03	7469.5	7568.6	1.17	-1.31
1988-01-01	5.7	5.95	8339.3	8415.8	-0.25	-0.91
1991-01-01	6.6	5.82	8865.6	9193.0	0.78	-3.56
1994-04-01	7.1	5.54	9480.1	9717.6	1.56	-2.44
1997-01-01	5.2	5.15	10820.9	10855.7	0.05	-0.32
2000-01-01	4.0	5.01	12359.1	12231.1	-1.01	1.05
2003-01-01	5.9	5.00	13031.2	13459.6	0.90	-3.18
2006-01-01	4.7	4.97	14546.1	14473.7	-0.27	0.50
2009-01-01	8.3	4.92	14375.0	15244.8	3.38	-5.71
2012-01-01	8.3	5.13	15291.0	15734.5	3.17	-2.82

2015-01-01	5.5	4.83	16350.0	16473.1	0.67	-0.75
2016-01-01	4.9	4.75	16571.6	16738.0	0.15	-0.99
2017-01-01	4.7	4.74	16903.2	16992.2	-0.04	-0.52

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ნახ. 5-ზე გამოსახული გრაფიკებისა და კორელაციისა და დახრის სიდიდეების გამოსათვლელად საჭირო მონაცემები მოცემულია ცხრილში 3.6. შევნიშნავ, რომ ცხრილი შემოკლებულია და მონაცემები მხოლოდ ნახატზე მითითებულ დაკვირვების თარიღებს შეესაბამება. სრულყოფილი ცხრილი მოიცავს წლების მონაცემებს კვარტალური დაყოფით.

ნახ.5. უმუშევრობის დონის ციკლური მდგენელი და GDP-ს გეპი



ცხადია, ასეთი მდგომარეობა მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელებსა და მკვლევარებს პრობლების უფრო ნათლად წარმოდგენისა და უმუშევრობის მიზეზების უფრო ღრმად გააზრებისაკემ უბიძგებს. ამ კველევებში გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ რეჟიმში მუსაობს და მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნული საკითხის კვლევა სიფრთ-ხილეს მოითხოვს.

ფაქტი 4.

რეალური GDP-ს ზრდის ტემპი ძირითადად ფიზიკური კაპიტალისა და საერთო ფაქტორული პროდუქტიულობის (მწარმოებლურობის, ან ნაყოფიერების) ზრდა განაპირობებს. რეალური GDP-ს ზრდაში დასაქმებულთა რიცხოვნობის (ანუ შრომის) ზრდის წვლილი ძირითადად უარყოფითია, თუმცა, ტრენდი გამოკვეთილი არ არის.

ნახ. 6-ზე მოცემულია ეკონომიკურ ზრდაში (ანუ რეალურ GDP-ში) წარმოების ცალკეული ფაქტორების წვლილი, რომელიც აგებულია ცხრილი 4-ში მოცემული მონაცემების საფუძველზე. აქ მიღებულია შემდეგი აღნიშვნები: g _ რეალური GDP-ს ზრდის ტემპი (სულ);g_K = g_Kp + g_KG _ ფიზიკური კაპიტალის ზრდის ტემპის წვლილი, რომელიც წარმოდგენილია კერძო კაპიტალისა და მთავრობის (სახელმწიფო) კაპიტალის ზრდის ტემპების ჯამის სახით.

ცხრილი 4. ეკონომიკურ ზრდაში (რეალური GDP-ს ზრდა) წარმოების ფაქტორების წვლილი

	g	g_K	g_Kp	g_Kg	g_L	g_TFP	g_pot
1997 კვ. 1	8.3%	1.6%	1.4%	0.2%	-0.2%	7.0%	3.8%
1997 კვ. 4	6.5%	1.8%	1.6%	0.1%	-0.1%	4.9%	3.8%
1998 კვ. 3	5.3%	3.4%	3.2%	0.3%	3.7%	-1.9%	5.0%
1999 კვ. 2	3.5%	3.5%	3.4%	0.1%	1.1%	-1.1%	4.8%
2000 კვ. 1	7.1%	3.2%	3.2%	-0.1%	4.9%	-1.0%	4.5%
2000 კვ. 4	7.7%	2.7%	2.7%	0.0%	7.8%	-2.8%	4.4%
2001 კვ. 3	1.5%	3.0%	3.0%	0.0%	0.9%	-2.4%	5,4%
2002 კვ. 2	0.2%	2.5%	2.5%	0.0%	-2.0%	-0.3%	5.7%
2003 კვ. 1	6.2%	2.6%	2.5%	0.1%	-3.6%	7.2%	6,6%
2003 კვ. 4	15.2%	3.4%	3.1%	0.3%	1.4%	10.4%	8.1%
2004 კვ. 3	8.1%	3.7%	3.2%	0.5%	-2.3%	6.6%	8.7%
2005 კვ. 2	10.0%	4.2%	3.2%	1.1%	-1.4%	7.2%	9.1%
2006 კვ. 1	9.8%	4.9%	3.6%	1.2%	0.3%	4.6%	9.4%
2006 კვ. 4	11.0%	4.5%	2.8%	1.7%	-1.3%	7.9%	8.4%
2007 კვ. 3	13.7%	4.9%	3.4%	1.4%	-1.6%	10.4%	7.9%

2008 კვ. 2	8.0%	4.2%	2.7%	1.5%	-2.6%	6.4%	6.4%
2009 კვ. 1	-4.7%	2.5%	1.2%	1.4%	2.6%	-9.9%	4.1%
2009 კვ. 4	-0.4%	1.1%	-0.1%	1.2%	2.8%	-4.3%	2,6%
2010 კვ. 3	7.0%	1.7%	0.5%	1.1%	-1.3%	6.6%	3.3%
2011 კვ. 2	5.8%	2.6%	1.4%	1.3%	1.0%	2.1%	4.5%
2012 კვ. 1	6.7%	3.1%	2.1%	1.0%	2.8%	0.8%	5.1%
2012 კვ. 4	3.6%	3.3%	2.3%	1.0%	-0.4%	0.7%	5.2%
2013 კვ. 3	1.3%	1.9%	1.6%	0.3%	-1.6%	1.0%	3.6%
2014 კვ. 2	5.1%	2.3%	1.9%	0.4%	1.5%	1.3%	3.7%
2015 კვ. 1	3.0%	3.0%	2.6%	0.5%	1.6%	-1.6%	4.0%
2015 კვ. 4	3.0%	3.2%	2.7%	0.5%	0.6%	-0.8%	3.8%
2016 კვ. 1	3.1%	3.1%	2.7%	0.5%	-0.3%	0.2%	3.7%
2016 კვ. 4	2.7%	3.1%	2.8%	0.4%	-0.9%	0.5%	3.5%

წყარო: https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL?locations=GE

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, მოსახლეობის რაოდენობის ნახტომისებური კლება მოხდა (1993 წელს მოსახლეობის რაოდენობა 4 911 100 კაციდან (მოსახლეობის მაქსიმუმი საქართველოსთვის. იხ. United Nations Population Division. World Population Prospects: 2022 Revision. Population, total _ Georgia. https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL?locations=GE) 2013 წლის ბოლოს 3 718 668 კაცამდე შემცირდა (მოსახლეობის მინიმუმი ბოლო 30 წლის განმავლობაში) შემცირად, _ კლებამ 1 192 432 კაცი შეადგინა), მას შემდეგ ამ დონის სიახლოვეს რჩება უმნიშვნელო გადამეტებით. 2022 წლისთვის ბოლოსთვის საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3 712 502 კაცს. უახლოესი 20 წლის განმავლობაში მოსახლეობის კლების ტენდენცია შენარჩუნებული იქნება. ამის გამომწვევი მიზეზი დემოგრაფიულ ფაქტორთან ერთად, მოსახლეობის საკმარისად მაღალი მიგრაციაც არის, რასაც, ცხადია, ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა განაპირობებს. ამდენად, მოსაზრება, რომ რაც მეტია მოსახლეობის რიცხოვნობა, მით მეტი ადამიანი იქნება დაკავებული საკუთრივ ეკონომიკასა და სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებების (Research and Development, R&D) სექტორში, საქართველოს პირობებში არ და ვერ იმუშავებს ადამიანური რესურსის კლების გამო. საქართველოში ადამიანური კაპიტალის, დღეისათვის როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორის მნიშვნელოვნება, რომელსაც შეუძლია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და განვითარების უზრუნველყოფა, საკმარისად ადრე იქნა გააზრებული (იხ. დემურ გიორხელიძე (2003), (იხ. გვ. 136)):

''თანამედროვე ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა არა წარმოების საშუალებების უპირატესი ზრდა, არამედ გრძელვადიანი ინვესტიციები მეცნიერებაში, განათლებაში, ადამიანის ჯანმრთელობაში''.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იხ., აგრეთვე, დემურ გიორხელიძე (2018),

გამოყენებული ლიტერატურა

Summers R., Heston A. (1991). The Penn World Table (Mark 5): Ax Expanded set of International Comparisons, 1950-1988 // Quarterly Journal of Economics. Vol. 106, May. pp. 327-368.

Blanchard O.J., Fisher St. (1993). Lectures on Macroeconomics. Cambridge: MA.: MIT Press (იხ. Chapter 1, pp. 1-20). იხ. აგრეთვე, ამ წიგნის რუსული გამოცემა: Бланшар Оливье, Фишер Стенли. Лекции по Макроэкономике. 2014. - 680 с. (იხ. Глава 1, стр. 12-33).

Acemoglu D. (2009). Introduction to Modern Economic Growth. Published by Princeton University Press. (იხ. Economic Growth and Economic Development: The Questions. pp. 3-21).

Jones C. I. (2016). The Facts of Economic Growth. Handbook of Macroeconomics Paper. Vol. 2A, pp.3-69. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD?end=2020&locations=GE&start=1965&view=chart (ნახ. 1-თან დაკავშირებით).

World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files.

https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD?end=2022&locations=GE&start=1965&view=char (ნახ. 2-თან დაკავშირებით).

Pritchett L. (1997). Divergence, BigTime // Journal of Economic Pers pectives. Vol. 11. Summer. pp. 3-17).

გიორხელიძე დ. (2021). თანამედროვე (უმაღლესი) მაკროეკონომიკა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისი.

გიორხელიძე დ. (2003). საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები. თბილისი.

გიორხელიძე დ. (2018). ადამიანური კაპიტალის მდგომარეობა და ეკონომიკური ზრდის პრობლემები საქართველოში. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი „აკადემიური მაცნე“. გვ. 220-226.

Macroeconomic facts. Georgia

Demur Giorkhelidze
Professor
Grigol Robakidze University

The paper discusses and systematizes the macroeconomic facts that have been formed in Georgia during the last several decades and create a common basis for understanding and understanding the processes of economic growth and development. These facts allow us to understand in the medium and long-term perspective (20-30 years), what the possibilities of economic growth can be, on what basis macroeconomic policy should be built and to make growth forecasts. In any case, at least the rating is acceptable. Due to the nature of the modern economy, this is a very difficult issue, but it is possible using modern means (methods) of assessment.

Keywords: macroeconomic facts, economic growth, macroeconomic policy, growth forecasting

CBDC - ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტა: უპირატესობები და ნაკლოვანებები

მალხაზ ჩიქობავა
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
malkhaz.chikobava@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-196-204

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია CBDC-ის (ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების) უპირატესობები და სავარაუდო ნაკლოვანებები. აღნიშნულმა საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა მოიპოვა 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში მთელი მსოფლიო მოიცვა ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC) შექმნის ციებრ-ცხელებამ. ასზე მეტი ცენტრალური ბანკი დაკავებულია ამ თემით. მოცემულ საკითხში ყველაზე მეტად დაწინაურებულთა რიგებს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, შვედეთის, ყაზახეთის, რუსეთის ფედერაციისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები. დაახლოებით ათეულ ქვეყანაში ხელისუფლებამ უკვე გამოაცხადა ციფრული ვალუტის დანერგვის შესახებ. მაგრამ ეს არის უპირატესად მცირე იურისდიქციები, რომლებიც, ექსპერტების აზრით, გამოიყენება, როგორც საგამოცდო პოლიგონი. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკმა (BIS), ღრმად შეისწავლა CBDC-ის საკითხი. ის უწევს საკონსულტაციო დახმარებას ცალკეული ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს ციფრული ვალუტის პროექტების მომზადებაში და ასევე იწყებს პროექტებს ცალკეული ქვეყნების ციფრული ვალუტების სისტემების დასაკავშირებლად, რათა გამოიყენონ CBDC, როგორც ქვეყნებს შორის გადახდის საშუალება. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ BIS-ს აქვს შორსმიმავალი მიზნები შექმნას ერთიანი CBDC ყველა ქვეყნისთვის - გლობალური ციფრული ვალუტა, რომელმაც უნდა შეცვალოს აშშ დოლარი (Heller, 2021). რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF), ბოლო დრომდე CBDC-ის თემა მისთვის პერიფერიულ ინტერესს წარმოადგენდა. თუმცა, 2023 წლისათვის სავალუტო ფონდის ინტერესი შეიცვალა ციფრული ვალუტის მიმართ. მიმდინარე წლის აპრილში ვაშინგტონში ჩატარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის (WB) მმართველი ორგანოების ყოველწლიური საგაზაფხულო სესია, სადაც ადგილი ჰქონდა არაერთ გამოსვლას CBDC-ის თემაზე.*

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ვალუტა, კრიპტოვალუტა, ბიტკოინი, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა, კომერციული ბანკები, ცენტრალური ბანკი.*

****

2023 წლის მაისში Project Syndicate-ში გამოქვეყნდა სტატია Who's Afraid of Central Bank Digital Currencies? (ვის ეშინია ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების?). მისი ავტორია საბერძნეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, პარტია MeRA25-ის ლიდერი და ათენის უნივერსიტეტის პროფესორი იანის ვარუფაკისი (Varoufakis, 2023).

თავის მსჯელობას ის იწყებს შორიდან და მხოლოდ სტატიის ბოლოში გადადის CBDC-ის (ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის) თემაზე. მსჯელობა ეფუძნება ამერიკის საბანკო სისტემის

მაგალითს. ავტორი განიხილავს ამერიკული ბანკის First Republic Bank-ის (FRB) ისტორიას, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში პრაქტიკულად გაკოტრებული აღმოჩნდა. რომ ჩატარებულიყო ამერიკული კანონმდებლობით გათვალისწინებული ბანკის გაკოტერების პროცედურა, მაშინ დეპოზიტების დაზღვევის ფედერალურ კორპორაციას (FDIC) მოუწევდა მეანაბრეებისთვის დიდი რაოდენობით სახაზინო ფულის გადახდა დაზღვეული თანხის ფარგლებში (ეს შეადგენს 250 000 აშშ დოლარს). მაგრამ სხვა ვარიანტი იქნა არჩეული. მონეტარულმა ხელისუფლებამ მოაწყო FRB აქტივების გაყიდვა JPMorgan Chase-ზე. ეს უკანასკნელი აქტივებისა და რიგი სხვა მაჩვენებლების მიხედვით უოლ სტრიტის უმსხვილესი ბანკია.

აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, არცერთ ბანკს, რომელიც ფლობს აშშ-ში დაზღვეული დეპოზიტების 10%-ზე მეტს, არ უნდა ჰქონდეს გაფართოების უფლება სხვა ამერიკული ბანკის შთანთქმით. ხაზინის ფულის დაზოგვის მიზნით კი მოთხოვნა დაირღვა. ჯეიმი დაიმონმა, JPMorgan Chase-ის ძლევამოსილმა ხელმძღვანელმა, შეთანხმებას მიაღწია თავის ბანკში 50 მილიარდი დოლარის საკრედიტო ხაზის მიღებაზე და FDIC-თან ზარალის გაზიარებაზე, რამაც გამოიწვია 13 მილიარდი დოლარის ზარალი ამერიკელი გადასახადის გადამხდელებისთვის.

ოპერაციის ნეგატიური შედეგია არა მხოლოდ ის, რომ ამერიკელი გადასახადის გადამხდელი კიდევ ერთხელ მონაწილეობს ჩაძირული ბანკის გადარჩენაში, არამედ ის, რომ ბანკის ზომა, რომელიც TBTF (too big to fail - ძალიან დიდი იმისთვის, რომ გაკოტრდეს) კოჰორტაში შედის, ყველა დასაშვებ ნორმას გადააჭარბა. საბოლოო ჯამში, ეს ზრდის სისტემურ რისკებს.

იანის ვარუფაკისი საკუთარ თავს „ლიბერტარიანელ მარქსისტს“ უწოდებს, სხვები კი „ჯონ კეინზს ცოტა მარქსით“. FRB-ის გადარჩენაზე საუბრისას ბერძენი ეკონომისტი რეალურად საუბრობს საფრთხეებსა და შედეგებზე, რომლებიც წარმოიქმნება საბანკო კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესში.

ამერიკული ბანკების Silicon Valley Bank-ის, Signature Bank-ისა და First Republic-ის კოლაფსზე საუბრისას ვარუფაკისი მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ პირველი ნიშნებია. ფედერალური სარეზერვო სისტემის კურსი საკვანძო განაკვეთის შემდგომი ზრდის მიმართულებით, ნიშნავს აშშ-ის ბანკების აქტივების შემდგომ გაუფასურებას, რომლებმაც წინა წლებში დააგროვეს დაბალპროცენტიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების დიდი პორტფელი. და უოლ სტრიტის „უკვდავი“ მკვიდრნი გადაარჩენენ მომაკვდავ ბანკებს. აქ მოცემულია სტატიის ავტორის მნიშვნელოვანი შუალედური დასკვნა: *„ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს დინამიკა მალე შეწყდეს. უფრო მეტი ბანკი გაკონტრედება, რაც დაეხმარება TBTF ბანკებს საზოგადოებისთვის კიდევ უფრო სერიოზული სისტემური საფრთხეების შექმნაში. ხელისუფლებას არა მხოლოდ შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, რომ თითქოს მათი გადასახადების ეკონომია ხდება, არამედ ისინი ნიადაგს უქმნიან მომავალ საბანკო კრიზისს, რომელიც გაღიზიანებულ საზოგადოებას კიდევ უფრო მეტის გადახდას აიძულებს“.*

არსებობს თუ არა ალტერნატივა დღევანდელი საბანკო სისტემის მიმართ, თავისი გაკოტრებითა და საბანკო კაპიტალის მუდმივი კონცენტრაციითა და ცენტრალიზაციით? ვარუფაკისის მიხედვით არსებობს. საუბარია ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტაზე, ანუ CBDC-ზე დაფუძნებული საბანკო სისტემის აშენებაზე. არსებითად, ეს სისტემა უნდა შედგებოდეს ცენტრალური ბანკისგან, რომელშიც ანგარიშები გაიხსნება ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის გამონაკლისის გარეშე. ამ სისტემაში კომერციული ბანკების ადგილი არ იქნება. CBDC პროექტის დასასრულს, ნაღდი ფული და უნაღდო ფული გაქრება და კომერციული ბანკები, როგორც უსარგებლო და არასაჭირო ინსტიტუტი,

გაუქმდება. სწორედ ამის ეშინიათ ადამიანებს, ასეთ მოდელს ციფრულ საკონცენტრაციო ბანაკს უწოდებენ.

და იანის ვარუფაკისი მიესალმება ამას. ლოგიკა ასეთია: „არანაირი კომერციული ბანკი – არანაირი პრობლემა“. კერძოდ, პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო ინსტიტუტების გაკოტრებასთან და საბანკო კაპიტალის კონცენტრაციასთან და ცენტრალიზაციასთან, გაქრება. მისი აზრით, კომერციული ბანკები ბოროტები არიან, ხოლო ცენტრალური ბანკი თავისი ციფრული ვალუტით კარგია.

ვარუფაკისი გვიხატავს ჰიპოთეტურ სურათს იმის შესახებ, თუ რას გააკეთებდნენ დღევანდელი FRB მომხმარებლები, ციფრული დოლარი რომ უკვე დანერგილი ყოფილიყო:

„განვიხილოთ, თუ როგორ იმოქმედებს აშშ-ის ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა, ანუ, CBDC, First Republic-ის შემთხვევაში. იმის ნაცვლად, რომ FDIC გარანტიას გასცემდეს საბანკო დეპოზიტების თაობაზე გადასახადის გადამხდელთა ფულით, ფედერალური სარეზერვო სისტემა ქმნის ციფრულ ანგარიშებს (ან საფულეებს) First Republic-ის მეანაბრეებისთვის და ურიცხავს მათ თავიანთ ბალანსზე. მეანაბრეებს შეუძლიათ შეინახონ ფული თავიანთ ახალ ანგარიშზე ფედერალური სარეზერვო სისტემაში, განახორციელონ გადახდები ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ მოწოდებული მომხმარებლის სახელისა და PIN-ის გამოყენებით, ან გადარიცხონ ნაშთები ნებისმიერ სხვა საბანკო ანგარიშზე. ფედერალური სარეზერვო სისტემაში მათ ანგარიშზე ყოფნისას, მათი დეპოზიტები დე-ფაქტო გარანტირებულია ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ, გადასახადის გადამხდელებზე დაკისრების ან სხვა ბანკებიდან მოსაკრეფლების ამოღების საჭიროების გარეშე“.

სტატიის ავტორს კარგად ესმის, რომ მას უამრავი მოწინააღმდეგე ეყოლება, რომლებიც იტყვიან, რომ მის მიერ მოწოდებული მოდელი სხვა არაფერია, თუ არა ციფრული საკონცენტრაციო ბანაკი. ის კი თავის ოპონენტებს ასე პასუხობს: განა ამჟამინდელი უნაღდო ფული არ იძლევა მათი მფლობელების ტრანზაქციებზე თვალყურის დევნებისა და საჭიროების შემთხვევაში ამ მფლობელებზე საჭირო გავლენის მოხდენის საშუალებას (ვთქვათ, კომერციულ ბანკებში ანგარიშების დაბლოკვით)?

„მე წარმომიდგენია CBDC-ის აღშფოთებული ოპონენტები როგორ ეძგერებიან თავიანთ კლავიატურას, რათა გამსაჯონ დიდი ძმის ბოროტი მცდელობისადმი ხელშეწყობის გამო, რათა გააკონტროლის მოქალაქეების ყოველი ტრანზაქცია. მაგრამ ისინი შეცდომით სხვა ხეს უყეფენ. ციფრული ფული უკვე აქ არის, ის სულ უფრო ანაცვლებს ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას. თვალის დახამხამებაში, შიდა შემოსავლების სამსახურს, FBI-ის და ადგილობრივ პოლიციასაც კი დაუყოვნებლივ აქვს წვდომა ჩვენს გადახდებზე. ჯასტინ ტრუდოს, კანადის პრემიერ მინისტრს, არ სჭირდებოდა CBD-ი, რათა გაეყინა ვაქცინაციის მოწინააღმდეგე ტრაილერების მძღოლების საბანკო ანგარიშები. ბანკები და მსხვილი ტექნიკური კომპანიები რეგულარულად თიშავენ ან უარს ამბობენ ვაჭრობაზე იმ ადამიანებთან, რომელთა შეხედულებები მიჩნეულია უადგილოდ. სხვა სიტყვებით, ჩვენ ვცხოვრობთ ტექნო-ფეოდალურ საზოგადოებაში, სადაც უნდა ვითხოვოთ ნებართვა ჩვენი ბანკისგან გადახდაზე და, ირიბად, ჩვენი მთავრობისგან. ჩვენი ციფრული გადახდები შეიძლება ცენტრალიზებულად დაიბლოკოს საკრედიტო ბარათების ემიტენტი-კომპანიების, ბანკების, ბიუროკრატიისა და არაანგარიშვალდებული, არაგამჭვირვალე შუამავლების მიერ.“

სრული სიმართლე - ასე კომენტარი შეიძლება გავაკეთო ამ ფრაგმენტზე. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხალხი ჯიუტად ებრძვის ბანკირების მიერ თავსმოხვეულ „უნაღდო სამოთხის“ პროექტს.

შემდგომ ვარუფაკისის სტატიაში სრულიად უცნაური და ალოგიკური დასკვნა თითქოს CBDC-ზე გადასვლა ხალხს დაიცავს ბანკირების მიერ ტრადიციული უნაღდო ფულის საფუძველზე აშენებული „ციფრული საკონცენტრაციო ბანაკის“ პროექტისგან და ხალხი, საბოლოოდ, მოიპოვებს ნანატრ თავისუფლებას: *„შესაძლოა, ინტუიციის საწინააღმდეგოდ, CBDC-ებს შეუძლიათ გააუმჯობესონ მოქალაქეების კონფიდენციალურობა სტატუს-კვოსთან შედარებით და დაგვიცვას უზომოდ ცენტრალიზებული ძალაუფლებისგან. შემოწმებისა და ბალანსის სისტემა შეიძლება დაინერგოს მონაცემთა მართვის ორ განცალკევებულ და განსხვავებულ სისტემაზე... CBDC-ის სათანადო და დემოკრატიულად კონტროლირებადი განთავსებამ შეიძლება მოიტანოს გადასახადების შეგროვების, დეფლაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და დიდი ძმისგან (და მისი მრავალი უმცროსი ძმისგან) დაცვის გაძლიერების ერთობლივი უპირატესობა.“*

ყურადღება მივაქციოთ სიტყვებს „ინტუიციის საწინააღმდეგოდ“. შეგიძლიათ დაამატოთ: „ლოგიკის საწინააღმდეგოდ“. CBDC-ის შესახებ ასეთი იდეები სრულიად მოწყვეტილია რეალურ ვითარებას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფულის ბატონებს („გლობალური კულუარული ძალები“, „სიღრმული სახელმწიფო“, „დიდი ძმის პარტია“) სურთ გახდნენ მსოფლიოს მფლობელები. CBDC-ის პროექტი არა იმდენად ფულზე, არამედ ძალაუფლებაზეა გათვლილი. მთელ მსოფლიოში ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, ცენტრალურ ბანკებს მიეცათ ბრძანება ციფრული ვალუტის შემუშავების შესახებ. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მონაცემებით, ამჟამად მას 110-მდე ცენტრალური ბანკი ავითარებს (მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკიც). CBDC პროექტი არის საბანკო კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის უმაღლესი და ბოლო ეტაპი, რომელიც ასრულებს ციფრული საკონცენტრაციო ბანაკის მშენებლობას გლობალური მასშტაბით და საერთოდ აუქმებს ყველა ფულს, რადგანაც საკონცენტრაციო ბანაკში ფული ანაქრონიზმია.

უკვე საკმაოდ ბევრი დაიწერა და ითქვა იმის შესახებ, თუ რა საფრთხის მომტანია ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტები (ინგლისურენოვანი აბრევიატურა - CBDC) კაცობრიობისათვის: ის მას თავისუფლების ნარჩენებსაც ართმევს; კაცობრიობა აღმოჩნდება ცენტრალური ბანკების ელექტრონული საბურველის ქვეშ. კაცობრიობა არა მხოლოდ კონტროლდება, CBDC ხდება ადამიანის ქცევის მართვის ინსტრუმენტი, ხოლო ყველაზე დაუმორჩილებლების მოსპობა უბრალოდ შესაძლებელი იქნება CBDC ანგარიშისადმი ხელმისაწვდომობის ბლოკირების მეშვეობით.

უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა CBDC-ს ისეთ ასპექტს, როგორიცაა კომერციული ბანკების შესაძლო მოსპობა ახალი ვალუტის შემოღების შემდეგ. პირველად საკრედიტო ორგანიზაციების ამ საფრთხის შესახებ უფრო ვრცლად ნათქვამია ფილადელფიის ფედერალური სარეზერვო ბანკის მოხსენებაში „Central Bank Digital Currency: Central Banking for All?“ („ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა: ცენტრალური ბანკი ყველასათვის?“). https://www.philadelphiafed.org/consumer-finance/payment-systems/central-bank-digital-currency-central-banking-for-all ამ 32 გვერდიანმა დოკუმენტმა დღის სინათლე იხილა 2020 წელს. მასში საკმაოდ ვრცლადაა საუბარი აშკარა მხარეებზე: ოფიციალური ციფრული ვალუტის ემისია ხდება ცენტრალური ბანკის მიერ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის. აღნიშნული CBDC-ის განთავსება ხდება ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე. თუკი ადრე იურიდიული პირებისათვის ფულის ძირითადი ნაწილის ემისია ხდებოდა კომერციული ბანკების მიერ (კრედიტების სახით) და მათი განთავსება ხდებოდა იმავე კომერუციული ბანკების დეპოზიტებსა

თუ სხვა ანგარიშებზე, CBDC-ის სქემაში ციფრული ვალუტა ახდენს არა მარტო ნაღდი ფულის, არამედ ასევე უნაღდო ფულის ჩანაცვლებას (ანუ, იმ ფულისა, რომლის ემისია ტრადიციულად ხდებოდა კომერციული ბანკების მიერ).

რა თქმა უნდა, კომერციულ ბანკებს შეუძლიათ დამოუკიდებელი ორგანიზაციების გარკვეული იერსახის შენარჩუნება. რაღაც დროის მანძილზე ისინი შეძლებენ ცენტრალური ბანკების „ციფრულ ვალუტებთან" თანაარსებობას. მაკრამ მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ ისინი ვერ გაუძლებენ კონკურენციას ცენტრალურ ბანკებთან და შეწყვეტენ არსებობას, როგორც კლასიკური სადეპოზიტო-საკრედიტო ორგანიზაციები. ისინი უკვე აღარ მოგვევლინებიან ახალი ფულის ემიტენტებად, არამედ შეასრულებენ მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ფინანსური შუამავლების ფუნქციას ცენტრალურ ბანკსა და ფიზიკური და იურიდიული პირების სამყაროს შორის. კონკრეტულად კი, ის გააკონტროლებს CBDC-ის დაყვანას საბოლოო მოსარგებლემდე (ფიზიკურ და იურიდიულ პირებამდე), აგრეთვე უშუალოდ გააკონტროლებს საბოლოო მოსარგებლის ქცევას. რა თქმა უნდა, ახლანდელი კომერციული ბანკები სულაც არ არიან უცოდველი ორგანიზაციები, ისინი მიმართავენ მრავალ ბოროტქმედებას და არღვევენ იურიდიულ და მორალურ ნორმებს როგორც აქტიური, ისე პასიური ოპერაციების ნაწილში. მაგრამ სუპერმონოპოლიის - ციფრული ცენტრალური ბანკის შექმნა, რომელიც მოახდენს უველა დეპოზიტის უზურპაციას, ყველა საკრედიტო ოპერაცია კიდევ უფრო მეტი ბოროტება გახდება.

მოხსენება მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „... ჩვენ ვასკვნით, რომ CBDC და მასთან დაკავშირებული ცენტრალური ბანკი, ღიაა ყველასთვის, ნამდვილად შეუძლიათ უზრუნველყონ ვადიანობის სოციალურად ოპტიმალური ტრანსფორმაცია, ლიკვიდობის დაზღვევა და საბანკო ოპერაციების შემცირება. თუმცა, ის ასევე უხილავ ძალას აძლევს ცენტრალურ ბანკებს. არ არის უსაფუძვლო ფიქრი ასეთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ". ანგარიში შეიცავს შემდეგ ფრაზას: „ამ მასალაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და არ ასახავს ფედერალური სარეზერვო სისტემის ან ფილადელფიის ფედერალური სარეზერვო ბანკის შეხედულებებს". როგორც ჩანს, ფილადელფიის ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა გადაწყვიტა „ჩალის დაყრა": ანგარიში შეიცავს ძალიან მკაცრ შეტევას ფედერალურ რეზერვზე და ციფრულ დოლარზე.

აღსანიშნავია, რომ იმავე 2020 წლის ზაფხულში, საერთაშორისო ბიზნეს გაზეთმა Financial Times-მა მოულოდნელად გამოაცხადა, რომ CBDC-ის გამოშვება მძიმედ დააზარალებს მომხმარებელთა მონაცემთა კონფიდენციალურობას და თავისუფლებებს ციფრულ სივრცეში. გარდა ამისა, FT-ის თანახმად, CBDC-ის შემოღებამ შეიძლება ძირი გამოუთხაროს კერძო ბანკებს, განსაკუთრებით კრიზისების დროს, იმის გათვალისწინებით, რომ კერძო პირებს და მსხვილ საწარმოებს შეეძლებათ საბანკო ოპერაციების განხორციელება პირდაპირ სახელმწიფოსთან და არა შუამავლის მეშვეობით. „... სისულელე იქნება გარისკვა კერძო კრედიტორთან დეპოზიტების დატოვებით", - აღნიშნა FT-მა.

და აი, სებასტიან სინკლერის საინტერესო სტატია „Fed Paper: Central Bank Digital Currencies Could Replace Commercial Banks – But at a Cost" („ფედ-ის ქაღალდი: ცენტრალური ბანკის ციფრულმა ვალუტამ შეიძლება შეცვალოს კომერციული ბანკები, მაგრამ გარკვეული ფასის გადახდით"). https://www.coindesk.com/policy/2020/06/05/fed-paper-central-bank-digital-currencies-could-replace-commercial-banks-but-at-a-cost/ ის გამოჩნდა ფილადელფიის ფედერალური სარეზერვო ბანკის ზემოთ ნახსენები ანგარიშიდან ერთი წლის შემდეგ და აგრძელებს წამოჭრილი თემის განხილვას. როგორც სათაურიდან ჩანს, სტატიის ავტორი უკვე უფრო დარწმუნებული აცხადებს, რომ CBDC-ის შემოღების შემდეგ ტრადიციული კომერციული ბანკების გაქრობის ალბათობა მაღალია.

2021 წლის ივნისში JPMorgan Chase-ის სტრატეგმა ჯოშ იანგერმა თავის ინტერვიუში Bloomberg-ის გამომცემლობასთან აღიარა, რომ CBDC-ის შექმნა დიდი საშიშროების შემცველია კომერციული საბანკო სტრუქტურისთვის. მან აღნიშნა, რომ CBDC-ის შექმნამ საცალო დაკრედიტებისათვის შეიძლება გამოიწვიოსაშშ-ის კომერციული ბანკებიდან კაპიტალის მკვეთრი გადინება. ისინი დაკარგავენ 20%-დან 30%-მდე დაფინანსებას ოფიციალური ციფრული ვალუტის გამოშვების შემდეგ.

ბანკები იწყებენ თავიანთი არსებობის საფრთხის აღიარებას CBDC პროექტებიდან. ამრიგად, მიმდინარე წლის მარტში, იტალიის კომერციული ბანკების ასოციაციამ (ABI), რომელიც მოიცავს 700-მდე წევრს, კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა ციფრული ევროს შემუშავებისადმი (ის 2020 წლიდან გრძელდება). თუმცა, ABI-ს მონაწილეებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ ციფრული ევროს შემოღების შემდეგ კერძო მომხმარებლებსა და კომპანიებს ექნებათ პირდაპირი წვდომა ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა გაქრეს კომერციული ბანკების მომსახურების საჭიროება. ABI-მ მოუწოდა ევროპის ცენტრალურ ბანკს (ECB) შეინარჩუნოს ბანკების როლი, როგორც შუამავლისა CBDC-ების გამოყენებაში. ციფრულმა ევრომ კონკურენცია არ უნდა გაუწიოს ფინანსური ინსტიტუტების არსებულ ინსტრუმენტებს და ხელი არ უნდა შეუშალოს დამატებითი საბანკო სერვისების მიწოდებას, განაცხადა ABI-მ. https://bits.media/italyanskie-banki-potrebovali-ot-etsb-sokhranit-za-nimi-rol-posrednikov-pri-vnedrenii-tsifrovogo-evr/

გერმანიის ბანკების ასოციაციამ ასევე სთხოვა ECB-ს მარტში დაუშვას კომერციული ფინანსური ინსტიტუტები მონაწილეობა მიიღონ ციფრული ევროს შემუშავებასა და გაშვებაში. დამკვირვებლების აზრით, გერმანული ბანკების ასეთი აქტიური პოზიცია განპირობებულია იმით, რომ მათ სურთ დაიზღვიონ თავი, რათა დარჩნენ ფინანსური სისტემის სრულფასოვან მონაწილეება CBDC-ის ფართო დანერგვის პირობებში. https://bits.media/nemetskie-banki-poprosili-u-etsb-razresheniya-na-uchastie-v-zapuske-tsifrovogo-evro/

მართალია, თემის „CBDC და კომერციული ბანკები“ განხილვისას, ზოგიერთი ექსპერტი ხედავს პლიუსს კომერციული ბანკების მიერ ფულის გამოშვების შესაძლებლობის შესაძლო დაკარგვაში. ფულის მიწოდების ძირითად ნაწილს ხომ ჯერჯერობით არა ცენტრალური ბანკები, არამედ კომერციული ბანკები ქმნიან. ეს უკანასკნელი ფულს „ჰაერიდან“ ქმნიდა. დეპოზიტზე განთავსებული ფულის ერთი ერთეულზე მათ შექმნეს (და აგრძელებენ შექმნას) ფულის რამდენიმე ახალი ერთეული. ეკონომიკის სახელმძღვანელოებში ამას უწოდებენ „ვალდებულებების ნაწილობრივ დაფარვას“ (კომერციული ბანკების). ზოგიერთი ექსპერტი კი თვლის, რომ ამჟამინდელი ინფლაციური ფულის დიდი ნაწილი კომერციული ბანკების ამ შეუკავებელი ემისიის შედეგია.

სტატიაში Pure Evil („სუფთა ბოროტება“) https://entrepreneurshandbook.co/pure-evil-c0c2148f81ab., BitMEX-ის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი არტურ ჰეისი წერს, რომ CBDC-ზე გადასვლა ცენტრალურ ბანკებს საშუალებას მისცემს გააკონტროლონ ფულის მიწოდება და ამისგან გაათავისუფლონ კომერციული ბანკები. ეს კი ეჭვქვეშ აყენებს ბანკების შემდგომ არსებობას: „ბანკებისთვის CBDC წარმოადგენს ეგზისტენციალურ საფრთხეს მათი არსებობისთვის…“. მართალია, ჰეისი თვლის, რომ CBDC-ის ისეთი პლიუსი, როგორიცაა ფულის მიწოდებაზე და ინფლაციაზე უფრო მკაცრი კონტროლი, ანაზღაურდება ისეთი მინუსებით, როგორიცაა მოქალაქეებისათვის თავისუფლების აღკვეთა: „მე ვთვლი, რომ უმრავლესობის აპათია საშუალებას მისცემს მთავრობებს ადვილად წაიღონ ჩვენი ფიზიკური ფული და ის შეცვალოს CBDC-ით, რომელიც ავლენს ფინანსური ზედამხედველობის უტოპიას (ან ანტიუტოპიას)“.

და აი, ბოლო სტატია, რომელიც გამოქვეყნდა 2023 წლის 25 თებერვალს „BlockChain“ ვებ-გვერდზე სათაურით „CBDC-ის გავლენა საბანკო ინდუსტრიაზე“ (https://www.block-chain24.com/articles/vliyanie-cbdc-na-bankovskuyu-otrasl). მასში საუბარია კომერციული ბანკებისთვის CBDC-ის შესაძლო დადებით და უარყოფით მხარეებზე. მაგრამ ზოგადად, უფრო მეტი უარყოფითი მხარეა. CBDC-ებს აქვთ პოტენციალი, ძირი გამოუთხაროს საბანკო ინდუსტრიას სხვადასხვა გზით. აი რამდენიმე გზა: „საბანკო შუამავლობის აღმოფხვრა შესაძლოა იყოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება. CBDC-ებს შეუძლიათ მომხმარებლებს ციფრული ვალუტების შენახვის ნება დართონ პირდაპირ ცენტრალურ ბანკთან და არა კომერციული ბანკების საშუალებით. ეს შეამცირებს ბანკების მნიშვნელობას საგადახდო სისტემაში და მათ შესაძლებლობას გამოიმუშაონ შემოსავალი ტრადიციული საბანკო მომსახურებით. კიდევ ერთი პოტენციური შეფერხება, რაც შეიძლება CBDC-ებმა მოიტანონ, არის კონკურენციის გაზრდა. მომხმარებლებმა შეიძლება ნაკლებად გამოიყენონ ბანკები საგადახდო მომსახურებისთვის, თუ მათ შეუძლიათ ციფრული ვალუტების შენახვა პირდაპირ ცენტრალურ ბანკში. CBDC-ებს ასევე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საბანკო დეპოზიტებზე. მომხმარებლებმა შეიძლება ნაკლებად შეინახონ საშუალებები ტრადიციულ საბანკო დეპოზიტებზე, თუ მათ შეუძლიათ ციფრული ვალუტების შენახვა პირდაპირ ცენტრალურ ბანკში. ამან შეიძლება გამოიწვიოს დაფინანსების მოცულობის შემცირება, რომელიც ხელმისაწვდომია ბანებისათვის დაკრედიტების მიზნით, რაც პოტენციურად გამოიწვევს დაკრედიტების შემცირებას…“

რუსულ მედიაში ფრთხილი საუბრები იწყება თემაზე „CBDC და კომერციული ბანკები“. აი, მაგალითად, დიმიტრი მანილოვის სტატია „რუსეთის უარი კომერციულ ბანკებზე. უტოპია თუ რეალობა“ (https://forpost-sz.ru/a/2022-10-28/otkaz-rossii-ot-kommercheskikh-bankov-utopiya-ili-realnost). ავტორი აღნიშნავს, რომ ციფრულ რუბლზე რუსეთის ბანკის წინადადებებში არაფერია ნათქვამი კომერციული ბანკების შესაძლო გაუქმებისა და თანდათანობით გაქრობის შესახებ: „ფინანსურ მარეგულირებელს შეეშინდა ორდონიანი მონეტარული სისტემის (ცენტრალური ბანკისა და კომერციული საკრედიტო დაწესებულებების კონტურის) საფუძვლების მორყევა. ცენტრალური ბანკის ვალუტაში ციფრულ დეპოზიტებზე გადასვლა გამოიწვევს უნაღდო ფულის მასიურ გადინებას, რომლის ემისიასაც ისინი ახდენენ კრედიტების მეშვეობით. სწორედ ასეთი ოპერაციები „კვებავს“ კომერციულ ბანკებს - ფულის მულტიპლიკატორის ეფექტს, როდესაც კრედიტი მეტი გაიცემა, ვიდრე დეპოზიტებითა და ანაბრებითაა მოზიდული. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის ტოტალური დომინირების სისტემაში ბანკების როლი მინიმუმამდე შემცირდება“. უცნაური იქნებოდა, თუ რუსეთის ბანკი ციფრული რუბლის პროექტის დასაწყისშივე ხმამაღლა გამოაცხადებდა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთის საბანკო სისტემა შეიძლება გახდეს ერთსაფეხურიანი: ცენტრალური ბანკი დარჩება, ხოლო კომერციული ბანკები დაიღუპებიან.

აღსანიშნავია, რომ შემახველი ბანკის (სბერბანკის) ხელმძღვანელმა გერმან გრეფმა 2016 წლიდან არაერთხელ განაცხადა, რომ კომერციული ბანკები მალე გაქრება. როგორც ჩანს, გრეფმა იცოდა „ფულის ბატონების“ გრძელვადიანი გეგმები, რადგან ის იყო უოლ სტრიტის მთავარი ბანკის, JPMorgan Chase-ის საერთაშორისო საბჭოში. რუსი ბანკირები, რომელთა წინაშეც სბერბანკის ხელმძღვანელმა ისაუბრა, ვერ დაიჯერეს ასეთი პროგნოზების. როგორც ჩანს, ახლა მათდამი აღწევს გერმან გრეფის „წინასწარმეტყველების“ მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა

Heller A. Patrick, (2021). Will Basel 3 Boost Gold and Silver Prices? May 20, 2021 https://www.numismaticnews.net/coin-market/will-basel-3-boost-gold-and-silver-prices

https://bits.media/italyanskie-banki-potrebovali-ot-etsb-sokhranit-za-nimi-rol-posrednikov-pri-vnedrenii-tsifrovogo-evr/

https://bits.media/nemetskie-banki-poprosili-u-etsb-razresheniya-na-uchastie-v-zapuske-tsifrovogo-evro/

https://entrepreneurshandbook.co/pure-evil-c0c2148f81ab.

https://forpost-sz.ru/a/2022-10-28/otkaz-rossii-ot-kommercheskikh-bankov-utopiya-ili-realnost).

https://reosh.ru/valentin-katasonov-cbdc-zakat-epoxi-kommercheskix-bankov.html

https://www.block-chain24.com/articles/vliyanie-cbdc-na-bankovskuyu-otrasl).

https://www.coindesk.com/policy/2020/06/05/fed-paper-central-bank-digital-currencies-could-replace-commercial-banks-but-at-a-cost/

https://www.fondsk.ru/news/2023/06/12/khozyaeva-deneg-rvutsya-stat-khozyaevami-mira.html

https://www.philadelphiafed.org/consumer-finance/payment-systems/central-bank-digital-currency-central-banking-for-all

IMF, (2023). IMF Approach to Central Bank Digital Currency Capacity Development, April 11, 2023. https://www.imf.org/en/Publications/Policy-Papers/Issues/2023/04/12/IMF-Approach-to-Central-Bank-Digital-Currency-Capacity-Development-532177

Varoufakis Yanis, (2023). Who's Afraid of Central Bank Digital Currencies? May 15, 2023. https://www.project-syndicate.org/commentary/central-bank-digital-currency-would-upend-financial-industry-by-yanis-varoufakis-2023-05

CBDC - Digital Currency of Central Banks: Advantages and Disadvantages

Malkhaz Chikobava
PhD in Economics, Associate professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
malkhaz.chikobava@tsu.ge

Summary

The article discusses the advantages and possible disadvantages of CBDC (Central Bank Digital Currencies). This issue gained special relevance after the global financial crisis of 2008-2009. It is no exaggeration to say that in recent years the entire world has been swept up in the fever of creating Central Bank Digital Currency (CBDC). More than a hundred central banks are engaged in this topic. Central banks of the People's Republic of China, India, Sweden, Kazakhstan, the Russian Federation and some other countries can be considered the most advanced in this matter. In about a dozen countries, the authorities have already announced the introduction of digital currency. But it's mostly the smaller jurisdictions that experts say are being used as testing grounds. The Bank for International Settlements (BIS) has studied the issue of CBDC in depth. It provides advisory assistance to individual countries' central banks in the preparation of digital currency projects and also initiates projects to connect individual countries' digital currency systems to use CBDC as a means of payment between countries. Some experts suggest that the BIS has far-reaching goals to create a single CBDC for all countries - a global digital currency that should replace the US dollar (Heller, 2021). As for the International Monetary Fund (IMF), until recently the topic of CBDC was of peripheral interest to it. However, by 2023, the IMF's interest has shifted towards digital currency. In April of this year, the annual spring session of the governing bodies of the International Monetary Fund and the World Bank (WB) was held in Washington, where there were a number of speeches on the topic of CBDC.

Keywords: digital currency, cryptocurrency, bitcoin, central bank digital currency, commercial banks, central banks.

მდგრადი ურბანიზაცია და ზიფის კანონი საქართველოს ქალაქებისთვის

ლია თოთლაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
მთავარი მეცნიერთანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
lia.totladze@tsu.ge

მამუკა ხუსკივაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
მთავარი მეცნიერთანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
mamuka.khuskivadze@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-205-212

ანოტაცია. თანამედროვე პოსტპანდემიურ სამყაროში, სადაც პანდემიით გამოწვეულს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის გამო წარმოქმნილი გლობალური ხასიათის ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ლოჯისტიკური და სხვა სახის პრობლემები, ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების შესაბამისი ტემპები, იზრუნოს მაკროეკონომიკურ გარემოზე. ურბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. იგი მრავალმხრივი მოვლენაა და ცალსახად მისი შეფასება შეუძლებელია. ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. ანალიზირებულია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ემპირიულ ასპექტში კი განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის რაოდენობრივ ასპექტებს და განხილულია ზიფის კანონი საქართველოს ქალაქების სიდიდესთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარების მიზნები, ურბანიზაცია, მოდელირება, ზიფის კანონი;*

შესავალი

ურბანიზაცია, როგორც ფენომენი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების ნათლად და ცხადად განსაზღვრულ მიზნებში (SGI). მდგრადი განვითარების კონცეფცია განსაკუთრებული აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულებში. ამ მიზნებს შორისაა - მდგრადი ქალაქები და დასახლებები, რომელიც არსობრივად სწორედ ურბანიზაციის აქტუალურ საკითხებს უკავშირდება.

რამ განაპირობა მდგრადი განვითარების მიზნებში ურბანიზაციის ფაქტორის აქტივაცია?

თანამედროვე ეპოქაში ურბანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს სოციალურ ტრანსფორმაციას და უშუალო კავშირშია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პროცესებთან (Liddle, B. 2017). უნდა აღინიშნოს, რომ ეს კავშირი და შესაბამისად დამოკიდებულება არ არის ცალმხრივი. მიზეზ-შედეგობრივი კავშირები შესაძლოა სხვადასხვა მიმართულების აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, ქვეყნის განვითარება განაპირობებს ურბანულ პროცესებს, მეორე მხრივ კი ურბანიზაცია გავლენას ახდენს შემოსავლების განაწილებაზე, სამართლიანობაზე, ეკოლოგიაზე და ზოგადად ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან მახასიათებლებზე.

ურბანიზაცია გულისხმობს ადამიანთა პოპულაციების კონცენტრაციას ცალკეულ ადგილებში, როდესაც ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი იზრდება ქვეყნის მთელს მოსახლეობაში. ეს კონცენტრაცია იწვევს მიწის ტრანსფორმაციას საცხოვრებელი, კომერციული, სამრეწველო და სატრანსპორტო მიზნებისთვის. ურბანიზაციის შედეგად მიღებული დადებითი ეფექტების გარდა, სწრაფმა ურბანიზაციამ და ინდუსტრიალიზაციამ, გამოკვეთა ისეთი სოციალური პრობლემები, როგორიცაა უთანასწორობა და დისბალანსი რაც სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. ამან საფრთხე შეუქმნა მდგრადი განვითარებას განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სწორედ ამიტომ ეს საკითხი დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ურბანიზაცია მრავალმხრივი მოვლენაა და შეუძლებელია მისი გაზომვა ერთი კონკრეტული მაჩვენებლის მიხედვით. განვითარებადი ქვეყნების საქალაქო არეალში მოსახლეობის დიდი რაოდენობა და მათი ზრდა არ შეიძლება შეფასდეს როგორც ცალსახად დადებითი მოვლენა. მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა ზრდის სიკვდილიანობისა და დაავადებების განვითარების რისკებს. ეკოლოგიური მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად. ეკოლოგიურ სურათს ამძიმებს არა მხოლოდ ჰაერის ხარისხის გაუარესება გამონაბოლქვისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით, არამედ სწრაფი განაშენიანება გავლენას ახდენს და იმატებს წყალდიდობების, შტორმების, მეწყერების და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების ალბათობა. ქალაქებში დაბალი შობადობის მაჩვენებელი, რაც ქვეყნის დემოგრაფიულ სურათზე აისახება, გაუარესებული ეკოლოგიური მდგომარეობა, სოციალური უთანაბრობის ზრდა და ა.შ. ურბანიზაციის პროცესის თანამდევი ნეგატიური ეფექტებია.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ურბანიზაცია შემოსავლების მზარდ დონესა და სოციალური ინდიკატორების გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული (სოციალური ინდიკატორები მოიცავს სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, განათლების დონეს, ინფრასტრუქტურას, სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობასა და სხვა). ურბანული ქვეყნები, შემოსავლების უფრო მაღალი დონით, ძლიერი ინსტუტიტებითა და სტაბილური ეკონომიკით გამოირჩევა, და ამავდროულად სტაბილურობა განაპირობებს იმას, რომ მათ შეუძლიათ გაუძლონ მსოფლიო ეკონომიკურ რყევებსაც. საკმაოდაა კვლევები, რომლებშიც ემპირიულად დასტურდება დამოკიდებულება ქალაქის მოსახლეობის წილის ზრდასა და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ შემოსავლის ზრდას შორის. იკვეთება დადებითი კორელაცია ამ ორ მაჩვენებელს შორის.

ამ კონტექსტში საინტერესოა ჩინეთის მაგალითი, სადაც განვითარების მაღალი ტემპისა და ახალი ტიპის ურბანიზაციის შედეგად გაიზარდა უთანასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის. ბოლოდროინდელი ფაქტები აჩვენებს, რომ ეს სწრაფი ზრდა არ არის მდგრადი. მაგალითად, ჩინეთის საოცარ ეკონომიკურ ზრდას თან ახლდა სოფლისა და ქალაქების მაცხოვრებლებს შორის შემოსავლის უთანასწორობის პრობლემები და ეკო გარემოს დეგრადაცია (Li He, Xiaoling Zhang 2022). როგორ

შეიძლება მიღწეული იქნება გონივრული და ოპტიმალური დამოკიდებულება ურბანიზაციასა და ქალაქ-სოფელს შორის თანასწორობას შორის. ეს არის კრიტიკული საკითხი განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების და მათ შორის საქართველოსთვისაც.

სწორედ აღნიშნულს უკავშირდება ურბანული განვითარების და ურბანული მდგრადობის შესახებ ლიტერატურის შესამჩნევი ზრდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაეროს მიერ მდგრადი განვითარების მიზნებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ურბანიზაციის თემამ. ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ შემოსავლების მზარდმა უთანასწორობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას და გამოიწვიოს სოციალური არასტაბილურობა (Alesina & Perotti, 1996; Lu & Chen, 2006; Cheong & Wu, 2014; და სხვები, 2019). არაერთი ემპირიული კვლევა ადასტურებს ურბანიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებასაც. რა თქმა უნდა კავშირი არაწრფივია. ურბანიზაცია აქვს პოტენციალი მოახდინოს ეკონომიკური ზრდის აქსელერაცია და ეს პოტენციალი ცხადია თავის მხრივ დამოკიდებულია ინსტიტუციურ გარემოსა და შესაბამის ინფრასტრუქტურაზე.

ურბანიზაცია ეხება ქალაქების ფიზიკურ, ადამიანურ და ეკონომიკურ განვითარებას. იგი მოიცავს ხალხისა და სოციალური აქტივობების კონცენტრაციას, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით. ურბანიზაციის ხარისხი განპირობებულია როგორც მოსახლეობის ბუნებრივი ზრდით და მიგრაციით, ასევე ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებებით, რაც ადამიანებს უბიძგებს მიგრაციისკენ ურბანულ რაიონებში, რომლებსაც აქვთ დასაქმების შესაძლებლობები. ურბანიზაციის დონის შეფასებისათვის ფართოდ გავრცელებული მიდგომის მიხედვით გამოიყენება შემდეგი ფორმულა (Bloom et al. 2010):

$$Urban_t = \frac{PU_t}{PU_t + PR_t}$$

სადაც $Urban_t$ - აღნიშნულია ურბანიზაციის დონე, PU_t და PR_t გამოხატავს შესაბამისად ურბანულ და არაურბანულ მოსახლეობის რიცხოვნობას.

როგორც აღვნიშნეთ, გლობალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ქალაქთა ზრდის რეგულირება წარმოადგენს. ურბანიზაციის არეალებში მოსახლეობის რიცხოვნობის უპრეცედენტო ზრდის მართვა განვითარებულ ქვეყნებშიც კი პრობლემატური გახდა. რატომ არის საჭირო ამ პროცესის გონივრულ ჩარჩოებში მოქცევა?

რთულია განისაზღვროს რამდენი უნდა იყოს ქალაქის მოსახლეობა, ანუ როგორი უნდა იყოს მოსახლეობის კონცენტრაციის დასაშვები ზღვარი. რა თქმა უნდა ასევე რთულია განისაზღვროს ოპტიმალური პროპორცია ქალაქსა და სოფელს შორის, ურბანიზაციის ხარისხი, ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის და აგლომერაციების ხარისხი.

უაღრესად საინტერესოა ზიფის (George Kingsley Zipf) კანონი ქალაქების ზომის შესახებ. ზიფი ინგლისელი ლინგვისტი, რომელმაც ემპირიული დაკვირვების საფუძველზე გამოავლინა კანონზომიერი დამოკიდებულება ლინგვისტიკაში. შემდგომში, საკმაოდ წარმატებითაც ზიფის კანონი გამოყენებულ იქნა ეკონომიკაშიც. კანონი არაერთ ემპირიულ კვლევაში დადასტურდა კიდეც. Zipf-ის კანონი ქალაქებისთვის არის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ემპირიული გამოხატულებაა ეკონომიკაში, და ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში.

დღეისათვის ითვლება რომ Zipf-ის კანონი უნივერსალურია ქალაქებისთვის, მკვლევარები ფართოდ იყენებენ ამ კანონს, როგორც სახელმძღვანელოს ურბანული სისტემების გასაგებად. თავდაპირველად მეცნიერის ფ. აუერბახის (F. Auerbach) მიერ ემპირიული კვლევების შედეგად გამოვლინდა რომ ქალაქების ზომის განაწილება შეესაბამებოდა პარეტოს განაწილებას.

ვ. პარეტო შემოსავლების დიფერენციაციის საკითხის კვლევისას მივიდა დასკვნამდე რომ: მოსახლეობის 20% ფლობს სიმდიდრის 80%-ს, ხოლო მოსახლეობის 80% კი მხოლოდ სიმდიდრის 20%-ს. განაწილებას ანალიტიკურად შემდეგი სახე აქვს:

$$y(x) = A\,x^{-\alpha} \qquad (1)$$

მისი ექვივალენტური ფორმა:

$$\log(y) = \log(A) - \alpha \log(x) \qquad (2)$$

სადაც x არის მოსახლეობის ზომა, y არის x-ზე დიდი ქალაქების რაოდენობა, A და α კი მუდმივები.

ფ. აუერბახმა წამოაყენა ჰიპოთეზა „ქალაქის ზომის ქვეყნის ან რეგიონის დონეზე მის რანგთან ემპირიული დამოკიდებულების შესახებ“. სწორედ ამ ჰიპოთეზის საფუძველზე იქნა შემოთავაზებული ზიფის კანონით ცნობილი ტერმინი (ანუ ზიფის განაწილება წარმოადგენს პარეტოს განაწილების კერძო შემთხვევას, როდესაც პარეტოს ინდექსი α 1-ის ტოლია). რაც უფრო მაღალია პარეტოს ინდექსი, მით უფრო თანაბრად არის განაწილებული ქალაქის სისტემა. ინდიკატორის დაბალი მნიშვნელობებით, ქალაქების სისტემა არათანაბარია. ექსტრემალურ შემთხვევებში, როდესაც ექსპონენტა მიდრეკილია უსასრულობისკენ, ქალაქის სისტემა ერთგვაროვანია, ქალაქები ერთი და იგივე ზომისაა. თუ მაჩვენებელი ნულის ტოლია, მაშინ მთელი მოსახლეობა კონცენტრირებულია ერთ ქალაქში. ზიფის კანონის არსი შემდეგში მდგომარეობს: თუ მოვახდენთ ქალაქების რანჟირებას მოსახლეობის რიცხოვნობის კლების მიხედვით, ორი ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის თანაფარდობა მათი რანგების თანაფარდობის უკუპროპორციული იქნება“. უფრო ზოგადად, Zipf-ის მიხედვით, თუ განვიხილავთ ქალაქების სისტემას, უდიდესი ქალაქი დაახლოებით ორჯერ აღემატება სიდიდით მეორე ქალაქს, სამჯერ აღემატება სიდიდით მესამე ქალაქს და ა.შ. აღნიშნული ფორმულირების ფორმალიზაცია კი შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

$$y(x) = A\,x^{-1} \qquad (3)$$

ზიფის კანონის ტესტირება არაერთი შერჩევის საფუძველზე განხორციელდა და ემპირიულად დადასტურდა კიდეც აშშ-სა და ჩინეთში პ. კრუგმანის, კ. გაბაიკსის, ი. იოანიდესის და ოვერმანის და სხვა მეცნიერთა მიერ.

ზიფის კანონის ვიზუალიზაციისთვის X ღერძზე განვათავსოთ შესაბამისი ქალაქი (ქალაქის ზომა, რომელიც გამოხატულია მოსახლეობის რიცხოვნობით), Y ხოლო ღერძზე კი ქალაქის რანგი (უკვე განხორციელებული რანჟირებული სიის მიხედვით). ნახაზი #1-ზე კი მოცემულია კრისტელის, ბატისა და პიეტრონელოს (*Cristelli, M., Batty, M. & Pietronero, L. 2012)* მიერ განხორციელებული ემპირიული კვლევის გრაფიკული დადასტურება.

ნახ. 1 მსოფლიო 61 ქალაქის ზომის განაწილება ზიფის კანონის შესაბამისად



წყარო: Cristelli, M., Batty, M. & Pietronero, L. (2012)

პოლ კრუგმანის მიერ (კრუგმანი, 1996) აშშ 135 მეტროპოლიიის საფუძველზე განხორციელებულ კვლევითაც დადასტურდა ჰიპოთეზა და ამ შემთხვევაში განტოლებას ჰქონდა შემდეგი სახე:

Ln Rank = 10.53 - 1.005 Ln Size, (4)

სადაც დამოკიდებულ ცვლადად განხილულია ქალაქის რანგის ნატურალური ლოგარითმი, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადი კი წარმოადგენს შესაბამისი ქალაქის ზომის ნატურალურ ლოგარითმს. აღნიშნული განტოლება (დამოკიდებულება შერჩევის საფუძველზე) გამოხატავს ზიფის კანონს.

საქართველოს ქალაქების ზომის მიხედვით (კვლევისათვის განვიხილეთ 28 ქალაქი) რანჟირების შემდეგ ქალაქების რანგსა და მის ზომას შორის დამოკიდებულებას გრაფიკს კი ნახ.#2-ზე წარმოდგენილი სახე აქვს. წარმოდგენილი გრაფიკი გვაძლევს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას: პირველი - ცხადად ჩანს რომ საქართველოს შემთხვევა შესაბამისობაშია ზემოთ აღწერილ კანონზომიერებასთან, გამონაკლისს წარმოადგენს თბილისი, რომლის მოსახლეობაც რამდენადმე აღემატება სხვა ქალაქების მოსახლეობის რიცხოვნობას. მეორე - საქართველოს შემთხვევა რომ შესაბამისი იყოს ზიფის მრუდისა ქალაქების ზომის შესახებ, თბილისის მოსახლეობა უნდა შეადგენდეს 500 000 – 600 000 -ს.

ნახ. 2. საქართველოს ქალაქების ზომის განაწილება ზიფის მრუდის შესაბამისად



წყარო: გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ 2015 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით და მოიცავს საქართველოს 28 ქალაქს.

დასკვნა

ურბანიზაციის, როგორც მოვლენის მნიშვნელობაზე მეტყველებს ფაქტი, რომ მდგრადი განვითარების მიზნებში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ურბანიზაცია შემოსავლების მზარდ დონესა და სოციალური ინდიკატორების გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული. ურბანული ქვეყნები გამოირჩევიან შემოსავლების უფრო მაღალი დონით, ძლიერი ინსტიტუტებითა და სტაბილური ეკონომიკით და მათ აქვთ უნარი, გაუძლონ მსოფლიო ეკონომიკურ რყევებს.

ამავდროულად, გლობალურ პრობლემათა შორის უმწვავეს პრობლემას ქალაქთა ზრდის რეგულირება წარმოადგენს. პრობლემის აქტუალობა განპირობებულია ურბანიზაციის როგორც ფენომენის მრავალმხრივობით. მას დადებით ეფექტებთან ერთად თან ახლავს ნეგატიური გავლენაც, რაც უმთავრესად უკავშირდება ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებას - მოსახლეობის სიმჭიდროვის ხარისხის ზრდა იწვევს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას, დაავადებათა ზრდას და ა. შ. აუცილებელია შესწავლილ იქნეს ქალაქის მოსახლეობის ზრდის მიზეზები.

საქართველოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე რეალობაში ქალაქის მოსახლეობის ზრდა უკავშირდება უმთავრესად ქვეყნის მოსახლეობის სოფლიდან ქალაქში მიგრაციულ პროცესებს. მართალია მიგრანტთა შემოდინება აქტუალური გახდა საქართველოსთვის რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ, მაგრამ ამ პროცესს არ ჰქონია დიდი მასშტაბი. საქართველოს ქალაქების ზომის მოდელირება ზიფის კანონის შესაბამისად კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ ქვეყნის დედაქალაქი ძალიან დიდია სხვა ქალაქების ზომებთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Cristelli, M., Batty, M. & Pietronero, L. (2012). There is More than a Power Law in Zipf. Sci Rep 2, 812 . https://doi.org/10.1038/srep00812

Li He, Xiaoling Zhang (2022). The distribution effect of urbanization: Theoretical deduction and evidence from China. Habitat International. 123. doi.org/10.1016/j.habitatint.2022.102544.

Xavier Gabaix (1999). Zipf's Law for Cities: An Explanation. The Quarterly Journal of Economics, Oxford University Press. Vol. 114, No. 3, pp. 739-767.

Liddle, B. (2017). The Urbanization, Development, Environment, and Inequality Nexus: Stylized Facts and Empirical Relationships. ADBI Working Paper 788. Tokyo. https://www.adb.org/publications/urbanizationdevelopment-environment-and-inequality-nexus.

Nguyen Minh Ha, Nguyen Dang Le, Pham Trung-Kien (2019). The Impact of Urbanization on Income Inequality: A Study in Vietnam. J. Risk Financial Management, 12, 146; doi:10.3390/jrfm12030146.

Totladze L., Khuskivadze M, Veshapeli G. (2022). THE ROLE OF HUMAN CAPITAL IN THE FORMATION OF DETERMINANTS OF INNOVATION ACTIVITY. *ECONOMICS, BUSINESS AND ADMINISTRATION*, [S.l.], n. II, p. 71-80, ISSN 2720-8249. Available at: http://www.sciencejournals.ge/index.php/bu/article/view/302

Totladze L., Khuskivadze M. (2022). ადამიანკაპიტალის გაზომვის კონცეპტუალური ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3. ISSN 1987-5789, ESSN2587-5426

Totladze L., Khuskivadze M. (2022). The Impact of Human Capital and Innovation Determinants on Economic Growth: Evidence from Georgia. International Journal of Business & Management Studies. ISSN 2694-1430 (Print), 2694-1449 (Online) Volume 03; Issue no 09: September, p. 28-33 https://doi.org/10.56734/ijbms.v3n9a4

Totladze L. (2020) Government Expenditure on Education and R&D as a Factor of Human Capital and its Impact on Economic Growth. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. „ეკონომისტი“, 2020, #2. ISSN 1987-6890 https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.02.TOTLADZE ;

Sustainable Urbanization and Ziph's Law for Georgian Cities

Lia Totladze
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Chief research fellow
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
lia.totladze@tsu.ge

Mamuka Khuskivadze
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State UniversityChief research fellow
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
mamuka.khuskivadze@tsu.ge

Summary

In the modern post-pandemic world to pandemic challenges were added global humanitarian, economic, logistical, and other problems caused by the Russia-Ukraine war. In this context, it is vital for all countries to maintain the appropriate rate of sustainable development to protect the macroeconomic environment. The phenomenon of urbanization maintains a special place in sustainable development goals. The paper discusses the concept of urbanization as a social transformation and its relationship to the country's development indicators. The positive and negative effects of urbanization are analyzed. The article emphasizes empirical aspects of population concentration and considers Zipf's law for Georgian cities.

Keywords: Sustainable development goals; Urbanization; Modelin; Zipf's law

გიგ-ეკონომიკა (Gig Economy) და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

მურმან ცარციძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
murman.tsartsidze@tsu.ge

შოთა გაბადაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
shota.gabadadze@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-213-224

***ანოტაცია**. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების თავისებურებების გათვალისწინებით, ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოქნილი შრომის ბაზრის ფორმირება. ეს უკანასკნელი გულისხმობს დასაქმების თანამედროვე მოქნილი ფორმების განვითარებასა და ეფექტიან გამოყენებას. დასაქმების მოქნილი, თავისუფალი ფორმები ვითარდება გიგ-ეკონომიკის პირობებში. იგი დაფუძნებულია ახალი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომელიც თანამედროვე კომპანიებისაგან მოითხოვს დასაქმებისა და მენეჯმენტის პრობლემებისადმი ტრადიციული მიდგომების საფუძვლიან გადახედვას და თანმიმდევრულ ინტეგრაციას აბსოლუტურად ახალ ციფრულ სივრცეში. გიგ-ეკონომიკის პირობებში ასევე ხორციელდება სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება და იგი მნიშვნელოვნად აფართოებს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების (ახალგაზრდები, ქალები, ინვალიდები, პენსიონერები და სხვა) დასაქმების შესაძლებლობებს. ნაშრომში განხილულია გიგ-ეკონომიკის არსი, მისი ფუნქციონირების თავისებურებები და განვითარების ტენდენციები საქართველოში. დასაბუთებულია, რომ გიგ-ეკონომიკის პირობებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული ბიზნესი და სერვისის, დასაქმების სხვადასხვა ფორმები ძირითადად მოქცეულია ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში და იგი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ნაშრომში ასევე შეფასებულია გიგ-ეკონომიკის განვითარების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მისი გავლენა ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესზე.*

***საკვანძო სიტყვები:** გიგ-ეკონომიკა, შრომის ბაზარი, დასაქმება, დისტანციური დასაქმება, არაფორმალური დასაქმება, შრომითი ურთიერთობები.*

შესავალი

გლობალურმა ეკონომიკურმა პროცესებმა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით განვითარებამ XXI საუკუნეში საფუძველი ჩაუყარა ახალი „გიგ-ეკონომიკის“ ფორმირებას, რომელიც დაფუძნებულია დისტანციურ შრომაზე (ცარციძე, 2020). ეს უკანასკნელი გულისხმობს შრომის პირობების (ადგილი, დრო, ინტენსივობის ხარისხი და სხვა) აბსოლუტურად თავისუფალ არჩევანს დამსაქმებლის დავალების შესასრულებლად, მისი საჭიროებისათვის. განვითარებულ ქვეყნებში

კომპანიებმა და ზოგადად ბიზნესის სფეროს საწარმოებმა დაიწყეს თანმიმდევრული ინტეგრაცია ამ აბსოლუტურად ახალ ციფრულ სივრცეში, რომელიც მოითხოვს დასაქმებისა და მენეჯმენტის პრობლემებისადმი ტრადიციული მიდგომების საფუძვლიან გადახედვას, გადასინჯვას. კემბრიჯის ლექსიკონის მიხედვით „გიგ-ეკონომიკა“, ისეთი ეკონომიკაა, რომელსაც საფუძვლად არასაშტატო მომუშავეთა შრომითი საქმიანობა უდევს (Gig Economy. https:// edunet.pro/). მას აგრეთვე უწოდებენ მოკლევადიანი კონტრაქტების ეკონომიკას, რადგან „გიგ-ეკონომიკა“-ს პირობებში დროებითი სამუშაო, ანუ მოქნილი გრაფიკით დასაქმება ჩვეულებრივი მოვლენაა. გიგ-ეკონომიკის ზუსტი სიტყვიერ თარგმანის მოძიება ძალზე რთულია. თუმცა „make gig”-პირდაპირი მნიშვნელობით ითარგმნება, როგორც „გასტროლების ორგანიზება ფულის სწრაფად გამომუშავების მიზნით“. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „Gig Economy“ დაკავშირებულია თავისუფალი ბაზრის სისტემასთან, სადაც ტრადიციული კომპანიები ქირაობენ დამოუკიდებელ შტატგარეშე მომუშავე პერსონალს, მოკლევადიანი კონტრაქტების საფუძველზე ინდივიდუალური დავალებების, პროექტების შესასრულებლად (Maceiej Duszynski, 2020). კონტრაქტის შესაბამისად მუშაკი ანაზღაურებას იღებს არა ნამუშევარი საათების, არამედ სამუშაოს, მომსახურების შესრულების შედეგების მიხედვით. ტერმინი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უკავშირდება ხელოვნების სფეროს. პირველად იგი საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული იქნა 1926 წელს, როცა ბრიტანულმა მუსიკალურმა ჟურნალმა გამოიყენა სიტყვა „gig“, მუსიკალურ გამოსვლასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდებოდა მის ანაზღაურებას. მას შემდეგ ეს ტერმინი გამოიყენება არამუდმივი, დროებითი სამუშაოს აღსანიშნავად (What is the gig economy? https://www.techtarget.com/). იგი ხელს უწყობს დასაქმების მოქნილი, თავისუფალი ფორმების განვითარებას და დაფუძნებულია ახალი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომელიც თანამედროვე კომპანიებისაგან მოითხოვს შრომითი ურთიერთობების სფეროს პრობლემებისადმი ტრადიციული მიდგომების საფუძვლიან გადახედვას და თანმიმდევრულ ინტეგრაციას ამ აბსოლუტურად ახალ ციფრულ სივრცეში. გიგ-ეკონომიკის პირობებში ასევე ხორციელდება სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება და იგი მნიშვნელოვნად აფართოებს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების (ახალგაზრდები, ქალები, ინვალიდები, პენსიონე-რები და სხვა) დასაქმების შესაძლებლობებს.

გიგ-ეკონომიკა და მისი განვითარების თავისებურებები

რადგან „გიგ-ეკონომიკა“ უპირატესად დაფუძნებულია ინტერნეტზე თავისუფალ წვდომასა და აქტიურად განვითარებად ტექნოლოგიებზე, მან უპირატესად განვითარება ჰპოვა აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. კონსალტინგური კომპანიის McKinsey კვლევის შედეგების მიხედვით ამ ქვეყნებში მომუშავე მოსახლეობის 20.0%-30.0% დასაქმებულია დროებით სამუშაოებზე, ან მუშაობენ დისტანციურად დამოუკიდებელი მოიჯარეების სახით. მათ შორის არიან მუდმივ სამუშაობზე დასაქმებულებიც, რომელთაც სურთ დამატებითი გამომუშავება სხვა სამუშაოზე შეთავსებით. ანუ ე.წ. „გიგ-მუშაკების“ კატეგორიაში შედიან: ონლაინ პლათფორმის გამოყენებით მომუშავე დამოუკი-დებელი პირები, კონტრაქტორები; კომპანიებში კონტრაქტით მომუშავე პირები; მოთხოვნის საფუძ-ველზე მოწვეული პირები და განსაზღვრული ვადით (დროებით) მომუშავე პირები. ისინი აფორმებენ ოფიციალურ კონტრაქტს კომპანიებთან განსაზღვრული სამუშაოს, მომსახურების შესრულებაზე (Donovan, Sarah..., 2020). Upwork и Freelancers Union-ის ანალიტიკოსების პროგნოზული მონაცემების შესაბამისად 2027 წლისათვის აშშ-ის „გიგ ეკონომიკა“-ში დასაქმებული მომუშავეთა რაოდენობა გადა-აჭარბებს მუდმივ სამუშაოებზე დასაქმებულ მომუშავეთა რაოდენობას (https://edunet.pro/). თითქმის იგივე ტენდენცია შეინიშნება პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც. მაგალითად, გიგ-ეკონომიკა რუსეთის ეკონომიკის ერთ-ერთი უდიდესი სფეროა, თუმცა იგი პრაქტიკულად არ არის რეგულირებული. „რუსეთის ფედერალური საგადასახადო სამსახურის მონაცემებით, 2021 წელს თვითდასაქმებულთა

რაოდენობამ 2.0 მილიონ ადამიანს გადააჭარბა და ყოველდღიურად 5.0 ათასით იზრდება. კიდევ უფრო მეტია ფრილანსერების (მათ შორის, ვინც საგადასახადო სამსახურში არ არის რეგისტრირებული) რაოდენობა-14.0 მილიონი“ (Жихарева, 2022). რუსეთის ელექტრონული კომუნიკაციების ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით ისეთ კომპანიებთან ერთად, როგორიცაა Yandex, 2024 წლისთვის 10.0 მილიონზე მეტი ადამიანი იმუშავებს გიგ-ეკონომიკის

პლატფორმის ფარგლებში. ესენი არიან ტაქსის მძღოლები, კურიერები და მრავალი სხვა, მათ შორის სანტექნიკოსები და IT სპეციალისტები [https://www.solidarnost.org/]. არსებობს საფუძველი დავასკვნათ, რომ სხვა ქვეყნების ეკონომიკაშიც იგივე სიტუაციაა და ამ სფეროში დასაქმებულთა პირთა რიცხოვნობა საგრძნობლად იზრდება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ფაქტობრივად „გიგ ეკონომიკა არის უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერება, გაფართოება. იგი პრინციპულად ახალი ბიზნეს-პარადიგმაა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს უკეთ განსაზღვრონ საკუთარი ბედი და გამოიყენონ თავიანთი აქტივები საკუთარი ინტერესებისათვის“ (John McAfee. brainyquote.com). ტიპიურად „გიგ ეკონომიკა“-ში დასაქმებულებს მიეკუთვნება: შტაგარეშე მომუშავე ჟურნალისტები; მწერლები; რამდენიმე სასწავლო დაწესებულებაში მომუშავე პედაგოგები, რომლებიც რჩებიან როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები; IT-სპეციალისტები (პროგრამისტები, მტესტავები, ინტერნეტ-მარკეტოლოგები, კონტენტ-მენეჯერები, ვებ-დიზაინერები, და სხვა ინტერნეტ სპეციალისტები); პროფესიონალები ხელოვნების სფეროდან (მხატვრები, მუსიკოსები, მომღერლები და სხვა); მუშა კადრები სხვადასვა სფეროდან, განსაკუთრებით მშენებლობაში (სანტექნიკოსები, ელექ-ტრიკოსები, მღებავები და სხვა). ფაქტობრივად გიგ-ეკონომიკამ მოახდინა რევოლუცია შრომის ბაზარზე და მიმდინარე პერიოდშიც აგრძელებს სწრაფ ზრდას.

თანამედროვე ეკონომიკურურ ლიტერატურაში არსებული მიდგომებისა და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ **„გიგ-ეკონომიკა“ თავისუფალ საბაზრო სისტემასთან დაკავშირებული დროებითი, მოკლევადიანი კონტრაქტების ეკონომიკაა, რომელსაც საფუძვლად უდევს დამოუკიდებელ (არასაშტატო) მომუშავეთა შრომა. იგი დაკავშირებულია მოქნილი, დროებითი, სწრაფი და თავისუფალი სამუშაო ადგილების გამოყენებასთან, სადაც ურთიერთობაში შედის სამი ძირითადი სუბიექტი: დამოუკიდებელი მომუშავეები; კონკრეტული სახეობის მომსახურების მომხმარებლები და საშუამავლო კომპანიები (იხ. სქემა 1).** სქემა 1

გიგ-ეკონომიკის ძირითადი სუბიექტები



„გიგ ეკონომიკა“ ღია სივრცეა, სადაც სხვადასხვა ტიპის ადამიანები თანამშრომლობენ. მაგრამ მოქნილობასა და თავისუფლებასთან ერთად მას სხვა მიმზიდველი ნიშნები, უპირატესობებიც გააჩნია. კერძოდ: ინტეგრაცია ახალ ციფრულ სივრცეში, რომელსაც ბიზნესისათვის მოაქვს დიდი ეკონომიკური სარგებელი; საგადასახადო შეღავათები; დისტანციური მუშაობა; კლიენტების ადვილად მოზიდვა; მაღალი გამომუშავება; შრომის ეფექტიანობისა და მწარმოებლურობის მაღალი დონე; პირად ცხოვრებასა და კარიერას შორის ბალანსის არსებობა და სხვა **(იხ. სქემა 2).**

სქემა 2

გიგ-ეკონომიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები მისი ფუნქციონირების თავისებურებების გათვალისწინებით

უარყოფითი მომენტები	**დადებითი მხარეები**
დასაქმებულ პირებს ფორმალურად დამოუკიდებელი კონტრაქტორის სტატუსი აქვთ	დისტანციური შრომა, შრომის პირობების თავისუფალი არჩევანი
ბევრი ადამიანისათვის იგი დასაქმების ერთადერთი ფორმაა;	დასაქმებისა და მენეჯმენტის პრობლემებისადმი ახალი მიდგომა
დამკვეთი კომპანიების ხელშია მათი წახალისებისა და მათ მიმართ დისციპლინარული მექანიზმის გამოყენებაც	ინტეგრაცია ახალ ციფრულ სივრცეში, რომელსაც ბიზნესისათვის მოაქვს დიდი ეკონომიკური სარგებელი
დამკვეთი კომპანიები რეალურად ზღუდავენ კონტრაქტორის ავტონომიურობას	დროებითი სამუშაო, მოქნილი მოხერხებული სამუშაო გრაფიკი
შენიღბული შრომითი ურთიერთობები, რომელსაც შრომითი უფლებების დარღვევა ახლავს თან	ღია სივრცე, სადაც სხვადასხვა ტიპის ადამიანები თანამშრომლობენ, განსაკუთრებით ფრილანსერები
სასამართლო დავები	საგადასახადო შეღავათები
სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის (პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტრუმენტები) სისუსტე	კლიენტების ადვილად მოზიდვა. პირად ცხოვრებასა და კარიერას შორის ბალანსი
ამ სფეროში დასაქმებულ პირთა სოციალური დაცვის პრობლემები. სოციალური პაკეტისა და გარანტიების არარსებობა	უკან ძირითად სამუშაოზე დაბრუნების სურვილის არარსებობა

ხშირ შემთხვევაში დამკვეთს არ გააჩნია სადაზღვევო პაკეტი, არ ხორციელდება მათი პროფესიული გადამზადება და ტრენინგები,	მაღალი გამომუშავება, ხელფასი იძლევა შეთავსების საშუალებას
დასაქმებულები ვერ ერკვევიან სამართლებრივ საკითხებში, სრულად ვერ აცნობიერებენ თავის ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას	შრომის ეფექტიანობისა და მწარმოებლუ-რობის მაღალი დონე, რადგან დაფუ-ძნებულია კვალიფიკაციისა და პროფე-სიული უნარ-ჩვევების მუდმივად ზრდაზე
მერყევი, ცვალებადი, არასტაბილური შემოსა-ვალი, რომელიც კონკრეტულ დაკვეთაზეა დამოკიდებული	შრომითი იმიგრაციის შესაძლებლობა ფიზიკური გადაადგილების გარეშე
სოციალური იზოლიაცია, ურთიერთობების დეფიციტი	მიკროდონეზე: დანახარჯების ეკონომია და შტატების ოპტიმიზაცია. დიდი არჩევანი კადრების შერჩევისას
გადასახადების გადაუხდელობა	მაკროდონეზე: უმუშევრობის შემცირება ეფექტიანი დასაქმება, სოციალური დაძაბულობის დონის შემცირება, შემო-სავლების ზრდა, შრომითი ცხოვრების ხარისხის, ცხოვრების დონის ამაღლება

გასათვალისწინებელია ისიც რომ გიგ-ეკონომიკას მრავალ დადებით მხარესთან ერთად რიგი უარყოფითი მომენტებიც გააჩნია, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ მისი რეგულების პროცესში. კერძოდ: ხშირ შემთხვევაში გიგ-ეკონომიკაში დასაქმებულ პირებს ფორმალურად დამოუკიდებელი კონტრაქტორის სტატუსი აქვთ; ბევრი ადამიანისათვის იგი დასაქმების ერთადერთი ფორმაა; დამკვეთი კომპანიების ხელშია მათი წახალისებისა და მათ მიმართ დისციპლინარული მექანიზმის გამოყენებაც, შედეგად ისინი რეალურად ზღუდავენ კონტრაქტორის ავტონომიურობას; ხშირად ყალიბდება შენიღბული შრომითი ურთიერთობები, რომელსაც შრომითი უფლებების დარღვევა ახლავს თან; სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის სისუსტე; საყურადღებოა ამ სფეროში დასაქმე-ბულ პირთა სოციალური დაცვის პრობლემები. ხშირ შემთხვევაში დასაქმებულებს არ გააჩნიათ სადაზღვევო პაკეტი, არ ხორციელდება გიგ-მუშაკების პროფესიული გადამზადება და ტრენინგები და სხვა.

დღეს მთელს მსოფლიოსა და საქართველოში საგრძნობლად მზარდია ეკონომიკის არაფოლმალურ სექტორში (ცარციძე..., 2021) და საერთოდ გიგ ეკონომიკის სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობა. განვითარებულ ქვეყნებში მიიჩნევენ რომ გიგ-მუშაკების უმრავლესობა სწორედ არაფორმალურ სექტორში საქმიანობს. მართლაც „ტექნოლოგიურ პროგრესთან და ინტერნეტის ფართო გავრცელე-ბასთან ერთად იზრდება არაფორმალური ეკონომიკის დარგი-ციფრული პლატფორმების (აპლიკაციების) მეშვეობით განხორციელებული ბიზნესი, ე. წ. გიგ-ეკონომიკა“ [ბეგაძე, 2022]. ზოგადად არაფორმალურმა დასაქმებამ საქართველოში მართლაც საკმაოდ დიდი მასშტაბები მიიღო. „არაფორმა-

ლური დასაქმების ზრდა რეალურად არის მოსახლეობის რეაქცია დასაქმების პირობების გაუარესებაზე, უმუშევრობის ზრდაზე, ცხოვრების დონის დაცემაზე და ა. შ. (დადგენილება N199., 2013)“. საექსპერტო შეფასებებით, საქართველოში დასაქმებულთა მინიმუმ 32.0% ჩართულია რაიმე სახეობის არაფორმალურ საქმიანობაში. ეს მაშინ როცა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით განვითარებულ ქვეყნებში იგი 5.0%-დან 25.0%-მდე მერყეობს. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოში არაფორმალური დასაქმების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია 2017 წლიდან ჩნდება **(იხ. ცხრილი-1 და სქემა-3)**.

ცხრილი 1

არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში საქართველოში 2017-2022 წლებში

დასახელება	**არაფორმალური დასაქმება (პროცენტებში)**					
	2017	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
ქალი	29.2%	29.8%	29.2%	26.2%	22.5%	22.5%
მამაკაცი	37.9%	41.5%	39.3%	36.4%	34.2%	33.4%
ქალაქი	33.2%	34.6%	33.8%	30.2%	26.8%	27.0%
სოფელი	35.8%	40.0%	36.8%	35.6%	33.7%	31.6%
სულ	**33.9%**	**36.2%**	**34.7%**	**31.7%**	**28.8%**	**28.4%**

სქემა-3



წყარო: ცხრილი და სქემა შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. www.geostat.ge.

აღნიშნული მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაშია დასაქმების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორთან (ცარციძე, 2019). როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს 2022 წლის ჩათვლით არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი საშუალოდ 32.28%-ს შეადგენს. ეკონომიკის არაფორმალური სექტორი უფრო მიმზიდველია მამაკაცებისათვის და იგი ბოლო პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ცვლადი ტენდენციით ხასიათდება. საშუალოდ კი მამაკაცების წილი (37.12%), 10.55%-ით აღემატება, ამ სექტორში დასაქმებული ქალბატონების საშუალო ხვედრით წილს (26.57%). ქალაქში არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა წილი (30.93%), 4.65%-ით ჩამორჩება სოფლის წილს (35.58%). მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა წილი საქართველოში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მისი მასშტაბები საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე რჩება, რაც შემდეგი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს: ფაქტობრივად არაფორმალური სექტორი გახდა შრომის ბაზრის დამოუკიდებელი სეგმენტი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დასაქმების ხასიათზე, მის მასშტაბებზე, შრომითი ცხოვრების ხარისხზე, ცხოვრების დონესა და მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე (ცარციძე.., 2021). შრომის ბაზრის არასტაბილურობის, სამუშაო ადგილების დეფიციტის, ქრონიკული უმუშევრობის პირობებში, ბუნებრივია მიმზიდველი ხდება თავისუფალი, მოქნილი გრაფიკით მუშაობა, როცა დასაქმებული თავისუფლების ხარისხს ინარჩუნებს (ცარციძე..., 2022). აღნიშნულის გამო ბოლო წლების განმავლობაში გიგ ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხოვნობა მთელს მსოფლიოში საგრძნობლად, თითქმის 5-10-ჯერ გაიზარდა. საქართველოში აღნიშნული ბიზნესის სფეროს შეიძლება მივაკუთნოთ მრავალი სხვადასხვა მომსახურების სფეროს სახეობები:„გლოვო“, „უბერი“, „ვოლტი“, დალაგების ან/და ზრუნვის სერვისების მწარმოებელი აპლიკაციები, მძღოლები, ტაქსისტები, კურიერები და სხვა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით (გამოკითხულ იქნა 12000 რესპონდენტი ეკონომიკის მრავალ სექტორსა და ქვეყანაში), რომელიც შეეხო ციფრულ პლატფორმებზე მომუშავე პირებს, გამოიკვეთა შემდეგი სურათი: როგორც წესი გიგ-დასაქმებულთა ასაკი 35 წლამდეა და მათ 60.0%-ს აქვს უმაღებული განათლება. მძღოლებისა და კურიერების 20.0%-ზე მეტი სარგებლობს სხვადასხვა აპლიკაციით. პლატფორმაზე მუშაობა არის შემოსავლის მთავარი წყარო აპლიკაციებზე დაფუძნებული ტაქსის (84.0%) და აპებზე დაფუძნებული მიწოდების (90.0%) სერვისების მუშაკთა უმრავლესობისთვის და ონლაინ ვებ-პლატფორმებზე დასაქმებულთა დაახლოებით მესამედისთვის (World Employment Social Outlook 2021). ამერიკის შეერთებულ შტატებში 57.3 მილიონი ადამიანი მუშაობს ფრილანსერად. საექსპერტო შეფასების მიხედვით ვარაუდობენ, რომ 2027 წლისთვის 86.5 მილიონი ფრილანსერი იქნება (Upwork). აშშ-ში მუშაკთა 36.0% მონაწილეობს გიგ ეკონომიკაში, როგორც ძირითადი ისე დამატებითი სამუშაოს მიხედვით (Gallup). გიგ-მუშაკთა 44.0%-ისთვის გიგ ეკონომიკაში მუშაობა მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა. საერთოდ გიგ-ეკონომიკაში დასაქმებულთა 38.0%, 18-34 წლის ახალგაზრდებია და მათგან 53.0%-სათვის გიგ ეკონომიკაში მუშაობა მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა (Edison Research). სტანდარტულად მომუშავე ყოველი ექვსი პიროვნებიდან, ერთ მომუშავეს სურს გახდეს დამოუკიდებელი კონტრაქტორი (McKinsey) (Maciej Duszyński, 2023). გიგ-ეკონომიკაში დასაქმებულთა 76.0%-ს არ აქვს სურვილი უახლოეს მომავალში შეცვალოს დასაქმების ფორმა და გადავიდეს სტანდარტული დასაქმების რეჟიმში.

დასკვნები და რეკომენდაციები

1.საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარებამ ბიძგი მისცა სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში ახალი მოვლენებისა და პროცესების ფორმირებას, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კონკურენციასა და შრომის მწარმოებლურობაზე. ამ უკანასკნელმა გამოიწვია ციფრული შრომის პლატფორმების, სამუშაოსა და ბიზნესის ორგანიზების ახალი ფორმების გაჩენა. ისინი აკავშირებენ ბიზნესებსა და კლიენტებს მუშაკებთან და ახდენენ შრომითი პროცესების ტრანსფორმაციას, რათა გავლენა მოახდინონ შესასრულებელი სამუშაოს საბოლოო შედეგებზე;

2.გიგ-ეკონომიკა დაფუძნებულია მოქნილ, დროებით, ან არასაშტატო სამუშაო ადგილებზე, რომლებიც ხშირად ითვალისწინებს კავშირს მომხმარებლებთან ან მყიდველებთან ონლაინ პლატფორმის საშუალებით;

3.გიგ-ეკონომიკას შეუძლია სარგებელი მოუტანოს მომუშავეებს, ბიზნესს, კომპანიებს და მომხმარებლებს ისეთი სამუშაოების შესრულებით, რომელიც უფრო ადაპტირებულია მიმდინარე საჭიროებებთან და მოქნილი ცხოვრების წესის მოთხოვნებთან. ანუ ეს უკანასკნელი არის მოქნილი და ახდენს სამუშაოს პრინციპულად განსხვავებულ ორგანიზებას ვიდრე ტრადიციული ბიზნესი;

4.ამავდროულად, გიგ-ეკონომიკას შეიძლება ქონდეს თავისი უარყოფითი მხარეც, უკუეფექტიც. კერძოდ, მას შეუძლია გარკვეულწილად შეასუსტოს ან მოშალოს მომუშავეებს, ბიზნესს, საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთობები. „ციფრულმა შრომის პლატფორმებმა შექმნა უპრეცედენტო შესაძლებლობები მუშაკებისთვის, ბიზნესისთვის და საზოგადოებისთვის მასიური გლობალური მასშტაბის ინოვაციების გავრცელებით. თუმცა, ამავე დროს, ისინი სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ღირსეულ შრომასა და კეთილსინდისიერ კონკურენციას“ (World Employment Social Outlook 2021);

5.საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში დაგროვდა საკმაოდ სერიოზული პრობლემები და გაოწევევები გიგ-ეკონოკის ფორმირებისა და განვითარების სფეროში რომელთაგან უნდა გამოვყოთ: შენიღბული შრომითი ურთიერთობები; შრომითი პროცესების ტექნოლოგიური მართვის ავტომატიზირებული სისტემის, ანუ ციფრული შრომის პლატფორმის, ალგორითმების გამოყენება, რომელიც ძირითადად მუშავდება კომპანიის მიერ და უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ამ უკანასკნელს; გიგ-ეკონომიკაში დასაქმებულთა სივრცით-გეოგრაფიული გაფანტულობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში სტანდარტული დასაქმებისაგან განსხვავებით არ იძლევა მათი ერთმანეთთან კომუნიკაციისა და სწრაფად მობილიზაციის საშუალებას საერთო მიზნის მისაღწევად; დასაქმებულთა შორის კონკურენციის გაძლიერება და მათი სოლიდარობისა და ორგანიზების შესუსტება საერთო ინტერესების დასაცავად და სხვა;

6.დღეს გიგ-ეკონომიკა უნდა განვიხილოთ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში შექმნის ყველა პირობას რათა დააბალანსოს ხელისუფლების, ბიზნესისა და საზოგადოების ინტერესები;

7.თავისი მნიშვნელობიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში იგი უკვე საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოებშიც კი ექცევა. მაგალითად, აშშ-ში 2020 წლის დასაწყისში მიღებულ იქნა კანონი „დროებითი მომუშავეების შესახებ“, რომლის კანონპროექტი (AB5-California Assembly Bill 5) 2019 წლის სექტემბერში ხელმოწერილი იქნა კალიფორნიის შტატის გუბერნატორის მიერ;

8.გიგ-ეკონომიკის მასშტაბების გაფართოებასთან ერთად, მიმდინარე ეტაპზე აუცილებელია ამ სფეროში დასაქმებულთა რეალური სოციალური დაცვის მექანიზმის შემუშავება, სადაც პირველ რიგში საჭიროა გავითვალისწინოთ მისი როგორც დასაქმების არასტანდარტული ფორმის სპეციფიკა და ხასიათი. ანუ, უნდა შემუშავდეს ისეთი რეგულაციები რომლებიც შექმნის უშუალოდ გიგ ეკონომიკაში დასაქმებულთა დაცვის რეალურ, ქმედით გარანტიებს;

9.გიგ-ეკონომიკის ეფექტიანი ფუნციონირების მიზნით ასევე აუცილებელია მისი რეგულირების პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტრუმენტების განვითარება, მონაწილე სუბიექტებს, მხარეებს შორის სოციალური პარტნიორობის სისტემის სრულყოფა. ეს უკანასკნელი თავის მხრივ უნდა გახდეს ღირსეული შრომისა და ჯანსაღი კონკურენციისათვის სათანადო პირობების შექმნის საფუძველი;

10.გიგ ეკონომიკის განვითარება და „შრომის ბაზარი უნდა გახდეს ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების, შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის, სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის მოქნილი სისტემების შექმნის, შრომითი ცხოვრების ხარისხის და საბოლოო ჯამში ცხოვრების დონის გაუმჯობესების საფუძველი“ [ცარციძე.., 2023). McKinsey-ის ანგარიშის თანახმად, აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში 160 მილიონზე მეტი ფრილანსერი მუშაობს. ციფრული პლატფორმები, როგორიცაა Uber, Airbnb, Upwork და Etsy, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბაზრების განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ანანიაშვილი ი. (2022). საქართველოს შრომის ბაზრის წონასწორობის შეფასების ეკონომეტრიკული მოდელი. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“*.

ბედიანაშვილი გ., ბიჭია ქ., ნაცვლიშვილი ე. (2021). სამეწარმეო აქტიურობის განვითარება, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 21-31. 2021. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.002.

ბეგაძე მ. პლატფორმის (გიგ) ეკონომიკის რეგულირება საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა. https://osgf.ge/publication/platformis-gig-ekonomikis-regulireba-saertashoriso-gamocdilebis-mimokhilva/

პაპავა ვ., ჭარაია ვ. (2020). კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. N136. საქართველოს სტარტეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. 2020 წელი. (GFSIS.ORG).

პაპავა ვ. (2015). საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2015 წელი;

ტუხაშვილი მ. (2008). “აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა”, მიგრაცია N2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, “უნივერსალი”, თბ., გვ. 11.

ტყემალაძე ი. (2020). დისტანციური დასაქმების როლი COVID-19-ის პანდემიის უარყო-ფითი შედეგების შემცირებაში. თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო

სამეცნიერო ინტერნეტკონფერენცია „თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები“. თბილისი.

ცარციძე მ. (2020). დისტანციური დასაქმების განვითარების პერსპექტივები საქართველოში კორონომიკის პირობებში. გლობალიზაცია და ბიზნესი, N10, გვ. 138-149. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.017

ცარციძე მ. ეფექტიანი დასაქმება-ადამიანის კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოში. ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti”N2, 2019წ. ელ. ვერსია. EISSN 2346-8432Print ISSN 1987-6890. http://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge

ცარციძე, მ., ლაცაბიძე, ნ. (2021). შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში. გლობალიზაცია და ბიზნესი. 12, 123-132. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017.

ცარციძე მ. ლაცაბიძე ნ. (2023). შრომის ბაზარი და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილების ტენდეციები საქართველოში თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში. თსუ-ის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას: ,,მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები“. თბილისი.

ცარციძე მ. ტყემალაძე ი. (2022). დასაქმების ფორმების ტრანსფორმაცია გლობალური პანდემიის პირობებში. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სრომების კრებული: *„COVID 19 პანდემია და ეკონომიკა“,* გვ. 396-406. konf. krebuli _1_ (tsu.ge)

Donovan S. Bradley D. Shimabukuru J. (2020). "What Does the Gig Economy Mean for Workers?". Cornell University ILR School. Archived from the original on 2020-12-14;

Gig Economy. Cambridge Advanced Learner's Dictionary & Thesaurus. https://edunet.pro/ freelancers-tribune/gig-ehkonomika-chto-o-nej-sleduet-znat.

Gig Economy Definition – Investopedia. ttps://www.google.com/search?client=opera&q= Gig+ Economy&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8;

Gig economy (гигономика) — новая бизнес-парадигма. https://mentamore.com/biznes/gig-economy-gignomika.html;

GIG-экономика. Что о ней следует знать?. https://edunet.pro/freelancers-tribune/gig-ehkonomika-chto-o-nej-sleduet-znat;

Global Commission on the Future of Work (Global Commission) (2019). Work for a brighter future. Geneva: ILO. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---cabinet/documents/publication/wcms_662410.pdf;

John McAfee - The gig economy is empowerment. This new business paradigm empowers individuals to better shape their own destiny and leverage their existing assets to their benefit (brainyquote.com).

Maceiej Duszynski, CPRW. Gig Economy: Definition, Statistics & Trends [2020 Update]. https://zety.com/blog/gig-economy-statistics?gclid=EAIaIQobChMI8LikzcTy6AIVEJAYCh2XZwgHEAAYASA-AEgLyn_D_BwE

Maciej Duszyński, CPRW. Career Expert. Gig Economy: Definition, Statistics & Trends [2023 Update]. https://zety.com/blog/gig-economy-statistics;

Shelia M. & Tukhashvili M. Formation and Employment of the Retirement Age Workforce in Post-Soviet Georgia. Complex Social Systems in Dynamic Environments pp 333–345. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-23856-7_31.

The Impact of the Gig Economy. https://www.bbvaopenmind.com/en/articles/the-impact-of-the-gig-economy/

What is a gig economy?. https://whatis.techtarget.com/definition/gig-economy; What is the gig economy? https://www.techtarget.com/whatis/definition/gig-economy #:~:text=A%20gig%20economy%20is%20a,to%20define%20a%20performance%20engagement.

World Employment Social Outlook 2021: The role of digital labour platforms in transforming the world of work. International Labor Organization. Published in February 2021. https://ilo.org/infostories/Campaigns/WESO/World-Employment-Social-Outlook-Report-2021#introduction.

World Employment Social Outlook 2021: The role of digital labour platforms in transforming the world of work. International Labor Organization. Published in February 2021. https://ilo.org/infostories/Campaigns/WESO/World-Employment-Social-Outlook-Report-2021#introduction;

Woodcock, J. & Graham, M. (2019). *The Gig Economy: A Critical Introduction*. Cambridge: Polity.

Гиг-экономика в 2020 году – что это такое? https://www.financebrokerage.com/ru/гиг-экономика-в-2020-году-что-это-такое/;

Жихарева В. (2022). Гиг-экономика: прогресс или возвращение в XIX век. https://plus-one.ru/manual/ 2022/09/26/ gig-ekonomika.

საკანონმდებლო ნორმატიული აქტები

საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, ქ.თბილისი 2019 წლის 30 დეკემბერი (matsne.gov.ge);

საქართველოს შრომის კოდექსი. კანონი N4113. 17 დეკემბერი 2010 წელი. (matsne.gov.ge);

საქართველოს კანონი N6819-სრ „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, ქ. თბილისი, 2020 წლის 14 ივლისი (matsne.gov.ge);

საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია“, 2013 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი.

Gig economy and its development trends in the conditions of modern globalization in Georgia

Murman Tsartsidze
Doctor of economic sciences, associate professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
murman.tsartsidze@tsu.ge

Shota Gabadadze
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
shota.gabadadze@tsu.ge

Summary

In the conditions of modern globalization, according to account the features of the development trends of the world economy, the formation of a flexible labor market is a necessary condition for economic development in the country. The latter implies the development and effective use of modern flexible forms of employment. As a result, modern forms of non-standard employment and working time regimes have spread and are widely developing in international practice, among which the leading place is occupied by remote employment. They respond quickly and flexibly to the dynamics of economic development, on its variable conditions and ensure the optimal realization of the interests of the subjects of the labor market as its main goal. Flexible, free forms of employment are developing in the conditions of the gig-economy. It is based on the use of new digital technologies, which requires modern companies to rethink traditional approaches to employment and management problems, revision and consistent integration in this completely new digital space. In the conditions of the gig economy, the rational use of working time is also carried out, and it significantly expands the employment opportunities of socially vulnerable layers of the population (young people, women, disabled people, pensioners and others). Accordingly, in this paper is discussed meaning of gig-economy, peculiarities of its functioning and development trends in Georgia. It is justified, that in the conditions of the gig economy, business and service, various forms of employment carried out using digital technologies are mainly located in the informal sector of the economy and in the current period it is characterized by a rather growing trend. The paper also evaluates the pros and cons of gig-economy development and Its impact on the overall process of economic development.

Keywords: Gig-economy, labour market, employment, remote employment, informal employment, labor relations.

ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანა უწყვეტი შუალედური პირობით ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემებისთვის

აკაკი არსენაშვილი
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
akaki.arsenashvili@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-225-234

ანოტაცია. *ცვლადი სტრუქტურის ოპტიმალური მართვის ამოცანების გამოკვლევა ოპტიმალური მართვის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სისტემის სტრუქტურის ცვლილება ნიშნავს იმას, რომ სისტემა წინასწარ უცნობ მომენტში შეიძლება გადავიდეს მოძრაობის ერთი კანონიდან მეორეზე. უფრო მეტიც, სტრუქტურის შეცვლის შემდეგ სისტემის საწყისი მდგომარეობა დამოკიდებულია მის წინა მდგომარეობაზე. ეს აერთიანებს მათ ერთ სისტემაში ცვლადი სტრუქტურით. ასეთი პრობლემები მნიშვნელოვანია სხვადასხვა პრაქტიკული გამოყენებისთვის. ამ სტატიაში განვიხილავთ ზოგად ეკონომიკურ სისტემას, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოების ყველა ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. აღწერილია ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. მოცემულია ეკონომიკური სისტემის კლასიფიკაცია ძირითადი მიზნის მიღწევის შესაძლებლობის მიხედვით. გათვალისწინებულია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ეკონომიკური სისტემის არსი დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე, რომელიც მუდმივია დროის გარკვეულ ინტერვალებში, მაგრამ შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ წინასწარ უცნობ დროს. ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ეს თავისებურება საშუალებას გვაძლევს ასეთი სისტემა განვიხილოთ როგორც ცვლად სტრუქტურიანი ოპტიმალური სამართი სისტემა. ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ინდიკატორები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის შესახებ შესაბამისად დროის მოცემულ ინტერვალში და მოცემულ მომენტში. შესრულებული ანალიზის საფუძველზე დასმულია ეკონომიკური სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანა. საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ერთი მარტივი წრფივი ცვლადი სტრუქტურის ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანა.*

საკვანძო სიტყვები: *ცვლადი სტრუქტურა, მართვის ამოცანა, ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური სისტემის ეფექტურობა, სისტემის ეფექტიანობა, ეფექტიანობის გრადიენტული მაჩვენებელი.*

შესავალი

ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემა არის კომპლექსურ მოქმედებათა ერთობლიობა, რომელთა ერთობლივი მოქმედება უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ძირითად მოთხოვნილების დაკმაყოფილებას დროის ყოველ მომენტში მოცემული ინტერვალიდან. საზოგადოების მიერ შექმნილი პროდუქცია ძირითადად დაკავშირებულია არსებულ მატერიალურ და შრომით რესურსებთან. გარდა

ამისა, ეკონომიკური სისტემა დამოკიდებულია არსებული პოლიტიკური სისტემის არსზე, რომელიც მუდმივია მოცემულ დროის ინტერვალზე. ყველა მათგანი მიღებულია ზოგადი ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემიდან. ცხადია, ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას აქვს ციკლური ხასიათი და შეუღლებულია დროის ინტერვალთან (ციკლთან). ამიტომ ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის სუსტი მხარეების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ ციკლის ბოლოს ვგებულობთ. გარკვეული ხასიათის ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას დროის ინტერვალში შესაძლოა ჰქონდეს თავისი ბუნების შეცვლის ტენდენცია. მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური სისტემა შეიძლება იყოს სამი ტიპის: პირველი - არადამაკმაყოფილებელი, მეორე - გარდამავალი ან ნეიტრალური და მესამე - ზედმეტად დამაკმაყოფილებელი. პოლიტიკური სისტემის ცვლილების გათვალისწინებით, ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანა ღებულობს ცვლადი-სტრუქტურის მქონე ოპტიმალური მართვის ამოცანის ფორმას (Hall, Zambelii, 1958) სისტემის სტრუქტურის ცვლილება ნიშნავს იმას, რომ სისტემა წინასწარ უცნობ მომენტში შეიძლება გადავიდეს მოძრაობის ერთი კანონიდან მეორეზე. უფრო მეტიც, სტრუქტურის შეცვლის შემდეგ სისტემის საწყისი მდგომარეობა დამოკიდებულია მის წინა მდგომარეობაზე. ეს აერთიანებს მათ ერთ სისტემაში ცვლადი სტრუქტურით. ასეთი პრობლემები მნიშვნელოვანია სხვადასხვა პრაქტიკული გამოყენებისთვის (Arsenashvili, 1980; Achepkov, 1987; Calukvadze et al., 1990; Kharatishvili, 1980; Kharatishvili, 1985; Понтрягин и др., 1969; Hall , Zambelii, 1958).

ამოცანის დასმა

ეკონომიკური სისტემა არის კომპლექსურ მოქმედებათა ერთობლიობა, რომელთა მოქმედება უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ძირითად მოთხოვნილების დაკმაყოფილებას დროის ყოველ მოცემულ შუალედში. ეკონომიკური სისტემა არის ოპტიმალური, თუ ის საზოგადოების ყველა მოთხოვნილებას მოცემულ დროში აკმაყოფილებს მინიმალური დანახარჯებით. საზოგადოების ჯამური ძირითადი მოთხოვნილებები დროითი T ინტერვალის მოცემულ t მომენტში აღვნიშნოთ $D(t)$ ვექტორ ფუნქციით:

$$D(t) = \{D_1(t), \dots , D_n(t)\},$$

სადაც $D_i(t), (i = 1,2, \cdots , n)$ არის საზოგადოების i-ური ძირითადი მოთხოვნილება t მომენტში, ხოლო n არის ძირითადი მოთხოვნილებების რაოდენობა t მომენტში, რომელიც დროში შეიძლება იცვლებოდეს: $n = n(t)$.

დროითი ინტერვალის (ე.ი. ციკლის) საწყისი მომენტი აღვნიშნოთ t_0-ით, ხოლო ბოლო მომენტი t_1-ით. ე.ი. $T = [t_0, t_1]$. დავუშვათ $K(t)$ არის საზოგადოებაში არსებული მატერიალური რესურსების სიმრავლე t მომენტისთვის. ე.ი.

$$K(t) = \{K_1(t), \cdots , K_k(t)\},$$

სადაც $K_i(t), (i = 1,2, \cdots , k)$ არის i-ური მატერიალური რესურსი, გამოსახული შესაბამის ერთეულებში, ხოლო k არის მათი რაოდენობაა. დავუშვათ $L(t)$ არის საზოგადოების შრომითი რესურსების სიმრავლე t მომენტისთვის ე.ი.

$$L(t) = \{L_1(t), \cdots , L_k(t)\}$$

სადაც $L_i(t), (i = 1,2, \cdots , k)$ არის i-ური შრომითი რესურსი, გამოსახული შესაბამის ერთეულებში, ხოლო k მათი საერთო რაოდენობაა.

ამრიგად, ეკონომიკური სისტემის მდგომარეობა დროის ყოველ t მომენტში დამოკიდებული იქნება შემდეგ ცვლადებზე: საწყის t_0 მომენტზე; დროის T ინტერვალის სიგრძეზე, ე.ი. t_1 მომენტზე; საზოგადოების ძირითად ერთიან მოთხოვნილებებზე დროის ყოველ მომენტში, ე.ი. $D(t)$ D(t)-ზე; საზოგადოების საკუთრებაში არსებულ მატერიალურ რესურსებზე დროის ყოველ მომენტში, ე.ი. $K(t)$-ზე; საზოგადოების საკუთრებაში არსებულ შრომით რესურსებზე დროის ყოველ მომენტში, ე.ი. $L(t)$-ზე და ინვესტიციებზე დროის ყოველ მომენტში, რომელსაც აღვნიშნავთ $I(t), I(t) = \{I_1(t), \cdots, I_k(t)\}$-თი, სადაც $I_i(t), (i = 1,2, \cdots, k)$ არის t დროს i-ურ დარგში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა. საზოგადოების ეკონომიკური სისტემის მდგომარეობა ნებისმიერ მოცემულ მომენტში აღვნიშნოთ Y(t)-ით. ცხადია, Y(t), როგორც ენდოგენური ცვლადი დამოკიდებული იქნება: t_0 და t_1 რიცხვით პარამეტრებზე და D(t), K(t), L(t), I(t) ვექტორულ ეგზოგენურ ცვლადებზე. ე.ი. ჩვენ შეგვიძლია დავწეროთ $Y = Y(t_0, t_1, D(t), K(t), L(t), I(t))$. $Y(t)$ ფუნქციის კერძო სახე შეიძლება იყოს საწარმოო ფუნქცია:

$$Y(t) = AK_1^{\alpha_1} \cdot K_2^{\alpha_2} \cdot \dots \cdot K_n^{\alpha_n} \cdot L_1^{\beta_1} \cdot L_2^{\beta_2} \cdot \dots \cdot L_n^{\beta_n} \cdot I_1^{\gamma_1} \cdot I_2^{\gamma_2} \cdot \dots \cdot I_n^{\gamma_n}$$

ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის შესაფასებლად საჭიროა გავითვალისწინოთ ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის მაჩვენებელი. დროის მოცემულ t მომენტში i-ური ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინდიკატორი არის

$$s_i(t) = D_i(t) - Y_i(t),$$

სადაც $Y_i(t), (\, i = 1,2, \cdots, n)$ არის გამოშვების მოცულობა წარმოებული t მომენტისთვის i-ური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. თუ $s_i(t) \geq 0$ - მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია ზუსტად t მომენტისთვის. თუ $s_i(t) < 0$ - მოთხოვნილება არადაკმაყოფილებელია t მომენტისთვის. ქვემოთ ყველგან იგულისხმება, რომ ყველა სიდიდე, გარდა დროისა, წარმოდგენილია ფულად ერთეულებში.

განმარტება 1. ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის მაჩვენებელი $T : t_0 \leq t \leq t_1$ დროის ინტერვალზე არის

$$R_e(T) = \int_{t_0}^{t_1} \sum_{i=1}^{n} s_i(t) dt$$

განმარტება 2. ეკონომიკური სისტემა არის ოპტიმალური T დროის ინტერვალზე, თუ სრულდება შემდეგი პირობა:

$$s_i(t) \geq 0, \forall\, i = 1,2, \cdots, n\,; t \in T.$$

ამრიგად, T დროის ინტერვალზე ოპტიმალურ ეკონომიკურ სისტემას შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა ძირითადი მოთხოვნილება ამ დროის ინტერვალის ნებისმიერ მომენტში.

კვაზიოპტიმალური ეკონომიკური სისტემები, როგორც წესი, უფრო ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე ოპტიმალური ეკონომიკური სისტემები, რომლებიც ზოგჯერ ვერ განხორციელდება.

განმარტება 3. ეკონომიკური სისტემა არის კვაზიოპტიმალური T დროის ინტერვალზე, თუ სრულდება შემდეგი პირობა:

$$\sum_{i=1}^{n} s_i(t) \geq 0\,, \qquad \forall\, t \in T\,.$$

ნათელია, რომ თუ ეკონომიკური სისტემა ოპტიმალურია, ის ასევე კვაზი-ოპტიმალურია. საპირისპირო დებულება არ არის სამართლიანი, რადგან კვაზი-ოპტიმალური ეკონომიკური სისტემის შემთხვევაში, ძირითადი საჭიროებების ზოგიერთი ინდიკატორი $s_i(t)$ შეიძლება იყოს უარყოფითი (ანუ ზოგიერთი მოთხოვნა შეიძლება სრულად არ იყოს დაკმაყოფილებული). ამ შემთხვევაში უნდა შესრულდეს განმარტება 3-ის პირობა.

$$\sum_{i=1}^{n} s_i(t) \geq 0\,, \qquad \forall\, t \in T\,.$$

ძირითადი მოთხოვნილებების ჯამი t მომენტში უნდა იყოს არაუარყოფითი, რაც ნიშნავს, რომ t მომენტში ზოგიერთი ძირითადი მოთხოვნილებებისთვის წარმოებული პროდუქცია, მთლიანი წარმოებული პროდუქციის მოცულობა უნდა ემთხვეოდეს (ფულად ერთეულებში) პროდუქციის იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სხვა ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თუ ზემოაღნიშნული პირობა ირღვევა გარკვეული დროის ზოგიერთ ინტერვალზე, მაგრამ ისე, რომ შემდეგი პირობა რჩება ძალაში:

$$R_e(T) = \int_{t_0}^{t_1} \sum_{i=1}^{n} s_i(t)dt \geq 0$$

მაშინ ასეთი ეკონომიკური სისტემა ინტეგრალურად კვაზიოპტიმალურია. ე.ი. დეფიციტი, რომელიც წარმოიქმნება სხვადასხვა ძირითადი საჭიროებიდან, იფარება ჭარბი წარმოებით არა მყისიერად, ანუ ყოველ t მომენტში, არამედ მთელი T ინტერვალის განმავლობაში. ასეთმა ეკონომიკურმა სისტემამ შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები, თუ დროის ინტერვალი T დიდია. თუ ინტეგრალური პირობაც ირღვევა, მაშინ ეკონომიკური სისტემა არადამაკმაყოფილებელია - ის ვერანაირად ვერ დააკმაყოფილებს T ინტერვალის ყველა ძირითად მოთხოვნილებებს. ამრიგად მივიღეთ შემდეგი:

ეკონომიკურ სისტემას შეუძლია პოტენციურად დააკმაყოფილოს ყველა არსებითი მოთხოვნილებები დროის T ინტერვალზე და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სისტემის ეფექტურობის მაჩვენებელი არაუარყოფითია T დროის ინტერვალზე, ე.ი.

$$R_e(T) \geq 0.$$

აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს:

განმარტება 4. ეკონომიკურ სისტემას დროის T ინტერვალზე ვუწოდოთ:

უკიდურესად დამაკმაყოფილებელი ან ეფექტური, თუ $R_e(T) > 0$; დამაკმაყოფილებელი ან ნეიტრალური, თუ $R_e(T) = 0$; არადამაკმაყოფილებელი ანუ არაეფექტური თუ $R_e(T) < 0$. ნათელია, რომ ოპტიმალური (ასევე კვაზიოპტიმალური) სისტემა შეიძლება იყოს ეფექტურიც და ნეიტრალურიც. განმარტება 1-დან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის მაჩვენებელი ციკლური ხასიათისაა და შემოიფარგლება T დროის ინტერვალით. ამიტომ ის იძლევა

ინფორმაციას ეკონომიკური სისტემის მუშაობის შესახებ მხოლოდ ციკლის ბოლოს და არ იძლევა არავითარ ინფორმაციას ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების შესახებ T დროითი ინტერვალის ნებისმიერ t მომენტში. ამ ინფორმაციის მისაღებად საჭიროა შემოვიტანოთ დროის ახალი ფუნქცია, რომელსაც ეწოდება ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებელი.

განმარტება 5. ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებელი ვუწოდოთ ფუნქციას, რომელიც მოცემულია შემდეგი ინტეგრალით

$$X(t) = \int_{t_0}^{t} \sum_{i=1}^{n} s_i(\tau) d\tau \ , \qquad t \in T \ .$$

განმარტებიდან გამომდინარეობს

$$R_e(T) = X(t_1),$$

ე.ი. ეკონომიკური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორი $T : \ t_0 \leq t \leq t_1$ დროის ინტერვალზე ემთხვევა ეფექტიანობის მაჩვენებლის მნიშვნელობას ციკლის ბოლოს, ანუ t_1 მომენტში. ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებელი იძლევა ინფორმაციას სისტემის შესახებ დროის ნებისმიერ $t_0 \leq t \leq t \ \ (t \leq t_1)$ ინტერვალზე. მაგალითად, თუ $X(t) > 0$, ეკონომიკური სისტემა ზედმეტად დამაკმაყოფილებელია, ანუ ეფექტურია დროის $[t_0, t]$ინტერვალზე; თუ $X(t) = 0$, მაშინ ეკონომიკური სისტემა დამაკმაყოფილებელი ან ნეიტრალურია დროის $[t_0, t]$ ინტერვალზე; თუ $X(t) < 0$, ეკონომიკური სისტემა არადამაკმაყოფილებელია ან არაეფექტურია დროის $[t_0, t]$ ინტერვალზე. გარკვეული ხასიათის ეკონომიკურ სისტემას დროის $t' \leq t \leq t''$ ინტერვალზე შეიძლება ჰქონდეს თავისი ბუნების შეცვლის ტენდენცია. ამ ინფორმაციის მისაღებად საჭიროა შემოვიტანოთ ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის გრადიენტული მაჩვენებელი.

განმარტება 6. ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის გრადიენტული მაჩვენებელი T დროითი ინტერვალის ნებისმიერ t მომენტში არის

$$\frac{dX(t)}{dt} = \sum_{i=1}^{n} s_i(t) \, , \qquad t_0 \leq t \leq t_1 \ . \qquad (1)$$

ეკონომიკური სისტემისთვის ოპტიმალური მართვის ამოცანის ჩამოყალიბება

ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის გრადიენტური მაჩვენებლის მნიშვნელობა, დროის ნებისმიერ მომენტში T დროითი ინტერვალიდან, იძლევა შემდეგ ინფორმაციას:

თუ $\frac{dX(t)}{dt} > 0$, მაშინ ეკონომიკურ სისტემას აქვს პოზიტიური ტენდენცია; თუ $\frac{dX(t)}{dt} = 0$, მაშინ ეკონომიკურ სისტემას აქვს ტენდენცია შეცვალოს თავისი ბუნება ე.ი. აქვს ნეიტრალური ბუნების ტენდენცია; თუ $\frac{dX(t)}{dt} < 0$, მაშინ ეკონომიკურ სისტემას აქვს უარყოფითი ბუნების ტენდენცია. (1) ფორმულიდან პირდაპირ ვღებულობთ

$$\frac{dX(t)}{dt} = u(t), \quad t_0 \leq t \leq t_1 \ , \qquad (2)$$

სადაც

$$u(t) = \sum_{i=1}^{n} s_i(t) = \sum_{i=1}^{n} Y_i(t) - \sum_{i=1}^{n} D_i(t) = \sum_{i=1}^{n} (Y_i(t) - D_i(t)), \quad t_0 \le t \le t_1 , \qquad (3)$$

არის ყველა ძირითადი ჯამური მოთხოვნილების და მისი რეალური ჯამური დაკმაყოფილების მაჩვენებელი T დროითი ინტერვალის ნებისმიერ t მომენტში.

განვიხილოთ ეკონომიკური სისტემის მართვის პროცესი განზოგადებული ფორმით $T : t_0 \le t \le t_1$ დროით ინტერვალზე. გვაქვს:

$$(I) \qquad \frac{dX(t)}{dt} = u(t), \qquad t_0 \le t \le t_1;$$

$$(II) \qquad X(t_0) = X_0 \ , \ X(t_1) = X_1 \qquad ;$$

$$(III) \qquad u \le u(t) \le U, \qquad t_0 \le t \le t_1;$$

სადაც X_0, X_1, t_0, u, U მოცემული რიცხვებია. ჩვენი მიზანია ვიპოვოთ ისეთი მართვა $u(t)$: $t_0 \le t \le t_1$, რომელიც აკმაყოფილებს (I), (II), (III) პირობებს და $t_1 - t_0$ დრო იქნება მინიმალური ე.ი. ჩვენ გვინდა ეკონომიკური სისტემის მოცემული ეფექტურობის მაჩვენებელი $X(t_0) = X_0$ (რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის ბუნებას) დასაშვები მართვის მეშვეობით (როგორც ნაჩვენებია (III) პირობაში) გადავიყვანოთ სასურველ ეფექტურობის მაჩვენებელში $X(t_1) = X_1$მინიმალურ დროში ($t_1 - t_0$ მინიმალურია). მაგალითად, ნეგატიური ბუნების ეკონომიკური სისტემა ($X_0 < 0$) გავხადოთ ნეიტრალური ან პოზიტიური ეკონომიკური სისტემა ($X_1 \ge 0$) უმცირეს დასაშვებ დროში.

ჩვენ გვსურს შევცვალოთ ეკონომიკური სისტემის მოცემული $X(t_0) = X_0$ ეფექტურობა (რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის მდგომარეობას) დასაშვები $u \le u(t) \le U, t_0 \le t \le t_1$ მართვის საშუალებით და გადავიყვანოთ მოცემულ $X(t_1) = X_1$ ეფექტურობაში, რომელიც განსაზღვრავს განსხვავებულ ეკონომიკურ მდგომარეობას უმოკლე დასაშვებ დროში. მაგალითად, გადავიყვანოთ ნეიტრალურიდან (მეორე) მდგომარეობიდან ეფექტურ (მესამე) მდგომარეობაში ან პირიქით.

ეს არის უმარტივესი ოპტიმალური მართვის ამოცანა სწრაფადქმედების აზრით. თუ ჩვენ გამოვიყენებთ პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპს [8], მაშინ გვექნება ან $u(t) = u$ ან $u(t) = U$ მთლიან $t_0 \le t \le t_1$ ინტერვალზე. პირველ შემთხვევაში გვექნება

$$X_1 = X_0 + (t_1 - t_0)u \, , \qquad (4)$$

მეორე შემთხვევაში გვექნება

$$X_1 = X_0 + (t_1 - t_0)U \, . \qquad (5)$$

ცხადია, თუ მოცემულია განხილული ოპტიმალური მართვის ამოცანის ამონახსნი (მოცემული X_0, X_1, t_0, u, U მნიშვნელობებისთვის) და თუ $X_1 > X_0$, მაშინ ოპტიმალური მართვა და გადაყვანის ოპტიმალური დრო იქნება $u(t) = U, \ t_0 \le t \le t_1$, და $t_1 - t_0 = \frac{X_1 - X_0}{U}$ შესაბამისად.

თუ $X_1 < X_0$, მაშინ ოპტიმალური მართვა და ოპტიმალური დრო იქნება $u(t) = u,\ t_0 \le t \le t_1$, და $t_1 - t_0 = \frac{X_0 - X_1}{u}$, შესაბამისად.

შენიშვნა 1. ვინაიდან $u(t) = \sum_{i=1}^{n}\big(D_i(t) - Y_i(t)\big),\quad t_0 \le t \le t_1$, და $D_i(t), (\, i = 1,2,\cdots,n.)$ მოცემული სიდიდეებია (მოთხოვნილებები), ამიტომ პროცესის მართვას ვახორციელებთ წარმოების მოცულობების საშუალებით ე.ი. $Y_i(t), (\, i = 1,2,\cdots,n.)$ საწარმოო ფუნქციებით.

შენიშვნა 2. თეორიული მოსაზრებიდან გამომდინარე, თუ $Y_i(t), (\, i = 1,2,\cdots,n.)$ წინასწარ მოცემული სიდიდეებია (წარმოების მოცულობებია), მაშინ პროცესის მართვას ვახორციელებთ მოთხოვნის მნიშვნელობებით ე.ი $D_i(t), (\, i = 1,2,\cdots,n.)$ მოთხოვნის ფუნქციებით..

შენიშვნა 3. ჩვენ არ გამოვრიცხავთ შემთხვევებს, როდესაც მართვის ზოგიერთი კომპონენტი წარმოების მოცულობაა, ზოგი კი მოთხოვნა.

განვიხილოთ ისეთი თვისობრივი ფაქტორი, როგორიცაა პოლიტიკური სისტემა ან, უფრო მარტივად, პოლიტიკური რეჟიმი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ პოლიტიკური სისტემა შეიძლება იყოს სამი ტიპის: პირველი, მეორე ანუ გარდამავალი და მესამე.

პოლიტიკური სისტემის ცვლილების გათვალისწინებით, ზემოთ ჩამოყალიბებული ოპტიმალური მართვის ამოცანა (I), (II), (III) მიიღებს ცვლადი სტრუქტურის მქონე ოპტიმალური მართვის ამოცანის ფორმას.

ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანა უწყვეტი შუალედური პირობით

განვიხილოთ ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ოპტიმალური მართვის პროცესი $T:\ t_0 \le t \le t_1$ დროის ინტერვალზე შემდეგი ზოგადი ფორმით:

$$\begin{cases} \dfrac{dX(t)}{dt} = u_1(t), & t_0 \le t \le \theta_1\,, \qquad (7) \\ \dfrac{d\tilde{X}(t)}{dt} = u_2(t), & \theta_1 \le t \le \theta_2\,, \qquad (8) \\ \dfrac{d\hat{X}(t)}{dt} = u_3(t), & \theta_2 \le t \le t_1\,, \qquad (9) \end{cases}$$

$$X(t_0) = X_0,\quad X(\theta_1) = \tilde{X}(\theta_1),\quad \tilde{X}(\theta_2) = \hat{X}(\theta_2),\quad \hat{X}(t_1) = X_1\ ; \qquad (10)$$

$$u_1 \le u_1(t) \le U_1, \qquad t_0 \le t \le \theta_1;$$

$$u_2 \le u_2(t) \le U_2, \qquad \theta_1 \le t \le \theta_2;$$

$$u_3 \le u_3(t) \le U_3, \qquad \theta_2 \le t \le t_1.$$

სადაც $X_0, \hat{X}_1, t_0, u_1, U_1, u_2, U_2, u_3, U_3$ მოცემული რიცხვებია; $\theta_1, \theta_2, t_1 \in T$ წინასწარ უცნობი დროის მომენტებია დროის მოცემული ინტერვალიდან. დავუშვათ (7) განტოლება აღწერს არადამაკმაყოფილებელ ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას, (8) განტოლება აღწერს დამაკმაყოფილებელ ანუ ნეიტრალურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას და (9) განტოლება აღწერს ჭარბად დამაკმაყოფილებელ ანუ ეფექტურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას.

ჩვენი მიზანია ისე შევარჩიოთ $u_1(t), t_0 \le t \le \theta_1, u_2(t), \theta_1 \le t \le \theta_2, u_3(t),\ \theta_2 \le t \le t_1,$ სამართი ფუნქციები და ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის სტრუქტურის ცვლილების $\theta_1, \theta_2, \in T$ მომენტები და t_1 მომენტი, რომ (7), (8), (9) სისტემის ამონახსნებმა დააკმაყოფილონ (10) პირობა და ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემა მოცემული $X(t_0) = X_0$ მდგომარეობიდან გადაიყვანონ სასურველ $X(t_1) = X_1$ მდგომარეობაში მინიმალურ დროში.

პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის გამოყენება ზემოთ ჩამოყალიბებული ამოცანისთვის მოგვცემს:

ან $u_1(t) = U_1$ ან $u_1(t) = u_1$, $t_0 \le t \le \theta_1$ დროის შუალედზე. თუ $u_1(t) = U_1$, მაშინ $X(t) = X_0 + U_1(t - t_0),\ t_0 \le t \le \theta_1$ ხოლო თუ $u_1(t) = u_1$, მაშინ $X(t) = X_0 + u_1(t - t_0),\ t_0 \le t \le \theta_1$. ანალოგიურად გვექნება $\theta_1 \le t \le \theta_2$ და $\theta_2 \le t \le t_1$ ინტერვალებზე შესაბამისად:

$u_2(t) = U_2$ ან $u_2(t) = u_2$, $\theta_1 \le t \le \theta_2$ დროის შუალედზე. თუ $u_2(t) = U_2$, მაშინ $\tilde{X}(t) = \tilde{X}(\theta_1) + U_2(t - \theta_1)$, ხოლო თუ $u_2(t) = u_2$, მაშინ $\tilde{X}(t) = \tilde{X}(\theta_1) + u_2(t - \theta_1)$.

$u_3(t) = U_3$ ან $u_3(t) = u_3$, $\theta_2 \le t \le t_1$ დროის შუალედზე. თუ $u_3(t) = U_3$, მაშინ $\hat{X}(t) = \hat{X}(\theta_2) + U_3(t - \theta_2)$, ხოლო თუ $u_3(t) = u_3$, მაშინ $\hat{X}(t) = \hat{X}(\theta_2) + u_3(t - \theta_2)$.

გვექნება 6 განსხვავებული შემთხვევა. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი: $u_1(t) = U_1, t_0 \le t \le \theta_1$, და $X(t) = X_0 + U_1(t - t_0),\ t_0 \le t \le \theta_1$; $u_2(t) = u_2,\ \theta_1 \le t \le \theta_2$, და $\tilde{X}(t) = \tilde{X}(\theta_1) + u_2(t - \theta_1),\ \theta_1 \le t \le \theta_2$, $u_3(t) = U_3. \theta_2 \le t \le t_1$, და $\hat{X}(t) = \hat{X}(\theta_2) + U_3(t - \theta_2), \theta_2 \le t \le t_1$.

საწყისი პირობა $X(t_0) = X_0$ და უწყვეტად გადაბმის შუალედური პირობები გვაძლევს, რომ $X(\theta_1) = \tilde{X}(\theta_1)$, $\tilde{X}(\theta_2) = \hat{X}(\theta_2)$. ამ პირობებიდან და $\hat{X}(t_1) = \hat{X}_1$ პირობიდან მიიღება შემდეგი განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases} X_0 + U_1(\theta_1 - t_0) = \tilde{X}(\theta_1) + u_2(\theta_1 - \theta_1), \\ \tilde{X}(\theta_2) + u_2(\theta_2 - \theta_1) = \hat{X}(\theta_2) + U_3(\theta_2 - \theta_2), \\ \hat{X}(\theta_2) + U_3(t_1 - \theta_2) = \hat{X}_1, \end{cases} \quad \begin{cases} X_0 + U_1(\theta_1 - t_0) = \tilde{X}(\theta_1), \\ \tilde{X}(\theta_2) + u_2(\theta_2 - \theta_1) = \hat{X}(\theta_2), \\ \hat{X}(\theta_2) + U_3(t_1 - \theta_2) = \hat{X}_1, \end{cases}$$

$$\begin{cases} \theta_1 = \frac{\tilde{X}(\theta_1) - X_0 + U_1 t_0}{U_1}, \\ \theta_2 = \frac{\hat{X}(\theta_2) - \tilde{X}(\theta_2) + u_2\theta_1}{u_2} = \theta_1, \\ t_1 = \frac{\hat{X}_1 - \hat{X}(\theta_2) + U_3\theta_2}{U_3} \end{cases}$$

ამ შემთხვევაში ოპტიმალური გადასვლის დრო იქნება: $t_1 - t_0 = \frac{\hat{X}_1 - \hat{X}(\theta_2) + U_3\theta_2}{U_3}$ - t_0.

დანარჩენ 5 შემთხვევაშიც ანალოგიურად გამოითვლება ოპტიმალური მართვები, ოპტიმალური გადართვის მომენტები და ოპტიმალური გადასვლის დრო.

გამოყენებული ლიტერატურა

Arsenashvili A.I. (2022). Modeling of the economic-political systems. The Business and Management Review, vol. 13, Number 1, April 2022, pp. 15-20.

Arsenashvili A. (1980). Optimal control problem for step systems with delay. Works of Institute of Control Systems of AS GSSr, ss. 24, v.1, 17-29.

Achepkov T.L., (1987). Optimal control of discontinuous systems. Moscow, Nauka, 1987.

Calukvadze M., Gabisonia V., Arsenashvili A.(1990). Optimal control of the main electric locomotive traffic. 11th IFAC World Congress, "Automatic Control in the Service of Mankind", Tallinn, Estonia, USSR, August 13-17, 1990, volume 10, pp.211-213.

Kharatishvili G.L. (1980). Maximum principle for optimal problems with switching. Works of Institute of Control Systems of AS GSSR, 1980, iss. 19, V. 1, 5-17.

Kharatishvili G. (1985). Poliatomic optimal systems. "IPM TGU" collection of transactions. Optimal problems in systems with a variable structure, 1985, pp.3-47.

Понтрягин Л.С., Болтянский В.Г., Гамкрелидзе Р.В., Мищенко Е.Ф. (1969). Математическая теория оптимальных процессов. Наука, Москва. (L. S. Pontryagin, V. G. Boltyanskii, R. V. Gamkrelidze, and E. F. Mischenko, "The Mathematical Theory of Optimal Processes," Wiley Interscience, New York, 1962.)

Variable Structure Optimal Control Problem for the Economic-Political Systems with Continuous Intermediate Conditions

Akaki Arsenashvili
Doctor of physics and mathematical sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilis State University
akaki.arsenishvili@tsu.ge

Summary

Investigation of variable structure optimal control problems is one of the important directions of the optimal control theory. Change of the structure of a system means that the system at some beforehand unknown moment may go over from one law of movement to another. Moreover, after changing the structure the initial condition of the system depends on its previous state. This joins them into a single system with variable structure. Such problems are important for various practical applications. In this article we consider the general economic system, the main purpose of which is to meet all the basic needs of society. It also takes into account the fact that the essence of the economic system depends on the political system in society, which is constant at certain intervals of time, but can change at any time unknown in advance. This feature of the economic-political system allows us to consider this system as a variable structure optimal control system with continuous intermediate conditions. We introduce indicators of efficiency and effectiveness of the economic system, which give us information about the state of the economic system at a given time interval and at a given point in time, respectively. One simple linear variable structure economic-political system optimal control problem is presented for illustration.

Keywords: variable structure, control problem, economic system, political system, effectiveness of the economic system, system efficiency.

ინოვაციური უსაფრთხოების როლი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში

თეა ლაზარაშვილი
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
tea.lazarashvili@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-234-241

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია ინოვაციური უსაფრთხოების ცალკეული თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში. დღევანდელ პირობებში, ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და მათი დანერგვის პროცესებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ცხოვრების ხარისხის ამაღლებისათვის. უმეტესობა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია მიმდინარეობს კვლევები, რომლებიც ეხება ეროვნულ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური კომპონენტი ამ კვლევებში განიხილება, როგორც ეკონომიკური ან/და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი. დღეისათვის არ არსებობს ინოვაციის ზემოქმდების ერთმნიშვნელოვანი არსი ეროვნულ და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინოვაციური განვითარების გზაზე გადასვლისას ცვლილებები ხდება არა მხოლოდ ეკონომიკასა და მის შემადგენელ ნაწილებში, არამედ ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში, აგრეთვე სახელწიფოსა და საზოგადოების ინსტიტუციურ სტრუქტურებსა და პიროვნების გნავითარებაში. იმ მრავალმხრივი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ვლინდებიან ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისა და მისი უსაფრთხო განვითარების პროცესში, წარმოიშვება ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში ისეთი ახალი მიმართულების ფორმირების ობიექტური საჭიროება, როგორიცაა ინოვაციური უსაფრთხოება.*

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება.*

მსოფლიოს უმეტესობა ქვეყნებში დიდი ხანია მიმდინარეობს ეროვნულ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კვლევები, სადაც ინოვაციურობა განიხილება, როგორც ეკონომიკური ან სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილი. ამ დროის მანძილზე შემუშავდა ეროვნული, ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების შესწავლის მეთოდოლოგია, ჩამოყალიბდა ეროვნული უსაფრთხოების, სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების და ინვესტიციური უსაფრთხოების კატეგორიების სტრუქტურა. მიუხედავად ასეთი სამუშაოებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებთან მიმართებაში სისტემური კვლევა არ ჩატარებულა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნულ უსაფრთხოებასა და ინოვაციურ საქმიანობას შორის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის პროცესები

და მათი პრაქტიკული რეალიზაციის გზები. აღსანიშნავია, რომ დღემდე არ არსებობს ინოვაციის ერთმნიშვნელოვანი განმარტება და მისი ზემოქმედება ეროვნულ და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. რიგი მეცნიერებისა წინა პლანზე წამოწევს ინვესტიციურ უსაფრთხოებას, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების ქვესისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური პროცესების საიმედოობისა და უსაფრთხოების დონეს: დღემდე არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი მოსაზრება, წარმოადგენს თუ არა ინოვაციური უსაფრთხოება დამოუკიდებელ ობიექტს, თუ იგი უნდა განხილულ იქნას ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენლობაში. ხშირია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინოვაციური საქმიანობა ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში ვლინდება ელემენტების საკმაოდ რთული შემადგენლობის სახით. მხოლოდ ზოგიერთ მეცნიერს შემოაქვს ტერმინი „ინოვაციური უსაფრთხოება“ განმარტავენ რა მას, როგორც ეკონომიკის დაცულობის მდგომარეობას, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგებისა და ადგილობრივ და მსოფლიო ბაზრებზე გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. აგრეთვე ეკონომიკის უნარს უზრუნველყოს მდგრადი განვითრება და წინ აღუდგეს გლობალურ ბაზრებზე არსებულ ნეგატიურ ფაქტორებს.

პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებს აგრეთვე არ აქვთ ამ პრობლემის გაგების მკაფიო მნიშვნელობა. ევროკავშირის, ევროპის და აზიის ქვეყნების ყველა პროგრამაში, ინოვაციური ეკონომიკის უსაფრთხოების ფორმირებისა და განვითარების უზრუნველყოფა განხილება ეროვნულ ან/და ეკონომიკური უსაფრთხოების ჩარჩოებში.

აღსანიშნავია, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესში წარმოიშვება სხვადასხვა ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგომარეობასა და უსაფრთხოებაზე, რაც თავის გამოხატულებას ჰპოვებს (Сизов, 2004):

- შექმნილ ინოვაციური განვითარების ეროვნულ სისტემებში, რომლებიც ცვლიან სახელმწიფოში ფუნქციონირებად ტრადიციული ეკონომიკის ეკონომიკურ სისტემებს და ამასთან არღვევენ მოძველებულ წესებსა და ძალების ბალანსს;
- მართვის სახელმწიფო სისტემებში, რომლებიც არ არიან ადაბტირებულნი ინოვაციური განვითარებისადმი;
- ინოვაციური პროცესების ინფორმაციული დაცულობის სისტემებსა და მექანიზმებში;
- დიდ ფინანსურ დანახარჯებსა და კომერციულ რისკებში;
- ქვეყნებში, რომლებიც დაადგნენ ინოვაციური განვითარების გზას და მნიშვნელოვნად გაიმყარეს მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტული პოზიციები;
- ინოვაციური პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდის შედეგად, კონკურენტების მხრიდან მკაცრი ქმედებების გამოვლენაში.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც იზრდება გამოწვევები და საშიშროებები, მწვავდება გლობალური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტისა და მინიმიზაციისათვის მოითხოვება მძლავრი ინოვაციური სექტორი და შესაბამისი ინსტიტუტები, აღნიშნული საკითხების აქტუალობა მნიშვლეოვნად იზრდება.

ამგვარად, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის წინაშე, ინოვაციურ საფუძველზე დგება, ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების უმთავრესი პრობლემის გადაჭრის გზების ამოცანა, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ეროვნული

უსაფრთხოების საგარეო სფეროში, რეგიონულ და მსოფლიო დონეებზე სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. აქედან გამომდინარე, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ყველა სტადიაზე მწვავედ დგება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანა.

რიგი მეცნიერების აზრით, ეროვნული უსაფრთხოებიოს არსი ინოვაციურ სფეროში შეიძლება განისაზღვროს ინოვაციური ეკონომიკის არსით, ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორიისა და პრაქტიკის გაგებიდან გამომდინარე. ინოვაციური ეკონომიკის არსი ვლინდება სამეურნეო სისტემის ახალ ტიპში, როდესაც მის საფუძველში დომინირებს მაღალი ტექნოლოგიები წარმოებაში და მაღალტექნოლოგიური პროდუქცია ექსპორტში დამატებითი ღირებულების მაღალი წილით, ეროვნული ინტელექტის წამყვანი როლი. ანუ, ინოვაციური ეკონომიკის ძირითად ფაქტორად გამოდის მეცნიერება და ცოდნა (Никитенко, Булавко, 2009).

ინოვაციური ეკონომიკის არსი შეიძლება განვიხილოთ იმ ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების არსებული მოდელების მაგალითზე, რომლებიც ორიენტირებული არიან ცოდნის ეკონომიკაზე და რომლებიც პირველ რიგში აყენებენ ინოვაციების პრიორიტეტულ განვითარებას და მეორე მხრივ მასშტაბურ კაპიტალდაბენდებებს მეცნიერებაში, განათლებასა და ჯანდაცვაში, როგორც თანამედროვე საზოგადოების ყველაზე სიცოცხლისუნარიან სფეროებში; მესამე მხრივ ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება განვითარების პრიორიტეტებისა და მნიშვნელოვანი ხარისხით ფინანსური განვითარების გამომუშავებაზე. მაგალითად აშშ-ს პოლიტიკის თავისებურებებს მეცნიერებისა და ინოვაციის სფეროში, წარმოადგენს სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, საპატენტო ინსტიტუტების მართვის ცენტრალიზებული სისტემის ფორმირებაში, კონტროლის ფუნქციის აკუმულირება და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემის ფინანსირება.

ინოვაციური ეკონომიკის არსი ვლინდენა აგრეთვე იმ ცნებებსა და კატეგორიების გზით, რომლებიც ინოვაციურ ეკონომიკას ასახავენ როგორც სისტემურ მოვლენას, რომელიც ერთ მთლიანობაში აერთიანებს ინოვაციური საქმიანობის ყველა მხარეს მისი ფორმირების, განვითარებისა და კვლავწარმოების პროცესში (www.Pandia. ru/texst/77/195/40526.php).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური ეკონომიკის არსად აგრეთვე გვევლინება ინოვაციური სამეურნეო სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციის უწყვეტ მოდინებაზე, მეცნიერებისა და ახალი ცოდნის პრიორიტეტულ განვითარებაზე, განვითარებულ ინოვაციურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და ინფორმაციულ ქსელებზე, მაღალგანვითარებულ ადამიანისეულ კაპიტალზე. ინოვაციური ეკონომიკის ცნების, კატეგორიებისა და სხვა ელემენტების ანალიზი და ინოვაციური სისტემის არსი, შინაარსი და სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ინოვაციური უსაფრთხოების ფენომენის შესასწავლად, ძირითადი მიდგომები და მისი ზექმოქმედება ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე ეროვნული უსაფრხოების უზრუნველსაყოფად.

ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ ინოვაციები წარმოადგენს ეკონომიკის მაღალი კონკურენტუნარიანობის მიღწევის საშუალებას, მიზანშეწონილია, რომ უსაფრთხოება ინვესტიციებსა და ინოვაციური რესურსების მართვის სფეროში გადაიჭრას პრიორიტეტული ამოცანებისა და რეალური საფრთხეების გათვალისწინებით მეურნეობის კონკრეტულ სუბიექტებზე, რომლებიც განაპირობებენ ინვესტიციური და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციას: ანუ ინოვაციური

პროცესის რეალიზაციის გადაჭრა უნდა მოხდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მეთოდებით კონკრეტულად საწარმოებსა და ორგანიზაციებში (Held, 2007).

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინოვაციური განვითარების გზაზე გადასვლისას ცვლილებები ხდება არა მხოლოდ ეკონომიკაში და მის შემადგენელ ნაწილებში, არამედ მსოფლმხედველობის, ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინსტიტუციურ სტრუქტურებში, პიროვნების განვითარებაში. ე.ი. ხდება უსაფრთხო განვითარების პრობლემების ისეთი სფეროების შეხება, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია ეკონომიკური უსაფრთხოების ჩარჩოში. ინოვაციური ეკონომიკისა და მისი უსაფრთხო განვითარების ფორმირების პროცესში წარმოიშვება მოთხოვნილება ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ფარგლებში მოხდეს ახალი მიმართულების – ინოვაციური უსაფრთხოების ფორმირება (Шимов, 2014).

ინოვაციური უსაფრთხოების ქვეშ უნდა მოვიაზროთ ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფის მეცნიერების, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვების შედეგების კონკურენტუნარიანობას ეროვნულ, რეგიონულ და მსოფლიო ბაზრებზე და უზრუნველყოფს გლობალური კონკურენციის დონეზე მდგრად განვითარებას. ინოვაციის ზემოქმედების დონე და ხარისხი ეროვნული უსაფრთხოების ყველა სფეროზე, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე და მთლიანობაში სახელმწიფოს მთელ სისტემაზე, საზოგადოებასა და პიროვნებაზე, საშუალებად გვაძლევს ინოვაციური ეკონომიკის უსაფრთხო ფორმირების ყველა პროცესი განვიხილოთ ინოვაციური უსაფრთხოების ჩარჩოებში, როგორც ეროვნული უსაფრთხოების დამოუკიდებელი სფერო (Сенчагов, 2002).

თანამედროვე პირობებში, ინოვაციური უსაფრთხოება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე თეორიის კატეგორია მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ ცნებებთან, როგორიცაა: კრეატიულობა, ახალი იდეებისა და მათი გადაწყვეტის ხერხების კრისტალიზაცია. მოცემული კატეგორიის გარეშე შეუძლებელია მოხდეს ეკონომიკურ განვითარებაში და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფაში გარღვევა. უდაოა, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკას არ შეუძლია იყოს მდგრადი და კონკურენტუნარიანი მსოფლიო დონეზე ინოვაციური გარღვევის, დინამიური განვითარების გარეშე, რომელსაც გამოყავს ეროვნული ეკონომიკა მაღალგანვითარებული ქვეყნების ინოვაციური ეკონომიკის განვითარების დონეზე.

ინოვაციური უსაფრთხოება ეკონომიკური უსაფრთხოებისაგან განსხვავებით პირველ რიგში ეფუძნება არა ეკონომიკური განვითარების სტატიკურ მიდგომებს, არამედ დინამიკურ ინოვაციურ-ეკონომიკურ გარღვევებს. სტატიკური მიდგომის და სტატიკური თეორიის საწინააღმდეგოა დინამიკური თეორია, რომელიც წარმოადგენს უპირატესად განვითარების და არა ფუქნციონირების თეორიას. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დინამიკური მიდგომის საფუძველში ჩადებულია დროის ფაქტორი, რადგანაც მასზეა დამოკიდებული სისტემაში მომქმედი ცვლილებების ხასიათი და სიღრმე. აქედან გამომდინარე ინოვაციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა განიხილებოდეს დინამიკური თეორიის მდგომარეობიდან გამომდინარე, სადაც დროის ფაქტორი ზემოქმედებს მის ცვალებად პარამეტრებზე (Scholte, 2006).

მეორე მხრივ, ინოვაციური უსაფრთხოება წარმოადგენს ეკონომიკის ინოვაციური მართვის კომპონენტს, რომელიც ინოვაციური ეკონომიკის ეტაპობრივი ფორმირებისას მგრძნობიარეა პერმანენტულად წარმოშობილი არასტაბილურობის ელემენტების მიმართ. არასტაბილურობის

დასაძლევად მნიშვნელოვანია არა მარტო მისი წარმოშობის მიზეზების მეცნიერული კვლევა, არამედ ეფექტური ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ასეთი პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ინოვაციური უსაფრთხოების ზუსტი ინდიკატორების შემუშავება

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური უსაფრთხოების მეცნიერული გაგება და მისი მნიშვნელობის კვლევა, სახელმწიფოს წარმატებული ინოვაციური განვითარების საშუალებას იძლევა, გამოვლენილ იქნას ინოვაციური ეკონომიკის შემაკავებელი, მაფორმირებელი და განმავითარებელი ფაქტორები. ეს საშუალებას გვაძლევს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პირობებში შემუშავდეს ინოვაციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეფექტიანი სტრატეგია, რომელმაც უნდა მოიცვას სახელმწიფო პოლიტიკის ყველა მიმართულება, პირველ რიგში საზოგადოებრივი ცხოვრების საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამრეწველო, ფინანსური და სოციალური სფეროები (Held, 2007).

ინოვაციური უსაფრთხოება შეიძლება დავახასიათოდ, როგორც ეკონომიკური სისტემის მდგრადობა შიდა და გარე ფაქტორების ზემოქმედებისადმი, ხოლო მდგრადობა თანამედროვე პირობებში მოითხოვს მუდმივ ინოვაციურ განვითარებას და არასტაბილურობის ფაქტორების სწრაფად გადალახვას, რომლებიც ობიექტურად წარმოიშვებიან ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისას. მდგრადობა და განვითარება თავის მხრივ მოითხოვს დინამიკურ ინოვაციურ მიდგომას ინოვაციური უსაფრთხოების პრობლემისადმი.

მნიშვნელოვანი ადგილი ქვეყნის ინოვაციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორიისა და პრაქტიკის შემუშავებისას უნდა მივანიჭოთ ინტეგრაციას მსოფლიო სამეურნეო კავშირების სისტემაში და ერთობლივ მონაწილეობას მსოფლიო შემოსავლის ფორმირებისას კვლავწარმოების ციკლში. მოცემულ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ გლობალიზაციის პროცესებზე, არამედ მსოფლიო ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესზე. ამ კუთხით ინოვაციური უსაფრთხოება შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონკურენტუნარიანი ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის შექმნა, რომელიც აწარმოებს ინოვაციურ პროდუქციას მსოფლიო გასაღების ბაზრებზე გარანტირებული წვდომით, რაც განაპირობებს ეროვნული ინტერესების გავრცელებას სახელმწიფო საზღვრებს გარეთ.

დასკვნა

ამგვარად, სახელმწიფოს ინოვაციური უსაფრთხოების არსს თანამედროვე პირობებში წარმოადგენს ინოვაციური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მდგომარეობა და დინამიკა, საზოგადოებრივი ურთიერთობები ადამიანს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, რომლებიც საშუალებას იძლევა ობიექტურად განისაზღვროს და ეფექტიანად მოხდეს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ინოვაციურ განვითარებაში ინტერესების რეალიზება.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესი შეხებაშია ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიულ და ტაქტიკურ მიზნებთან, ცვლის მიზნების მიღწევის ხერხებსა და მეთოდებს, მაგრამ ეკონომიკის განვითარების პრინციპული ამოცანები იგივე რჩება: მდგრადობა, ეკონომიკური ეფექტურობა, კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ეკონომიკის უნარი თვითგანვითარებისა და პროგრესისაკენ, უსაფრთხოება.

ინოვაციური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მთლიანი ციკლისას და სისტემის წონასწორულ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, აუცილებელია

პოლიტიკური, ეკონომიკური, ინსტიტუციური ასპექტების ურთიერთკავშირი და აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სახელმწიფოს, რომელიც მთავარ როლს თამაშობს ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირებისას, მის ფუქნციონირების წესების დადგენისას, ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერისას და აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შექმნისას ეკონომიკის ახალ პირობებში ფუნქციონირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Сизов, Ю. И. (2004).Экономическая безопасность региона: регионализация, устойчивость бизнеса, стратегия / Ю. И. Сизов. М.: Наука.

Экономическая безопасность: теория, методология, практика / В. Г. Булавко [и др.]; под науч. ред. П. Г. Никитенко, В. Г. Булавко. Минск: Право и экономика, 2009. С. 397–399.

[Электронный ресурс] Режим доступа: www.Pandia. ru/texst/77/195/40526.php.

Шимов, В. Н. Инновационное развитие экономики Беларуси: движущие силы и национальные приоритеты / В. Н. Шимов, Л. М. Крюков. Минск: БГЭ, 2014. С. 15–16.

Сенчагов, В. К. Экономическая безопасность: геополитика, глобализация, самосохранение и развитие / В. К. Сенчагов. М.: ЗАО «Финстатинформ», 2002. С. 38.

Held, D. (2007). Globalization Theory: Approaches and Controversies / D. Held D., A. McGrew. Cambridge: Polity.

Scholte, J. A. (2006). Encyclopedia of Globalization / J. A. Scholte, R. Robertson. N.-Y.; London: Routledge.

The Role of Innovative Security in the State's National Security System

Tea Lazarashvili

Chief research fellow
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
Academic Doctor of Economics, associate professor
Caucasus International University
tea.lazarashvili@tsu.ge

Summary

The article discusses individual theoretical and methodological aspects of innovative security and its importance in the state's national security system. In today's conditions, innovative technologies and their implementation processes are of special importance for raising the quality of life. Most of the economically developed countries have been conducting research related to national and economic security for a long time. In addition, it should be noted that the innovative component in these studies is considered as a component of economic and/or scientific-technical security. To date, there is no unambiguous essence of the impact of innovation on national and economic security. The analysis shows that when moving to the path of innovative development, changes occur not only in the economy and its constituent parts, but also in the psychological, political, socio-economic, scientific-technical, educational and cultural spheres, as well as in the institutional structures of the state and society and the development of personality. In order to solve the multifaceted problems that appear in the process of forming an innovative economy and its safe development, there is an objective need to form a new direction in the national security system, such as innovative security.

Keywords: innovative security, economic security, national security of the state.

ბიუჯეტის ადმინისტრირების მექანიზმები გლობალური ეკონომიკის პირობებში

მარინა ტაბატაძე
ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tabatadze_marina@yahoo.com

ანნა თანდილაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, სტუ მოწვეული პროფესორი
ილიას უნივერსიტეტი

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-242-253

ანოტაცია. *თანამედროვე გლობალური სისტემები ახალ სტანდარტებს აყალიბებს ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში და არსებითად ცვლის მის პრიორიტეტებს, იცვლება ამ სისტემაში ქვეყნების მონაწილეობის ეკონომიკური სტატუსიც, მსოფლიო ეკონომიკისთვის დღეს რეგიონალიზმის ზრდა და ეკონომიკის სივრცითი სისტემების შექმნაა დამახასიათებელი, იცვლება კლასიკური ეკონომიკური კონცეფციები, იქმნება მისი ახალი მოდელი, - ეკონომიკური ნაციონალიზმის სახით, იზრდება რისკები, მათი სიმწვავე და მასშტაბები, ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა და პროგნოზირებადობა ხდება, იკვეთება ეკონომიკის გამოთანაბრების, მისი სოციალური და ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხები. გლობალურ ეკონომიკას მართვის ერთიანი სისტემის დეცენტრალიზაციასთან ერთად, თვით ქვეყნებში ცენტრალიზებული მართვის ელემენტების გააქტიურება ახასიათებს, ეს მსოფლიო თანამშრომლობის ახლებური სტანდარტების შემუშავებას და განვითარების ინტეგრაციული და ეროვნული ფაქტორების დაბალანსებას მოითხოვს. კვლავ აქტუალური ხდება ეკონომიკაზე ხელისუფლების ზეგავლენის და მისი უფლებამოსილებათა დელეგირების საკითხი. საჯარო მმართველობის სწორი კოორდინირება ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპს ემყარება, რაც საზოგადოების დემოკრატიული მოდელის მთავარი ფორმა და მართვის ინსტრუმენტების საზოგადოებისათვის გადაცემის საფუძველია. სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების ოპტიმალური განაწილება, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის იერარქიული პრინციპები და უფლებამოსილებათა განაწილების ფისკალური მექანიზმები, სივრცითი ეკონომიკის სტრუქტურირების თავისებურებები და მისი საბიუჯეტო უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიზანია. ნაშრომში მოცემულია ეკონომიკის თანამედროვე მმართველობითი სტანდარტები, მისი კონცეპტუალური ინსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლები, გლობალურ გარემოში ეკონომიკური სისტემების სწორი კოორდინირების და ბიუჯეტის დონეებს შორის ფუნქციების ოპტიმალური განაწილების საკითხები, განხილულია ეკონომიკის მართვაში საბიუჯეტო სისტემის დეცენტრალიზაციის როლი და თავისებურებები საქართველოში.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური სისტემების კოორდინირება, რეგიონალიზმი და სივრცითი ეკონომიკა, სახელისუფლებო ფუნქციების განაწილება, ბიუჯეტის დეცენტრალიზაცია, მმართველობითი სტანდარტები.*

თანამედროვე სამყაროში მართვის ერთპოლუსიანი სისტემა ძალაუფლებას კარგავს და ადგილს დეცენტრალიზებულ ურთიერთობებს უთმობს, იზრდება ქვეყნების ავტონომიური ფუნქციონირების და სამეზობლო პოლიტიკის მნიშვნელობა, ძლიერდება გარე ეკონომიკურ ფაქტორებზე დამოკიდებულება, რაც ზრდის ეროვნული ხელისუფლებების როლს და ქვეყნის შიგნით ცენტრალიზებული მმართველობითი სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივ ნორმების და ინსტიტუციური მექანიზმების მნიშვნელობას.

ქვეყნების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობითი სისტემის ვერტიკალიზაციის საკითხი დღეისათვის მეცნიერული კვლევების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება. კვლევის მნიშვნელობას ისიც განაპირობებს, რომ ქვეყნებს თვითმმართველობის სტრუქტურირების საკუთარი ისტორია და სპეციფიკა გააჩნიათ, რაც შეუძლებელს ხდის დეცენტრალიზაციის უნივერსალური მოდელის შექმნას, მათ ინდივიდუალურად უნდა განსაზღვრონ დეცენტრალიზაციის მექანიზმები და თვითმმართველობის ავტონომიურობის ხარისხი.

ხელისუფლების დეცენტრალიზაციის კონცეპტუალურ საფუძვლად მმართველობით დონეებს შორის უფლებამოსილებათა სწორი გამიჯვნა, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციების გაფართოება, ქვეყნის სივრცობრივი სტრუქტურირება და ტერიტორიული მოწყობის ეფექტური იერარქიზაცია განიხილება. მმართველობის დეცენტრალიზაციის დადებითი ეფექტი, უპირველესად, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალიზაციაში და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოსახლეობის აქტივობის ზრდაში გამოიხატება.

ევროპული რეგიონალიზმის საკითხებს ევროსაბჭოს **ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი** განიხილავს, მისი კონცეპტუალური პრინციპია ადგილობრივი სპეციფიკის მაქსიმალური გათვალისწინება და ურთიერთობათა სამართლებრივი საფუძვლების ჰარმონიზება. „საქართველომ უნდა იხელმძღვანელოს ევროპის იმ მიდგომებით, რომელიც გულისხმობს რეგიონალიზაციის პროცესში ქვეყნის ტერიტორიის ერთიანობის განმტკიცებას პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ერთიანობისა და მდგრადი განვითარების კონტექსტში“ (http/gov.ge/uv3u4w).

სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში აქტიური მარეგულირებელი ფუნქცია აქვს სახელმწიფოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი საბიუჯეტო ურთიერთობათა განსაზღვრაში. „ცენტრისა და ტერიტორიული ერთეულების ფინანსური ურთიერთობის საფუძვლად ფისკალური დეცენტრალიზაცია განიხილება, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფო - რეგიონის ურთიერთობაში დემოკრატიული პრინციპების მნიშვნელობას“ (ტაბატაძე, 2015).

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პროცესი არასტანდარტულია და მნელად ემორჩილება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. გლობალურმა პანდემიურმა კრიზისმა კლასიკური თეორიების ტრანსფორმაცია და რეფორმების შედეგების მნელად პროგნოზირებადობა გამოიწვია, ამან არსებითად გაზარდა ხელისუფლების ანტიკრიზისული მარეგულირებელი აქტივობა, რამაც ეკონომიკის რეგულირების ფინანსური ინსტრუმენტების და მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების როლის ზრდა გამოიწვია (სსფ, 2020). ეს ტენდენციები აისახა ევროკავშირის 2021 – 2027 წწ. ბიუჯეტის გრძელვადიან გეგმაში, - **"შემდეგი თაობის ევროკავშირი",** ევროკავშირის გრძელვადიან პროექტებში,- **„მწვანე ეკონომიკა“, „ციფრული დღის წესრიგი“, „დროებითი სახელმწიფო დახმარების ჩარჩო“, „სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეკრულების ზოგადი სადაზღვევო მუხლი“** და სხვ. ამ

დოკუმენტების თანახმად, წევრი სახელმწიფოებისათვის პრიორიტეტად მუნიციპალური მმართველობის და მართვის დეცენტრალიზებული მექანიზმების გააქტიურება იქნა აღიარებული.

ფინანსური დეცენტრალიზაციის რაციონალური მექანიზმების შემუშავება ხელისუფლებასა და თვითმმართველობას შორის ფინანსური ინსტრუმენტების სწორ გადანაწილებას და სახელმწიფოს მხრიდან რეგიონებისათვის ეფექტიან ფინანსურ მხარდაჭერას ემყარება. „დეცენტრალიზაციას შეუძლია ხელისუფლების ფისკალური დისციპლინის გაუმჯობესება, რამდენადაც ყველა დონის ხელისულფების ავტონომიურობით აღჭურვა აძლიერებს ფისკალურ პასუხისმგებლობას, ხოლო ვერტიკალური და ჰორიზონტალური კონკურენცია ამცირებს მონოპოლიურ ძალაუფლებას ფისკალურ სფეროში“ (Brennan, 1980).

ფისკალური დეცენტრალიზაცია ადგილობრივი ხელისუფლებისათვის რესურსების გადაცემასთან ერთად, ხელისუფლების თითოეული დონის კონკრეტულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საჯარო მომსახურებაზე, გადასახადის სახეების და განაკვეთის განსაზღვრაზე, მისი ადმინისტრირების მექანიზმების დადგენაზე (Oates, 1996). „დეცენტრალიზაციის დონე გვიჩვენებს რა საკითხების გადაწყვეტა შეუძლია ადგილობრივ ორგანოებს, რამდენად მაღალია მათი დამოუკიდებელი მანევრირების ხარისხი, მათ შორის ფინანსური სახსრების კუთხით“ (პაპავა, 2019).

ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას და სახელმწიფო ვალის რეგულირების საკითხს ენიჭება, იგი .**„ევროკავშირის ფისკალური წესის“** ძირითადი მოთხოვნებიდან გამომდინარეობს და ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლს, ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის ზრდას, ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის შემცირებას და მისი არამდგრადობის პრევენციას ისახავს მიზნად. რეგიონული განვითარების საკითხებისადმი საქართველოს ხელისუფლების კონცეპტუალური მიდგომები ასახულია მთავრობის საპროგრამო დოკუმენტში, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2030“, რომლის თანახმად, ქვეყნის მდგრადი განვითარების გადამწყვეტ ფაქტორს დეკონცენტრირებული მმართველოობა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა წარმოადგენს. (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-2030, 2019).

ევროკავშირის **„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანულ კანონის“** მიხედვით, (2011 წ.) ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც გაზრდის გამოშვების წონასწორულ სიდიდეს, ეკონომიკის რეაბილიტაციის გეგმაში პოულობს ასახვას, ასეთი ეგზოგენური ფაქტორები პირველ რიგში ფისკალური მექანიზმებია. შემუშავებულია ევროკავშირთან 2021-2027 წწ. საქართველოს ურთიერთობის ახალი სტრატეგიული **დოკუმენტი,-„მრავალწლიანი ინდიკატიური პროგრამა - MTP“,** რომელიც ამ თანამშრომლობის უფრო ფართო მასშტაბებს და ახალ პარტნიორულ მიმართულებებს ითვალისწინებს. (ევროკომისია, 2020b).

ხელისუფლების ვერტიკალური განაწილების ოპტიმიზაცია საქართველოში შესაბამის სამართლებრივ ნორმებს ემყარება, ესენია: „ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ (1997), ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (2007) „კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ (2006), „კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ (2006) და სხვა. საბიუჯეტო მოწყობის ეფექტიანი ადმინისტრირების და საჯარო ფინანსების მართვის საკითხში მნიშვნელოვანი სამართლევრივი ბაზა შექმნა სამთავრობო დოკუმენტმა - „საჯარო მმართველობის რეფორმა“ (2019) (საქ. მთავრობის დადგენილება).

საბიუჯეტო რეფორმებს შედეგად მოჰყვა საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის ზრდა, ფისკალური დისციპლინის დამკვიდრება, საგადასახადო პოლიტიკის რეფორმა, საშუალოვადიანი დაგეგმვის გაუმჯობესება, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა, ანგარიშგების ყოვლისმომცველობის გაზრდა, საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა და გაუმჯობესება, საბიუჯეტო დოკუმენტაციის საჯაროობა, მოქალაქის გზამკვლევების მომზადება, საბიუჯეტო მართვის პროცესებში მათი ჩართულობის მექანიზმების შემუშავება და სხვა (საქართველოს ფისკალური პოლიტიკა …, 2016: გვ. 19; 22).

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ფედერალური მოწყობისაა, რაც თითოეული დონის ბიუჯეტის იერარქიულ დამოუკიდებლობაზე მეტყველებს საშემოსავლო ბაზის და ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვის ავტონომიურობის თვალსაზრისით. **მსოფლიო ბანკის ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხის შეფასების შვიდი კრიტერიუმის მიხედვით,** საქართველოს საშუალო ხარისხის დამოუკიდებელი ბიუჯეტირების სისტემა აქვს. კერძოდ, საერთო შემოსავლების ინდიკატორის მიხედვით, დეცენტრალიზაციის ხარისხი 10%-ია, ხარჯვით კომპონენტში - 17%, საგადასახადო შემოსულობების მიხედვით კი, - 33%. ეს თანაფარდობა მიუთითებს იმაზე, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების დიდი წილი ტრანსფერებზე და გრანტებზეა დამოკიდებული. ამჟამად კვლავ მოქმედებს სპეციალური, მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერები, რაც სატრანსფერო პოლიტიკის ჯერ კიდევ დიდ მნიშვნელობაზე და საბიუჯეტო სისტემის საკმაოდ მაღალი ცენტრალიზაციის ხარისხზე მეტყველებს, "შემოსავლების განაწილების ახალი მოდელი, რომელიც გათანაბრებითი ტრანსფერის დღგ-ის მიხედვით განსაზღვრას გულისხმობს, შემოსავლების წყაროს უფრო მრავალფეროვანს და სტაბილურს ხდის, რასაც „ევროპული ქარტია" ფისკალური დეცენტრალიზაციის მნიშვნელოვან პირობად განიხილავს და შემოსავლების ალტერნატიული წყაროების მოძიებას ავალდებულებს მუნიციპალიტეტებს" (Tabatadze, 2020: გვ.13-22).

სსფ-ის შეფასებით, საქართველოს ფისკალური სისტემა სტაბილურია და მისი ინდექსები არ აჭარბებს მდგრადობის ზღვრულ დონეს, ამასთან, მის მიერ ჩვენს ფინანსურ სექტორში იდენტიფიცირებულია ის **გამოწვევები,** რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ფინანსური სექტორის მდგრადობისათვის, კერძოდ;

- გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის შეფასება;
- სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების მართვა;
- სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მართვა.

1. **გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის** განსაზღვრასთან დაკავშირებით შემუშავდა ევროკავშირთან სტრატეგიული პარტნიორობის ახალი ჩარჩო-დოკუმენტი,-**„მრავალწლიანი ინდიკატიური პროგრამა-MTP**" (საშუალოვადიანი ფისკალური პროგრამა MTEF მოქმედებს 2007 წლიდან), (ევროპარლამენტი, სიახლეები, 2020). ეს დოკუმენტი სახელისუფლებო და ფისკალურ ინსტიტუტებს შორის უფლებამოსილებათა დელეგირებასთან ერთად, ოპტიმალური ეკონომიკური კავშირების ერთიანი სისტემის ფორმირებას განიხილავს, რაც შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო მართვის ეფექტიანი დეცენტრალზაციის პოლიტიკის პირობებში. ამ საკითხში სსფ-ის რეკომენდაციები ემყარება საზოგადოებრივი განვითარების ფუნდამენტურ დებულებას მმართველობითი სისტემის იერარქიზაციის და ფუნქციათა ჰარმონიზაციის შესახებ. „ხელმძღვანელობის მიერ სწრაფი ადაპტირების, რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების საშუალებაა. მართვის დონეებს შორის თანამშრომლობა მმართველობის დემოკრატიზაციის არსებითი ფაქტორი და განვითარების მნიშვნელოვანი ტენდენციაა". (ტაბატაძე, 2016: გვ.466).

2. სარეზერვო ფონდების ეფექტური მართვა „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით“ რეგულირდება, რომლის თანახმადაც, სარეზერვო ფონდების მოცულობა, არ უნდა აღემატებოდეს წლიური საბიუჯეტო ასიგნებების 2%-ს, ამასთაან, 2015 წლის ნოემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში შესული ცვლილების თანახმად, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 5 მლნ. ლარით, მთავრობის სარეზერვო ფონდი კი, 85 მლნ.ლარით განისაზღვრა. (საქ. კანონი, 2018). **”ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“- IDFI** შეფასებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ყოველწლიური ხარჯვა არ სცილდება ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ ამ ზღვარს, მთავრობის ხარჯები კი *მნიშვნელოვნად* აღემატება მას. სსფ-მა არსებით პრობლემად სარეზერვო ფონდების დანახარჯების მიზნობრიობის დასაბუთება და ამ მიზნობრიობის განმსაზღვრელი ერთიანი სტანდარტის არარსებობა მიიჩნია. ევროსტანდარტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი გაუთვალისწინებელი ხარჯების ნაცვლად, ფორს-მაჟორული გარემოებით გამოწვეული ხარჯების დასაფინანსებლად უნდა იყოს განკუთვნილი. (IDFE, 2019); (კუკავა, 2016).

ადგილობრივი თვითმმართველობის სარეზერვო ფონდის *30% ფინანსურ დახმარებაზეა გათვლილი, 25% სტიქიის ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ხმარდება.* ადგილობრივი სარეზერვო ფონდების დაგეგმვა დახვეწას მოითხოვს, კერძოდ, ფონდის განკარგვასთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი რეგულაციის კანონში გაუთვალისწინებლობის გამო, ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს *ისეთი კაპიტალური პროექტების დაფინანსებას, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესშიც იყო შესაძლებელი, რაც ქმნის* ფონდის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის *რისკს (ადგილობრივი…, 2019).* სსფ-ის შეფასებით, სწორედ სარეზერვო ფონდების ხარჯვის მიზნობრიობის დასაბუთებაა დღეისათვის არსებითი პრობლემა, მაგ. მთავრობის სარეზერვო ფონდის მესამედი ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გადასაცემ სამთავრობო ტრანსფერებზე მოდის, რომელთა ნაწილი ხშირად სრულიად არ შეესაბამება და წინააღმდეგობაშიც კი მოდის ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსური რესურსების გამოთანაბრების პოლიტიკასთან.

3. სახელმწიფო საწარმოს ფინანსურ მართვას სსფ-მ ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა. დღეისათვის საქართველოში 236 სახელმწიფო საწარმოა, 66 შვილობილი კომპანიით, მათი ვალი ბიუჯეტისადმი 6.5 მლრდ. ლარია, რომლის დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. სსფ-მ ამ სეგმენტში უპირატესობა რესტრუქტურუზაციის გზით აღნიშნული საწარმოების საჯარო კორპორაციებად გადაკვალიფიცირებას მიანიჭა და მნიშვნელოვნად შეაფასა ამ პროცესის ეფექტური მენეჯმენტის როლი ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში.

„ეკონომიკური თავისუფლების“ შესახებ ორგანული კანონის თანახმად, გამოშვების ზრდის ეგზოგენურ ფაქტორებად პირველ რიგში, ფისკალური მექანიზმები - გადასახადების შემცირება და სახელმწიფო დანახარჯების ზრდა განიხილება. რამდენადაც, საქართველოსათვის გადასახადები ნაკლებ ელასტიური კომპონენტია, მაკროეკონომიკური წონასწორობისათვის ფისკალური პოლიტიკის ძირითად ფაქტორად სახელმწიფო დანახარჯები გამოდის.

ფისკალური პოლიტიკის ეფექტი მნიშვნელოვნად ძლიერდება ეროვნული ბანკის ინსტრუმენტებთან კომბინირებით, რამდენადაც პოსტკრიზისულ პერიოდში გამოშვების ზრდა ფისკალურ ექსპანსიასთან ერთად, მონეტარული ბაზის გაფართოებით მიიღწევა. ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკით, მართალია, გამოშვება სტიმულირდება, მაგრამ ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა საპროცენტო განაკვეთის ამაღლებასაც იწვევს, რაც საინვესტიციო ანარიცხების შემცირების გამო, ბაზრებზე გამოშვების შემცირების მოლოდინს აყალიბებს, ამასთან, სარგებლის განაკვეთის ზრდა წმინდა ექსპორტის

შემცირების გზით, სავაჭრო დეფიციტის გადიდებას და სახელმწიფო ვალის ზრდასაც იწვევს, ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად მთავრობა დანახარჯებს ამცირებს, ამ გზით შემცირებული საპროცენტო განაკვეთი ინვესტიციებს ასტიმულირებს, რაც ეკონომიკას წონასწორულ მდგომარეობაში აბრუნებს. მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდით იმატებს ფულზე მოთხოვნაც, რის გამოც გაზრდილი განაკვეთის მართვას, ხელისუფლება ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკით ახდენს, რაც ამაღლებს წონასწორული გამოშვების დონეს.

საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირების მიზნით **„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“** ორგანული კანონის და **„ევროკავშირის ფისკალური წესის“** საფუძველზე სსფ-მა განსაზღვრა ფისკალური უსაფრთხოების ზოგადი ჩარჩო-პრინციპები: ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლი, ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის ზრდა, ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის შემცირება და მისი არამდგრადობის პრევენცია. **OECD**-მ 2014 წელს შეიმუშავა საბიუჯეტო მოწყობის ახალი პრინციპები: მთავრობის საშუალოვადიან სტრატეგიულ პრიორიტეტებთან ბიუჯეტის შესაბამისობა; ბიუჯეტის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა; ფართო მასების ჩართულობა ბიუჯეტის მენეჯმენტში, ფისკალური რისკების იდენტიფიცირება და მათი ეფექტიანი მართვა გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად,, ბიუჯეტის მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება და ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგი. სსფ-მა ასევე დაადგინა ფისკალური უსაფრთხოების შემდეგი ძირითადი ნორმატივები:

- **საგადასახადო ტვირთი, -** GDP-ის 30%. (საქართველოში იგი ტოლია 23 %-ის);
- **ბიუჯეტის დეფიციტი, -** GDP-ის 3%. (საქართველოში - 3.1%);
- **სახელმწიფო ვალი**, - GDP-ის 60%. (საქართველოში 39.8%);
- **სტაბილური შემოსავლები.**

სსფ-მა ასევე განსაზღვრა **ფისკალური მულტიპლიკატორის კომპონენტები, რომელთა** სიდიდე საქართველოში ბოლო ხუთი წლის მიხედვით, შემდეგია:

- **ღია ვაჭრობა, -** იმპორტის თანაფარდობა GDP-თან, - 55% = 0 ქულა;
- **შრომის ბაზრის სიხისტე,** - შრომის ბაზრის რეგულაციების სიმკაცრე და პროფკავშირების არსებობა = 1 ქულა;
- **ავტომატური სტაბილიზატორის ზომა,** - მთავრობის სამომხმარებლო დანახარჯების ფარდობა GDP-სთან. - 8.7% = 1 ქულა;
- **გაცვლითი კურისი რეჟიმი**, - 0 ქულა (მცურავი გაცვლითი კურსი);
- **სახელმწიფო ვალის დონე** - 49.5% = 0 ქულა;
- **სახელმწიფო ფინანსების მართვა და ადმინისტრირება** - სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშგების ანგარიში (PEFA) = 1 ქულა;

სსფ-ის შეფასებით, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა საშუალო მულტიპლიკატორის კატეგორიას მიეკუთვნება (3-4), რამდენადაც, მისი ზომა (0,4-0,6), GDP-ზე გადასახადების და სახელმწიფო დანახარჯების საკმაოდ მცირე გავლენაზე მიუთითებს.

ბიუჯეტის ეფექტიან ადმინისტრირებაზე არსებითად არის დამოკიდებული როგორც ეკონომიკური აღმავლობა, ისე სოციალური პოლიტიკის წარმატება ქვეყანაში, ეს დაადასტურა კრიზისშემდგომი ეკონომიკის რეაბილიტაციის ეფექტიანმა სახელმწიფო სტრატეგიამ საქართველოში, რამაც 2021-2022 წწ. ეკონომიკური ზრდის მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებლები განაპირობა, მნიშვნელოვნად

გაუმჯობესდა ბიუჯეტის დეფიციტის და სახელმწიფო ვალის პარამეტრები. თუკი 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 9.3%-ით გაიზრდა (მსოფლიო რეიტინგში 45-ე ადგილი), 2021 წელს მან 6.7%, 2022 წელს კი 3.1 % შეადგინა (72-ე ადგილი 190 ქვეყანას შორის). 2023 წელს ეს მაჩვენებელი 3%, 2024 2.7%, 2025 წელს კი, 2.5% იქნება. (https://www.mof.ge/News /10132). ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებამ ხელი შეუწყო ლარის კურსის სტაბილიზებას და ინფლაციის შემცირებას (2023 წ.იანვარ-მარტში ინფლაციის საშუალო დონე - 2.7%-იყო), რამაც საქართველოს ეროვნულ ბანკს შერბილებული მონეტარული პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა. ყოველივე ამან 2022 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპი 10.1% გახადა, ერთ მოსახლეზე კი GDP-ის წარმოება 2020 წლის 4.2 ათასი დოლარიდან 2022 წელს 6.7დოლარამდე გაზარდა (www.geostat.ge).

საბიუჯეტო სისტემის სწორ რეგულირებაზე დამოკიდებულია უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური აგრეგატი - საგარეო ვალი. საქართველოს სახელმწიფო ვალი 2020წ. GDP-ის 60.2%-დან 2022 წელს 39.8%-მდე შემცირდა. **„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით** საქართველოს ვალის ზღვრული მოცულობა 2023 წლის ბოლოსათვის GDP-ის 38.3%-ით განისაზღვრა, რაც დადგენილ უსაფრთხოების ზღვარზე 21.7%-ით დაბალია, 2026 წ. პროგნოზირებულია მისი შემცირება 36.4%-მდე. (საქ. ორგ. კანონი).

ქვეყანაში განხორციელებული საჯარო ფინანსების მართვის რეფორმით და მიღწეული შედეგებით, საქართველომ მსოფლიოში უმაღლესი შეფასება მიიღო, - 2006 წლის 42-ე ადგილიდან (ამ წლიდან დაიწყო აღნიშნული პარამეტრების კვლევა) საქართველომ 2019 წელს მე-5 ადგილი, 2021 წელს კი, – პირველი ადგილი დაიკავა. (Open Budget Survey 2021) საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის გამჭვირვალობის და ღიაობის ხარისხს, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორონის ორგანიზაციის - IBP შეფასებით, ამ მაჩვენებლით საქართველომ მსოფლიოს 120 ქვეყანას შორის 87 ქულით (100-დან) პირველი ადგილი დაიკავა. (IBP) ამასთან, კვლავ არსებობს გარკვეული სირთულეები ბიუჯეტის დაგეგმვის ეფექტიანობისა და ფისკალური სტაბილურობის მიმართულებით. კერძოდ, საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფით საქართველო 100-დან 44 ქულით მე-4 ადგილზე, ბიუჯეტზე ზედამხედველობის მაჩვენებლით კი, 74 ქულით,-21-ე ადგილზეა.

2023 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსავლები(17619.9 მლნ,ლარი) GDP-ის 22.1% იქნება (2022 წელთან შედარებით 7.1%-ით ზრდა), სახელმწიფო დანახარჯები 6.3%-ით, ბიუჯეტის დეფიციტი კი, 6.2 %-ით გაიზრდება (2396.6 მლნ.ლ.), სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (21 914.2 მლნ. ლ.) GDP-ის 27.5% იქნება. სახელმწიფო ბიუჯეტის უარყოფითი სალდო 2 261.0 მლნ ლარით განისაზღვრა (პროგნოზირებული GDP-ის 2.8%) (https://www.mof.ge/News/10132).

"ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში", - BDD საქართველოს მთავრობის ძირითად პრიორიტეტად საშუალოვადიან პერიოდში მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით განვითარებაა განსაზღვრული, გრძელვადიანი პერიოდისათვის კი, მთავრობის სტრატეგია ფისკალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რაც საბიუჯეტო სახსრების უპირატესად სოციალურ სფეროზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე, სოფლის მეურნეობაზე მიმართვას და ბიუჯეტის დეფიციტის ისეთ ნიშნულზე შენაჩუნებას ითვალისწინებს, რაც ეკონომიკის სტაბილურობას და სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომ სრულყოფას შეუწყობს ხელს. აღნიშნული სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყნის ბიუჯეტის სწორ პროგნოზირებასა და ეფექტიან ადმინისტრირებაზე.

დასკვნა

როგორც კვლევებმა აჩვენეს, საბიუჯეტო შემოსავლების დეცენტრალიზაციას წამყვანი როლის შესრულება შეუძლია საჯარო სექტორის ეფექტიანობის ამაღლებაში, დემოკრატიის გაღრმავებასა და პოლიტიკურ სტაბილურობაში. „დეცენტრალიზაციას აქვს პოტენციალი მხარი დაუჭიროს და გააფართოოს მოქალაქეების მონაწილეობა, დაახლოოს ისინი ხელისუფლებასთან და გახადოს ეს უკანასკნელი მათთვის უფრო იოლად ხელმისაწვდომი“ (OECD, 2019).

დეცენტრალიზაციის მასშტაბურ პროცესს გარკვეულწილად ზღუდავს ცალკეული ფაქტორები, კერძოდ, ადგილობრივი საჯარო მოხელეების შედარებით დაბალი კვალიფიკაცია, მათი ნაკლებ კომპეტენტურობა და ობიექტურობა. პრაქტიკულად, შეუძლებელია ფისკალური დეცენტრალიზაციის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დელეგირებული ფუნქციების ფინანსური რესურსებით სრული უზრუნველყოფა. ამასთან არსებობს მუნიციპალიტეტებს შორის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის გაძლიერების საფრთხე, რამაც, შესაძლოა, არასასურველი მიგრაციული ნაკადები და, შედეგად, დემოგრაფიული ცვლილებები გამოიწვიოს. გარდა ამისა, ხისტმა დეცენტრალიზაციამ შეიძლება კონფლიქტების პროვოცირებას შეუწყოს ხელი ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურ დასახლებებში, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროინტეგრაციის ფუნდამენტურ პრინციპებთან (ტაბატაძე, 2018: გვ. 367).

საქართველოს მიზანია გახდეს უსაფრთხო და მსოფლიოსათვის მიმზიდველი ქვეყანა, წარმატებით შეასრულოს რეგიონული ლიდერის როლი და განახორციელოს ეკონომიკის ლიბერალური ადმინისტრირება, რაც ევროინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ სახელმწიფო სტრატეგიას ემსახურება მმართველობის ეფექტიანი ადმინისტრირება და მუნიციპალური ხელისუფლების როლის გაძლიერება. ამასთან, ფაქტია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა თავისუფალია საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვაში, მაგრამ, რამდენადაც ადგილობრივი შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს საკმარისი თანხების აკუმულირებას, შესაბამისად, თვითმმართველობები დამოკიდებული ხდებიან სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერებზე, ამის შედეგად, „ფისკალური დამოუკიდებლობა ძალიან შეზღუდულია და დეცენტრალიზაცია, როგორც პროცესი, ეფექტიანად ვეღარ ფუნქციონირებს“. (European Committee of The Regions, 2020)

მმართველობის ეგექტიანი ადმინისტრირება ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, მაგრამ მას გარკვეული სირთულეები და პრობლემები ახასიათებს, რაც აუცილებლად მოითხოვს სათანადო კვლევას, მეცნიერულ შეფასებას და სამართლებრივ-ინსტიტუციურ უზრუნველყოფას. დეცენტრალიზაცია, როგორც დემოკრატიული ურთიერთობების ფორმირების აუცილებელი წინაპირობა, ხელისუფლების ვერტიკალური ადმინისტრირების საფუძვლად განიხილება, მისი ფინანსური უზრუნველყოფა კი საბიუჯეტო სისტემის მართვის აუცილებელ ფაქტორად და ინტეგრირების განმსაზღვრელ სტანდარტად განიხილება. ამდენად, თანამედროვე ინტეგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი სისტემების ტრანსფორმაცია, დომინანტურად მოითხოვს მმართველობის ოპტიმალურ სტრუქტურირებას, მისი ცალკეული რგოლის მაქსიმალურ დამოუკიდევლობას და თითოეული გადაწყვეტილების ფინანსურ არგუმენტაციას, გასათვალისწინებელია სახელმწიფო ცენტრალიზებული მართვის და საბიუჯეტო სისტემის ფედერალური მოწყობის კონცეპტუალური განსხვავება, რაც მმართველობით რგოლებს შორის ურთიერთობის პრინციპების განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

კუკავა მ., (2016). სარეზერვო ფონდებიდან ხარჯვა კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. ფონდი „ საერთაშორისო გამჭვირვალება“, საქართველო. ,თბილისი, 03.05.2016 https://president.gov.ge/

პაპავა ვ. ჭარაია ვ., კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა ,https://www.gfsis.org/ge/publications/view-opinion-paper/136

პაპავა ირ., (2019), დეცენტრალიზაციის ქართული პარადოქსი: ცენტრალიზაცია დეცენტრალიზაციის სახელით. 04.02.2019. https://droa.ge/?p=41594]

ტაბატაძე მ.(2018), დეცენტრალიზაციის ეკონომიკური სტრატეგია და ფისკალური პოლიტიკის თავისებურებები,https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/546/The%20economic%20strategy%20of%20decentrali zation%20and%20the%20features%20of%20fiscal%20policy.pdf?sequence=1&is Allowed=y

Tabatadze, M. (2020). Priorities of Spatial Economy and Fiscal Mechanism of Decentralisation, Journal of International Economic Research (JIER), 6(1). https://irissymposium.wixsite.com/jier

ტაბატაძე მ. (2015), „რეგიონის სტრატეგიული განვითარების ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმები“- ჟ.„*ბიზნეს-ინჟინერინგი*“, თბილისი, 4.

ტაბატაძე მ. (2016). სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, გვ. 480-483 http://eprints.tsu.ge/1499/1/Country%27s%20political%20strategy%20during%20the%20unstable%20eco no m ical %20environment.pdf

ადგილობრივი თვითმმართველობის სარეზერვო ფონდების ხარჯვა 2020 წელს“. IDFE, (2019). LUMUNATE,თბილისი,. https://idfi.ge/ge/expenditures of contingency funds of local municipalities in 2020

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა (IBP - International Budget Partnership), https://internationalbudget .org/open-budget-survey/country-results

ევროკავშირის ტერიტორიული დღის წესრიგი (2019), „უფრო მეტი კონკურენტუნარიანი და მდგრადი ევროპის მრავალფეროვანი რეგიონებისათვის“, http/gov.ge/uv3u4w

ევროკომისია (2020a), 2021-2027 Long-term EU budget & NextGenerationEU https://ec.europa.eu/info/strategy/eu-budget/long-term-eu-budget/2021-2027_en

ევროკომისია, (2020b). The State Aid Temporary Framework https://competition-policy.ec. europa .eu/system/files/202206/Temporary framwork.pdf

ევროპარლამენტი, სიახლეები 2020. https://www.europarl.europa.eu/news/en/headlines/eu-affairs/20200625STO82007/covid-19-10-things-the-eu-is-doing-for-economic-recovery

მსოფლიო ბანკი - worldbank. https://www.worldbank.org/en/topic/community drivendevelopm nt /bribr/Decentralization

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2020), „გლობალური პერსპექტივა და პოლიტიკა“ https://www.imf.org/en/Countries/GEO

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, (2020), მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, https://www.imf.org/en/Countries/GEO

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2021). Managing divergent recoveries, World economic outlook update, April, 2021. https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/03/23/world-economic-outlook-april-2021

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, (2022), https://www.imf.org/en/Countries/GEO

საქართველოს კანონი,"საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (2018), საქართველოს პარლამენტი, თბილისი, https://parliament.ge/

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, თბილისი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/14638

საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“. კანონი №4979-რს; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 01.07.2011. (კონსოლიდირებული ვერსია-15.07.2020). https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 1405264?publication=3

საქართველოს მთავრობის დადგენილება (2019), „საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 10 ივნისი, დადგენილება №274

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“. კანონი №2440; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 18.12.2009. (კონსოლიდ. ვერსია, 22.02.2023.). https://matsne.gov.ge/ ka/document/view/ 91006?publication=55

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-2030“, (2019), თბილისი,

საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან , საქართველოს ფინანსთა სამინისტრო , (2016) , გვ. 19, 22. https://bit.ly/3dgqfxF

„სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი; „მოქალაქის გზამკვლევი“, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2022, გვ. 10. გვ.12. https://www.mof.ge/images/File/gzamkvlevi/2022/30-12-2021/Citizens%_20Guide%20-%202022-kanoni.pdf

„საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში“, (2017), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, The European Union for Georgia, გვ. 8. https://bit.ly/3wKcWi9

„საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2018-2021“, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გვ. 2, https://bit.ly/36vWPrE

Brennan, G. and Buchanan, J.M. (1980) The Power to Tax: Analytical Foundations of a Fiscal Constitution. Cambridge, UK: Cambridge University Press. https://www.researchgate.net/profile/RoyBahl/publication/228266313_FiscalDecentralizationasDevelopment Poli_cy/links/5ab6391745851515f59b4cb0/Fiscal-Decentralization-as-Development-Policy.pdf

CIEC, გლობალური ეკონომიკის მონაცენები (2021a). 2020 წლის სამომხმარებლო ხარჯები

https://www.ceicdata.com/en/indicator/private-consumption-expenditure

Oates, (1996). "Taxation in a Federal System: The Tax Assignment Problem," Public Economics Review

OECD Making Decentralization Work, a Handbook for Policy-Makers, (2019), გვ.-3; 6 http://www.oecd.org/regional/making-decentralisation-work-g2g9faa7-en.htm

„Open Budget Survey 2021", (2021), Georgia, International Budget Partnership(IBP), https://www.internationalbudget.org/open-budget-survey/country-results/ 2021

European Committee of The Regions. (2020), https://portal.cor.europa.eu/divisionpowers/ Pages/Georgia-general.aspx

Huidumac-Petrescu, C-E. & Popa, A. C. (2016). Macroeconomic strategies for the prevention of economic and financial crisis, Theoretical and Applied Economics Vol. 8, N 1(606), გვ.171-182.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო https://www.mof.ge/News/10132]

სტატისტიკის ეროვნული სამსახური,, www.geostat.ge

Budget administration mechanisms in the context of the global economy

Marina Tabatadze
Academic Doctor of Economics, Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tabatadze_marina@yahoo.com

Anna Tandilashvili
Doctor of Economics, GTU Visiting Professor
Ilia State University

Summery

In today's dynamic landscape, modern global systems are redefining the standards and priorities of national economic policies. Countries' economic status is experiencing significant shifts due to their participation in these systems. As a result of these changes, the current world economy is marked by the proliferation of regionalism and the emergence of spatial economic frameworks. Therefore, the classical economic concepts are evolving, giving rise to a new model known as economic nationalism. This paradigm shift generates new risks and increases their severity and scale. The overarching goal of economic policy is now centered around ensuring and predicting the stability of development. Discussions are underway to address the challenges of achieving economic balance and securing its social and institutional sustainability. In addition to the decentralization of the unified governance system, the global economy is characterized by the activation of centralized governance elements within the individual countries. This necessitates the development of new standards for global cooperation and the careful balancing of integrative and national development factors. The question of the government's influence on the economy and the delegation of its powers is once again becoming pertinent. The effective coordination of public administration is built upon the principle of government decentralization, which serves as the primary component of a democratic societal model and facilitates the transfer of management tools to the public. The key objectives of this research are centered around the optimal allocation of state government functions and study the hierarchical principles of territorial organization within the country, the fiscal mechanisms for distributing powers, as well as the particularities of structuring of the spatial economy and its budgetary provision mechanisms. The paper discusses the priority governance standards of modern world economic processes, their conceptual, institutional, and legal foundations, as well as the challenges related to the coordination of economic systems within the global environment. Additionally, the paper addresses the optimal distribution of functions between different budget levels and explores the role of budget system decentralization in economic management. The paper highlights the peculiarities of budget system decentralization in the context of Georgia.

Keywords: coordination of economic systems, regionalism and spatial economy, optimal power distribution, budget decentralization, governance standards.

სექცია III

პროფესიული განათლებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური ტენდენციები თანამედროვე საქართველოში

სიმონ გელაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
simon.gelashvili@tsu.ge

მარიამ დანელია
ეკონომიკის მაგისტრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
mariam.danelia326@eab.tsu.edu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-255-267

აბსტრაქტი. *წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია პროფესიული განათლების მდგომარეობა და იდენტიფიცირებულია არსებული პრობლემები საქართველოში. კვლევის* ***ძირითადი მიზანია*** *პროფესიული განათლების სისტემაში არსებული ვითარებისა და შრომის ბაზართან მისი ურთიერთკავშირის სტატისტიკური ანალიზი და შეფასება. კვლევის* ***ობიექტს*** *წარმოადგენს საქართველოში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.* ***კვლევის საგანია*** *პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის სტატისტიკისა და კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ტენდენციები. კვლევის პროცესში გამოყენებულია მრავალი სტატისტიკური მეთოდი, როგორიცაა: შერჩევითი დაკვირვება, მონაცემთა დაჯგუფება და პრეზენტირება, შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის, კორელაციური ანალიზის მეთოდები. სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, ელექტრონული ფორმით, გამოიკითხა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები და მიღებული იქნა სიღრმისეული ანალიზისათვის საჭირო ინფორმაცია.* ***კვლევის შედეგად*** *გამოვლინდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, მოქმედი პროფესიული პროგრამების, კურსდამთავრებულთა დასაქმების, პედაგოგ-მასწავლებლების შემადგენლობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ტენდენციები. ასევე, დადგინდა ბიზნეს სექტორსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კავშირის ფორმები და პრობლემები. აღსანიშნავია, რომ ორივე მხარეს აქვს თანამშრომლობაზე მზაობა, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული გამოწვევები, რომელთა გათვალისწინებაც დადებითად იმოქმედებს შრომის ბაზარზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის შემცირებაზე. ასევე, ჯერ კიდევ მცირეა იმ პროფესიული პროგრამების რაოდენობა, რომლებითაც ხორციელდება სპეციალისტთა მომზადება და აუცილებელია მათი გაფართოება შრომის ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინებით.*

საკვანძო სიტყვები: *პროფესიული განათლება, სტუდენტთა რიცხოვნობა, ტენდენცია, ბიზნეს სექტორი, კურსდამთავრებულთა დასაქმება.*

შესავალი

პროფესიული განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირებაში, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობასა და უმუშევრობის დონის შემცირებაში. ამიტომ პროფესიული განათლების განვითარება და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა თანამედროვე საქართველოში საკმაოდ **აქტუალური საკითხია,** რადგან მუდმივად განახლებად გარემოში და აქტიურ ეკონომიკურ პროცესებში ჩნდება ახალი, განსხვავებული და მოთხოვნადი პროფესიების დაუფლების აუცილებლობა. თანამედროვე მსოფლიოში ინტელექტუალური საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარი ტრადიციულ ბაზრებზე ხუთ-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება (გელაშვილი, 2012). ამიტომ დღის წესრიგში დგას განათლებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ამოცანა. ამასთან დაკავშირებით, ნებისმიერი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია განათლების სფეროს, მათ შორის, პროფესიულის, განვითარებაზე ზრუნვა, რაც შემდეგში გამოიხატება: განათლების როლის ზრდა დემოკრატიის განვითარებაში, სასტარტო შესაძლებლობათა თანასწორობის უზრუნველყოფა და ეკონომიკურ ზრდაზე განათლების ეფექტის განსაზღვრა (მაღლაკელიძე, 2012).

აღნიშული საკითხების სიღრმისეულად გააზრებისთვის საჭიროა შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა, რომლის სწორად გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება შემდგომი ნაბიჯების უფრო ეფექტიანად დაგეგმვა და განხორციელება, ასევე, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარებაზე, მათ შორის ეკონომიკურ წინსვლაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განათლების დონე, შესაბამისად, იზრდება ამ სფეროში პროფესიული განათლების როლი.

საქართველოსთვის, როგორც ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის, უმაღლესი და ასევე პროფესიული განათლების საკითხი მნიშნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა, მათ შორის იყო ეკონომიკური ფაქტორი, დაფინანსება თუ მიღება-ჩარიცხვის წესი. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უმაღლესი განათლების შემთხვევაში მდგომარეობა ამ კუთხით უფრო ნაკლებად პრობლემატური იყო, რადგან განისაზღვრა დაფინანსების საკითხი და მიღება-ჩარიცხვის წესი ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებით. რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, ის ჯერ კიდევ ფორმირებისა და სრულყოფის პროცესშია, რაც გულისხმობს იმას, რომ უფრო მეტად დეტალიზებულია, უფრო მოკლევადიანი პროგრამებია და, რაც მთავარია, სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. თუმცა, მაინც არსებობს გამოწვევები, რაც დაკავშირებულია მეტწილად საზოგადოების შეხედულებაზე პროფესიული განათლების მიმართ, გავრცელებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებაზე, რომ ნაკლებად პრესტიჟული და გამოყენებადია, რომ არ ითვლება უმაღლეს განათლებად და ა. შ. თუმცა, ფაქტია, რომ პროფესიული განათლება საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს, მოკლევადიან პერსპექტივაში დაეუფლოს საკმაოდ მოთხოვნად პროფესიებს, რომელთა დაუფლებაც, ფაქტობრივად, არ არის შესაძლებელი უმაღლესი განათლების მეშვეობით. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს გარკვეული ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა ანალიზითაც შესაძლებელი იქნება სისტემაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების მქონე პირთა დასაქმების ძირითადი სფერო ბიზნეს სექტორია და იგი მზადაა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობისათვის. თუმცა, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, მათი მხოლოდ მცირე ნაწილი (გამოკითხულთა 3%) თანამშრომლობს პროფესიულ დაწესებულებებთან, რაც არასაკმარისია. მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მეტ-ნაკლებად ენდობა

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნას და პრიორიტეტულადაც მიიჩნევს პროფესიულ განათლებაში ინვესტიციების ჩადებას.

2022 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩაატარა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევას“. ამ კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), ევროპის საგანმანათლებლო ფონდისა (ETF) და პროფესიული განათლების განვითარების ევროპული ცენტრის (CEDEFOP) მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2022, გვ. 7).

ამ კვლევის შედეგების თანახმად, პროფესიული განათლების საჭიროების წილი მაღალია მომსახურების სხვადასხვა დარგში და ენერგეტიკაში, რაც, თავის მხრივ, შეიძლება დარგის სპეციფიკიდან და პროფესიულ განათლებაში ამ მიმართულებით არსებული არაერთი პროგრამის ეფექტიანობის დამადასტურებელი იყოს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2022).

მნიშვნელოვანია გამოვყოთ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის იდეა, რომელიც პირდაპირ კავშირშია პროფესიულ განათლებასთან. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა გულისხმობს სწავლების მთელ სპექტრს, რომელიც მოიცავს: ფორმალურ და არაფორმალურ სწავლას მთელი ცხოვრების განმავლობაში. ის ასევე მოიცავს უნარებს, ცოდნას, დამოკიდებულებებსა და ქცევებს, რომლებსაც ადამიანები იძენენ ყოველდღიურ ცხოვრებაში (Laal & Salamati, 2012). შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლება ამ ასპექტითაც განსაკუთრებით საყურადღებოა არა მხოლოდ მოზარდებისთვის, არამედ ზრდასრული ადამიანებისთვისაც, რომელთაც სურთ კარიერული განვითარება და ახალი პროფესიების ათვისება.

ძირითადი შინაარსი

საქართველოში პროფესიული განათლება აღიარებულია, როგორც ქვეყნის განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომლის მიზანია განათლებისა და შრომის ბაზარს შორის არსებული დისბალანსის შემცირება. ხარისხიანი განათლება და, მათ შორის, პროფესიული, საფუძველს უქმნის ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას, ინოვაციისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, სოციალურ ჩართულობასა და მოსახლეობის კეთილდღეობას. ვინაიდან ქვეყანა პერმანენტულად განიცდის ზოგადად სოციალურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ ტრანსფორმაციას, მნიშნელოვანია პროფესიული განათლების თანამედროვე სტატისტიკური ტენდენციების შესწავლა და ანალიზი, რათა გაირკვეს, თუ რამდენად პასუხობს იგი მუდმივად განვითარებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საქართველოში განათლების სისტემამ ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, როგორიცაა: საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან გარკვეული ინტეგრაცია და ბოლონიის პროცესის იმპლემენტაცია.

2018 წლამდე ჩვენს ქვეყანაში პროფესიული განათლების სფერო რეგულირდებოდა პარლამენტის მიერ 2007 წელს მიღებული კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელიც კოპენჰაგენის პროცესთან და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადი იყო. მაგრამ როგორც პრაქტიკამ და თანამედროვე მოთხოვნებმა აჩვენა, აუცილებელი გახდა აღნიშნული კანონის სრულყოფა და პარლამენტის მიერ 2018 წელს მიღებული იქნა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“. ეს კანონი პასუხობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ასევე შეესაბამება ევროკავშირთან

ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ შემდეგ ვალდებულებებს: *მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და საკვანძო კომპეტენციების განვითარების შესახებ; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის „კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს ჩამოყალიბების შესახებ; პროფესიული განათლებისა და ტრენინგების (ECVET) „კრედიტების ევროპული სისტემის“ ჩამოყალიბების შესახებ; პროფესიული განათლებისა და ტრენინგებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ჩარჩოს ჩამოყალიბების შესახებ; კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების გამჭვირვალობისთვის ერთიანი ჩარჩოს შესახებ* (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

საქართველოში პროფესიული განათლების შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი მთავარი ორგანოა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რომელიც ძირითადად ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პირველად მონაცემებს, ასევე საკუთარ კვლევებს. საანალიზო პერიოდად ავიღეთ უახლოესი 10 წელი, ანუ 2013-2022 წლები. აღნიშნულ პერიოდში პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვს შემცირების ტენდენცია აქვს და 2022 წელს, 2013 წელთან შედარებით, 104-დან 94-მდე შემცირდა. მათ შორის 52 კერძო და 42 საჯარო სასწავლებელია. შემცირება გამოიწვია სასწავლებელთა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პოლიტიკის გატარებამ, რადგან დაწესებულებების რაოდენობა მათი გაერთიანების ხარჯზე შემცირდა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც რამდენიმე იყო, ხოლო მათი ფილიალები გაიხსნა იქ, სადაც არ იყო პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი. პროფესიული პროგრამების კლების ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე მოდულურ პროგრამებზე გადასვლა და პროფესიული პროგრამების დუალური მიდგომის განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ჯერ კიდევ არ არის საქართველოს ისეთ რეგიონებში, როგორიცაა: გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე მცხეთა-მთიანეთი.

პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასების ერთ ერთი კრიტერიუმია ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, რაც ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზეა.

დიაგრამა 1. ჩარიცხული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/60/profesiuli-ganatleba

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა კლებას იწყებს 2018

წლიდან, როდესაც წინა წელთან შედარებით მათი რაოდენობა 24.4%-ით შემცირდა. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2020 წელს (9 399 სტუდენტი), რაც გამოწვეული იყო COVID-19 პანდემიით.

2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტთაგან 53.4% კაცია და თუ დინამიკას შევხედავთ, დავინახავთ, რომ 2014 წლიდან 2022 წლის ჩათვლით, ჩარიცხული სტუდენტების ნახევარზე მეტი კაცია და ეს ტენდენცია სტაბილურია. შესაბამისად, იგივე ტენდენცია ვლინდება კურსდამთავრებულების მიხედვითაც: 2022 წელს მათგან 51.2% კაცი, ხოლო 48.8% ქალი იყო.

საინტერესოა პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროგრამების მიხედვით. დიაგრამა 2-ზე წარმოდგენილია სტუდენტთა რიცხოვნობის მიხედვით რანჟირებული პროგრამების პირველი ხუთეული:

დიაგრამა 2. პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა განაწილება პროგრამების მიხედვით, 2022 წელი



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით.

როგორც წარმოდგენილი დიაგრამიდან ჩანს, ყოველი მე-4 სტუდენტი, ანუ 23,3% სწავლობს ,,ინჟინერიის, წარმოებისა და მშენებლობის“ პროგრამაზე, შემდეგ მოდის

,,მომსახურებები“ (20,4%) და ,,ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა“ (15,4%).

პროფესიული განათლების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. სტრატეგიის ჩარჩო მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროფესიული განათლების სასწავლებლებში პედაგოგების განაწილება და პრაქტიკის პროცესში ჩართული საწარმოების ანალიზი. პროფესიულ განათლებაში ერთ-ერთი მთავარი როლი აქვს პედაგოგ-მასწავლებელს, რადგან ის გადასცემს სტუდენტებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ამიტომ პროფესიული განათლების მდგომარეობის შეფასებისას აუცილებლია პედაგოგთა რიცხოვნობისა და შემადგენლობის ანალიზი.

დიაგრამა 3. პედაგოგების რიცხოვნობისა და სქესობრივი სტრუქტურის სტატისტიკა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში



	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
კაცი	646	875	1197	1151	1318	1613	1578	1334	1453	1686
ქალი	1480	1933	2596	2491	2766	3128	3431	3150	3503	4068

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/60/profesiuli-ganatleba

მთლიანად საანალიზო პერიოდში პედაგოგების რიცხოვნობის ცვლილებას მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენცია ახასიათებს და 2022 წელს 2013 წელთან შედარებით მათი რიცხოვნობა 3628-ით, ანუ 2,7-ჯერ გაიზარდა, მათ შორის კაცების - 1040-ით (2,6-ჯერ), ხოლო ქალების - 2588-ით (2,8-ჯერ).

პროფესიული განათლების ფუნქციონირებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სიღრმისეული ანალიზის მიზნით, ჩავატარეთ შერჩევითი სტატისტიკური კვლევა, რისთვისაც შევადგინეთ სპეციალური კითხვარი, რომელიც ელექტრონულად გაეგზავნა 75 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. შევსებული კითხვარი დააბრუნა 22-მა სასწავლო დაწესებულებამ და გამოპასუხების მაჩვენებელმა 29,3% შეადგინა, რაც სრულიად საკმარისია სანდოობის მაღალი დონისათვის. კვლევის ჩატარებისას სასურველი იყო მონაცემები მოეწოდებინა ყველა რეგიონში არსებულ სასწავლებელს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ქვეყნის მასშტაბით არსებული ერთიანი სურათის დანახვა და რეპრეზენტატულობის უზრუნველყოფა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი.

კითხვარის დასაწყისი შეეხებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ზოგად მონაცემებს, როგორიცაა, მაგალითად, სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირების დრო, დაწესებულების პროფილი და სხვ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მათი 55% (12 დაწესებულება) 16 და მეტი წელია, რაც ფუნქციონირებს, 23% (5 დაწესებულება) 10-15 წლისაა, 14% (3 დაწესებულება) 1-3 წლისაა, ხოლო 8% (2 დაწესებულება) 4-9 წლისაა.

გამოკითხულ დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო წელს თეორიული საგნების პედაგოგ-მასწავლებლების რაოდენობაა 1197, აქედან 958 ქალია (80 %), ხოლო დანარჩენი 239 კი კაცი (20%). რაც შეეხება პრაქტიკული მეცადინეობის პედაგოგ-მასწავლებლებს, აქ მიმდინარე წელს დაფიქსირდა 971 პედაგოგი, მათ შორის 754 ქალი (78%) და 217 კაცი (22%).

რა თქმა უნდა, საინტერესოა პედაგოგების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რაც წარმოდგენილია მომდევნო დიაგრამაზე:

დიაგრამა 4. პედაგოგების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, %



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ.

პროფესიული განათლების მქონე პირთა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვანი ზომით განაპირობებს პრაქტიკული ცოდნის მიღება, ასევე პედაგოგების კვალიფიკაცია და გამოცდილება. დიაგრამა 4-ზე ნათლად ჩანს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობის პედაგოგებში მაღალია 51-60 წლის ასაკის პედაგოგთა ხვედრითი წილი. შემდეგ მოდის 31-40 წლის ასაკობრივი ჯგუფი. ყველაზე ცოტა რაოდენობით წარმოდგენილია ახალგაზრდა (20-30 წლის ასაკის) როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობის პედაგოგები - 3-3%-ით. ეს მიუთითებს პედაგოგთა დაბალ მოტივაციაზე ამ სფეროში დასაქმებისათვის.

გამოკითხული დაწესებულებების მიხედვით, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და სტუდენტთა რიცხვის შესახებ მონაცემები წარმოდგენილია მომდევნო ცხრილში:

ცხრილი 1. პროფესიული მომზადების პროგრამები და სტუდენტთა რიცხვი (01.05.2023 მდგომარეობით)

პროგრამის დასახელება	**სულ**	**მათ შორის**			
		ქალი		**კაცი**	
		რაოდენობა	**%**	**რაოდენობა**	**%**
არქიტექტურა და მშენებლობა	217	23	10,6	194	89,4
ელექტროობა	286	59	20,6	227	79,4
სილამაზის მომსახურებები	269	258	95,9	11	4,1

ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	374	135	36,1	239	63,9
სოფლის მეურნეობა და გარემოსდაცვითი მიმართულებები	284	96	33,8	188	66,2
ტექსტილის მომსახურება	60	53	88,3	7	11,7
ხელოვნება	94	76	80,9	18	19,1
ჯანდაცვა	302	164	54,3	138	45,7
ტრანსპორტის მომსახურებები	216	39	18,1	177	81,9
სასტუმრო, რესტორანი, კვება	184	108	58,7	76	41,3
სულ	2286	1011	44,2	1272	55,8

წყარო: ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენს მიერ.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, გამოკითხულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 10 პროფესიული პროგრამიდან 5-ში დომინირებენ ქალები და ასევე 5-ში - კაცები, თუმცა, ცალკეული პროგრამების მიხედვით ძლიერი დისპროპორცია შეიმჩნევა. მაგალითად, აბსოლუტური სიდიდეებით, ყველაზე მეტი ქალი სწავლობს შემდეგ პროგრამებზე: სილამაზის მომსახურებებზე, ჯანდაცვასა და ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე. ასევე, ყველაზე მეტი კაცი სწავლობს შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე: ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე, ელექტროობაზე და არქიტექტურა და მშენებლობაზე. მაგრამ თუ გავიანგარიშებთ ცალკეული პროფესიული პროგრამების მიხედვით ქალებისა და კაცების ხვედრით წილებს, აქ მდგომარეობა გარკვეულწილად განსხვავებულია, კერძოდ: სილამაზის მომსახურებების პროგრამაზე სტუდენტთა 95,9% ქალია, ტექსტილის მომსახურების პროგრამაზე- 88,3 და ხელოვნების პროგრამებზე - 80,9%. რაც შეეხება კაც-სტუდენტებს, მათგან ყველაზე დიდი წილი მოდის არქიტექტურისა და მშენებლობის პროგრამაზე - 89,4%, ხოლო მეორე და მესამე პოზიციაზეა ტრანსპორტის მომსახურებებისა (81,9 %) და ელექტროობის პროგრამები (79,4 %).

ყველა გამოკითხულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი და მზაობა მომავალში ბიზნეს სუბიექტებთან და სხვა იურიდიულ პირებთან თანამშრომლობაზე, რათა უზრუნველყონ სპეციალისტთა მიზნობრივი მომზადება და მათი დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

რა თქმა უნდა, საინტერესოა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური მაჩვენებლები დინამიკაში. კვლევის შედეგები წარმოდგენილია მომდევნო ცხრილში.

ცხრილი 2. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები 2018-2022 წლებში

წელი	სულ	მათ შორის	
		ქალი	კაცი
2018	285	127	158
2019	336	152	184
2020	87	36	51
2021	409	185	224
2022	714	341	373

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ.

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 2018-2022 წლების პერიოდში კურსდამთავრებულთა მაქსიმალური დასაქმება 2022 წელს დაფიქსირდა, რაც 2,5-ჯერ აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ უფრო მეტად გაიზარდა ქალების დასაქმება - 2,7-ჯერ, ხოლო კაცების - 2,4-ჯერ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ბიზნეს სექტორის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის სამი ძირითადი მიმართულება:

- საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება;
- სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობა;
- პროფესიული სტანდარტებისა და პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მზადყოფნა საწარმოთა მცირე ნაწილმა გამოთქვა.

კვლევის ფარგლებში პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დააფიქსირეს თავიანთი სასწავლებლების პრობლემები, რაც შემდეგში მდგომარეობს:

- საერთო საცხოვრებლის არ არსებობა სხვა მუნიციპალიტეტებიდან მოსული სტუდენტებისა და მოწვეული პედაგოგ-მასწავლებლებისთვის;
- დამსაქმებლებთან არასაკმარისი კომუნიკაცია;
- სატრანსპორტო საშუალებების არ არსებობა, რათა მოხდეს სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებზე ტრანსპორტირება;
- მცირე ფართი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის, რაც ხელშემშლელი ფაქტორია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად;
- ახალგაზრდა პედაგოგ-მასწავლებლების ნაკლებობა და ზოგიერთი მიმართულებით მნიშვნელოვანი დეფიციტი;

- არასაკმარისი მუნიციპალური ტრანსპორტის გამო (გარდა თბილისისა) გართულებულია, ან ვერ ხერხდება სტუდენტთა წვდომა სასწავლებელთან;
- სასწავლო ლაბორატორიებისა და თანამედროვე ტექნიკის ნაკლებობა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყველა პროფესიული სასწავლო დაწესებულება ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, რაც მისასალმებელია.

დასკვნა

საქართველოში უახლოესი 10 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების სისტემაში ძირეული რეფორმები და სიახლეები განხორციელდა, მაგრამ ეს სისტემა კვლავაც დიდი პრობლემების წინაშე დგას. პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის საჭიროა ევროპულ საგანმანათლებლო სისტემებთან ინტერნაციონალიზაცია და ინტეგრაცია, თავსებადი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანერგვა.

საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია საზოგადოების ნდობა პროფესიული განათლების მიმართ, ასევე, არასაკმარისი ურთიერთკავშირია ბიზნეს სექტორსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის იმ მიმართულებით, რომ ბიზნესის ინტერესებისა და პრიორიტეტების მიხედვით, მოხდეს შესაბამისი პროგრამების შემუშავება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლების მიღწევას; მეორე მხრივ, საჭიროა ბიზნესის მიერ გარკვეული ფინანსური რესურსების გამოყოფა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რათა მათ მიზნობრივად მოამზადონ კვალიფიციური კადრები დასაქმების ფართო შესაძლებლობებით.

ნებისმიერი ახალგაზრდისთვის პროფესიული განათლების მიერ შეთავაზებული პროგრამები და ასევე სწავლის შემდეგ დასაქმების შესაძლებლობის საკითხი მნიშვნელოვანი კომპონენტია არჩევანის გაკეთების დროს. მეორე მხრივ, კვალიფიციური კადრებისთვისაც უნდა იყოს მიმზიდველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები, მათ აძლევდეს, როგორც კარგ თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

საქართველოში პროფესიული განათლების დაბალმა პრესტიჟმა საბჭოთა პერიოდში, შემდგომში კი პროფესიული სასწავლებლების უდიდესი ნაწილის დახურვამ, პოტენციური სამუშაო ძალის მომზადების დაბალმა დონემ, ბაზარზე არაკვალიფიციური/დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის სიჭარბემ და დასაქმების პრობლემებმა, დააყენა პროფესიული განათლების განვითარების მიზნით რეფორმების გატარების საჭიროება, რაც ხელს შეუწყობს უმუშევრობის პრობლემის გადაჭრას.

პროფესიული განათლების როლის გამოკვეთისას მნიშვნელოვანია ხაზგასმული იყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, როგორც ცოდნის მუდმივი დაუფლების, იდეა. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა მხრიდან თვითმოტივირებას, სწრაფვას როგორც პირადი, ასევე პროფესიული მიზნებიდან გამომდინარე. ამავდროულად, პროფესიული განათლების მიღება გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე ინდივიდის კონკურენტუნარიანობაზე და დადებითად ზემოქმედებს დასაქმების დონეზე. გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა აძლიერებს სოციალურ ინკლუზიას, ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებასა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ფორმირებას.

საქართველოში თანამედროვე პროფესიული განათლების როლი თანდათან იზრდება, რადგან გლობალიზაციის პირობებში სწრაფად ვითარდება ახალი დარგები და ტექნოლოგიური ცვლილებები მეტ მოქნილობასა და ცოდნას მოითხოვს. პროფესიული განათლება კი შრომის ბაზარს უზრუნველყოფს კვალიფიკაციური კადრებით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობისთვის ჯერ კიდევ

არასაკმარისია საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საჭიროებენ უფრო მჭიდრო კავშირს ბიზნეს სუბიექტებთან და სხვა იურიდიულ პირებთან, რათა გაიზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ასევე ახალგაზრდა პედაგოგ-მასწავლებლების ნაკლებობა. მათი ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზმა აჩვენა, რომ საკმაოდ მაღალია საპენსიო და წინასაპენსიო (51 წლის და მეტი) ასაკის მქონე პედაგოგ-მასწავლებლების წილი.

ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ბიზნეს სექტორს აქვს ნდობის მაღალი მაჩვენებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და, ზოგადად, პროფესიული განათლების მიმართ. ამავდროულად, ბიზნეს სექტორი მზად არის მათთან თანამშრომლობის გაფართოებისთვის, თუმცა, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ მათი მცირე ნაწილი თანამშრომლობს პროფესიულ დაწესებულებებთან.

რეკომენდაციები

- პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უფრო მეტი და ინტერაქტიული გაცნობითი ხასიათის შეხვედრები უნდა ჩაატაროს დაინტერესებული მხარეებისთვის, მაგალითად, პროფესიული განათლების პერსპექტულობის შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდება სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლებმაც მალე პროფესია უნდა აირჩიონ.
- ბიზნეს სექტორმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, უზრუნველყონ მათთვის ახალი, პრიორიტეტული მიმართულებების (სპეციალიზაციების) განსაზღვრა და გარკვეული ინვესტირება.
- ბიზნეს სექტორმა ხელი უნდა შეუწყოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების განვითარებას, რაც გულისხმობს თეორიული ცოდნის
პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის კოორდინირებული მუშაობა ბიზნეს სექტორთან და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ახალი პროფესიული პროგრამებისთვის კვალიფიციური პედაგოგ-მასწავლებლების მომზადება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

გელაშვილი, ს. (2012). განათლებიდან მიღებული სარგებელი და მისი სტატისტიკური გაზომვის მეთოდები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი *„ეკონომიკა და ბიზნესი“*, #2, თსუ, თბილისი, გვ. 65–80.

ეჯიბაძე, ა. (2015). ფორმალური განათლებისა და არაფორმალური სწავლების ურთიერთქმედება. https://education.ge/index.php?do=definition/view&id=2208

მაღლაკელიძე შ. (2012). სახელმწიფოს როლი განათლებაში. http://videochannel.iliauni.edu.ge

ქუშაშვილი, ს. (2020). დუალური პროფესიული განათლების უპირატესობები და წარმატებული თანამშრომლობა Food Alliance-თან. https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/dualuri-profesiuli/362068

წეროძე, ი. (2016). პროფესიული განათლების სისტემის შესახებ. https://knews.ge/?p=27452
Laal, M., & Salamati, P. (2012). Lifelong Learning; why do we need it? *Procedia Social and Behavioral Sciences*, pp. 399-403.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2023). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. https://mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo

საქართველოს პარლამენტი (2018). კანონი პროფესიული განათლების შესახებ. თბილისი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=6

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო. (2021). პროფესიული განათლების სტრატეგია 2021-2025. თბილისი, საქართველო. ნახვა: 2023 წლის 12 ივნისი. https://mes.gov.ge/uploads/files/2021.5.11%20VET%20strategy%20draft.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023). დასაქმება და უმუშევრობა: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2022). უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა. ნახვა: 10.06.2023. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=2335efef-ebf2-4102-a5c3-bdfeddfe670d \საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2022).

საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=6d62d354-2f42-4614-9038-fdaea4c0d13d

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (2022). ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელო. თბილისი. ნახვა: 14.06.2023. https://eqe.ge/res/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%
CEDEFOP (2021). https://www.cedefop.europa.eu/en/about-cedefop

European Centre for the Development of Vocational Training. (2020). National Qualifications frameworks (NQFs) online tool: https://www.cedefop.europa.eu/en/tools/nqfs-online-tool/countries/estonia-2020

Statistical trends of vocational education and graduate employment in modern Georgia

Simon Gelashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilis State University
simon.gelashvili@tsu.ge

Mariam Danelia
Master of Economics
Ivane Javakhishvili Tbilis State University
mariam.danelia326@eab.tsu.edu.ge

Summary

The presented work discusses the state of vocational education and identifies existing problems in Georgia. **The main goal of the research is** the statistical analysis and assessment of the current situation in the professional education system and its relationship with the labor market. The **object of the research** is professional educational institutions operating in Georgia. The **subject** of the research is the statistics of the activity of professional educational institutions and the trends of integration of graduates in the labor market. Many **statistical methods** are used in the research process, such as: selective observation, data grouping and presentation, relative, average and variation, correlation analysis methods. Through a specially developed questionnaire, in electronic form, the representatives of educational institutions were interviewed and the information needed for in-depth analysis was obtained. **As a result of the research**, trends in the number and gender-age structure of students enrolled in professional educational institutions, valid professional programs, employment of graduates, composition of teachers and gender-age structure were revealed. Also, the forms and problems of connection between the business sector and professional educational institutions were determined. It should be noted that both sides are willing to cooperate, but there are still some challenges in this direction, the consideration of which will have a positive effect on reducing the demand-supply imbalance of graduates of professional educational institutions in the labor market. Also, the number of professional programs that train specialists is still small and it is necessary to expand them taking into account the needs of the labor market.

Keywords: professional education, number of students, trend, business sector, employment of graduates.

პროდუქტის განთავსებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება

ნუგზარ თოდუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nugzar.todua@tsu.ge

გიორგი რობაქიძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.robakidze@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-268-278

ანოტაცია. *ნაშრომში შესწავლილია პროდუქტის (ბრენდის) განთავსების როლი თანამედროვე ბიზნესში. პროდუქტის განთავსების ძირითად ცვლადებად მიჩნეულია პროდუქტის განთავსების მიმღებლობა, განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება, ბრენდებისადმი დამოკიდებულება და მყიდველობითი განზრახვა. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია ტრადიციულ რეკლამირებასა და პროდუქტის განთავსებასთან მიმართებით რესპონდენტების მოსაზრებები. რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ პროდუქტის განთავსების მიმღებლობასა და განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებას შორის დამოკიდებულებას, აგრეთვე, აღნიშნული ცვლადების გავლენას ბრენდებისადმი დამოკიდებულებაზე. სტატიაში, ასევე, დადგენილია ქართველი მომხმარებლების ბრენდებისადმი დამოკიდებულების გავლენა მათ მყიდველობით განზრახვაზე.*

საკვანძო სიტყვები: *პროდუქტის განთავსება, მომხმარებელთა ქცევა, მარკეტინგული კვლევა.*

პრობლემის აქტუალობა. თანამედროვე მარკეტინგულ კომუნიკაციებში ფართოდაა გავრცელებული პროდუქტის განთავსება, რომელიც მომხმარებლებთან წვდომის განსაკუთრებული ხერხია. პროდუქტის განთავსება არის მარკეტინგული ტექნიკა, რომელიც გულისხმობს შეტყობინების, ბრენდის ლოგოს ან პროდუქტის ჩართვას ვიზუალური ან გრაფიკული გამოსახულების მქონე ისეთ გასართობ მედიასაშუალებებში, როგორიცაა სატელევიზიო პროგრამები, ფილმები, მუსიკა, ვიდეოთამაშები და სარეკლამო ვიდეოთამაშები (European Commission, 2021).

პროდუქტის განთავსების პოპულარობას ხელს უწყობს ბაზრის გაჯერება ტრადიციული სარეკლამო მიმართვებით და მათი თავიდან არიდების ტექნოლოგიების დახვეწა (Chan et al., 2016). ბოლო წლებში ტრადიციული სარეკლამო მიმართვების ეფექტიანობა ეჭვქვეშ დგება და პროდუქტის განთავსების პრაქტიკის პოპულარობაც საგრძნობლად იზრდება (Guo et al., 2019). აღნიშნულიდან გამომდინარე, პროდუქტის განთავსების როლის შესწავლა მარკეტინგის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოში მარკეტინგული კომუნიკაციების მიმართულებით შესრულებულია გარკვეული სამუშაოები, დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი

პროდუქტის განთავსების მარკეტინგული ასპექტები (Todua & Jashi, 2015; Todua, 2017; Todua, 2019; Matin et al., 2022). წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობაა, რომლის მიზანია პროდუქტის განთავსებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების შესწავლა.

ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის ჰიპოთეზების განვითარება. მარკეტინგული ქმედებების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფილმებში პროდუქტის (ბრენდის) განთავსების მიმღებლობა, რომელიც მაღალი ეფექტიანობით მომხმარებლებზე გავლენის მოხდენას უზრუნველყოფს (Balakrishnan et al., 2012). ბრენდის განთავსების მიმღებლობა გვიჩვენებს, თუ როგორ ახსოვს აუდიტორიას ბრენდი და რამდენად პოზიტიურია მომხმარებლის მიერ ბრენდის აღქმა, რაც, როგორც წესი, მომხმარებლის მყიდველობით განზრახვაზე გავლენას ახდენს (Barnhardt et al., 2016).

ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება გულისხმობს მომხმარებლების უნარს, ამოიცნონ და გაიხსენონ ბრენდი სხვადასხვა სიტუაციაში (Aaker, 2009). ეს უნარი დამოკიდებულია კომუნიკაციის დონეზე ან ბრენდის შესახებ მომხმარებლების შეხედულებებზე. კვლევები აჩვენებს, რომ ბიზნესისთვის პროდუქტის განთავსების გასართობ მედიუმში ჩართვის მთავარი მიზანია ბრენდისადმი ცნობიერების დონის ამაღლება (Wiles & Danielova, 2009).

პანკანინგრუმისა და ულანის (Pancaningrum & Ulani, 2020), კუმარის (Kumar, 2017), მოდ-ნორდინისა და ბაჰარომის (Mohd-Nordin & Baharom, 2018) კვლევების თანახმად, პროდუქტის განთავსება ის ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ ბრენდის გათვითცნობიერებაზე. ამასთან, პანკანინგრუმი და ულანი (Pancaningrum & Ulani, 2020) აღნიშნავენ, რომ მომხმარებლებს შეუძლიათ ამოიცნონ ბრენდები საერთაშორისო ფილმებიდან. თუმცა, ჩანისა და სხვათა (Chan et al., 2015) თანახმად, ჰონგ-კონგელ გამოკითხულებს სჯერათ, რომ დაბალი ცნობადობის მქონე ბრენდების განთავსებას მცირე გავლენა აქვს ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებაზე, რის მიზეზადაც მათ ინტეგრაციის პრობლემა დაასახელეს. ფილმებში კარგად ინტეგრირებული პროდუქტის განთავსებით შესაძლებელია მომხმარებლებში ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების მაღალი დონისა და დადებითი სტიმულების მიღწევა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბრენდთან ცნობილი ადამიანია ასოცირებული (Kumar, 2017). ლიტერატურული მასალების საფუძველზე შევიმუშავეთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H1: *პროდუქტის განთავსების მიმღებლობა დადებით გავლენას ახდენს ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებაზე.*

როდესაც მომხმარებლებისთვის ცნობილი ხდება, რომ ფილმში კონკრეტული ბრენდია განთავსებული, ამ ბრენდისადმი მათი დამოკიდებულებაც თავს იჩენს. ლუ და სხვები (Lu et al., 2014) მიიჩნევენ, რომ ინფორმაციის შეგროვების ხერხები და თავისებურებები შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენი ფაქტორი აღმოჩნდეს ბრენდის მიმართ პირველადი დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესში. დადებითი შინაარსის ინფორმაციის მიღებით მომხმარებლებს შეიძლება ნეგატიური დამოკიდებულება შეეცვალოს (Van Dijk *et al.*, 2016). ფილმებში განთავსებული პროდუქტის შესახებ პოზიტიური შინაარსის ინფორმაციას შეუძლია ბრენდის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყოს (Yao & Huang, 2017; Gillespie et al., 2018; Barbarossa & de Pelsmacker, 2016). კვლევებით დგინდება, რომ პროდუქტის განთავსების შედეგად გამოწვეული მომხმარებლების ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბრენდის მიმართ დამოკიდებულებაზე (Ong et al., 2022). აღნიშნული დასკვნა ამყარებს მოსაზრებას, რომ ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებასა და ბრენდის მიმართ დამოკიდებულებას შორის პირდაპირი

ურთიერთკავშირი არსებობს (Drumond, 2017). აქედან გამომდინარე, შევიმუშავეთ შემდეგი ჰიპოთეზები:

H2: *პროდუქტის განთავსებისადმი მიმღებლობა დადებით გავლენას ახდენს ბრენდის მიმართ დამოკიდებულებაზე.*

H3: *ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება დადებით გავლენას ახდენს ბრენდის მიმართ დამოკიდებულებაზე.*

ბრენდების შესახებ ადამიანების მოსაზრებები, აღქმა და გრძნობები ხასიათდება, როგორც ბრენდებისადმი დამოკიდებულება (Krishna, 2012). ესაა მომხმარებლის მიერ ბრენდის საერთო შეფასება, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა მას ეს ბრენდი (Zhao, 2014). ბრენდის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება მაღალი დაინტერესების დონის, მყიდველობითი განზრახვისა და ბრენდზე არჩევანის შეჩერების საწინდარია (Schivinski & Dabrowski, 2016). ბრენდის მიმართ დამოკიდებულება ბრენდის ღირებულების გაზომვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. პოუდპონგპაიბუნი და არაკვიჩანუნი (Poudpongpaiboon & Arakvichanun, 2014) განმარტავენ, რომ დამოკიდებულება ყალიბდება გარემოდან ან იმ ადამიანებისგან, ვისთანაც ინდივიდებს ხშირი ურთიერთობა აქვთ. ბრენდის მიმართ დამოკიდებულება გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე (Wang et al., 2014).

ბრენდის მიმართ დამოკიდებულებას აქვს ძლიერი პოზიტიური გავლენა მყიდველობით განზრახვაზე, რასაც ადასტურებს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული კვლევები. ასეთია, მაგალითად, პოლონეთში (Schivinski & Dabrowski, 2016), ინდოეთში (Kshetri & Jha, 2016; Kudeshia & Kumar, 2017), ჩინეთში (Yao & Huang, 2017) და ინდონეზიაში (Purwianti & Niawati, 2022) მიღებული შედეგები. პეკისა და ჩაილდერსის (Peck & Childers, 2008) კვლევის თანახმად, მეხსიერება უმჯობესდება, როცა პროდუქტის განთავსების მოდალობა და სიუჟეტური კავშირი არაკონგრუენტულია. შეუსაბამო ან არარელევანტური განთავსება ბრენდებისადმი დამოკიდებულებას ზიანს აყენებს, ვინაიდან იგი უადგილოდ გამოიყურება და მომხმარებლების მიერ უარყოფილია. მეორე მხრივ, კონგრუენტული განთავსება ბუნებრივად მიიჩნევა, რაც მომხმარებლების დარწმუნებას ხელს უწყობს. გროსისა და სხვების (Gross et al., 2010) მიერ ჩატარებული ვიდეოთამაშების კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მაღალკონგრუენტული თამაშები ხელს უწყობს იმ ბრენდების დამახსოვრებას, რომლებიც თამაშებში გამოიყენება (Bonsteel, 2012). პროდუქტთან უშუალო შემხებლობის შემთხვევისგან განსხვავებით, მომხმარებლებს, რომლებიც ბრენდის შესახებ ინფორმაციის წყაროდ ინსტაგრამ ინფლუენსერებს იყენებენ, ბიზნესისადმი უფრო მაღალი ნდობა უჩნდებათ და კომპანიის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტებისადმი უფრო მეტად დადებითი დამოკიდებულებები უყალიბდებათ (Kapitan & Silvera, 2016). ინსტაგრამ ინფლუენსერების პროფილებზე ნანახი პროდუქტის განთავსებისადმი მომხმარებლებს განსხვავებული რეაქციები აქვთ, რაც დამოკიდებულია ინფლუენსერის პროდუქტის განთავსებაში ჩართულობაზე. მომხმარებლების მხრიდან ნეგატიურად აღიქმება ისეთი პროდუქტის განთავსება, რომელშიც თავად ინფლუენსერი არ ჩანს (Jin & Muqaddam, 2019).

დაემსისა და მაკენის (Daems & Macken, 2019) კვლევის თანახმად, ბრენდთან შემხებლობა დადებითად მოქმედებს მყიდველობით განზრახვაზე, გათვითცნობიერებაზე, მეხსიერებაზე, ბრენდისადმი დამოკიდებულებაზე და ინფორმაციის გაზიარების მაჩვენებლებზე. პროდუქტის განთავსებასთან შემხებლობისას, აქტიურდება მომხმარებლების ცნობიერება დამარწმუნებელი მიმართვებისადმი

(Matthes & Naderer, 2016). იუერსი (Ewers, 2017) თავის კვლევაში ასკვნის, რომ განთავსების არსებობისადმი წინასწარი ინფორმირება მომხმარებლების მიერ ბრენდის გახსენების დონეს ზრდის. მოზარდებს შორის ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამაში პროდუქტის განთავსების არსებობის შესახებ წინასწარი გაფრთხილება გავლენას არ ახდენს ბრენდის მიმართ დამოკიდებულებაზე (Van Reijmersdal et al., 2017). კემპბელმა და სხვებმა (Campbell et al., 2013) დაასკვნეს, რომ განთავსების შესახებ გაფრთხილების არარსებობის შემთხვევისგან განსხვავებით, შეფარული დამარწმუნებელი მიმართვის წინ გამაფრთხილებელი ინფორმაციის განთავსებისას, ბრენდის მიმართ მომხმარებლების დამოკიდებულება არ იცვლება. ამასთან, როზენდაალისა და სხვების (Rozendaal et al., 2013) თანახმად, პროგრამის თავში თუ ბოლოში გამაფრთხილებელი ინფორმაციის განთავსებით მაყურებლებს პროდუქტის განთავსებისადმი ნეგატიური დამოკიდებულებები არ უჩნდებათ. სხვა კვლევების მიხედვით, პროდუქტის განთავსების შესახებ გამაფრთხილებელი ინფორმაცია ერთგვარი ჩამრთველის როლს ასრულებს, კერძოდ, მომხმარებლებს აფრთხილებს დამარწმუნებელი გზავნილის არსებობის შესახებ, აქტიურდება ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის ფუნქცია, რაც, საბოლოოდ, ბრენდისადმი ნეგატიურ შეხედულებებში გადაიზრდება (Boerman et al., 2012). დამარწმუნებელი მიმართვებისადმი ცნობიერების მოდელის თანახმად, ადამიანები გამოცდილებაზე დაყრდნობით ხვდებიან კომუნიკაციის აშკარა მიზეზებს და შემდეგ ირჩევენ და ახორციელებენ ეფექტიან სტრატეგიებს დამარწმუნებელ მიმართვასთან გასამკლავებლად. განხილული შეხედულებები საშუალებას გვაძლევს, შევიმუშაოთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H4: *ბრენდის მიმართ დამოკიდებულება დადებით გავლენას ახდენს მყიდველობით განზრახვაზე.*

ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების საფუძველზე შეიძლება შევიმუშაოთ კვლევის კონცეპტუალური მოდელი, რომლის სტრუქტურა ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე.

ნახ. 1. კვლევის კონცეპტუალური მოდელი



კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა განხორციელდა მომხმარებელთა გამოკითხვის მეთოდით, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურიზებული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტა მოიცავდა ინფორმაციას რესპონდენტის თანხმობისა და კონფიდენციალურობის

შესახებ, აგრეთვე, კვლევის განმარტებებს და შევსების ინსტრუქციებს. ანკეტაში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული ინტერვიუს მეთოდით. კვლევაში გამოვიყენეთ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვის მეთოდი, რათა თავიდან აგვეცილებინა ინტერვიუერის სუბიექტურობით გამოწვეული შეცდომები. შერჩევის ფორმირება მოხდა საალბათო მეთოდის საფუძველზე. 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, სულ გამოიკითხა 18 წელზე მეტი ასაკის 654 რესპონდენტი (მათ შორის მამაკაცი იყო 280, ქალი - 374). მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის საშუალებით. ცვლადებს შორის კავშირურთიერთობის დასადგენად გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზის მეთოდი, ხოლო შერჩეული ცვლადების ცალკეული დებულებების სანდოობის გასაზომად - კრონბახის ალფა, რომლის საშუალო მნიშვნელობა 0,9-ზე მეტია (Malhotra, 2010).

კვლევის შედეგები. კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება ტრადიციულ რეკლამასთან მიმართებით, იცვლება (იხ. ნახ. 2). მათი აზრით, რეკლამის ტრადიციული პრაქტიკა დროთა განმავლობაში კარგავს ეფექტურობას. ამიტომ დღეისათვის პროდუქტის განთავსების პრაქტიკა უფრო მიმზიდველია, ვიდრე ტრადიციული რეკლამა. რესპონდენტთა უმეტესობა თვლის, რომ ბრენდების განთავსება ფილმებსა და სატელევიზიო შოუებში უფრო მეტად დასამახსოვრებელია, ვიდრე მათი ტრადიციული რეკლამირება.

ნახ. 2. რესპონდენტთა მოსაზრებები ტრადიციული რეკლამირებისა და პროდუქტის განთავსების შესახებ



ჩვენთვის საინტერესო ჰიპოთეზების შემოწმებისათვის გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზი. წინამდებარე ნაშრომში რეგრესიული ანალიზის მეშვეობით დავადგინეთ დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირი. მოცემულ კვლევაში დამოუკიდებელ ცვლადებს წარმოადგენს პროდუქტის განთავსების მიმღებლობა და განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება, ხოლო დამოკიდებულ ცვლადებს - ბრენდისადმი დამოკიდებულება და

მყიდველობითი განზრახვა. პირველ რიგში დავადგინეთ დამოუკიდებელი ცვლადის, პროდუქტის განთავსების მიმღებლობის გავლენა მეორე დამოუკიდებელ ცვლადზე - განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებაზე (იხ. ცხრილი1). აღმოჩნდა, რომ ეს გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია (F=183.844, P<0.005) და პირველი ჰიპოთეზაც დამტკიცებულია.

ცხრილი 1

განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებაზე პროდუქტის განთავსების მიმღებლობის გავლენის რეგრესიული ანალიზი

		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
პროდუქტის განთავსების მიმღებლობა	რეგრესია	1671.013	1	1671.013	183.844	.000
	ცდომილება	5935.329	653	9.089		
	ჯამი	7606.342	654			

წყარო: ავტორები

შემდგომ გამოვიკვლიეთ, როგორ გავლენას ახდენენ ბრენდისადმი დამოკიდებულებაზე დამოუკიდებელი ცვლადები - პროდუქტის განთავსების მიმღებლობა და განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება (იხ. ცხრილი 2). შედეგები გვიჩვენებს, რომ ზემოთ მოცემული ცვლადებისათვის P<0.005, შესაბამისად, პროდუქტის განთავსების მიმღებლობა და განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება პროდუქტის განთავსების მნიშვნელოვანი ცვლადებია, რითაც მეორე და მესამე ჰიპოთეზები დამტკიცდა.

ცხრილი 2

ბრენდებისადმი დამოკიდებულებაზე პროდუქტის განთავსების მიმღებლობასა და განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების გავლენის რეგრესიული ანალიზი

		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
პროდუქტის განთავსების მიმღებლობა	რეგრესია	1141.979	1	1141.979	26.488	.000
	ცდომილება	28152.561	653	43.113		
	ჯამი	29294.540	654			
	რეგრესია	4358.775	1	4358.775	183.762	.000

განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება	ცდომილება	15488.911	653	23.720		
	ჯამი	19847.685	654			

წყარო: ავტორები

რეგრესიული ანალიზი გამოვიყენეთ იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მოქმედებს ბრენდებისადმი დამოკიდებულება მყიდველობით განზრახვაზე (იხ. ცხრილი 3). შედეგები ცხადყოფს, რომ ბრენდებისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მყიდველობითი განზრახვის ჩამოყალიბება (F=243.919; P<0.005). შესაბამისად, მეოთხე ჰიპოთეზა დამტკიცდა.

ცხრილი 3

მყიდველობით განზრახვაზე ბრენდებისადმი დამოკიდებულების გავლენის რეგრესიული ანალიზი

		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
ბრენდებისადმი დამოკიდებულება	რეგრესია	6755.632	1	6755.632	243.919	.000
	ცდომილება	18085.614	653	27.696		
	ჯამი	24841.246	654			

წყარო: ავტორები

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ქართველი მომხმარებლები დადებითად აღიქვამენ პროდუქტის განთავსების პრაქტიკას. ამასთან, ტრადიციულ სარეკლამო მიმართვებთან შედარებით, მათთვის პროდუქტის განთავსება უფრო მნიშვნელოვანია. სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს კვლევაში გამოყენებული მოდელის სანდოობას. კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ცვლადები და მათი ცალკეული დებულებები რელევანტურია პროდუქტის განთავსებასთან მიმართებით. ამიტომ კვლევის შედეგებს აქვს თეორიული მნიშვნელობა ბიზნესში პროდუქტის განთავსების ხერხების გამოყენების თვალსაზრისით. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს მარკეტოლოგებს, გაიფართოონ თავიანთი წარმოდგენა პროდუქტის განთავსების შესახებ და აქტიურად გამოიყენონ იგი თავიანთ მომხმარებლებთან კომუნიკაციისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Aaker, D. A. (2009). Managing brand equity. *Simon and Schuster*.

Balakrishnan, B., Dousin, O., & Permarupan, P. (2012). The impact of brand placement and brand recall in movies: Empirical evidence from Malaysia. *International Journal of Management and Marketing Research*, *5*(2), 39-52.

Barbarossa, C., & De Pelsmacker, P. (2016). Positive and negative antecedents of purchasing eco-friendly products: A comparison between green and non-green consumers. *Journal of Business Ethics*, *134,* 229-247.

Barnhardt, T. M., Manzano, I., Brito, M., Myrick, M., & Smith, S. M. (2016). The effects of product placement in fictitious literature on consumer purchase intention. *Psychology & marketing*, *33*(11), 883-898.

Boerman, S. C., Van Reijmersdal, E. A., & Neijens, P. C. (2012). Sponsorship disclosure: Effects of duration on persuasion knowledge and brand responses. *Journal of Communication*, *62*(6), 1047-1064.

Bonsteel, S. (2012). APA PsycNET. *Charleston Advisor*, *14*(1), 16-19.

Campbell, A., Fishel, S., Bowman, N., Duffy, S., Sedler, M., & Thornton, S. (2013). Retrospective analysis of outcomes after IVF using an aneuploidy risk model derived from time-lapse imaging without PGS. *Reproductive biomedicine online*, *27*(2), 140-146.

Chan, F. F. Y., Lowe, B., & Petrovici, D. (2015). Young adults' perceptions of product placement in films: An exploratory comparison between the United Kingdom and Hong Kong. *Journal of Marketing Communications*, *23*(3), 311–328.

Chan, F. F. Y., Petrovici, D., & Lowe, B. (2016). Antecedents of product placement effectiveness across cultures. *International Marketing Review*, *33*(1), 5-24.

Daems, J., & Macken, L. (2019). Interactive adaptive SMT versus interactive adaptive NMT: a user experience evaluation. *Machine Translation*, *33*(1-2), 117-134.

Drumond, D. S. (2017). *An assessment of how brand awareness influences brand recognition throught product placement, applied to the automotive industry and computers* (Master's thesis).

European Commission (2021). Knowledge for policy. Product placement. Retrieved from: https://knowledge4policy.ec.europa.eu/glossary-item/product-placement_en#:~:text=A%20marketing%20technique%20that%20uses,%2C%20video%20games%2C%20and%20advergames

Ewers, N. L. (2017). *# sponsored–Influencer Marketing on Instagram: An Analysis of the Effects of Sponsorship Disclosure, Product Placement, Type of Influencer and their Interplay on Consumer Responses* (Master's thesis, University of Twente).

Gillespie, B., Muehling, D. D., & Kareklas, I. (2018). Fitting product placements: Affective fit and cognitive fit as determinants of consumer evaluations of placed brands. *Journal of Business Research*, *82*, 90-102.

Gross, R., Matthews, I., Cohn, J., Kanade, T., & Baker, S. (2010). Multi-pie. *Image and vision computing*, *28*(5), 807-813.

Guo, F., Ye, G., Hudders, L., Lv, W., Li, M., & Duffy, V. G. (2019). Product placement in mass media: a review and bibliometric analysis. *Journal of Advertising*, *48*(2), 215-231.

Jin, S. V., & Muqaddam, A. (2019). Product placement 2.0:"Do brands need influencers, or do influencers need brands?". *Journal of Brand Management*, *26*, 522-537.

Kapitan, S., & Silvera, D. H. (2016). From digital media influencers to celebrity endorsers: attributions drive endorser effectiveness. *Marketing letters*, *27,* 553-567.

Krishna, A. (2012). An integrative review of sensory marketing: Engaging the senses to affect perception, judgment and behavior. *Journal of consumer psychology*, *22*(3), 332-351.

Kshetri, A., & Jha, B. (2016). Online Purchase Intention: A Study of Automobile Sector in India. *Review of Integrative Business and Economics Research*, *5*(3), 35.

Kudeshia, C., & Kumar, A. (2017). Social eWOM: does it affect the brand attitude and purchase intention of brands?. *Management Research Review*, *40*(3), 310-330.

Kumar, S. (2017). Influence of Product Placements in Films and Television on consumers' Brand Awareness. *Archives of Business Research*, *5*(2), 163-179.

Lu, L. C., Chang, W. P., & Chang, H. H. (2014). Consumer attitudes toward blogger's sponsored recommendations and purchase intention: The effect of sponsorship type, product type, and brand awareness. *Computers in Human Behavior*, *34*, 258-266.

Malhotra, N. (2010). *Marketing research: An applied orientation.* 6th ed., Upper Saddle River, N.J.; London: Pearson Education.

Matin, A., Khoshtaria, T., & Todua, N. (2022). The Impact of Social Media Influencers on Brand Awareness, Image and Trust in their Sponsored Content: An Empirical Study from Georgian Social Media Users. *International Journal of Marketing, Communication and New Media*, *10*(18), 88-114.

Matthes, J., & Naderer, B. (2016). Product placement disclosures: Exploring the moderating effect of placement frequency on brand responses via persuasion knowledge. *International Journal of Advertising*, *35*(2), 185-199.

Mohd-Nordin, M. A. S., & Baharom, S. N. (2018). A Study on Awareness of Product Placement in Malaysian Movies. *Ideology Journal*, *3*(2), 103–108.

Ong, C. C., Santiago, C. J., & Verdejo, C. K. (2022). Product Placement in Filipino Films: An approach to Consumer Purchasing Intention. *Journal of Business and Management Studies*, *4*(1), 179-188.

Pancaningrum, E., & Ulani, T. (2020, January). The Effect of Product Placement on Customer Interests in Mediation by Brand Awareness. *In 17th International Symposium on Management* (Insyma 2020) (pp. 177-182).

Peck, J., & Childers, T. L. (2008). Effects of sensory factors on consumer behavior: If it tastes, smells, sounds, and feels like a duck, then it must be a... In C. P. Haugtvedt, P. M. Herr, & F. R. Kardes (Eds.), *Handbook of consumer psychology* (pp. 193–219).

Poudpongpaiboon, S. & Arakvichanun, N. (2014). Insight capturing Thai Gen Y consumers. Retrieved from: https://www.scbeic.com/en/detail/file/.../Insight_Eng_GenY_2014.pdf

Purwianti, L., & Niawati, N. (2022). Analysis of e-WOM, Brand Attitude, Brand Image on Purchase Intention. *SEIKO: Journal of Management & Business*, *5*(1), 356-366.

Rozendaal, E., Slot, N., Van Reijmersdal, E. A., & Buijzen, M. (2013). Children's responses to advertising in social games. *Journal of Advertising*, *42*(2-3), 142-154.

Schivinski, B., & Dabrowski, D. (2016). The effect of social media communication on consumer perceptions of brands. *Journal of Marketing Communications*, *22*(2), 189-214.

Todua, N. (2017). Social media marketing for promoting tourism industry in Georgia. In *Proceedings of the 22nd International Conference on Corporate and Marketing Communications: Challenges of Marketing Communications in a Globalized World*, Zaragoza (Spain), pp. 168-171.

Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization & Business*, *7*, 39-48.

Todua, N., & Jashi, C. (2015). Some aspects of social media marketing (Georgian Case). *International Journal of Economics and Management Engineering*, *9*(4), 1204-1207.

Van Dijk, C. N., Van Witteloostuijn, M., Vasić, N., Avrutin, S., & Blom, E. (2016). The influence of texting language on grammar and executive functions in primary school children. *PloS one*, 11(3), e0152409.

Van Reijmersdal, E. A., Boerman, S. C., Buijzen, M., & Rozendaal, E. (2017). This is advertising! Effects of disclosing television brand placement on adolescents. *Journal of Youth and Adolescence*, *46,* 328-342.

Wang, L., Law, R., Hung, K., & Guillet, B. D. (2014). Consumer trust in tourism and hospitality: A review of the literature. *Journal of Hospitality and Tourism Management*, *21,* 1-9.

Wiles, M. A., & Danielova, A. (2009). The worth of product placement in successful films: An event study analysis. *Journal of marketing*, 73(4), 44-63.

Yao, C., & Huang, P. (2017). Effects of placement marketing on product attitude and purchase intention in traditional industry. Eur*asia Journal of Mathematics, Science and Technology Education*, *13*(12), 8305-8311.

Zhao, M. M. (2014). The Effect of Electronic Word-of-Mouth Platforms on Perceived Credibility, Brand Attitude and Purchase Intention: A Study of Chinese Young Consumers. *Journal of Culture and Information Society, 27,* 90-120.

Georgian Consumers' Attitude towards Product Placement

Nugzar Todua
Ph.D.; D. Sc. Full Professor
Ivane. Javakhishvili Tbilisi State University
nugzar.todua@tsu.ge

Giorgi Robakidze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
giorgi.robakidze@tsu.ge

Summary

The article explores the role of product (brand) placement in modern business. The primary factors analyzed in the study include the acceptance of product placement, brand awareness, attitudes toward brand, and purchase intention. By conducting marketing research, the study identifies the opinions of respondents concerning traditional advertising and product placement. Through regression analysis, the study determines statistically significant values that demonstrate the connection between the acceptance of placed brands and brand awareness, as well as the impact of these variables on brand attitude. Additionally, the article establishes how the attitudes of Georgian consumers toward brand influence their purchase intentions.

Keywords: Product placement, consumer behavior, marketing research.

საქართველოს საკონტეინერო გადაზიდვების უპირატესობები და კონკურენტული სტრატეგიები კონფრონტაციულ გარემოში

ბადრი გეჩბაია
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gechbaia.badri@bsu.edu.ge

ამირან წილოსანი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
atsilosani@gmail.com

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-279-287

ანოტაცია. *ნაშრომში დასაბუთებულია საერთაშორისო გადაზიდვის ერთ-ერთი ყველაზე ადაპტირებული მეთოდის საკონტეინერო გადაზიდვის უპირატესობები: ტვირთის ერთჯერადი ჩატვირთვა და დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირება; მულტიმოდალური გადაზიდვების გზით დროის დაზოგვა; ტვირთის დაზიანების ნაკლები რისკები; ტვირთის დაცვა ნეგატიური ფაქტორებისგან, როგორიც არის ატმოსფერული მოვლენები და კონფრონტაციები; მარტივი საბაჟო კონტროლის პროცედურები და სხვა. კვლევაში შეფასებულია საკონტეინერო გადაზიდვების კონკურენცია გადაზიდვების ბაზარზე. გაანალიზებულია საკონტეინერო გადაზიდვების გლობალური ინდექსი, განხილულია კონტეინერით სარგებლობის ფასები. ფასების დინამიკური ანალიზის გზით დადგენილია საკონტეინერო გადაზიდვების ფასების გავლენა პროდუქტის ფასზე. ნაშრომში შემუშავებულია დასკვნები საქართველოს საკონტეინერო გადაზიდვების გამოწვევებზე და შემუშავებულია რეკომენდაციები კონკურენტული სტრატეგიების შემუშავებისა და ცვლილების შესახებ კონფრონტაციულ გარემოში.*

საკვანძო სიტყვები: *საკონტეინერო გადაზიდვები, საკონტეინერო გადაზიდვების უპირატესობები, კონკურენტული სტრატეგიები, საკონტეინერო გადაზიდვების ფასები.*

შესავალი

გლობალიზაციის პროცესის შესაბამისად მნიშვნელოვნად იცვლება ტვირთის გადაზიდვებზე მოთხოვნა, კერძოდ, ცვლილებებია გადაზიდვების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებში, მძაფრი კონკურენციის პირობებში მრავალფეროვანი გახდა გადაზიდვის მეთოდები სატრანსპორტო ბაზრის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის საკონტეინერო გადაზიდვების ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, საკონტეინერო გადაზიდვებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გლობალურ და შიგა

სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების ინტეგრირებულ პროცესებში. ბოლო ათწლეულების მანძილზე, საკონტეინერო გადაზიდვები ტრანსპორტირების პროცესის ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად გვევლინება. აღნიშნული დასტურდება ტვირთების კონტეინერებით გადაზიდვის მუდმივად მზარდი ტენდენციითა და ტემპებით.

ტვირთების საკონტეინერო გადაზიდვებზე მოთხოვნა მიმდინარე ეტაპზეც მაღალია. ამასთან, სულ უფრო მეტად ვითარდება გადატვირთვის ბაზარი. მსოფლიო მასშტაბით არა ერთი საკონტეინერო ტერმინალია წარმოდგენილი, მათი გამტარუნარიანობა იზრდება და პერიოდულად ხორციელდება მოდერნიზაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკონტეინერო გადაზიდვების პროცესში მთელი რიგი გამოწვევებია, მათ შორის სახეზეა საკონტეინერო ტერმინალების გადატვირთვა, რაც ცალკეულ შემთხვევაში საოპერაციო საქმიანობის პარალიზებას იწვევს და მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოქმნის მიწოდების ჯაჭვში; ასევე, ქვეყნებში გამოწვევაა სხვადასხვა სახეობის კონფრონტაცია, რაც ძლიერ გავლენას ახდენს საკონტეინერო გადაზიდვებზე და სხვა. მიმდინარე ეტაპზე საქართველოში ფუნქციონირებს ორი საკონტეინერო ტერმინალი, რომლებიც იმართება საერთაშორისო ოპერატორების მიერ და ორივე მათგანი კვლევებისა და ანგარიშების მიხედვით მსოფლიო წამყვან საკონტეინერო ტერმინალების ათეულში შედის.

საქართველოს საკონტეინერო გადაზიდვების უპირატესობების გამოვლენა და კონკურენტული სტრატეგიების შეფასება ზოგადად, მათ შორის კონფრონტაციულ გარემოში, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საკონტეინერო ტერმინალების ეფექტიან ფუნქციონირებაში, არამედ გავლენას მოახდენს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდაზე.

კვლევის მიზანია საქართველოს საკონტეინერო გადაზიდვების უპირატესობების გამოვლენა, მათ შორის კონფრონტაციულ გარემოში და კონკურენტული სტრატეგიების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს სხვადასხვა ინფორმაციის ანალიზს საკონტეინერო ინდუსტრიისა და ბაზრის შესახებ. კვლევის პროცესში განხორციელებულია მონაცემთა შეგროვება, პირველადი ინტერვიუები, ჩატარებულია ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებული ფაქტორების ანალიზი, ასევე, ქვეყნის დონეზე გაანალიზებულია მონაცემთა ბაზები და სხვა.

სამეცნიერო ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკონტეინერო გადაზიდვის ინდუსტრიაში კონკურენტული უპირატესობის გაუმჯობესების სტრატეგიების შემუშავებას (Nimmi Zulbainarni. Tridoyo Kusumastanto. Gena Bijaksana. Arief Arief Daryanto, 2020). ამასთან, სტრატეგიის შემუშავებისას განსაკუთრებული როლი აქვს მინიჭებული ციფრული ტრანსფორმაციის ევოლუციური პროცესის გათვალისწინებას, რადგან თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები არსებითად ცვლის ბიზნეს პროცესებს, ცვალებადია მომხმარებელთა გამოცდილებაც ახალი ღირებულების შექმნის პროცესში. ციფრული ტრანსფორმაციის ზეგავლენითა და ციფრული ინოვაციების კომბინაციით გადაზიდვების ინდუსტრიაში განვითარების ახალი შესაძლებლობებიც ჩნდება.

მეცნიერები ციფრული ტრანსფორმაციას განიხილავენ როგორც განვითარების ახალ შესაძლებლობას, აკეთებენ დასკვნას, რომ სწრაფი ტექნოლოგიური განვითარება გამოიწვევს საკონტეინერო გადაზიდვებში მიწოდების ჯაჭვის არაეფექტიანობის დაძლევას. თუმცა, რიგ შემთხვევაში გამოწვევად რჩება მაღალი დანახარჯები და კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე (Iman, N., Amanda, M.T. and Angela, J. 2022).

კონკურენტული უპირატესობა თავისთავად არის სტრატეგიული მენეჯმენტის კვლევის ცენტრალური საკითხი, შესაბამისად, ამ საკითხებზე ფოკუსირება მრავალ ფუნდამენტურ და ფილოსოფიურ კითხვას გასცემს პასუხს საკონტეინერო გადაზიდვებში.

საკონტეინერო გადაზიდვების გლობალური ბაზარი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგალითად, თუ 2022 წელს საკონტეინერო გადაზიდვების მოცულობა 220.3 მილიარდი აშშ დოლარი იყო, 2023 წელს ამ მაჩვენებელმა 238.02 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. წლიური ზრდის ტემპმი საშუალოდ 8.0% იყო. COVID-19 პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა უარყოფითად იმოქმედა საკონტეინერო გადაზიდვების ინდუსტრიაზე, რამაც გამოიწვია შეფერხებები მიწოდების ჯაჭვში. სავარაუდოდ, 2027 წლისთვის, ტვირთის საკონტეინერო გადაზიდვების ბაზარი 313.93 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება, ხოლო ზრდის ტემპი 7.2% იქნება. მსოფლიო სტატისტიკის თანახმად, დღეს სარკინიგზო, საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვების 40-45% კონტეინერების გამოყენებით ხორციელდება (Container Global Market Report 2023).

ტვირთის საკონტეინერო გადაზიდვები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს საზღვაო ტრანსპორტირების დროს. კვლევებში დასაბუთებულია საზღვაო ლოჯისტიკის სისტემაში საკონტეინერო გადაზიდვების სტრატეგიული საკითხები. გამოვლენილია გადაზიდვებზე მოქმედი ფაქტორები: ინფრასტრუქტურის განვითარება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, მომსახურების პროცედურების ციფრიზაცია და სხვა (panelYos Sunitiyoso , Shimaditya Nuraeni , Noorhan Firdaus Pambudi , Tutik Inayati , Ilham Fadhil Nurdayat , Fikri Hadiansyah , Adhya Rare Tiara. 2022).

რამდენიმე კვლევა აქტიურად განიხილავს ქვეყნის დონეზე საკონტეინერო გადაზიდვის ინდუსტრიის კონკურენტული უპირატესობის ზრდის სტრატეგიას (Bijaksana Gena; Daryanto Arief; Kusumastanto Tridoyo; Zulbainarni Nimmi (2020). აღნიშნული კვლევებით წახალისებულია გადაზიდვების სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების პროცესები ეროვნულ დონეზე, ასევე, ინდუსტრიასა და კორპორატიულ დონეზე. ასეთი მიდგომა საკონტეინერო გადაზიდვების ინდუსტრიის კონკურენტული უპირატესობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა შეფასდეს. საკონტეინერო გადაზიდვების ინდუსტრიის კონკურენტული უპირატესობების განვითარების სტრატეგიაში სამ მთავარ საკითხზე ხდება ფოკუსირება: მოთხოვნის მდგრადობის უზრუნველყოფა, მდგრადი მიწოდების ჯაჭვის ფორმირება და მთავრობის მხარდაჭერა რეგულირების გზით. ასევე, მნიშვნელოვანია პრიორიტეტი გაკეთდეს სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვებზეც (Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N. 2022). შესაბამისად, აუცილებელია სატრანსპორტო გადაზიდვების პოლიტიკის ფორმირება (Kharaishvili, **E.,** Gechbaia, B., Erkomaishvili, G., Lobzhanidze, M., & Natsvlishvili, I. 2021). ამ გზით შესაძლებელია სურსათის უსაფრთხო გადაზიდვები და სტიმულირება (ხარაიშვილი, ე., ერქომაიშვილი, გ., ნაცვლიშვილი, ი., ლობჟანიძე, მ. 2021).

მსოფლიოს მასშტაბით, კონტეინერებით ტვირთის გადაზიდვის ხარჯები რეკორდულად მცირდება. პანდემიის შედეგად 2021 წლის სექტემბერში კონტეინერით სარგებლობის ფასმა 11,000 დოლარიან ნიშნულს გადააჭარბა, მიმდინარე წელს კი ფასები მკვეთრად დაეცა და ბოლო მონაცემებით, გადაზიდვის გლობალური ინდექსი დამატებით 5%-ით შემცირდა, კონტეინერის გამოყენების საფასურმა კი 4,862 დოლარი შეადგინა. საკონტეინერო გადაზიდვების ფასების შემცირების შესაბამისად პასუხი გასაცემია კითხვაზე: რა გავლენას მოახდენს ტვირთების გადაზიდვების ხარჯების შემცირება პროდუქტის ფასზე?

თანამედროვე ბიზნეს გარემოში ლოჯისტიკა მნიშვნელოვანია როგორც წარმოების, ასევე, მომსახურების ინდუსტრიაში. ლოჯისტიკის ძირითადი კონცეფცია ითვალისწინებს ეფექტიანობის ამაღლებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ტრანსპორტირება, დასაწყობება, შენახვა და სხვა. შესაბამისად, ლოჯისტიკის მენეჯმენტი განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული გასაღები ბიზნესის წარმატებისათვის. მისი სწორად გამოყენება იძლევა კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საშუალებას (Mostafa, N. A. & Eldebaiky O. 2023).)

ლოჯისტიკა დღეს მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგას, განსაკუთრებით ბოლო წლებში განვითარებული კრიზისების გამო (COVID-19-ის პანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი, ბუნებრივი კატასტროფები). აღსანიშნავია, რომ ლოჯისტიკის მართვის ტრადიციული მეთოდები აღარ არის ეფექტიანი მსგავსი გამოწვევების ფონზე. გადაზიდვის კონსოლიდაცია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თანამედროვე შესაძლებლობად ლოჯისტიკაში. აღნიშნული ტრანსპორტირების მეთოდი ეკონომიკური თვალსაზრისით რენტაბელურია, რადგან უკეთეს ფასებს სთავაზობს გამგზავნ ორგანიზაციას. ხელმისაწვდომი ფასების გამო კონსოლიდაცია მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის საერთაშორისო ვაჭრობის დამატებით შესაძლებლობებს იძლევა.

კონსოლიდაცია არა მხოლოდ ხარჯების შემცირების მეთოდია, არამედ ის უფრო ეფექტიანი და ეკოლოგიურად თვალსაზრისით საუკეთესო გამოსავალია ლოჯისტიკაში. უფრო მეტიც, სატრანსპორტო ტვირთის გაერთიანებამ შეიძლება გადაჭრას საგზაო პრობლემები (გზებზე მძიმე სატვირთო მანქანების რაოდენობის შემცირებით). კონსოლიდაციის უპირატესობა დასტურდება არაერთი ჩატარებული სიტუაციური სცენარით, მაგალითად, რძის პროდუქტების მიწოდების ჯაჭვის შესწავლამ აჩვენა, რომ კონსოლიდაციის მეთოდი არის ეფექტიანი, საიმედო და ეკოლოგიურად სუფთა სტრატეგია, რადგან მას შეუძლია უზრუნველყოს დანახარჯების შემცირება 40%-ზე მეტად (Mostafa, N. A. & Eldebaiky O., 2023).

საკონტეინერო გადაზიდვის ინდუსტრიაში, სატრანსპორტო უსაფრთხოების გაზრდის მიზნით ტექნოლოგიის დანერგვის მნიშვნელობა კარგად არის გათვითცნობიერებული. ტექნოლოგიური მოწყობილობები, როგორიცაა რადიოსიხშირული იდენტიფიკაცია, ჭკვიანი ყუთის ინიციატივა, ინსპექტირება და ავტომატური იდენტიფიკაციის სისტემა შემუშავებულია კონტეინერის ტრანსპორტირების უსაფრთხოების გასაძლიერებლად (Venus Lun Y. H., Lai K., Edwin Cheng T. C., Yang D., 2023).

საკონტეინერო გადაზიდვების მიკვლევადობა, განაწილება და მართვა მოითხოვს მონაცემთა უსაფრთხო ნაკადს და სანდო ტრანზაქციებს. ციფრულ ტყუპებს (DTs) შეუძლიათ ტრანსპორტირების მონიტორინგი და ფიზიკური კონტეინერების დისტანციურად მართვა. თუმცა, თავად DT-ის მონაცემები ჩვეულებრივ ინახება, კონტროლდება და იმართება ცენტრალიზებული ერთეულის მიერ, რომელიც ხშირად არის ფიზიკური კონტეინერის მფლობელი. რა თქმა უნდა, ცენტრალიზებული ერთეულის არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს უნდობლობა, ვინადიან იგი ფლობს ბერკეტს იმისა, რომ შეცვალოს ან წაშალოს DTs-ის მონაცემები. აღნიშნულის საპასუხოდ დაინერგა განსხვავებული/გაუმჯობესებული ვერსია (NFT), რომლებიც ინახება, კონტროლდება და იმართება დეცენტრალიზებულ და უცვლელი ბლოკჩეინის საშუალებით (Elmay F. K., Madine M., Salah K. Jayaraman R., 2023).

საზღვაო გადაზიდვები მსოფლიო ვაჭრობის ხერხემალია. შეფასებულია, რომ ტვირთის მთლიანი მოცულობის დაახლოებით 80% საზღვაო ტრანსპორტით გადაიზიდება. ბოლო ათწლეულების

განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკის ზრდასთან ერთად გაიზარდა კონტეინერებით გადაზიდული ტვირთების მოცულობაც. 2020 წელს გლობალურად გაიგზავნა დაახლოებით 1,85 მილიარდი ტონა ტვირთი, ეს მაშინ, როდესაც 1980 წელს გაგზავნილი ტვირთის მოცულობა დაახლოებით 0,1 მილიარდი ტონა იყო. 2020 წელს მსოფლიოში წამყვანი კონტეინერების პორტები მდებარეობდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

ინტერმოდალური გადაზიდვის კონტეინერის გამოგონებამდე საქონელი იგზავნებოდა სხვადასხვა ზომის ყუთებში, რომლებიც მუშების მიერ გემზე ხელით იტვირთებოდა. საქონლის ამ გზით ტრანსპორტირება არაეფექტიანი, ძვირი და შრომატევადი იყო. პირველი სტანდარტიზებული ინტერმოდალური გადაზიდვის კონტეინერი შემოვიდა 1950-იან წლებში და რევოლუცია გამოიწვია მსოფლიო ვაჭრობაში. დროთა განმავლოვაში გადაზიდვის კონტეინერის გასაუმჯობესებლად მცდელობები გაგრძელდა და 1970-იან წლებში გამოიგონეს სამაცივრე კონტეინერი. სწორედ, სამაცივრე კონტეინერის გამოგონების შემდეგ შესაძლებელი გახდა მალფუჭებადი საქონლის ტრანსპორტირება, როგორიცაა საკვები, რამაც კონტეინერებით გადაზიდვა კიდევ უფრო პოპულარული გახადა.

პროგნოზირებენ, რომ უახლოეს წლებში კონტეინერების გლობალური ბაზარი გაორმაგდება. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს ბაზარი დაახლოებით შვიდი მილიარდი აშშ დოლარი იყო, 2028 წლისათვის მოსალოდნელია, რომ მან 16 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწიოს (Placek M., 2022).

საკონტეინერო გადაზიდვების გლობალური გამტარუნარიანობის შესახებ 2016-2023 წლებში წარმოდგენას იძლევა დიაგრამა 1.

დიაგრამა 1. საკონტეინერო გადაზიდვების გლობალური გამტარუნარიანობა 2016 წლის იანვრიდან - 2023 წლის იანვრამდე (საინდექსო მნიშვნელობა)



წყარო: Statista Research Departament (2023)

2023 წლის დასაწყისში საკონტეინერო გადაზიდვის გლობალური გამტარუნარიანობის ინდექსმა შეადგინა 120.2, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო გასული წლის თებერვლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ინდექსი გაზარდილია COVID-19 პანდემიით გამოწვეულ პერიოდთან შედარებით. პანდემიის პერიოდში ეს ინდექსი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა, ინდექსის კლება 2022 წლის მაისიდანაც დაფიქსირდა (კონტეინერის გამტარუნარიანობის ინდექსისთვის საბაზისო მნიშვნელობად აღებულია 100, 2015 წელს; Statista Research Departament, 2023).

საკონტეინერო გადაზიდვების დროს ტვირთის ტრანსპორტირება ხორციელდება სტანდარტულ, დალუქულ მდგომარეობაში, სარკინიგზო და საზღვაო გზით. დიაგრამაზე 2 მოცემულია საქართველოში, უკრაინასა და რუსეთში, 1999-2021 წლებში, საკონტეინერო გადაზიდვების ტენდენცია საზღვაო გზით.

დიაგრამა 2. საკონტეინერო გადაზიდვები საზღვაო გზით საქართველოში, უკრაინასა და რუსეთში, 1999-2021 წლებში (ათასი ტონა)



წყარო: OCED Data (2023)

რაც შეეხება საკონტეინერო გადაზიდვებს სარკინიგზო გზით საქართველოში, უკრაინასა და რუსეთში, ეს მაჩვენებლები ცვალებადობით ხასიათდება წლების მანძილზე (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. საკონტეინერო გადაზიდვები სარკინიგზო გზით საქართველოში, უკრაინასა და რუსეთში, 1999-2021 წლებში (ათასი ტონა)



2022 წლის მესამე კვარტალში ჩინეთის ეკონომიკა ყველაზე კარგად იყო დაკავშირებული საკონტეინერო გადაზიდვების გლობალურ ქსელთან. რეიტინგში შემდეგია კორეის რესპუბლიკა, სინგაპური, მალაიზია და ამერიკის შეერთებული შტატები. რეგიონის ლიდერთა ჯგუფში შედიოდნენ:

ესპანეთი და ნიდერლანდები (ევროპაში); პანამა და კოლუმბია (ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში); მაროკო და ეგვიპტე (აფრიკაში); შრი-ლანკა და ინდოეთი (სამხრეთ აზიაში UNCTAD, 2023). ბუნებრივია, საზღვაო გადაზიდვების კავშირებით არ გამოირჩევა საქართველო, 2021-2022 წლებში მას ორმხრივი კავშირი ჰქონდა საბერძნეთთან (LSBSI=0.227), უკარინასა (LSBSI=0.224) და თურქეთთან (LSBSI=0.231).

საქართველოში საზღვაო საკონტეინერო გადაზიდვების დივერსიფიკაციის დონე ჯერ კიდევ დაბალია და გადაზიდვების ორმხრივი კავშირები სუსტია (იხ. რუქა 1).

რუკა 1. საქართველოს საზღვაო გადაზიდვების კავშირი, 2021-2022 წლები



წყარო: UNCTAD (2023).

ამრიგად, საკონტეინერო გადაზიდვები ტვირთების გადაზიდვების მთლიან რაოდენობაში მაღალია, როგორც გლობალურად, ასევე, საქართველოში. უახლოეს წლებში მოსალოდნელია საკონტეინერო გადაზიდვების გლობალური ბაზრის მოცულობის გაორმაგება. ინდუსტრიაში გამოწვევებია კონფრონტაციის მიზეზების გამო, ხოლო გამოწვევების ფონზე ეფექტიანი აღარ არის ინდუსტრიის მართვის ტრადიციული მეთოდები. გადაზიდვის კონსოლიდაცია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე შესაძლებლობაა ინდუსტრიის განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

საკონტეინერო გადაზიდვები იაფდება - აისახება თუ არა გასაყიდ პროდუქციაზე? 2022. https://bm.ge/ka/video/sakonteinero-gadazidvebi-iafdeba---aisaxeba-tu-ara-gasayid-produqciaze/33338

ხარაიშვილი, ე., ერქომაიშვილი, გ., ნაცვლიშვილი, ი., ლობჟანიძე, მ. (2021). სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების გამოწვევები და პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში. ეკონომიკა და ბიზნესი, N3.

UNCTAD (2023). '*Maritime transport indicators > Liner shipping connectivity*'. <https://hbs.unctad.org/maritime-transport-indicators/>

Elmay F. K., Madine M., Salah K. Jayaraman R. (2023). '*NFTs for Trusted Traceability and Management of Digital Twins for Shipping Containers*'. 2023 IEEE International Conference on Pervasive Computing and

Communications Workshops and other Affiliated Events (PerCom Workshops) < 10.1109/PerComWorkshops56833.2023.10150331>

OCED Data (2023). *'Goods transport > Container transport'*. <https://data.oecd.org/transport/container-transport.htm>

Statista Research Departament (2023). *'Global container shipping throughput from January 2016 to January 2023(index value)'.* Apr 18, 2023 < https://www.statista.com/statistics/1032213/global-growth-container-shipping/>

Placek M. (2022). *'Container shipping - statistics & facts'.* May 4, 2022 < https://www.statista.com/topics/1367/container-shipping/#topicOverview>

Mostafa, N. A. & Eldebaiky O. (2023). *'A Sustainable Two-Echelon Logistics Model with Shipment Consolidation'.* Logistics 2023, 7(1), 18; <https://doi.org/10.3390/logistics7010018>

Venus Lun Y. H., Lai K., Edwin Cheng T. C., Yang D. (2023). 'Container Transport Security'. First Online: 21 April, pp 183-197 <https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-26090-2_12>

Yos Sunitiyoso , Shimaditya Nuraeni , Noorhan Firdaus Pambudi , Tutik Inayati , Ilham Fadhil Nurdayat , Fikri Hadiansyah , Adhya Rare Tiara. (June 2022). Port performance factors and their interactions: A systems thinking approach. The Asian Journal of Shipping and Logistics. 38(2), June 2022, pp. 107-123.

Bijaksana Gena; Daryanto Arief; Kusumastanto Tridoyo; Zulbainarni Nimmi (2020). Competitive advantage improvement strategy of container shipping industry: case of Indonesia. International Journal of Shipping and Transport Logistics. 12(4).

Iman, N., Amanda, M.T. and Angela, J. (2022), "Digital transformation for maritime logistics capabilities improvement: cases in Indonesia", *Marine Economics and Management*, 5 (2), pp. 188-212.

Container Global Market Report 2023.

Nimmi Zulbainarni. Tridoyo Kusumastanto. Gena Bijaksana. Arief Arief Daryanto (2020). Competitive Advantage Improvement Strategy of Container Shipping Industry: Case of Indonesia . January 2020. Int. J. Shipping and Transport Logistics, 12(4).

https://www.researchgate.net/publication/338302427_Competitive_Advantage_Improvement_Strategy_of_Container_Shipping_Industry_Case_of_Indonesia

Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N.(2022). Preliminary Impacts of the Covid-19 Pandemic on Agri-Food Trade: Challenges and Development Scenarios (Case of Georgia). Globalization and Business. 13, 41-50. https://doi.org/10.35945/gb.2022.13.006

Kharaishvili, E**.,** Gechbaia, B., Erkomaishvili, G., Lobzhanidze, M., & Natsvlishvili, I. (2021). Shipping policy of agri-food products and the formation of food markets in Georgia. International Conference on Sustainable Transport System and Maritime Logistics (ISTSML 2021). Retrieved from https://www.matec-conferences.org/articles/matecconf/abs/2021/08/matecconf_istsml2021_01001/matecconf_istsml2021_01001.html

Advantages and competitive strategies of Georgian container shipping in a confrontational environment

Badri Gechbaia
Doctor of Economics, Associate Professor
Batumi Shota Rustaveli State University
gechbaia.badri@bsu.edu.ge

Amiran Tsilosani
Doctor of Business Administration
Batumi Shota Rustaveli State University
atsilosani@gmail.com

Summary

The paper substantiates the advantages of container shipping as a one of the most adapted methods of international shipping: cargo one-time loading and transportation to the destination; time saving during multimodal shipments; a fewer risks of cargo damage; cargo protection from negative impacting factors, such as atmospheric events and confrontations; Easy customs control procedures and more. The study evaluates the competition of container shipping in the shipping market. The global index of container shipping is analyzed and discussed the prices of container usage. Through the dynamic analysis of prices is determined the impact of container shipping prices on the product price. The article represents conclusions about the challenges of container transportation in Georgia and provides recommendations for developing and changing competitive strategies in the confrontational environment.

Keywords: container shipping, container shipping advantages, competition strategies, container freight prices

გლობალიზაცია და კრიმინოგენური მდგომარეობის თანამედროვე სტატისტიკური ტენდენციები საქართველოში

ნინო აბესაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.abesadze@tsu.ge

თამუნა მაზანიშვილი
ეკონომიკის მაგისტრი
ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamuna.mazanishvili363@eab.tsu.edu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-288-295

ანოტაცია. *საზოგადოების ინტერესი კრიმინოლოგიური ვითარების რაოდენობრივი შეფასების მიმართ ყოველწლიურად იზრდება, რადგან ეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, არამედ ზოგადად ეკონომიკაზე და ქვეყნის იმიჯზე. ნაშრომის მთავარი მიზანი იყო კრიმინოგენური მდგომარეობის სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური მეთოდები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა 5 ძირითადი, საქართველოში ყველაზე გავრცელებული დანაშაული: ქურდობა, ძალადობა, ოჯახში ძალადობა, მუქარა და ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის, უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. გარდა ამისა დანაშაულის სახეები იცვლება ბრალდებულთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მაგალითად თუ 54 წლამდე ასაკის პირებში დანაშაულებში დომინირებს ქურდობისა და ძალადობის მაჩვენებელი 55 წლიდან უკვე პირველ ადგილზე გადმოდის ისეთი დანაშაულები, როგორიცაა თაღლითობა, მუქარა, ყალბი დოკუმენტების დამზადება.*

საკვანძო სიტყვები: *დანაშაული, ტენდენცია, ანალიზი, კრიმონოგენური სიტუაცია.*

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კრიმინოლოგიური მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასება სულ უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური ხდება. მისი კვლევისადმი საზოგადოების ინტერესი ყოველწლიურად იზრდება, რადგან ის გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, არამედ ეკონომიკასა და ზოგადად, ქვეყნის იმიჯზე.

ობიექტური სამართლებრივი სტატისტიკის წარმოება და ამის ბაზაზე ოპტიმალური სამართლებრივი პოლიტიკის განსაზღვრა ნებისმიერი ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რადგან ის უზრუნველყოფს მშვიდ და ჯანსაღ გარემოს მასში მცხოვრები ნებისმიერი ინდივიდისთვის. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყნები დიდ ყურადღებას აქცევენ სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოებას და სრულყოფას, რადგან კრიმინოგენური მდგომარეობის დეტალური სტატისტიკური ანალიზი პრობლემის სწორად დანახვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მნიშვნელოვანი ბერკეტია. რადგან დანაშაულობებისა

და ზოგადად, კრიმონოლოგიური მდგომარეობის საჯარო განხილვა დემოკრატიული საზოგადოების თანმდევი პროცესია, ამიტომ კრიმინოგენური სტატისტიკის სრულყოფილი და სანდო მაჩვენებელთა სისტემა ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და მიღწეული პროგრესის შეფასების საშუალებას იძლევა.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენდა კრიმინოგენური მდგომარეობის სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური: სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

როგორია კრიმონოგენური სტატისტიკა საქართველოში?

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შემცირებულია რეგისტრირებული დანაშაულობების რიცხვი, ზოგადად, კრიმონოგენური მდომარეობა ქვეყანაში სახარბიელო ნამდვილად არაა. (იხ. დიაგრამა 1) ბილო მონაცემებით მისი რიცხვი 54435, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 3,4%-ით, ხოლო 2020 წელთან შედარებით 3,9%-ითაა ნაკლები.

დიაგრამა 1. **რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობის დინამიკა 2013-2022 წლებში**



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საკვლევ პერიოდში რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობა განსაკუთრებით მაღალი იყო 2018-2019 წლებში, რაც 2018 წელს შსს-ს მონაცემთა აღრიცხვის უფრო სრულყოფილი სისტემის შემუშავებამ განაპირობა, რაც გულისხმობდა მონაცემთა მაქსიმალურად სრულ მოცვას.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ 2020 წელს 2019 წელთან შედარებით დანაშაულის რაოდენობის მკვეთრი, 11,7%-იანი კლება დაფიქსირდა, რაც ძირითადად პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობითა და კომენდატის საათის შემოღებით იყო განპირობებული.

საყურადღებო ფაქტია, რომ 2022 წელს წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა ისეთ მძიმე კატეგორიაში, როგორიცაა სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები (42,2%), ქურდობა (5,9%) და ოჯახური ძალადობა (13,9%).

დიაგრამა 2. **რეგისტრირებული დანაშაულის სტრუქტურა ცალკეული დანაშაულის სახეების მიხედვით 2022 წელს 2021 წელთან შედარებით**



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

თუმცა მნიშვნელოვნად გაზრდილია ნარკოტიკული დანაშაულების ხვედრითი წილი (43,7%), რაც სავარაუდოდ, არასაარჩევნო წელს კონტროლის გამკაცრებას უკავშირდება. წინა წლების სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ საარჩევნო წლებში მსგავსი დანაშაულის რიცხვი იკლებდა, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო წინასაარჩევნო პერიოდში.
რეგისტრირებული დანაშაულების გარდა, სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობა. ის აერთიანებს პირებს, რომლებიც არიან ეჭვმიტანილად ან ბრალდებულად ცნობილნი. დევნა დაწყებული პირების რაოდენობა წლების მიხედვით საკმაოდ ცვალებადია.

დიაგრამა 3. **დევნა დაწყებულ პირთა რაოდენობის დინამიკა**



წყარო: საქართველოს პროკურატურა

მათი ყველაზე ნაკლები რაოდენობა დაფიქსირდა 2020 წელს, რაც განპირობებული იყო პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით, დევნა დაწყებული პირების რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი 2022 წელს, 22365 დონეზე დაფიქსირდა, რაც წინა, 2021 წელთან შედარებით 13%-ით, ხოლო 2013 წელთან შედარებით 19%-ითაა გაზრდილი. საინტერესოა დევნა დაწყებული პირების რაოდენობის ანალიზი სქესობრივ ჭრილში. 2013 წლიდან დღემდე ბრალდებული მამაკაცების რიცხოვნობა მუდმივად აჭარბებს ბრალდებული ქალების რიცხოვნობას,

დიაგრამა 4. **დევნა დაწყებულ პირთა განაწილება სქესის მიხედვით**



წყარო: საქართველოს პროკურატურა

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ დევნა დაწყებული ქალების რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 8%-ით იზრდებოდა, ხოლო მამაკაცების რიცხოვნობა 1,8%-ით.
საინტერესოა, რომელი დანაშაულობები სჭარბობს დღეს საქართველოში.
2022 წელს ყველაზე მეტი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 177-ე მუხლით „ქურდობა“, სსკ-ის 151-ე მუხლით „მუქარა“; სსკ-ის 126-ე მუხლით „ძალადობა“; სსკ-ის 126[1] მუხლით „ოჯახში ძალადობა“ და სსკ-ის 260-ე მუხლით „ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის, უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება“.

მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ, 2013-2022 წლიან პერიოდში, საშუალოდ ყოველწლიურად ქურდობის დანაშაული 1,2%-ით მცირდებოდა, ქურდობის მაჩვენებელი ყოველთვის მაღალი იყო სხვა დანაშაულის მაჩვენებლებთან შედარებით. საკმაოდ ცვალებადობით ხასიათდებოდა ნარკოტიკული დანაშაულის მაჩვენებლები. თუ 2018 წლამდე ის მუდმივად იკლებდა, 2019 წელს 19,3%-იანი მატება, ხოლო 2020-2021 წლებში კვლავ 44,3% შემცირება დაფიქსირდა, 2022 წელს კი ამ მუხლით ბრალდებულების რიცხოვნობამ კვლავ მოიმატა. როგორც წესი, საარჩევნო წლებში მსგავსი დანაშაულის რიცხვი იკლებს, ხოლო არასაარჩევნო წელს ნარკოტიკული დანაშაულის მაჩვენებლის ზრდა, სავარაუდოდ, კონტროლის გამკაცრებას უკავშირდება. მზარდია დამნაშავეთა რიცხოვნობა ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა „მუქარა“ და „ძალადობა“ თუ 2016 წლამდე მხოლოდ ერთეული პირები სჩადიოდნენ აღნიშნულ დანაშაულს 2016 წლიდან მაჩვენებლებმა მკვეთრი ზრდა დაიწყო. რაც შეეხება ოჯახში ძალადობას, მაჩვენებელი განსაკუთრებით გაიზარდა 2018 წელს (88,8%), ხოლო 2019 წლიდან უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც კლების ტემპი შეინიშნება. საკვლევ პერიოდში სსკ-ის 151-ე მუხლზე „მუქარა“ დევნადაწყებული პირების რიცხოვნობა საშუალოდ წლიურად იზრდებოდა 35,6 %-

ით, სსკ-ის 126-ე მუხლზე „ძალადობა“ საშუალოდ წლიურად ფიქსირდებოდა 25,6%-იანი მატება, ოჯახში ძალადობის დანაშაულზე დაფიქსირდა 15,9%, ხოლო ნარკოტიკულ დანაშაულებზე 5,9% მატების ტემპი.

დიაგრამა 5. **დევნადაწყებული პირების რაოდენობა დანაშაულის სახეების მიხედვით 2022 წელს**



წყარო: საქართველოს პროკურატურა

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის სტრუქტურა მუდმივად ცვალებადია, მაგალითად თუ საკვლევი პერიოდის დასაწყისში ყველაზე მეტი დევნა დაწყებული პირი ფიქსირდებოდა სსკ-ის 273-ე მუხლზე „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება“. ბოლო მონაცემებით ქურდობის მაჩვენებელი უპირობოდ სჭარბობს ყველა მაჩვენებელს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა აღნიშნულ დანაშაულზე 2022 წელს 2021 წელთან შედარებით დევნა დაწყებული პირების რაოდენობა გაზრდილია, გარდა ოჯახური ძალადობის შემთხვევისა, როდესაც მარტო ერთი წლის განმავლობაში, 2022 წელს წინა წელთან შედარებით ამ მუხლით დანაშაულობებზე 5,8%-იანი კლება დაფიქსირდა. პირველ ადგილზეა ქურდობის მაჩვენებელი, არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულებშიც, რომლის შემდეგ იკვეთება ძარცვის, ყაჩაღობის და ა.შ. დანაშაულობები.

არასრულწლოვნებისგან განსხვავებით, სრულწლოვნებში, განსაკუთრებით 18-54 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, სჭარბობს ისეთი დანაშაულები, როგორიცაა მუქარა, ძალადობა, ნარკოტიკების მოხმარება. 55-64 ასაკის კატეგორიაში ნარკოტიკულ დანაშაულს ანაცვლებს თაღლითობა, ხოლო 65 და მეტი ასაკის დამნაშავე პირებში უკვე იზრდება ყალბი დოკუმენტების დამზადების დანაშული.

დასკვნა

2013-2022 წლებში მთლიანად საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებული დანაშაულების რიცხოვნობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, იგი საშუალოდ ყოველწლიურად იმატებს 510 ერთეულით, თუმცა, 2022 წელს 2021 წელთან შედარებით რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობა შემცირებულია 3,5%, ხოლო 2013 წელთან შედარებით გაზრდილია 26,5%-ით.

2022 წელს მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა ისეთ მძიმე კატეგორიაში, როგორიცაა სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები (42,2%), ასევე შემცირებულია ქურდობისა (5,9%) და ოჯახში ძალადობის მაჩვენებლებიც (13,9%). თუმცა მნიშვნელოვნად გაზრდილია ნარკოტიკული დანაშაულების ხვედრითი წილი (43,7%).

რაც შეეხება დევნა დაწყებული პირების რაოდენობას საქართველოს მასშტაბით მონაცემები საკმაოდ ცვალებადია. ყველაზე ნაკლები რაოდენობა დაფიქსირდა 2020 წელს, რაც განპირობებული იყო პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით, დევნა დაწყებული პირების რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2022 წელს, როდესაც წინა წელთან შედარებით 13%-იანი, ხოლო 2013 წელთან შედარებით 19%-იანი მატება დაფიქსირდა. საკვლევ პერიოდში დევნა დაწყებულ პირთა რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა 2%-ით.

2013 წლიდან დღემდე ბრალდებულთა შორის სჭარბობენ მამაკაცები, სქესობრივ სტრუქტურაში ცვლილებები არ დაფიქსირებულა. თუმცა აღსანიშნავია, რომ დევნა დაწყებული ქალების რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 8%-ით, ხოლო მამაკაცების რიცხოვნობა 1,8%-ით იზრდებოდა.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა 5 ძირითადი, საქართველოში ყველაზე გავრცელებული დანაშაული: ქურდობა, ძალადობა, ოჯახში ძალადობა, მუქარა და ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის, უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

თუმცა, ქურდობის მაჩვენებელი საშუალოდ ყოველწლიურად 1,2%-ით მცირდება, „მუქარის“ მუხლით დევნადაწყებული პირების რიცხოვნობა საშუალოდ ყოველწლიურად იზრდება 35,6%-ით, „ძალადობის“ მუხლით 25,6%-ით, ოჯახში ძალადობის დანაშაულით 15,9%-ით. ხოლო ნარკოტიკულ დანაშაულების მუხლით დევნადაწყებული პირების რიცხოვნობაში 5,9%-იანი მატების ტემპი დაფიქსირდა. გარდა ამისა დანაშაულის სახეები იცვლება ბრალდებულთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მაგალითად თუ 54 წლამდე ასაკის პირებში დანაშაულებში დომინირებს ქურდობისა და ძალადობის მაჩვენებელი 55 წლიდან უკვე პირველ ადგილზე გადმოდის ისეთი დანაშაულები, როგორიცაა თაღლითობა, მუქარა, ყალბი დოკუმენტების დამზადება.

გამოყენებული ლიტერატურა

აბესაძე ო. (2023). სისხლის სამართლის დამნაშავეთა სტატისტიური მახასიათებლები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ., (2020). სოციალური სტატისტიკა (ელექტრონული ვერსია). თბ.ილისი.

გელაშვილი ს. (2021). ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. მე-2 შევსებული და განახლებული სახელმძღვანელო (ელ. ვერსია), თბილისი.

თანამშრომლობის მემორანდუმი სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ. https://www.geostat.ge/media/39605/statistikis_memorandumi_GEO.pdf

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. „2019 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა“
კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ.

მარშავა ქ. (2011). მინდორაშვილი მ. იურიდიული სტატისტიკა. გამომც. „უნივერსალი“. თბილისი. 2011.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (2023). თბილისი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.

ფრანკფორტ–ნაჩმიასი ჩ., ლეონ–გერერო ა. (2012). სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის (თარგმანი ინგლისურიდან). თსუ გამომც., თბილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდი. www.geostat.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ გვერდი https://info.police.ge/cat?id=88

საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალური ვებ გვერდი

https://pog.gov.ge/public-info/Inner/14

Globalization and modern statistical trends of the criminogenic situation in Georgia

Nino Abesadze
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
nino.abesadze@tsu.ge

Tamuna Mazanishvili
Master of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tamuna.mazanishvili363@eab.tsu.edu.ge

Summary

In the conditions of modern globalization, the quantitative assessment of the criminological situation is becoming more and more important and relevant. Public interest in his research is growing every year, because it affects not only the political situation of the country, but also the economy and the image of the country in general. The main goal of the paper was to reveal and analyze the statistical trends of the criminogenic state. Both general and specific methods of statistical observation, grouping and analysis were used in the research process. In 2013-2022, the number of registered crimes in Georgia is characterized by an increasing trend, it increases by 510 units on average every year, however, in 2022, compared to 2021, the number of registered crimes decreased by 3.5%, and compared to 2013, it increased by 26.5%. In 2022, a significant decrease was observed in such a serious category as crimes against life (42.2%), as well as the indicators of theft (5.9%) and domestic violence (13.9%). However, the share of drug-related crimes has significantly increased (43.7%). Data on the number of persons prosecuted are variable. The lowest number was recorded in 2020, and the highest in 2022. The number of persons who started prosecution during the study period increased by 2% annually on average. From 2013 to the present, men predominate among the accused, although it is worth noting that the number of women prosecuted increased by 8% on average every year, while the number of men increased by 1.8%. As a result of the analysis, 5 main crimes, the most common in Georgia, were identified: theft, violence, domestic violence, threats and illegal manufacture, production, purchase, storage, transportation, forwarding or possession of narcotic drugs or their analogues. In addition, the types of crimes change according to the age groups of the accused. For example, if among people under the age of 54, the rate of theft and violence dominates, from the age of 55, crimes such as fraud, threats, making fake documents take the first place.

Keywords: crime, trend, analysis, criminogenic situation.

ცირკულარული ეკონომიკის მოდელები და მათი გამოყენების აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე

ნაზირა კაკულია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nazira.kakulia@tsu.ge

https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-296-300

ანოტაცია. *ბოლო პერიოდში მსოფლიო გლობალური პრობლემების ფონზე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა არა სწორხაზოვან ეკონომიკას, არამედ ცირკულარულ ეკონომიკას. მსოფლიოში ცნობილია ცირკულარული ეკონომიკის რამოდენიმე მოდელი. ამ მოდელებს შორის მეტად გავრცელებულია ერთ-ერთი პირველი ცირკულარული ეკონომიკის – ვალტერ სტაჰელის (Walter R. Stahel) მოდელი, რომელიც მართალია სრულიად თეორიული სახით ქონდა წარმოდგენილი და იმ დროისთვის პრაქტიკული ახსნა არ გააჩნდა. სწორხაზოვან და ცირკულარულ ეკონომიკებს შორის ფუნდამენტურ განსხვავებებზეა საუბარი კენეტ ბოულდინგის (Kenneth Boulding) 1966 წელს გამოქვეყნებულ მოდელში, სადაც დედამიწა განხილულია როგორც ჩაკეტილი და წრიული სისტემა შეზღუდული რესურსებით. ავტორი აღნიშნავს, რომ აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს შენარჩუნების თანხვედრით, რაიმე წონასწორული წერტილის აღმოჩენა. ეს მოდელი ბოულდინგის წონასწორული წეტილის მიღწევის იდეალისტური ვარიანტია. წრიულ ეკონომიკას შეუძლია მდგრადი განვითარების მთავარ მოდელად იქცეს, რადგან სწორხაზოვანი ეკონომიკა გარემოზე მავნედ ზემოქმედებს და იწვევს რესურსების ამოწურვას. აგრეთვე მნიშვნელოვანია გამოვყოთ ბი ჯონსონის ე.წ. „5R“-ის მოდელი (*Refuse Reduce, Reuse, Recycle, Rot *). ასევე კვლევაში განხილულია ცირკულარული ეკონომიკის სხვა თანამედროვე მოდელები.*

საკვანძო სიტყვები: *ცირკულარული ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, მოდელი*

თანამედროვე პირობებში არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება და მათი გამოყენებისგან მოსახლეობის ყველა ფენებისათვის სარგებლიანობის ზრდა ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საზრუნავი და გამოწვევა გახდა. რაც მიღწევადი ხდება ცირკულარული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების საშუალებით. ცირკულარული ეკონომიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოს ადამიანის კეთილდღეობის, ცხოვრების დონის და ხარისხის ზრდა იმ პირობებში, როცა მაქსიმალურად იქნება დაცული ბუნებრივი რესურსები და გარემო. სტატიაში ხაზგასმულია ცირკულარული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების აუცილებლობა დედამიწაზე სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შესანარჩუნებლად. შესწავლილი და გაანალიზებულია მისი მოდელები. ასევე ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ რა ნაბიჯებია გადადგმული აქამდე ხაზოვანი ეკონომიკიდან საქართველოში ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად.

გარემოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე უფრო და უფრო აქტუალური ხდება ცირკულარული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების იდეა, რომელიც უპირისპირდება სწორხაზოვან ეკონომიკას და იძლევა საშუალებას საზოგადოებას მისცეს მეტი კეთილდღეობა როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პირობებში. საზოგადოებამ დაიწყო პრიორიტეტების გადაფასება, რის შემდეგაც ყოველი ჩვენთაგანისთვის ნათელი გახდა თუ რამდენად დამძიმდა ეკოლოგიური პრობლემები ჩვენს გარშემო და რომლებიც მუდმივად აფერხებენ ეკონომიკურ განვითარებას. მათ შორის უნდა გამოვყოთ ისეთი საკითხები როგორიცაა:

- ატმოსფეროსა და წყლის რესურსების დაბინძურება
- მინერალური რესურსების არარაციონალური გამოყენება
- სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურება
- პლაჟების გარეცხვა-დაშლა
- მიწების ეროზია
- ტყეების ფართობების შემცირება
- ნაყოფიერი ნიადაგის სიმცირე და სხვა

ეს არის იმ პრობლემების მცირე მაგრამ მთავარი ჩამონათვალი, რომელიც ჩვენ დღევანდელ თაობას მემკვიდრეობით გვერგო. თუმცა ახლა გვმართებს მეტი სიფთხილე, ვინაიდან აქ გამახვილებულია ყურადღება ძირითადად ამოწურვად რესურსებზე, რომელთა არარაციონალური მოხმარება აღუდგენელ ზიანს მიაყენებს კაცობრიობას და ეკონომიკას. ცირკულარული ეკონომიკა და მდგრადი განვითარება ესაა ეკონომიკური სისტემა, რომლის მიზანია უკვე მოხმარებული რესურსები აქციოს მუდმივი გამოყენების წყაროდ და ძირეულად გაუფრთხილდეს ეკოლოგიას, როდესაც ვსაუბრობთ ცირკულარულ ეკონომიკაზე და მდგრად განვითარებაზე ჩვენ ვსაუბრობთ, ეკონომიკურ მოდელზე რომლის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს რესურსების ეფექტიანი გამოყენება, პირვალხარისხოვანი რესურსების გამოყენების შემცირება და ნარჩენების ხელახალი გამოყენება.ეს ყოველივე კი უზრუნველყოფს ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილებას, რაც არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის არამედ მსოფლიოსთვის არის მნიშვნელოვანი.

ცირკულარული ეკონომიკით დაინტერესება და აქტიური მსჯელობა 1970-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ამ პერიოდში არაერთმა მეცნიერმა დაიწყო საუბარი კრიტიკულად სწორხაზოვან ეკონომიკაზე და ისაუბრა ცირკულარული ეკონომიკის საჭიროებაზე. ერთ-ერთი პირველი მეცნიერი ვინც ამ საკითხით დაინტერესდა, იყო კენეტ ბოულდინგი (Boulding, 1966), რომელმაც თავის პუბლიკაციაში დედამიწა განიხილა ჩაკეტილი და ცირკულარული სისტემა.

ცირკულარული ეკონომიკის მარტივად რომ აღვწეროთ ძირითადად მისი არსი მდგომარეობს რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში, მოხმარების შემცირებაში, პირველხარისხოვანი რესურსების ფლანგვის შეჩერებაში, პროდუქტებისა და მათი შემადგენელი კომპონენტების ცირკულარულად გამოყენების გზით. რაც შეეხება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის განმარტებას: „ცირკულარული ეკონომიკა არის ინდუსტრიული სისტემა, რომელიც დამყარებულია აღდგენით და რეგენერაციულ სტილზე. ის ცვლის კონცეფციას სიცოცხლის ციკლის დასრულების შესახებ და აღდგენის კონცეფციით, რაც გულისხმობს განახლებადი ენერგიის გამოყენებას ნაცვლად ტოქსიკური ქიმიკატებისა, რომლებიც ბრუნდება ბიოსფეროში, ასევე გვთავაზობს განსაკუთრებულ შესაძლებლობას ნარჩენების შემცირებისა და პროდუქტების გრძელვადიანი გამოყენებისათვის“. კიდევ ერთი განმარტება ეკუთვნის ელენ მაკარტურის (Ellen MacArthur Foundation, 2013) ფონდს,

რომელიც ცირკულარულ ეკონომიკას განმარტავს, როგორც: „ეკონომიკურ მოდელს, რომელიც ნაცვლად მოიპოვე-მოიხმარე-გადააგდე პრინციპისა, ფოკუსირებულია ფართოდ გამოიყენოს პოზიტიური სარგებელი. იგი ემყარება განახლებადი ენერგიის წყაროზე გადასვლას და ცირკულარული მოდელის შექმნას ეკონომიკური, ბუნებრივი თუ სოციალური კაპიტალის ზრდისთვის. ის ეფუძნება სამ პრინციპს: კონცეფციას ნარჩენებისა და ნაგვის გარეშე, პროდუქტებისა და მასალების გრძელვადიან გამოყენებასა და სისტემის რეგენერაციის უნარს“.

ცირკულარული ეკონომიკის ფუძემდებლად შეიძლება მივიჩნიოთ ვალტერ შტაელი (Stahel,2019) რომელიც 1970-იანი წლებიდან საკმაოდ აქტიურად ჩაერთო ცირკულარული ეკონომიკის განხილვაში. სწორედ შტაელის სახელს უკავშირდება ერთ-ერთი პირველი ცირკულარული ეკონომიკის მოდელი, რომელიც მართალია სრულიად თეორიული სახით ქონდა წარმოდგენელი და იმ დროისთვის პრაქტიკული ახსნა არ გააჩნდა. ის ამ მოდელს „სპირალური მარყუჟის სისტემას“ უწოდებდა. ეს სისტემა წარმოადგენდა საქონლის გამოყენების ვადის გახანგრძლივებას და ახალი რესურსების სინთეზს.

მსოფლიოში რამდენიმე ცირკულარული ეკონომიკის სხვადასხვა მოდელს განიხილავენ, თუმცა მათგან ყველაზე პოპულარულია ბი ჯონსონის “5R”.

1. Refuse (უარი თქვი)-ამ მოდელის პირველი ნაწილი გვასწავლის, რომ ადამიანებს ბევრ დამატებით შემოთავაზებაზე შეგვიძლია უარის თქმა.
2. Reduse (შეამცირე) - აღნიშნული მოდელის მეორე ეტაპი, შემცირება, მიბმულია პირველ ეტაპთან და გულისხმობს შეამცირო ნივთების ყიდვა და იყიდო მხოლოდ აუცილებელი პროდუქტები.
3. Reuse (გამოიყენე თავიდან) - ძალიან ხშირია შემთხვები როდესაც ადამიანები ნივთებს გარკვეული პრობლემის შექმნისთანავე სანაგვეზე მოისვრიან, რაც არასწორია და ღირს ფიქრი მის აღდგენასა და კვლავ გამოყენებაზე.
4. Recycle (გადაამუშავე) - რაც შეეხებება მეოთხე ეტაპს ადამუშავება ის არ გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი პროდუქტი შესაძლოა გადამუშავდეს ისე, რომ საწყის სახეს დაუბრუნდეს. აქ საუბარია იმაზე, რომ ჩვენ სწორად შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით უნდა დავახარისხოთ ნარჩენები რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს მათი ხელახალი სიცოცხლისთვის სწორ ადგილას მიტანა.
5. Rot (დააკომპოსტირე)-საბოლოო ეტაპი გულისხმობს აღნიშნული ნარჩენებიდან გამოიყოს ის ნაწილი, რომელიც მიწისთვის სასუქად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ამ ეტაპების გავლა რა საკვირველია ვერ შეამცირებს ნაგვის ოდენობას ნულამდე, თუმცა მკვეთრად შეცვლის არსებულ მდგომარეობას და ვიქნებით დარწმუნებულნი რომ ნამდვილად ეფექტიანად ვიყენებთ რესურსებს. ამ წრის შეკვრაში კი ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა იქნება ის მთავრობა თუ კომპანიები მაგრამ ძირითადი შესაძლებლობა მაინც მოსახლეობაზეა. ადამიანებმა არ უნდა მივცეთ საშუალება სხვაგვარად მოქმედების. სწორედ ამისკენ მივყავართ მწვანე ეკონომიკასაც, რომელიც ძირეულად ორიენტირებულია ეკოლოგიაზე და პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. ალბათ შეუძლებელია ერთმანეთისგან განცალკევებით ვისაუბროთ ცირკულარულ ეკონომიკასა და მწვანე ეკონომიკაზე. მათი ძირითადი ფასეულობები ერთია და მიზანსაც ეკოლოგიის გაფრთხილება წარმოადგენს.

შეიძლება მოკლედ დასკვნათ, რომ თუ ჩვენ ვისაუბრებთ ცირკულარულ ეკონომიკაზე, მოგვიწევს ყურადღება გავამახვილოთ მწვანე ეკონომიკის მოდელზეც. საერთო ჯამში კი ორივე ძირეულად მიმართულია ადამიანების კეთილდღეობაზე, მის გაუმჯობესებაზე მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობებში როცა დაცულია რესურსების რაციონალურობა და ბუნების გაფრთხილება.

გამოყენებული ლიტერატურა

ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ. (2011). *მაკროეკონომიკა*. ლექციების კურსი. თბილისი.

ხადური ნ. (2012). ქართული ეკონომიკური მოდელი და გლობალური ეკონომიკა. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის *„გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“* კრებული. თბილისი.

ხარაიშვილი ე. (2020). მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა საკუთრების უფლების რეგულირების მექანიზმებით“.

Boulding, K. (1966). The Economics of the Coming Spaceship Ea.rth.

Ekins, P., Domenech, T., Drummond, P., Bleischwitz, R., Hughes, N. and Lotti, L. (2019), “The Circular Economy: What, Why, How and Where”.

Ellen MacArthur Foundation. (2013). the Circular Economy. Isle of Wight

Rodrigue, J. (2020). January 25). *Transport and sustainability*. The Geography of Transport Systems. https://transportgeography.org/?page_id=5725

Stahel, W. (2019). The Circular Economy (1st ed.). Taylor and Francis. Retrieved from https://www.perlego.com/book/1599914/the-circular-economy-a-users-guide-pdf (Original work published 2019)

Circular economy models and the need to use them at the modern stage

Nazira Kakulia
Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
nazira.kakulia@tsu.ge

Summary

Recently, in the background of the world's global problems, significant attention is paid not to the linear economy, but to the circular economy. Several models of circular economy are known in the world. Among these models, one of the first circular economy models - Walter R. Stahel's model - is very common, although it was presented in a completely theoretical form, but at that time it did not have a practical explanation. The fundamental differences between linear and circular economies are discussed in Kenneth Boulding's model published in 1966, where the earth is viewed as a closed and circular system with limited resources. The author notes that it is necessary to find a balance between economic development and environmental preservation. This model is an idealistic version of Boulding's equilibrium point. The circular economy can become the main model of sustainable development, because the linear economy has a harmful effect on the environment and leads to the depletion of resources. It is also important to highlight B. Johnson's so-called "5R" model (Refuse Reduce, Reuse, Recycle, Rot). Other modern models of the circular economy are also discussed in the article.

Keywords: Circular economy, sustainable development, standard of living, circular economy models